

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**იაკობ ბობეაშვილი – 180**

**სამეცნიერო შრომების კრებული**





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**იაკობ გოგებაშვილი – 180**

**სამეცნიერო შრომების კრებული**



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**რედაქტორები: პროფესორი ლადო მინაშვილი**

**ასისტენტ-პროფესორი ლევან ბებურიშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

**ISBN 978-9941-13-966-6 (pdf)**

## გია არგანაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### იაკობ გოგებაშვილის ერთი „შინაური მიმოხილვის“ გამო

იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოჩენილი პედაგოგ-კლასიკოსის, საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლის და პუბლიცისტის სახელს ჩვენს დროში არაფერი დაჰკლებია. ის ისევე დაფასებულია, როგორც საუკუნე-ნახევრის წინ, როდესაც მან თავისი შეუცვლელი სახელმძღვანელო „დედა ენა“ გამოსცა და ამით განათლების ეროვნულ სისტემას ჩაუყარა საფუძველი.

თუმცა ერთია სახელის უკვდავყოფა, მისი ღვაწლის სათანადო დაფასება, ხოლო მეორე – მისი პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, მის მიერ დამუშავებული სხვადასხვა საკითხის წინ წამოწევა და ცხოვრებაში დანერგვა.

არჩევანი ამ მხრივ მართლაც დიდია, რადგან მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილი მრავალ საჭირო-როტო საკითხს შეეხო. თუმცა მათ შორის გამორჩეული მაინც ბავშვის ზნეობრივი აღზრდის თემაა, როგორც აუცილებლობა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

აღზრდა ძალზე ფართო დიაპაზონის კატეგორიაა. აქ იგულისხმება ქცევის კულტურა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა, მოყვასისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, ზოგადად, კაცთმოყვარეობა და მშობლიური გარემოსადმი ჩამოყალიბებული ის განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს და რომელსაც ჩვენ, ადამიანები, პატრიოტიზმს ვეძახით.

თუმცა ვიდრე პატრიოტული თემის კვლევას გავყვებით და კვლავაც იაკობ გოგებაშვილის სახელს და მემკვიდრეობას მივმართავთ მისი თეორიული საფუძვლების გასაცნობად, ამ სფეროში ვრცელი ექსკურსი და რამდენიმე პასუხგაუცემელ კითხვაზე დაფიქრება მოგვინებს.

ცხადია, რომ დღეს ჩვენში პატრიოტული თემის აქტუალობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად იმისა, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში (ეს წლები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს ემთხვევა) ქვეყანას ომი და და განსაცდელი არ დაჰკლებია და ამ ომში თავგანწირულ მებრძოლთა ნაკლებობაც არ გვიგრძნია, დღეს სამშობლოსადმი დამოკიდებულებების გრძნობა ახალგაზ-

რდობაში მაინც ერთგვარ გაუგებრობას ბადებს, რადგან ჩვენ, ერთი მხრივ, მშობლიური ქვეყნისადმი ძალზე მგრძნობიარე და დეკლარირებული განცდის მაგალითებს ვხედავთ (რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელ ჯანსაღ მოქალაქეობრივ გრძნობასთან) ხოლო, მეორე მხრივ, სრულ გულგრილობას, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შემთხვევებს ვაწყდებით.

არადა ჩვენი საზოგადოება თითქოს ძველებურად ტრადიციული ღირებულებების ერთგული რჩება. ოჯახში კვლავაც ურთიერთპატივისცემისა და მოვალეობის გრძნობაა გამეფებული, სკოლებში სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას სათანადო დრო აქვს დათმობილი, სამამულო თემატიკა კვლავაც პრიორიტეტულ ადგილს იკავებს მშობლიური ლიტერატურის სწავლების პროცესში, ტელევიზია, რადიო, პრესა და ინტერნეტსივრცე გაჯერებულია ამ თემისადმი მიძღვნილი მხატვრულ-პუბლიცისტური პროდუქციით და პროპაგანდისტული საუბრებით.

უმთავრესი მათ შორის მაინც ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი პატრიოტული ლირიკაა. განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნის, კოლონიალურ პერიოდში მეამბოხური სულით შექმნილი წინააღმდეგობის ყველაზე მტკიცე საფუძველი, რომელიც მხნეობის მაგალითს იძლეოდა თითოეული პიროვნების ცხოვრებაში.

გავიხსენოთ, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოში ერთ-ერთი პირველი სწორედ „თავდადებულ ქართველთა ისტორიები“ გაჩნდა, რომელშიც მთელი საქართველოს წარსული ერთგვარ პოზიტიურ სივრცედ და ქვეყნისთვის თავადადებისა და თავგანწირვის მაგალითად იყო წარმოდგენილი.

აღმზრდელი და პედაგოგი იმდროინდელ ცნობილ ქართველ პოეტებს პატრიოტული თემატიკის ლექსებს უკვეთავდა და მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო მდიდრდებოდა მამულიშვილური სულისკვეთებით და მაღალიდგური მხატვრული ტექსტებით.

ამგვარად, იმდროინდელ ქართველობაში ასე ნაბიჯ-ნაბიჯ აღორძინებულმა სულიერებამ ერთხელ (მცირე ხნით) მართლაც მოგვაპოვებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შემდეგ მის დაცვას შეაღწია დარჩენილი სიცოცხლე.

ხოლო სახელმძღვანელოებში მემკვიდრეობით გადმოცემულმა აღზრდის ამგვარმა ტრადიციამ მეორედაც შეგვაძლებინა დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქვეყანა დღევანდლამდე მოიყვანა.

ჩვენ თანდათანობით დავშორდით ჩვენს წარსულს. ქვეყანამ კოლონიალურ მდგომარეობას თავი დააღწია და დამოუკიდებლობის

პირობებში განაგრძო არსებობა. დრო გავიდა და უხილავი კავშირი წარსულთან განწყდა. დღევანდელი თაობა ცოცხლად ველარ განიცდის სამასი არაგველის და ცხრა ძმა ხერხეულიძის თავგანწირვას, მათ თავიანთი ეპოქის გმირები ჰყავს და მათ ქებას მოელოიან.

ლიტერატურაში, პოეზიაში ყველაზე ადრე პატრიოტული თემა ძველდება, რადგან ეს გრძნობა მუდმივ განახლებას მოითხოვს. ახალ თაობას სამშობლოს ახალი ქება სჭირდება (სწორედაც რომ დროის შესაფერისი). ამიტომ ახალი ღვინის ძველ ტიკებში ჩასხმას ემსგავსება ძველი ტექსტებით თაობის აღზრდა. მით უფრო, რომ რეალობა შეიცვალა და დღეს დამოუკიდებელი და დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნის ფორმატში გვინევს მარდიული ღირებულებებისთვის ზრუნვა...

მრავალსაუკუნოვანი ქართული პატრიოტული ლირიკა კი ემსგავსება ჩვენს ციხე-სიმაგრებს, რომლებიც დღესაც საოცარ სანახაობას წარმოადგენს, ოღონდ სხვა ფუნქცია, გარდა ჩვენი ესთეტიკური ტკობისა, დაკარგული აქვს. მსგავსად ამისა, ჩვენი ბრწყინვალე ლიტერატურული მემკვიდრეობაც მხოლოდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, ალტაცებაში მოჰყავს თავისი მხატვრული სახეებით, მაგრამ პოეტის ცნობილი სტრიქონების პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ – მათი მოსმენა ხმლის ტარზე არავის აუთრთოლებს ხელს.

აქაც საჭიროა ცვლილება, ოღონდ არა ძველებურად, როდესაც პოეტი გმირის თავგანწირვით ალტაცებულია და საკუთარ (მასთან ერთად მკითხველის) პასუხისმგებლობას ველარ გრძნობს. ამავე დროს ყველა ტექსტში ავტორი ერთგვაროვან დამოკიდებულებას ამჟღავნებს გმირისადმი, რომელიც ქვეყანას ეწირება. ესაა უპირობო ქება მაღალმხატვრულად გადმოცემული, მეტაფორების სიუხვე და ჰერონიზმისთვის დამახასიათებელი მაღალი პათეტიკა.

დღევანდელი მკითხველი კი ისეთ ლექსს ითხოვს, რომლებშიც ერთეულების გმირობის ფონზე (გავიხსენოთ შინდისის ბიჭები, ანწუხელიძე, ჟიული შარტავა და მრავალი სხვა) საზოგადოების, სხვისი თავგანწირვით „ალტაცებული მაყურებლის“ პასუხისმგებლობის საკითხიც დგება.

გივი გეგეჭკორის „თევდორეში“ კი უკვე აშკარად და მკაცრად გაისმის კითხვა, თუ რატომ ეწირება მტერს მხოლოდ თევდორე (ამგვარი დამოკიდებულება იშვიათია მე-20 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლირიკაში). რატომ არ ერთვებიან მტერთან ბრძოლაში ფეოდალები, ვაჭრები, ხალხი...

„იბრუჟებიან ღვინით ბერები,  
ვაჭარი ძღვენით მისდგომია მეფის პალატებს.

ხალხმა არ იცის,  
არც მამაცმა,  
და არც ლაჩარმა,  
გულქვამ,  
გულჩვილმა,  
არც ერთგულმა,  
არც მოღალატემ,  
რომ იღუპება საქართველო.  
ფიქრად არა აქვს  
ქვეყნად არავის –  
არც ხელმწიფეს,  
არც ქვეშევრდომებს,  
ნინ გაგდებული,  
სისხლიანი,  
ლახტით ნაცემი  
რომ ყველას მსხვერპლად ეწირება  
მხოლოდ თევდორე“.

[გეგეჭკორი 1983: 113]

ასეა, მრავალთაგან საკუთარი მოვალეობის უგულვებელყოფა, ერთეულებისგან თავის განწირვას მოითხოვს. ჩვენს დროში ამ კითხვამ (სად არის ხალხი?) არსებობის ლეგიტიმური უფლება მოიპოვა არა მხოლოდ პოეტში, არამედ თითოეული მკითხველის ცნობიერებაში და რადგან მასზე პაუხი არ გაიცა, საზოგადოებაში ნელ-ნელა ნიჰილიზმმა დაისადგურა.

მახსოვს, როდესაც პირველად ამერიკელი მწერლის ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“ ითარგმნა (მთარგმნელი თამაზ ნატროშვილი), მასზე გამოხმაურებამ გვაგრძნობინა, რომ სწორედ დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში საზოგადოებაში გაჩნდა პატრიოტული გრძნობის დეფიციტი.

ამის დასტურია ცნობილი მწერლის და სცენარისტის ერლომ ახვედიანის ეს პუბლიცისტური ნააზრევი, რომელიც საძირკვლიანად არყევს ცუდად მოიმედეთა უსაფუძვლო თავდაჯერებას:

„ვეძებ სამშობლოს, როგორც ველიდან დაბრუნებული ფუტკარი თავის სკას და ვერ ვაგნებ. თითქოს სკაც იგივეა და ჩემი თანამოძმენიც იგივენი არიან, მაგრამ საიდან მოდის ეს გაუცხოება? რომელი ნახვრეტებიდან დაიცალა სკა იმ სითბო-სიმყუდროვისგან, რომელსაც ასერიგად ვიყავი შეჩვეული?“

ისე კი, მე ხომ არ დავბრუნებულვარ, რადგანაც არც არასოდეს ნავსულვარ აქედან. მუდამ აქ ვიყავი. მაშ რა მოხდა? იქნებ ვინმემ იზ-



რუნა და თავად მე შემცვალა ძილში, სხვა სისხლით ამავესო და სხვა სული ჩამიდგა და მერე საბედნიეროდ გამომაფხიზლა გაუცხოებული გარემოსა და საკუთარი თავის მიმართ [ახვლედიანი 2003: 62].

ყურადღება მივაქციოთ, რომ წიგნი (რომლიდანაც ეს ციტატები მოვიხმე) 2003 წელსაა გამოცემული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს კითხვები ავტორს ქვეყნის დამოუკიდებლობის ათი წლისთავზე უჩნდება (სწორედ ესაა, რაც მას ასე ძალიან აშფოთებს): – რა მოხდა – კითხვას სვამს ავტორი – რატომ გადაეფარა ჩვენს თვალებს ლიბრი, ანდა თვალის იქნებ უფრო დიდმა შუქმა მოგვჭრა? – და თავადვე პასუხობს:

„ჩვენი სამშობლოს თავისუფლების წადილი და სიყვარული მისადმი დაემსგავსა იმ უძვირფასეს განძს, რომელიც ტყვეობის წყვილად შიგნით ინარჩუნებდა თავის ბრწყინვალეობას, მაგრამ ამოიტანეს რა დღის სინათლეზე, ჩაუქრა ფერები, დაკარგა მაგიურობა“ [ახვლედიანი 2003: 61].

ავტორის აზრით, სამშობლოს მონობაში უფრო ადვილად ვპოულობდით, ახლა კი ხელიდან გაგვისხლტა და ის მოუხელთებელი გახდა.

რატომ დავკარგეთ სამშობლო? იქნებ, იმიტომ რომ მისი იდენტობის ძირითადმა მახასიათებლებმა (მამული, ენა, სარწმუნოება), რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ შენიშნა, სხვა დამატებითი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შინაარსი შეიძინა, მეტაფორულად რომ ვთქვათ, შიშველი იდეები ფერად-ფერადი ტანსაცმლით შეიმოსა და ჩვენ ის ველარ ვიცანით.

და კიდევ იმიტომ, რომ პატრიოტიზმი მუდმივად განახლებადი გრძნობაა. როგორც წმინდა წერილშია ნათქვამი, ახალი ღვინო ძველ ტიკებში აღარ ჩაისხმება. ახალ სიცოცხლეს კი ახალი ქება სჭირდება.

„დღეს ჩვენში თითქმის ყველა პირობაა სახელმწიფოს ასაშენებლად. ამიტომ უკან (წარსულში) ყურებას ემსგავსება სამომავლო იდეოლოგიად კვლავაც ენა, მამული და სარწმუნოების არჩევანი. უკეთეს შემთხვევაში, გულუბრყვილობაა არსებული სინამდვილის (აღიარებული სახელმწიფო) განმტკიცების პროგრამა ცალკეულ იდეათა ერთეულებად დავშალოთ და ერთი მთელის ცალ-ცალკე გადარჩენაზე ვიზრუნოთ“ [არგანაშვილი 2006: 153].

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება იდენტობის შენარჩუნების, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და მისი ძლიერების საფუძველია, ხოლო მისი ფორმირება განვითარებულ ქვეყნებში განათლების სისტემის პრიორიტეტად არის მიჩნეული.

დღეს პატრიოტული ლექსები ნაკლებად იწერება და მას აქვს თავისი მიზეზი. ჩვენმა პოეტებმა არ იციან, როგორ უნდა უყვარდეთ და-

მოუკიდებელი ქვეყანა, რა უნდა უსურვონ მას და შესაბამისად, როგორი მხატვრული სახეებით უნდა გამოხატონ ეს გრძნობა.

ეს იმიტომ, რომ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატრიოტიზმი, მამულიშვილობა (ეს სიტყვა ნურავის შეაკრთობს) თავისთავად არ ყალიბდება. აი, ვნახოთ რას წერს ამაზე იაკობ გოგებაშვილი („შინაურ მიმოხილვა“), რომელიც არა მხოლოდ განათლების, არამედ აღზრდის საქმის მცოდნე და ჩვენი უკანასკნელი დიდაქტიკოსია ამ სფეროში:

„მამულის ქეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია. ზოგიერთ ჩვენებურ ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველ ადამიანს დედის მუცლითგანვე თან გამოაქვს მამულიშვილობაო, რადგანაც სამშობლოს, ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თან ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროაო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, დედამინის ზურგზედ უბედურს კუთხეს სანთლითაც ვერ იპოვიდით; ყოველი ქვეყანა, დიდი თუ პატარა მამულიშვილობით, სამშობლოს სიყვარულით და კეთილდღობით სავსე იქნებოდა. საუბედუროდ, ბუნება პატრიოტობაზე სრულიად არ ზრუნავს. იგი ჰბადებს ქვეყანაზე არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმის, თავის-თავის მოყვარეობასა. ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისთვის არ არსებობს და საზოგადოებრივს გრძნობასაც იგი ვერ დაანათლებს ადამიანსა. პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზე. გზაზედ ერთსაც და მეორესაც დიდი მუყაითი და ზრუნვა ესაჭიროებათ, მამულის სიყვარული მეტად ნაზი მცენარეა; იგი არ ჰგავს უსარგებლო აკაციას, ლობიოს ხეს, რომელიც ყოველგან უზრუნველად და მოუვლელად ორ-სამს წელიწადს სრულდება და შემდეგ უნაყოფოდ არის გაფშეკილი მთელს თავის სიცოცხლეში. მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზს კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერისი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგრულ ხეებს, რომლებიც დიდხანს იზრდება და როდესაც დასრულდება თვალსა აამებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებს. პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო. ლამაზი ალვის ხე კარმიდამოზედ დიალ საამურია ყველასთვის, მაგრამ მისი ცალიერი ნატვრით კაცისათვის არე-მარეს ვერ დაამშვენებს; უნდა დარგოს, მოუაროს, ყოველი მკაცრი გარემო ააშოროს, გაზარდოს და ბოლოს ისიამოვნოს მისი სილამაზით, ნაყოფიერებით და მაგრილებელი ჩრდილით. ეროვნულს პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვ-

ლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი [გოგებაშვილი 1989: 232].

საინტერესოა, რომ იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი (რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა) თავის დროზე არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის კალამს მიაკუთვნა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის და პოლიტიკოსის ეს შეცდომა კი ამ ორი დიდი ადამიანის (ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი) შეხედულებათა ერთიანობამ განაპირობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წერილში გამოთქმული აზრები ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ მას ხელს მოაწერდა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა მოწინავე დასი (მათ შორის ილია ჭავჭავაძე), რომელთაც უკვე შემუშავებული ჰქონდათ ქვეყნის გამოხსნისა და შემდგომი განვითარების ეროვნული პროგრამა.

და მთავარი კითხვა, – ვინ არის პატრიოტი და როგორი უნდა იყოს პატრიოტი?

„ვის ჰქვია პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისთვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ [გოგებაშვილი 1989: 233].

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აქ ავტორი მამულიშვილისგან ქვეყნისთვის თავგანწირვასაც მოითხოვს (ვფიქრობთ, რომ თავგანწირვა ინდივიდუალური აქტია და ასეთად აღზრდა თანამედროვე პედაგოგის პრინციპებს არ ეთანადება). როგორც ვთქვით, იაკობ გოგებაშვილი მეცხრამეტე საუკუნის დამონებული ქვეყნის შვილია. მას ჯერ არ აქვს სახელმწიფო, რომ თავისუფალი მოქალაქის აღზრდის კონცეფცია შესთავაზოს მკითხველს.

ბუნებრივია, როდესაც აღზრდაში თავგანწირვის ელემენტის შეტანას ვეწინააღმდეგებით, ადამიანის მონამეობრივი ღვაწლს არ ვეხებით (როგორც ვთქვით, ეს წმინდად ინდივიდუალური არჩევანია). რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, აქ თავგანწირვისა და გმირული ცხოვრების გზას, სისტემატური საქმიანობის წესი, ყოველდღიური რუტინული ცხოვრების აუცილებელი ჩვევების ჩამოყალიბება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენა ცვლის, რაც

მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი გახდება დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნის თავისუფალი საზოგადოების შექმნის და განვითარებისთვის..

მოკლედ ეს აზრი შიძლება ასეც ჩამოვაცალიბოთ: თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მოქალაქე უნდა ცდილობდეს, რომ ათასჯერ სისხლით წართმეულის ათასმეერთედ ოფლით დაბრუნება შეძლოს. ცხადია, თანამედროვე მსოფლიო ჯერ არ მისულა ძალადობის სრულ უარყოფამდე და ჩვენც ვერ გამოვრიცხავთ ქვეყნის სამხედრო კონფლიქტებში ჩართვას. თუმცა ჩვენი მთავარი სამოქმედო თეზა ნებისმიერ პირობებში შიძლება მხოლოდ სიცოცხლის ქება იყოს.

სიცოცხლე უნდა შევაცვაროთ ბავშვებს, სიცოცხლეზე უნდა ვესაუბროთ. არავითარი ცუდად წაკითხული „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...“ , არასწორად გაგებული კაცური ღირსება. გავიხსენოთ და მათაც გავახსენოთ ბიბლიური სიბრძნე, რომ „ცოცხალი ძალის სჯობია მკვდარ ლომს“, რომ სიცოცხლე შანსია სიკეთის, სიყვარულის, ბედნიერების. სიკვდილი სწორედ ამ შანსს ართმევს ადამიანს... ისიც ვუთხრათ, რომ საქართველოში დღეს სიცოცხლე გაუფასურებულია და აუცილებელია ამ თემის გააქტიურება, უპირველესად ოჯახში, როგორც აღზრდის აუცილებელი ელემენტი, შემდეგ ეკლესიებში (მოძღვართა ქადაგებებში), შემდეგ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში... თემა უნდა გაიშალოს და ჩაერთონ მასში ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ლიტერატორები, სხვანი და სხვანი, ვისაც ამ მიმართულებით რაიმე პოზიტიურის თქმა შეუძლია..

იაკობ გოგებაშვილი კი ჩვეულებისამებრ უკომპრომისოა თავის წერილში და ნუხს იმის გამო, რომ ჩვენში აღარ არსებობენ ჭეშმარიტი მამულიშვილები და იმისთანა ევროპელი პატრიოტები, როგორიც გარიბალდია. და რომ ასეთი თავგანწირული ადამიანები უნინ მრავლად იყვნენ საქართველოში (სრულიად ბუნებრივია, რომ გოგებაშვილი თავის გვერდზე ვერ ხედავს ასეთ ადამიანებს, ისევე როგორც ადამიანი საკუთარ სახეს ვერ დაინახავს, თუ სარკეში არ ჩაიხედა) და დღეს კი დიოგენეს სანათურით არიან საძებნი.

ამის მიზეზად იაკობ გოგებაშვილი ასახელებს იმგვარი ნიადაგის (გარემოს) არარსებობას, რომელიც მამულიშვილების გაზრდას უწყობს ხელს (მკითხველს გაახსენდება ისევ ილიას პოემა („აჩრდილი“): „გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წარწყმედილა“) და ბრალს ამ საქმეში ოჯახს, სკოლას და საზოგადოებას სდებს.

თუმცა რალაც საიმედოს მაინც ხედავს იაკობ გოგებაშვილი და ამ სანუგეშო აზრს ასე აყალიბებს:

„დიალ, სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული, მაგრამ, ზოგიერთი ისეთი სიკეთე ახლავს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკული, რომ სწორედ ღირსია უფრო ბედნიერების, სახარბიელო მომავლის“ [გოგებაშვილი 1989: 235].

და მაინც, რა არის ის სიკეთე, რომელიც ავტორს შეუნიშნავს ჩვენს სუსტ პატრიოტიზმში და ასე ეიმედება?

უპირველესად ის, რომ ქართველი პატრიოტი არ ოცნებობს თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააშენოს და მოჰყავს მაგალითი მეზობელი ქვეყნებისა, რომლებიც თავის ამ სურვილს არც მალავენ.

მეორე განსაკუთრებული თვისება კი ის არის, რომ ზოგიერთი ქვეყნის პატრიოტებს აქვთ უკან (წასულში) დაბრუნების და ძველი წესწყობილების აღდგენის სურვილი (ავტორი ამის მაგალითადაც სლავიანოფილებს ასახელებს), ისინი ეწინააღმდეგებიან ევროპულ განათლებას და სურვილი აქვთ შუაში ჩინეთის დიდი კედელი აღმართონ.

ჩვენში კი ძველი საქართველოს აღდგენას არავის სურს – აცხადებს ავტორი (უკან დაბრუნების სურვილი დღეს უფრო უაზრობად ჩანს გ. ა.). ჩვენი მზერა მიჰყრობილია ევროპისკენ და არა აზიისკენ. ევროპიდან უნდა მივიღოთ საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილება. ამისთვის კი უნდა შევინარჩუნოთ სამი ნაციონალური ცენტრი – ეკლესია, ოჯახი და სკოლა (ამის საუკეთესო მაგალითად ავტორი ჩვენს მეზობელ სომხობას ასახელებს გ. ა.).

ერთი სიტყვით, ავტორი აფართოებს საზღვრებს და ბოლოს დასკვნის სახით გვთავაზობს, რომ ქართული პატრიოტული ამოცანა უნდა იყოს ნაციონალურ ნიადაგზე ევროპული განათლება, ევროპული მეცნიერება და საუკეთესო ღირებულება ევროპის პოლიტიკური და სოციალური იდეალებისა. ეს კი ის იდეალებია, რომლისკენაც მისი თანამედროვე საზოგადო მოღვაწენი ილტვოდნენ.

თითქმის საუკუნენახევარი გავიდა ამ წერილის დაწერიდან და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მიზნები დიდად არ შეცვლილა. მე მხოლოდ ერთი წერილის მცირე მონაკვეთი გაგაცანით. მინდა გითხრათ, იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური ტექსტების ხუთტომეული, რომელიც 90-იან წლებში გამოიცა, საკვება ამგვარი მსჯელობით. ჩვენ შეგვიძლია მათი გამოკრება და სახელმძღვანელო სტატიის შედგენა, რომელიც კარგ საფუძველს შექმნის ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

ჩვენი აზრით, ამგვარი წერილი გვერდით დაუდგება დიდი ჰუმანისტის, ვაჟა-ფშაველას, სტატიას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოზმი“

და მასთან ერთად ღირსეულ ადგილს დაიკავებს მოზარდი თაობის ალზრდაში, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

ვფიქრობ, რომ ეს ასევე ხელს შეუწყობს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საქმიანობის წარმოჩენას და სწავლა-აღზრდის ყოველდღიურ პროცესში ჩართვას. ეს სრულიად ახალ სიცოცხლეს შესძენს მის ინტელექტუალურ ნააზრევს, მის მეცნიერულ მემკვიდრეობას...

და რაც მთავარია, იაკობ გოგებაშვილის შრომები კარგი საფუძველი გახდება პატრიოტული აღზრდის თანამედროვე ლიტერატურის შესაქმნელად, რათა მომავალში ვერავინ თქვას: „სამშობლო ვიღაცებისგან შეთხზული ლეგენდაა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობსო“ [ახვლედიანი 2003: 61].

### **ლიტერატურა:**

- არგანაშვილი 2006:** არგანაშვილი გ., „ამაოდ არ მთანმინდაზე უსეირნიათ“, თბილისი, „მერანი“, 2006;
- ახვლედიანი 2003:** ახვლედიანი ე., „ძველი და ახალი“, თბილისი, 2003;
- გეგეჭკორი 1983:** გეგეჭკორი გ., ლექსები, პოემები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1983;
- გოგებაშვილი 1989:** გოგებაშვილი ი., „რჩეული თხზულებანი“ ტ. I, თბილისი, „განათლება“ 1989.

## **Gia Arganashvili**

### **Regarding One Letter of Iakob Gogebashvili**

#### **S u m m a r y**

The scientific conference dedicated to the 180th anniversary of Iakob Gogebashvili's birth has demonstrated that the name of the outstanding classical teacher, public figure, educator and publicist still remains particularly relevant and important in the education of children now. He is so much appreciated as a century and a half ago, when he published his irreplaceable textbook "Mother Language" and thus laid the foundation for the national education system.

However, one thing is recognition of his contribution and another is the introduction of his pedagogical experience, the advancement of the tenets developed by him and their application in the education of modern students.

For this purpose, we offer an analysis of Iakob Gogebashvili's extensive letter "Domestic Review". This article discusses one of the most pressing issues of today - the issue of patriotic upbringing of the younger generation.

Here the author compares love for the motherland with a delicate plant that needs constant care.

Yet, what are the foundations which the patriotic education of youth should be based on? What are the characteristics of the nation that give the author such hopes in the future?

First of all, the fact that nobody among us dreams about building up the happiness of own country on the misery of another country. The author gives an example of our northern neighbor, where they do not even hide their desire.

Iakob Gogebashvili names the attitude as another special feature (it is in the character of the nation) that the patriots of our country have no desire to return to the past. Our gaze is directed at Europe, not Asia.

The author expands the boundaries of his reasoning and as a conclusion, suggests that our patriotic task should be the introduction of European education on a national basis and the sharing of European values.

A century and a half has passed since this letter was written, although our national goals have not been changed much. I have introduced you to only one small section of the "Domestic Review". Based on this, we can compile a guide that will be a good basis for educating our young generation.

I believe this will contribute to demonstrate Gogebashvili's pedagogical activity and to involve in daily process of education. It will give new life to his intellectual thought, his scientific legacy.

## **ლევან ბებურიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **იაკობ გოგებაშვილი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი**

იაკობ გოგებაშვილს, მხატვრული და პედაგოგიკური ხასიათის თხზულებების გარდა, ეკუთვნის ძალზე საინტერესო კრიტიკული დაკვირვებები XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობაზე. იაკობის, როგორც კრიტიკოსის, ინტერესის სფეროშია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული შემოქმედება. თავის კრიტიკულ პუბლიკაციებში იაკობი გვევლინება როგორც პირუთვნელი შემფასებელი და ანალიტიკოსი, რომელსაც ძალუძს ნათლად გამოკვეთოს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ძირითადი თავისებურებე-

ბი, მხატვრული ღირსებები და, ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში ძალზე დელიკატურად მიუთითოს ნაკლოვანებებზეც.

იაკობის, როგორც დიდი პედაგოგისათვის, ნაწარმოების შეფასებისას წარმმართველი მისი პედაგოგიკური, დიდაქტიკური ღირებულებაა. უმთავრესად ამ თვალსაზრისით აფასებს გოგებაშვილი თხზულების ავ-კარგს. მით უფრო მაღლა აყენებს იაკობი იმ მხატვრულ ქმნილებებს, რომელთაც შეუძლიათ მკითხველზე ზნეობრივ-ემოციური ზემოქმედების მოხდენა, მისი ესთეტიკური და ეთიკური აღზრდა.

სწორედ პედაგოგიკური ღირებულების წრილში განიხილავს იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ იაკობის მსჯელობა ილიას შემოქმედებაზე მომეტებულად მაინც ზოგადი ხასიათისაა, მასში სრულყოფილად, მთელი სისავსითაა შეფასებული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უდიდეს ეროვნულ ღირებულებას, იაკობის აზრით, ძირითადად, ორი ფაქტორი განაპირობებს: ერთი მხრივ თავად ილია ჭავჭავაძის მძლავრი შემოქმედებითი ტალანტი, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს უმძიმესი პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულს ნიჭზე, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის დაცემაზე“ [გოგებაშვილი 1955: 215].

იაკობის აზრით, ქართულ ლიტერატურას უმძიმესი და, ამავდროულად, საპატიო დანიშნულება აკისრია. როდესაც მტერი ძალზე დახვეწილი მეთოდებით იბრძვის ქართველთა ეროვნული გადაგვარებისათვის, როდესაც ქვეყანაში მოშლილია პოლიტიკური და კულტურული ცენტრები, დასუსტებულია ეკლესია და რელიგიური ცნობიერება, სწორედ მწერლობამ უნდა იტვირთოს ხალხის სულიერი განმანათლებლის ფუნქცია: „უღმობელმა გარემოებამ ყველა ჩვენი ქვეყნის ცენტრები მიანგრ-მოანგრია, ეკლესია და სარწმუნოება დააუძღურა, ხალხის განათლებას და განვითარებას კრიჭა შეუკრა... ერთად ერთი ცენტრი, ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლიან ამ ხანაში გაუმკლავდეს ამ დამლუპველ ტენდენციას, არის ქართული ლიტერატურა. მან თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა უნდა იტვირთოს როლი სკოლისაც და სარწმუნოებისაც. ამ ლიტერატურაში მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ მწერლების ქმნილებათა, რომელნიც განირჩევიან განსაკუთრებული აღმზრდელი ხასიათით, ზედ-მოქმედებით, გავლენით“ [გოგებაშვილი 1955: 215].



ქართველი მწერლის ისტორიულ როლზე საუბრისას იაკობ გოგებაშვილი ღირსსახსოვარ სიტყვებს წარმოთქვამს: „თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, – უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის“ [გოგებაშვილი 1955: 215]. იაკობის აზრით, ასეთი მწერალი ქართულ სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ილია ჭავჭავაძე გახლავთ.

გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებებში იშვიათი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული მწვავე ეთიკური პრობლემები. ილიას ნაწარმოებთა კითხვა სულიერად ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს. მისი შემოქმედების უცხოურად თარგმნის შემთხვევაში კი, იაკობის ღრმა რწმენით, ილიას სახელი საყოველთაო აღიარებას მოიპოვებს: „ილიას ქმნილებანი რომ რუსულად უთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს“ [გოგებაშვილი 1955: 215].

გოგებაშვილის ინტერესის სფეროში ექცევა ილია ჭავჭავაძის სოციალური შეხედულებები. იაკობი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა ქართველთა ეროვნული ერთიანობისათვის და, აქედან გამომდინარე, სასტიკი მოწინააღმდეგე იყო კლასობრივი დაპირისპირებისა, რაც სოციალურ ფენათა ერთმანეთისაგან გათიშვას შეუწყობდა ხელს: „თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ყოველთვის შეურიგებელი მტერი იყო ვინრო ეგოისტური წოდებრიობისა. ასეთ წოდებრიობას იგი თვლიდა ერთი და იმავე ხალხის ნაწილებს შორის ანტაგონიზმის, მტრობისა და ბრძოლის წყაროდ, ხოლო ეს ბრძოლა მიაჩნდა დიდ უბედურებად, განსაკუთრებით ისეთი პატარა დამოკიდებული ეროვნებისათვის, როგორც ქართველობა“ [გოგებაშვილი 1955: 182].

ცნობილია, რომ ილიას მოწინააღმდეგეები ავრცელებდნენ არაერთ ჭორს გლეხებისადმი ილიას უხეში და უპატივცემულო დამოკიდებულების შესახებ. იაკობი აშკარად ამ შეხედულებას ეხმიანება, როცა აღნიშნავს, რომ ილიას სახით უპირველეს ყოვლისა უბრალო ხალხმა, გლეხობამ დაკარგა ერთგული გულშემატკივარი.

უმწვავესი წერილით გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობას და განაცხადა, რომ სულგაყიდული ადამიანების საქციელი იმის სრულიად საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებდა, რისი მიღწევაც ილიას მკვლელებს სურდათ. მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელი დიდების შარავანდედით შეიმოსებოდა, ხოლო მისი ნააზრევის გავლენა საზოგადოებაზე უფრო მეტად გაიზრდებოდა.

1908 წელს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე იონა მეუნარგიამ წაიკითხა მოხსენება ილიას შემოქმედების შესახებ. სიტყვით გამოსვლისას მეუნარგია ილია ჭავჭავაძის პიროვნულ თვისებებსაც შეხებიდა. ფრანგულ კრიტიკაზე აღზრდილმა მეუნარგიამ, როგორც ჩანს, ზედმეტი სითამამე გამოიჩინა ილიას პიროვნული ცხოვრების დახასიათებისას. სავარაუდოდ ამ ლექციაზე კრიტიკოსმა ის ბრძანა, რაც შემდეგ მისსავე წიგნში დაიბეჭდა: „ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება – ზარმაცობა – მაპატიეთ ამ სიტყვის თქმა და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალო... ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას ჩიოდა მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოების გამო. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან, იმას სულ იმის ეშინოდა, ვაითუ ფული მთხოვოსო...“ (ი. მეუნარგია, ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან).

იაკობი მეუნარგიას ლექციას არ დასწრებია, იგი პრესის საშუალებით გაეცნო მოხსენების შინაარსს. კრიტიკოსის შენიშვნებმა ილიას პიროვნული ბუნების შესახებ იაკობის განრისხება გამოიწვია.

გოგებაშვილმა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ საჭირო არაა დიდი ადამიანების პიროვნულ ნაკლოვანებათა საჯაროდ გამომზეურება, რადგანაც ხალხი მათ გამადიდებელი შუშით უცქერს. ადამიანის ცნობიერებაში გენიოსმა თავისი ღირსებებით უნდა დაიმკვიდროს ადგილი და არა ნაკლით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, დაიკარგოს ნდობა იმ იდეალებისადმი, რომლებსაც ეს პიროვნება ქადაგებდა. ამის შემდეგ იაკობი თანმიმდევრულად აკრიტიკებს მეუნარგიას შეხედულებას ილიას პიროვნულ ნაკლოვანებათა შესახებ და უტყუარი არგუმენტებით სრულიად აბათილებს მას (იხ. გოგებაშვილი: 1955: 215-217).

იაკობ გოგებაშვილმა ზუსტად განჭვრიტა თუ რა ადგილს დაიკავებდა ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ისტორიულ მესხიერებაში: „დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმინვნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის მდიდარს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალ აზრებს, პროგრესულს იდეალებს, მისს დემოკრატიულს მიმართულებას, მის წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას“ [გოგებაშვილი: 1955: 177].

გამორჩეულია იაკობის დამოკიდებულება აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ. დიდი პედაგოგის შეფასებით, აკაკი არის ქართული პოეტური სიტყვის დიდოსტატი, „იალბუზი ქართული პოეზიისა“.

აკაკი წერეთლის შემოქმედებას გოგებაშვილი ადარებს ანკარა წყაროს, რომელშიც საუცხოოდაა არეკლილი ბუნების მშვენიერება: „წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალის მთის წიაღიდან გადმოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუსიკალური შხუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა... ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სინმინდეს და სიმჭვირვალეს, მოტყუებაში შეჰყევხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია. მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ქოლოლკი, და მან ძირის ნახევრობამდინაც ვერ უნია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა. სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შეჰქმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა“ [გოგებაშვილი: 1955: 225].

იაკობ გოგებაშვილი, როგორც მახვილი თვალის მქონე კრიტიკოსი, მიუთითებს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთ უძირითადეს თავისებურებაზე, რომელიც შემდგომში ლიტერატურათმცოდნეთა საგანგებო კვლევის ობიექტად იქცევა. იაკობი აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის პოეზიის მხატვრული სიცხადის, ფორმობრივი სისადავის მიღმა საკმაოდ რთული მხატვრული სტრუქტურა, ღრმა შინაარსი იმალება. იაკობ გოგებაშვილს აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარ მახასიათებლებად მიაჩნია – სიტყვაკაზმულობა, გრძნობათა სიფაქიზე და ღრმააზროვნება.

კრიტიკოსი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს აკაკი წერეთლის შემოქმედების დემოკრატიზმზე, ხალხურობაზე. აკაკი, როგორც სახალხო პოეტი გულგრილი არ არის სოციალური პრობლემატიკის მიმართ. მის შემოქმედებაში მკაცრადაა მხილებული სოციალური უსამართლობა. მიუხედავად ამისა, იაკობის მართებული დასკვნით, აკაკისათვის, ისევე როგორც ილიასათვის, უცხოა მოწოდება კლასობრივი ბრძოლისაკენ. აკაკი იღვწის ეროვნული ერთიანობისათვის, ამდენად, მისთვის სრულიად მიუღებელია ისეთი ბრძოლა, რომელიც ამ ერთიანობის პარალიზებას უწყობს ხელს.

ცნობილია, რომ მრავალი ქორი ვრცელდებოდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დაძაბული პიროვნული ურთიერთობის შესახებ. იაკობი ამ საკითხსაც გულდასმით განიხილავს. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „დიდს გულს მხოლოდ დიდივე გული იცნობს სავსებით და ყველაზე მეტად თანაუგრძნობს და უყვარს, ისე დიდის ნიჭის ღირსება სრულიად ესმის მარტო დიდ-ნიჭიერსა, მარტო ის გრძნობს განსაკუთრებულ ძალას თავისი ტოლისას, მარტო იგი აფასებს მას ღირსეულად“ [გოგებაშვილი: 1955: 227]. ასეთი ურთიერთობის მაგალი-

თად გოგებაშვილს გოეთესა და შილერის ურთიერთობა მიაჩნია. როდესაც ზოგიერთი შილერს გოეთეზე მალლა აყენებდა, შილერი თავად მიუთითებდა გოეთეს უპირატესობაზე. ამ მხრივ, იაკობის აზრით, აკაკი შილერს მოგვაგონებს. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ილია და აკაკი ახლო მეგობრები არ ყოფილან, თავიანთი პიროვნული ბუნებიდან და საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუხედავად ამისა, მათ შორის დიდ იდეურ ურთიერთთანადგომასა და პატივისცემას ჰქონდა ადგილი. აკაკის მხრიდან ილიას ღირსებების აღიარების, მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის სათანადო დაფასების მაგალითად იაკობს აკაკის საჯარო სიტყვები მიაჩნია: „ნაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან „ვეფხვის ტყაოსნის“ შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დღესა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, როდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი თითქმის უპირატესობას აძლევს ილიას“ [გოგებაშვილი: 1955: 227].

აკაკი წერეთლის შემოქმედების მასშტაბურობის, მისი პოეტური ტალანტის ყოვლისმომცველი ძალის ხაზგასასმელად იაკობ გოგებაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთელმა თავისი ლიტერატურული სკოლა შექმნა. მისი გავლენა კი ყოველ მეორე პოეტს ეტყობა: „მსოფლიო ტალანტები, გენიოსები ისეთს ძლიერს და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველზე, ისე ხიბლავდნენ მათ, რომ ბევრი ხდებოდა მათი მიმბაძველი, მათი მიმდევარი, აკაკიმ შექმნა თავისი საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა. თითქმის ყველა ჩვენებურს მეორე ხარისხის პოეტს აზის ბეჭედი აკაკისა“ [გოგებაშვილი: 1955: 226].

იაკობ გოგებაშვილი აკაკის პიროვნულ ბუნებაზეც საუბრობს. გოგებაშვილი განარჩევს შემოქმედთა ორ კატეგორიას: ერთნი, რომელნიც ახერხებენ ჰარმონიულად შეუთავსონ ერთმანეთს მხატვრული შემოქმედება და პირადი ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფა (ასეთები იყვნენ შექსპირი, გოეთე, ილია ჭავჭავაძე), ხოლო მეორენი კი სახარებისეულ ჩიტებს მოგვაგონებენ, რომლებიც არ ზრუნავენ ხვალისდელ დღეზე და განგებას არიან მინდობილნი. იაკობის აზრით, შემოქმედთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნება აკაკი წერეთელი, რომლის პოეტური ბუნებაც ვერ იგუებს პირად, მატერიალურ კეთილდღეობაზე საგანგებო ზრუნვას. ამიტომაც, გოგებაშვილის შეხედულებით, საზოგადოებამ უნდა იდოს თავს კულტურის მოღვაწეთა მატერიალური თანადგომა.

იაკობ გოგებაშვილის კრიტიკულ ნააზრევში სამწუხაროდ მხოლოდ რამდენიმე დაკვირვებას ვხვდებით ვაჟა-ფშაველას პოეზიის

შესახებ. მიუხედავად ამისა, სრულიად ნათელია, რომ იაკობი ვაჟას პოეზიას უმაღლეს შეფასებას აძლევდა და ღრმად სწამდა, რომ „ილიას, აკაკის და ვაჟა-ფშაველას უკვდავნი ქმნილებანი ნათელს მოჰფენენ მთელს ქართველობასა“ [გოგებაშვილი: 1955: 218].

საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც მრავალი ადამიანი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უცქერდა ვაჟა-ფშაველას პოეტურ ოსტატობას, იაკობ გოგებაშვილი ვაჟას სრულიად გაცნობიერებულად და დამსახურებულად ილიასა და აკაკის გვერდით მოიხსენიებს.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე საუბრისას იაკობ გოგებაშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ გენიალური მწერალი ღრმად სწვდება მშობელი ერის ეთნოფსიქოლოგიას და თავის თავში აერთიანებს ერის კულტურულ და ეთიკურ ღირებულებებს. ამ თვალსაზრისით, „აკაკი პატარა საქართველოა“, თუმცა იაკობის ღრმა რწმენით: „ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, რადგანაც, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“ [გოგებაშვილი: 1955: 226].

იაკობმა საგანგებოდ მიუთითა ვაჟა-ფშაველას გამორჩეული შემოქმედებითი ხელწერის შესახებ. აკაკის ეპიგონებზე საუბრისას გოგებაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ საკუთარი პოეტური ტალანტის თვითმყოფადობის გამო დააღწია თავი ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთლის პოეზიის გავლენას. „ასეთი მოხიბლვა შეუძლიან მხოლოდ გენიალურს პოეტურს ნიჭსა, რომელსაც არ ემორჩილებიან მხოლოდ იმისთანა უთავისებურესი მგოსნები, როგორიც არის ვაჟა-ფშაველა“ [გოგებაშვილი: 1955: 226].

დიდად იყო მოხიბლული იაკობ გოგებაშვილი **ალექსანდრე ყაზბეგის** მხატვრული პროზით. იაკობი აღნიშნავდა, რომ ყაზბეგმა მცირე დროით მონაკვეთში მეტად ნაყოფიერად იღვანა ლიტერატურულ ასპარეზზე და „საქართველოს ნამდვილი ჰომიროსის სამსახური გაუნია“ [გოგებაშვილი: 1955: 39]. იაკობი აქ აშკარად გრიგოლ ორბელიანს ეხმიანება, რომელმაც პირველმა მოიხსენია ალექსანდრე ყაზბეგი „ქართველთ ჰომიროსად“, რისი საფუძველიც ყაზბეგის შემოქმედების განსაკუთრებული დრამატიზმი უნდა იყოს.

საბავშვო ლიტერატურული გამოცემის, „ნობათის“, მასალების განხილვისას, იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ალ. ყაზბეგის მოთხრობას „მტრედი“. კრიტიკოსმა მიუთითა ორიგინალურ მხატვრულ გამონაგონზე, ბუნების ოსტატურ აღწერაზე და იმ ჯანსაღი სიბრალულისა და თანალმობის გრძნობაზე, რომელსაც ყაზბეგის მშვენიერი მოთხრობა აღძრავს. გარდა ღირსებებისა,

იაკობმა ყურადღება გაამახვილა მოთხრობის ნაკლზეც. გოგებაშვილმა აღნიშნა, რომ საბავშვო ნაწარმოების ენა უაღრესად სადა, დახვეწილი და, ამავედროულად, ბავშვისათვის ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს, ყაზბეგის მოთხრობა კი ამ მხრივ გამართული ვერ არის, „მას აკლია შემუშავება, ენა ბრტყელია და არა ლაკონური, აქა-იქ უკანონოც“ [გოგებაშვილი 1954: 18]. კრიტიკოსის აზრით, მოთხრობას ეტყობა, რომ ნაჩქარევადაა დაწერილი. იაკობი ამის გამო სინანულს გამოთქვამს, რადგან დარწმუნებულია, რომ ყაზბეგს „ნამდვილი ბელეტრისტული ნიჭი სრულს შეძლებას აძლევს შემატოს ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურას არა ერთი მშვენიერი და თითქმის უნაკლო მოთხრობა“ [გოგებაშვილი 1954: 18].

იაკობ გოგებაშვილის ინტერესის სფეროში ექცევა რაფიელ ერისთავის შემოქმედებაც. კრიტიკოსის თქმით, რაფიელ ერისთავი ნიმუშია დასრულებული, მთლიანი პიროვნებისა, რომელსაც ნათლად აქვს გამორკვეული საკუთარი მიმართება გარე სამყაროსადმი. პოეტს გააჩნია ღირებულებათა მყარი სისტემა და მისთვის უცხოა სკეფსისი, მსოფლმხედველობრივი მერყეობა: „თ. რაფაელი არ არის გამოხრული გონების რეფლექსიითა, რომელიც სენად სჭირს ახალთაობასა. ესრედ წოდებული უმაღლესი და წყეული კითხვები, როგორც ეტყობა დიდი ხანია ჩვენს პოეტს დასკვნილი და გადანყვეტილი აქვს და ესენი მას სრულიად არ აწუხებენ და არ ართმევენ გონების ყურადღებას და ენერგიას“ [გოგებაშვილი 1955: 272].

იაკობი ამ გარემოების საგანგებო აქცენტირებას იმიტომ ახდენს, რომ, მისი აზრით, რაფიელ ერისთავი სანიმუშო პიროვნებაა ახალი თაობისათვის, რომელიც მოკლებულია მყარ მსოფლმხედველობას. ამგვარ ვითარებაში იზრდება ისეთი დასრულებული, ჩამოყალიბებული პიროვნების როლი, რომელის შემოქმედებაც სრულიად გარკვეულ და ცხად ლიტერატურულ-ზნეობრივ ღირებულებებს ეფუძნება.

იაკობ გოგებაშვილი საუბრობს რაფიელ ერისთავის პოეტური ტალანტის სპეციფიკაზე და მის დამახასიათებელ რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოყოფს: „თ. რაფაელის ნაწერებს აქვთ ოთხი დიდი ღირსება: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამი კილო“ [გოგებაშვილი 1955: 272].

რაფიელ ერისთავის, როგორც პოეტის ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად იაკობს მიაჩნია ხალხური ენა, რომელიც სრულიად გასაგები და ადვილად აღსაქმელია ჩვეულებრივი მკითხველისათვის და, ამასთანავე, ინარჩუნებს სტილისტურ დახვეწილობას, არასოდეს გადაიზრდება ენობრივ ნატურალიზმში.

კრიტიკოსი ხაზს უსვამს რაფიელ ერისთავის პოეტური კილოს თავისებურებას. მისი შეხედულებით, ამ თვალსაზრისით პოეტი ხალხური შემოქმედების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია: „როგორც სიმღერა გალობაში, ისე ლექსებში კილოს პირველი ადგილი უჭირავს. ისე არაფრით არ იცნობება ნამდვილი პოეტი, როგორც შესაბამისი კილოთი... კილო არის ნამდვილი მარილი პოეზისა... თ. რაფაელის ლექსები ნამდვილს პოეტურს კილოზედ არიან დაწერილნი და შეზავებულნი პოეტურის მარილით“ [გოგებაშვილი 1955: 273-274]. არის შემთხვევები, წერს იაკობი, როდესაც ვკითხულობთ ლექსს, რომელიც შესანიშნავადაა გამართული ვერსიფიკაციული ტექნიკის თვალსაზრისით, მაგრამ მას არ ძალუძს მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მოხდენა. ეს იმით არის განპირობებული, რომ იგი მოკლებულია პოეტურ პათოსს. რაფიელ ერისთავის ლექსების უდიდეს ღირსებას კი სწორედ გამორჩეული, მძლავრი პოეტური პათოსი წარმოადგენს.

რ. ერისთავმა თარგმნა ი. კრილოვის იგავ-არაკები, აგრეთვე გალექსა სულხან-საბა ორბელიანის იგავები. იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდაქტიკური ხასიათის ლიტერატურის პირუთვნელი შემფასებელი, გამოეხმაურა ამ გამოცემას და რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა გამოთქვა. იაკობის მართებული დაკვირვებით, იგავ-არაკის ჟანრის თხზულებათა ბუნება მოითხოვს ლაკონიზმს, აზრის სხარტად გამოთქმას, განსაკუთრებით ეს შეეხება ნაწარმოების დასასრულს, რომელშიც თხზულების დედააზრი, მორალური პრინციპია გამოთქმული. რ. ერისთავის გალექსილ იგავ-არაკებში კი ეს მოთხოვნა ზოგჯერ დარღვეულია. კრიტიკოსმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ავტორი, ზოგჯერ, უმართებულოდ იყენებს არქაიზმებს იქ, სადაც ცოცხალი პოეტური მეტყველებაა საჭირო.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, იაკობის აზრით, რაფიელ ერისთავის გალექსილი იგავ-არაკები მნიშვნელოვანი შენაძენია, ზოგადად, ქართული და, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურისათვის.

იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული წერილების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათი ავტორი სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად ლიტერატურისმცოდნის ალღოთიც იყო დაჯილდოებული და ქართული კრიტიკის ისტორიაში მას თავისი ადგილი ეკუთვნის.

## **ლიტერატურა:**

**გოგებაშვილი 1954:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. II, თბილისი, 1954;

**გოგებაშვილი 1955:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV თბილისი, 1955.

## **Levan Beburishvili**

### **Iakob Gogebashvili as a literary critic**

#### **S u m m a r y**

Iakob Gogebashvili, in addition to his literary and pedagogical works, has very interesting critical observations on Georgian classical writing of the XIX century. Iakob as a critic is interested in the artistic works of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Alexander Kazbegi, Raphael Eristavi, Ekaterine Gabashvili. In his critical publications, Jacob appears as an evaluator and analyst, who is able to clearly outline the main features of the work of this or that writer, his artistic merits and, at the same time, if necessary, to point out the shortcomings very delicately.

For Jacob as a great teacher, the guide in evaluating a work is its pedagogical, didactic value. Gogebashvili evaluates the good of the works mainly from this point of view. All the more so Jacob puts those artistic creations that can have a moral-emotional impact on the reader.

## **დიანა ბითვარდი**

კავკასიის უნივერსიტეტი

### **ფ. მ. დოსტოევსკის მოთხრობის – „სასაცილო კაცის სიზმარი“ – მთავარი გმირის საკითხისთვის**

ფ. მ. დოსტოევსკის ნაწარმოების – „სასაცილო კაცის სიზმარი“ – კონცეფციის შესწავლის ლიტერატურული ტრადიცია უკმარისობის განცდას ტოვებს. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ნაწარმოების სირთულით, მწერლისათვის ცოტათი უჩვეულო სიუჟეტური და კომპოზიციური ელემენტების გამოჩენით მოთხრობაში. რა თქმა უნდა, დიდი შემოქმედის ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის შემადგენელი ელემენტები შემთხვევითი ვერ იქნება, და შესაბამისად – ყველა მეტაფორული ხატი, სიმბოლო, რიცხვი, ობიექტის დასახელება და



ა.შ. – ერთი ლოგიკური ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენს, და სწორედ ამ კუთხით უნდა იქნას განხილული.

მკვლევარების უმეტესობა ამ სიუჟეტის საფუძვლებში გარკვეული რელიგიური წარმოდგენების სისტემას პოულობს, – თავისი დამახასიათებელი ხედვით სამოთხის, ჯოჯოხეთის, უკვდავების, სიკეთისა და ბოროტების საკითხებზე. ამასთან, სწორედ ნაწარმოების რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლების საზღვრების გარკვევისას ჩნდება მისი განსხვავებული ნაკითხვები.

დოსტოევსკის მოთხრობის კონცეფციის გამოსავლენად, ზოგიერთი მკვლევარი, იმ დასავლურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით, რომელშიც ის თავისი ლიტერატურული დასკვნებისთვის გამოსადეგ ფილოსოფიურ საფუძველს ნახულობს, ამტკიცებს, რომ ნაწარმოები მოგვითხრობს ნიჰილისტი გმირის, სიკვდილისა და აღდგომის ქრისტიანული გააზრების, „თავგანწირვის“, „ჯვარცმისა“ და სხვა მსგავსი თემების შესახებ. ამავდროულად, ნაწარმოებში ყურანის მოტივების, – კერძოდ, სურა „ღამეული გადაყვანის“ – დადასტურება აღძრავს მისწრაფებას ქრისტიანული და ისლამური მოტივების სინთეზის ძიებისკენ.

ამავე დროს, ასეთი მიდგომის არჩევისას შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად იკარგება კავშირი მრავალ საკვანძო, შინაარსისეულ დეტალს შორის. ისლამური ასოციაციური რიგი ვერ თავსდება ქრისტიანულ მოდელში, და პირიქით.

მოთხრობაში გადმოცემულია ადამიანის ზნეობრივი სამყაროს განახლების, ძველის უარყოფის, ძველი არსის დავიწყების იდეა (აქცენტი აქ გულგრილობაზეა გადატანილი – „სულ ერთია“, თვითმკვლელობის მოტივი). მართლაც, სულიერი აღორძინების პროცესის ასახვისას დოსტოევსკი იყენებს სიუჟეტურ მოდელს, რომელშიც გამოსჭვივის მკაფიოდ გამოხატული რელიგიური მოტივები. ამავე დროს, ნაწარმოების კონცეფციის ზუსტი ინტერპრეტაციისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოირიცხოს ის ელემენტები, რომლებიც მიუღებელია დოსტოევსკის შინაგანი მართლმადიდებლური სამყაროსთვის. მიზანშეწონილი იქნებოდა მოთხრობის ანალიზის დაწყებისთანავე გათვალისწინებული ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მწერლისთვის იესოს ხატს ყოველთვის აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ატრიბუტები (შეადარეთ ეს მოთხრობა რომანს „იდიოტი“).

დოსტოევსკის უცვლელი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ მართლმადიდებლობა არის ქეშმარიტება, ხოლო იესო ქეშმარიტებაზე მალლა დგას, და –

*„თუკი ვინმე დამიმტკიცებს, რომ ქრისტე ქეშმახიგების მიღმაა და მახთდაც რომ ისე იყოს, რომ ქეშმახიგებაა ქრისტეს მიღმა, მაშინ მე*

ვახჩევი, რომ ქრისტიანთა დავაჩენილიყავი, ვიდეჲ ქეშმახიგებასთან”  
(ნ. დ. ფონვიზინასთან მიწეხიდი წეხიდიდან, 1854 წლის იანვარი).

ეს კი გამორიცხავს მთავარი პერსონაჟის დახასიათებას „სასაცილოდ“ ანდა „გიჟად“ მაშინაც კი, თუ ამას მოითხოვს მხატვრული ჩანაფიქრის შეკრულობა. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოსტოევსკის თავიდანვე გაჰყავს თავისი გმირი ქრისტიანობის ჩარჩოებიდან, და ცდილობს მკითხველის ყურადღება მიაპყროს ცრუ იდეებსა თუ წარმოდგენებზე (თვითმკვლელობა).

ასევე ნაკლებად მიზანშეწონილია გამოიყენებულ იქნას ტერმინი „ფანტასტიკა“ ნაწარმოებისთვის, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებს ქადაგებს. დოსტოევსკის ყველა სიუჟეტური კონსტრუქცია – სიზმარი, ხილვა, ალეგორია – რაც კი ასოცირდება ამ ჟანრთან, იქნება ეს მთლიანად ნაწარმოები თუ მისი ცალკეული თავები, წარმოგვიდგენს ავტორის პოზიციას – ბოროტების, ანტიქრისტეს, ცრუ ქრისტიანობის, ანტიქრისტიანობის, ანტი-მართლმადიდებლობის გამოაშკარავებას და დაგმობას (ივან კარამაზოვის ხილვა, სტეპან ვერხოვენსკის ალეგორიული პოემა).

დოსტოევსკისთვის იესო – აბსოლუტური ფასეულობაა. იესო ვერ იქნება გამოსახული, როგორც წინასწარმეტყველი, რომელმაც იცის და მოაქვს ჭეშმარიტება. მწერლისთვის იესო სწორედაც არის თვით ჭეშმარიტება. იესოს ხატი არ შეიძლება იცვლებოდეს იმის მიხედვით, თუ რა გარემოებებში მოათავსებს მას მწერალი, მით უფრო, ის არ შეიძლება თვითმკვლელობის იდეის მატარებელი იყოს; ხოლო მოთხრობის მთავარი პერსონაჟი სიუჟეტის განვითარების პროცესში წარმოგვიდგება, როგორც „სასაცილო“, „გიჟი“, მონყალე, სასტიკი, მოსიყვარულე, გამხრწნელი, და კვლავაც მონყალე.

ამ მხრივ, დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობაში „სასაცილო კაცის სიზმარი“ არ იქმნება სიუჟეტურ-კომპოზიციური სივრცე, რომელშიც შეიძლება იესოს თვისებების მქონე პერსონაჟი ყალიბდებოდეს, და ეს სივრცე არ არის ქრისტიანული რეალიებით შევსებული.

ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარი გმირის სახე არის ის ღერძი, რომელზეც ატრიბუტული დეტალებია აკინძული. ამ მხრივ უნდა დავეთანხმოთ მკვლევარებს, რომლებიც მთავარი გმირის სახის ჩამოყალიბებაში ყურანის გავლენას ხედავენ. აქ უთუოდ საუბარია არა ისლამის მოციქულის მხატვრულ გადააზრებაზე, არამედ, ნაწარმოების გმირზე, რომელიც მის გარკვეულ მახასიათებლებს ატარებს.

ამ პოზიციის დასასაბუთებლად შევეცდებით ავტორთან ერთად მივყვეთ ტექსტს, და ყურანთან არსებული პარალელები მოვიძიოთ. შევხედოთ, თუ როგორ მდიდრდება მთავარი პერსონაჟის სახე ახალი მახასიათებელი ნიშნებით, და შესაბამისად, გამოვიტანოთ დასკვნა იმის თაობაზე, თუ ვისზე საუბრობს დოსტოვესკი.

მართლაც, პირველივე სტრიქონებიდან გმირი ავლენს თავის განსხვავებულობას:

*„ახლა ისინი გიჟს მეძახიან. ეს იქნებოდა თანამდებობიანი დაწინაუხება, მათთვის ისევ ისეთი სასაცილო ხომ ახ დახჩენიდიყავი, ხოგოხც ადრე იყო. მაგჩამ ახლა მე ალახ ვბრაზდები, ახლა ისინი ყველანი მესაყვახდებიან, მაშინაც კი, როცა დამცინიან, – აი მაშინ ისინი კიდევ უფრო საყვახდებად მეჩვენებიან“.*

ბავშვობაშივე საკუთარი გამორჩეულობის გაცნობიერება, ქეშმარიტების გააზრება, საკუთარი თავის „მოციქულად“ აღქმა – ეს ის დეტალებია, რომლებიც ამგვარ კომბინაციაში და მოციქულთან მიმართებით მხოლოდ ისლამში გვხვდება: (შდრ. თვისტომების მხრიდან დაცინვა, ბნედა-შეპყრობილობა, მასში – ბავშვში – ქრისტიანი ბერი ბაჭირას მიერ მომავალი მოციქულის შეცნობა, უზუნაესი ძალით შთაგონებული სიტყვანი).

*„და მე კი ვიდაპაჩაკებ კიდევაც, შესაძლოა, სხვისი სიგყვებით, მაგჩამ ახა დიდხანს: ცოცხალი ხაგი იმისა, ხაც ვიხიდე, ყოველთვის ჩემთან იქნება და ყოველთვის გამისწოხებს და წაჩმმაჩთავს“.*

მოთხრობის ტექსტში ყურანთან დაახლოებული მოტივები თანდათან მრავლდება – ზოგიერთი ნიშანი თავსებადია სურებთან („ქუხილი“, „ვარსკვლავი“), ხოლო კუბო მოთხრობის ტექსტში ეთანადება ყურანის „გამოქვაბულს“. და, რაღა თქმა უნდა, ნაწარმოების სიუჟეტური ქსოვილის ყველაზე ვრცელი ფენა არის საოცარი ქმნილების მიერ ნაწარმოების გმირის გადაყვანის თემა (უკავშირდება სურას „ღამეული გადაყვანა“):

*„ხალაც მუქად შეფეხიდმა და ჩემთვის უცნობმა ახსებამ ამიყვანა და ჩვენ სადღაც სივხცეში აღმოვჩნდით. მყის დამიბხუნდა მხედველობა: უკუნი ღამე იყო და ახასოდეს, ახასოდეს ახ ყოფიდა ამგვახი სიბნედე! ჩვენ მივქიოდით ამ სივხცეში, უკვე დედამიწიდან შოხს“.*

შდრ. ყურანის ტექსტს:

*„დიდება იმას, ვინც ღამით გადაიყვანა თავისი მონა ად-მასჯიდ ად-ჰაჰამიდან ად-მასჯიდ ად-აკსამდე, ხომლის გახეშემოც ვაკუხთხეთ, ხათა*

გვეჩვენებინა მისთვის ზოგი ჩვენი სასაწაუდი. ქეშმახიგად, იგი ყოვლის გამგონა, ყოვლისმხედი” (ყუხანი, სუხა 17.1)<sup>1</sup>.

ნაწარმოების გმირის გადაყვანის იდეური მნიშვნელობა – მის განწმენდაშია, ქეშმარიტების შეცნობაში, სრულყოფილ სამყაროსთან თანაზიარებაში, რომელიც გაიხსნება მთელი თავისი უმანკობით, და ყოველივე ეს ეთანადება იმ ზემოქმედებას, რასაც მორწმუნეზე მოციქულის მოგზაურობის შესახებ კითხვა ახდენს. ამ მოგზაურობის შემდეგ, მოთხრობის გმირი აღიქვამს საკუთარ თავს, როგორც მოციქულს, მზად არის იქადაგოს და იცხოვროს ახალი ქეშმარიტებით, ხდება მისი ადამიანურობის ჩამოყალიბება, და ა.შ.

ამასთან, თავს იჩენს კითხვა: ავტორის ჩანაფიქრი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ყურანის გადააზრების გზით აჩვენოს ადამიანის ზნეობრივი აღორძინება?

საგარეო მოვლენები, ისტორიული კატაკლიზმები, 1876 წლის რუსეთ-თურქეთის ომი, რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებელთა და მუსლიმთა ურთიერთობის ანალიზი, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი დოსტოვესკის ქსენოფობია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოთხრობაში არ გვაქვს საქმე ყურანის სიუჟეტის პოეტიზაციასთან. პირიქით, ისლამის განვითარების ძირითადი ეტაპები გადმოცემულია დაფარული ფორმით და იმ პერსპექტივიდან, რომელიც ამ პერიოდის დოსტოვესკისთვის საკვანძო იყო.

მწერალი ცდილობს გვიჩვენოს, რომ ნებისმიერი არამართლმადიდებლური რელიგიური მიმართულება არის სულის „თვითმკვლელობა“, ყველა ღირებულების გადაფასება – არის ხრწნა, უმანკობისა და უდრტივნელობის მიტოვება. მოციქულს თან მოაქვს ომები, ხოლო ომებისა და სისხლის გზით მივყვართ ახალი ცოდნისკენ და ახალი თავსმოხვეული „სიყვარულისკენ“.

„მაგჰამ მადე, ძადიან მადე პიხვედი სისხედი დაიღვაჰა: მათ გაუკვირდათ და შეძიწუნდნენ, დაშდა დაიწყეს, ეხთმანეთს დაშოხდნენ. ახადი კავშიხები შეიკჰა, მაგჰამ უკვე ეხთმანეთის წინააღმდეგ. დაიწყო ჩივილები და საყვედუხები. მათ გაიგეს, თუ ჰა ახის სიხცხვიდი, ხოდო სიხცხვიდი სათნობად აღიახეს. დაიბადა ღიხსების ცნება, და თითოეუდ კავშიხში და გაეხთიანებაში აღიმაჩთა საკუთაჰი ადამი“.

ფაქტობრივად, მწერალი ასახავს მოვიქულის ცხოვრების ეტაპებს, ტომობრივი დაპირისპირებებისა და რელიგიური ომების დაწყებას. ის უბრუნდება მომავალი მოციქულების მიერ ზნეობის განადგურების აზრს. მწერალი სცილდება მის მიერვე შექმნილი რეალიების

<sup>1</sup> ტექსტში გამოყენებულია ყურანის გიორგი ლობჯანიძისეული თარგმანი, თბილისი, 2006.

ჩარჩოებს და იწყებს საუბარს სიკეთეზე ან ბოროტებაზე, რაც ამა თუ იმ მოციქულს თან მოაქვს. დოსტოევსკი ერთი რელიგიის განხილვიდან განზოგადებებამდე მიდის და ზოგადად საუბრობს რელიგიურ რწმენებზე, რომლებიც არ იძლევა ბედნიერებისა და სულიერი ჰარმონიის მიღწევის სასურველ შედეგს.

აძლევს რა ნაწარმოების გმირს ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას, დოსტოევსკი კრავს წრეს, სადაც გმირს კვლავ შეუძლიად მიიჩნევენ. მწერალი გვიჩვენებს, რომ გმირი ნეტარების განცდის საკითხში მხოლოდ თეორიული ცოდნის დონეზე რჩება. დოსტოევსკი გამოხატავს აქ თავის პოზიციას და ამტკიცებს, რომ არაქრისტიანული რელიგიური სისტემები ვერ აძლევს ადამიანს ბედნიერებას და არ მიჰყავს ის ქეშმარიტებისკენ. ქეშმარიტება კი თვით ადამიანის შიგნით არის და დაკავშირებულია მის მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობასთან, ქრისტიანულ ჰუმანიზმთან.

**Diana Bitvard**

## **A question of hero of “Funny Man's Dream”**

**By F. Dostoevsky**

### **S u m m a r y**

Most researchers find a certain system of religious beliefs in Dostoevsky story, with characteristic ideas about heaven, hell, immortality, good and evil.

In an attempt to reveal the concept of Dostoevsky's story, a number of researchers, referring to Western philosophy, in which they find a philosophical foundation for their literary conclusions. They unfound a nihilist hero, or the Christian understanding of death and resurrection ("self-sacrifice", "crucifixion").

For Dostoevsky, Jesus is an absolute value. Jesus cannot be portrayed as a prophet who knows and carries the truth. For the writer, Jesus is Truth itself. The image of Jesus cannot be transformed depending on the circumstances in which the writer places it, especially since there cannot be a suicide motive in it, while the main character of the story in the course of the development of the plot appears to be “funny”, “crazy”, merciful, cruel, loving, corrupting, merciful again.

The presence in the plot of the work of the motives of the Koran – the sura "Night transfer" – leads the analysis to finding a synthesis of Christian and Islamic motives. The ideological meaning of the transfer of the hero of the story is in his purification, communion with the perfect world, knowledge

of the truth, which opens with all its virginity, correlates with the influence on the believer from reading the journey of the prophet. After this journey, the hero of the story realizes himself as a prophet, is ready to preach and live a new truth.

External events, historical cataclysms, the Russian-Turkish war of 1876, an analysis of the relationship between Orthodox and Muslims within the Russian Empire, Dostoevsky's xenophobia during this period, allow us to conclude that there is no poetization of the Koranic plot in the story. On the contrary, the main stages of the development of Islam are conveyed in a veiled form, and from the perspective that was principal position for Dostoevsky during this period.

The writer shows any non-Orthodox religious system is a “suicide” of the soul, a revaluation of all values - as corruption, a departure from innocence and serenity. The Prophet brings wars, and through wars and blood leads to new knowledge and new imposed love.

Dostoevsky shows that non-Christian religious systems cannot give happiness to a person, they do not lead him to the truth. Truth is within the person himself and is associated with his Orthodox worldview and his Christian humanity.

## **ია გრიგალაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **იაკობ გოგებაშვილი ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის შესახებ**

იაკობ გოგებაშვილი პუბლიცისტურ ნაწერებში, პედაგოგიკის საკითხებზე მსჯელობისას, ხაზგასმით წარმოაჩენს ქართული ფოლკლორის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიასა და ქართველი ერის ცხოვრებაში.

„ხალხური სიტყვიერების ნიმუშების რაოდენობა „დედა ენის“ ყოველ ახალ გამოცემაში ხშირად მატულობდა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ 1895 და 1912 წლის გამოცემები. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების რიცხვი დედა ენაში ორასს აღემატება.

„დედა ენა“ ნამდვილი სახალხო სახელმძღვანელოა. დიდი ხნის განმავლობაში იგი არა მხოლოდ შეუცვლელი საანბანო სახელმძღვანელო იყო, არამედ საუცხოო საკითხავ წიგნსაც წარმოადგენდა. „დე-

და ენის“ მეორე ნაწილი თანდათან ფართოვდებოდა და ახალ-ახალი მასალით ივსებოდა. „დედა ენის“ სახალხო სახელმძღვანელოდ გადაქცევას ხელი შეუწყო ზეპირსიტყვიერების უხვად გამოყენებამ“ [ჩიქოვანი 1975: 250].

„დედაენაში“ არაერთი ქართული ხალხური ლექსი, ანდაზა, ზღაპარი შევიდა იაკობ გოგებაშვილის რედაქტირებით, რადგან ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს სრულიად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტები დიდაქტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს მოზარდის სულიერ-ზნეობრივ ფორმირებაში.

იაკობ გოგებაშვილს 1877 წლისათვის სოფელ ვარიანში შეუკრებია ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ხოლო 1882 წელს პეტრე უმიკაშვილთან ერთად შეუდგენია „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელშიც, პირველად ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში მოცემულია ფოლკლორული მასალის ჩანერის მეთოდები. აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილს საკუთარი წვლილი შეუტანია ქართული ხალხური სიმღერების ჩანერაში.

„ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ფოლკლორული ნიმუშების გადარჩენა და შემონახვა მიიჩნიეს ყველაზე ეფექტურ გზად, რომ ადამიანებისათვის სამშობლოს სიყვარული, მისით სიამაყე შეეხსენებინათ“ [სიგუა 2014: 14].

იაკობ გოგებაშვილს სრულად ჰქონდა გათვალისწინებული ქართული ფოლკლორის საპატიო ადგილი ქართველი ერის ცხოვრებასა და ქართული კულტურის ისტორიაში. ერთი წერილის მაგალითზეც ნათელია, თუ როგორ დიდმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევდა იგი ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საკითხებს.

იაკობ გოგებაშვილი ნიჭიერი, ღარიბი სტუდენტის – კონსტანტინე ფოცხვერაშვილის დაფინანსებას გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს და წერილში – „ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ“ – არამარტო მისი სწავლის დაფინანსების, არამედ, ზოგადად ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის გაცნობის აუცილებლობაზეც მსჯელობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ის გამოთქვამს მნიშვნელოვან თვალსაზრისს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკურ ღირებულებასა და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე ქვეყნის წინსვლისათვის.

1907 წელს მოსკოვში ქართული სამუსიკო და ლიტერატურული სადამო გაიმართა, სადაც ორას სამოც კაციანმა გუნდმა, კონსერვატორიის სტუდენტ კონსტანტინე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელო-

ბით, შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. მათი ნამღერით დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოსულა. იაკობ გოგებაშვილი წერილში აღნიშნავდა: „როგორც სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტები გვარწმუნებენ, ფოცხვერაშვილი არა თუ კარგი მომღერალია და ჩინებული ორგანიზატორი და ლოტბარი, არამედ – ნიჭიერი კომპოზიტორიც. მას ესაჭიროება მხოლოდ მუსიკალური განათლების დამთავრება, რომელსაც წინ ეღობება მისი სიღარიბე. სულ შვიდი თუმანი თვეში საჭირო, რომ ამ ნიჭიერმა ქართველმა დაამთავროს განათლება და სრულად მომზადდეს თავისი საყვარელი საქმისათვისაო“ [გოგებაშვილი 1990: 131]. იაკობი წერილში ითხოვდა, რომ მოსკოველმა ქართველებმა, თუნდაც პროფესორმა ხახანაშვილმა უნდა გადმოაგზავნოს სარაჯიშვილთან დასაბუთებული მოთხოვნა, რომ იშუამდგომლოს და ღარიბ და ნიჭიერ სტუდენტს დაუნიშნონ სტიპენდია. იაკობ გოგებაშვილი ამავე წერილში აღნიშნავს, რომ მეტი სამართლიანობისათვის – ზუსტად რომ მოხდეს სტუდენტთა შერჩევა სტიპენდიის მისაღებად – საჭიროა შედგეს 6-7 კაციანი კომიტეტი, რომელიც დაადგენს ასეთ ნიჭიერ, მაგრამ უსახსრო სტუდენტებს და დაეხმარება მათ.

მაშინდელი პრესა ახალგაზრდა კომპოზიტორის შესახებ წერდა: „ბ. ფოცხვერაშვილმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა და ერთხელ კიდევ მოახედა საქართველოსკენ რუსეთის საზოგადოება და მისი შესწავლის სურვილი აღუძრა და ეს მარტო პეტერბურგში კი არა, ყველგან, სადაც კი მან მონაწილეობა მიიღო საღამოს გამართვაში. აი, ასეთი ნიჭიერი და თვალსაჩინო გონებრივი ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევენ ცნობილი მუსიკოსები მთელი წელიწადია სტიპენდიის დანიშვნას ემუდარება სხვადასხვა ქველმოქმედ დაწესებულებებს, მაგრამ ამოდ. ის ლებულობდა სარაჯიშვილის სტიპენდიას 25 მანეთს, მაგრამ შარშან, მაისში, სწორეთ მას შემდეგ, რაც ოდესის გაზეთებმა ასეთი ზემოთ აღნიშნეს ფოცხვერაშვილის ნიჭი და ღირსეული ხოტბა შეასხეს, მის თხოვნას სტიპენდიის მომატების შესახებ იმით უპასუხეს, რომ ისიც წაართვეს, რასაც აძლევდნენ. ვერ უშველა ვერც ბ. გოგებაშვილის ავტორიტეტმა“ [ნანიტაშვილი: ინტერნეტრესურსი].

იაკობ გოგებაშვილის ყურადღებასა და გულისხმიერებას ქართველი ღარიბი, ნიჭიერი სტუდენტის მიმართ მოწმობს მისი სხვა წერილებიც, მაგ.: „უცნაური განინმატება“ და სხვა.

1908 წლის შემოდგომაზე, პეტერბურგის, იურევის და მოსკოვის ქართველ სტუდენტთა წრეებმა მოსკოვის „თანამემამულეთა წრის“ წევრებთან ერთად უშუამდგომლეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წინაშე, რათა სტიპენდია დაენიშნათ კოტე



ფოცხვერაშვილისათვის, ამ თხოვნას სტუდენტები იმითაც ასაბუთებდნენ, რომ საჭირო იყო ჩვენი ეროვნული მუსიკის შესწავლა და მისი გამოქვეყნება. აღნიშნული შუამდგომლობა ქართველმა სტუდენტებმა, იაკობ გოგებაშვილის მეშვეობით გადასცეს თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს მდივანს – ილია ზურაბიშვილს. სამწუხაროდ, მისმა ჩარევამ თავდაპირველად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო – კოტე ფოცხვერაშვილს უარი ეთქვა. მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ფოცხვერაშვილი მეცადინეობას განაგრძობდა. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად კოტე ფოცხვერაშვილს სტიპენდია დაუნიშნა ქიათურის შავი ქვისა და ნავთის მრეწველთა გამგეობამ. იაკობ გოგებაშვილსა და იაკობ მანსვეტაშვილს მართლაც არ გაცრუებით იმედი, კოტე ფოცხვერაშვილმა თავის მიზანს მიაღწია, ქართული მუსიკით თქვა ის, რისი თქმაც სურდა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილ კომპოზიტორს – კონსტანტინე ფოცხვერაშვილს ეკუთვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“. იგივე ჰიმნი დაამტკიცა 1990 წელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. კონსტანტინე ფოცხვერაშვილმა დაამუშავა ქართული ხალხური სიმღერები (გაფრინდი შავო მერცხალო, გურჯანელნი და სხვ.) და შექმნა რამდენიმე საოპერო ნაწარმოები.

იაკობ გოგებაშვილი წერილში – „ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ“ – იმონებდა ფრანგი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის – ალექსის დე ტოკვილის სიტყვებს, რომ ყველაზე დემოკრატიული სიამოვნება სილამაზეა. სილამაზით რომ დატკბეს ადამიანი, საღი თვალეზია მხოლოდ საჭირო. „ლამაზი ქალის მზერით ერთნაირად ტკბება როგორც პირველი სწავლული, ისე უვიცი გლეხი და მუშაო.“ „ისევე უნდა ითქვას სიმღერაზედაც. აქაც საჭიროა მხოლოდ ის საყოველთაო გრძნობა, რომელსაც ყურთასმენა ჰქვია. კარგის სიმღერით ერთნაირად სტკბებიან ქალნიც, კაცნიც, პატარებიც, დიდებიც, განათლებულნიც, გაუნათლებელნიც. შინაურნიც და გარეუღნიც, ჩვენებურნიც და უცხოელნიც. სილამაზესავით სიმღერაც მეტად სიმპატიური ინტერნაციონალური მოვლენაა. რასაკვირველია, ხალხური სიმღერა უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს იმის შემქმნელ ხალხზე, ვიდრე – უცხოზე. იგი უძლიერებს სიხარულს, უნელებს სიმწუხარეს, უქარვებს დარდებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგ მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულ გრძნობას, აერთებს ყველა წოდებას, ყველა კლასსა, ჰქმნის ერთეულ ერსა“ [გოგებაშვილი 1990: 132]. ნაციონალურ, ეროვნულ ხოროს განსაკუთრებით აფასებენ ერები, რომლებიც ქართველებივით მორჩილების უღელქვეშ კვნესოდნენ. ასეთები არიან: ჩე-

ხები, პოლონელები, ირლანდიელები და სხვა. იაკობ გოგებაშვილს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ეროვნული ხოროს ჩამოყალიბება.

იაკობ გოგებაშვილი მეტი არგუმენტირებისათვის მსოფლიო მუსიკის მცოდნე, მუსიკოლოგ მიროპოლსკის სიტყვებს იმონმებს და აღნიშნავს, რომ მკვლევარი 25 წლის წინ ჩამოსულა საქართველოში, აღფრთოვანებული დარჩენილა ქართული ხალხური სიმღერების მრავალფეროვნებით. „საკვირველიაო, ამბობდა, რომ ქართველ ხალხს ყველა სამუშაოსთვის, ყველა საქმისთვის და ყველა გასართობისათვის შექმნილი აქვს განსაკუთრებული ჰარმონიული ჰანგი, სიმღერა და ამ ჰანგს მღერის არა მარტო ერთი მომღერალი როგორც აზიაში, არამედ – მთელი გუნდი, როგორც ევროპაშიო. ჩვენმა სახალხო სიმღერებმა ჩინებული რეკომენდაცია გაუკეთეს ქართველ ერს მიროპოლსკის თვალში, და ერთის მხრივ ამ რეკომენდაციით აიხსნება ის, რომ მიროპოლსკიმ სახარბიელო აზრი წარადგინა ქართველ პედაგოგებზე და მოითხოვა, რომ მათ უაღრესობა მონიჭებოდათ რუსების წინაშე თანამდებობაში გამწესების დროსა: მოითხოვა აგრეთვე ქართულის კათედრის დაარსება სემინარიაში, ფართო საფუძველზე, სრული პროგრამით.

დიალ, ქართველ ხალხს აქვს სასიქადულო ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები. რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დარჩეს, რათა მან იმოქმედოს, წინ წავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიურის სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭიროა ქართული, დიდი, ნაციონალური ხორო“ [გოგებაშვილი, 1990: 133].

იაკობ გოგებაშვილის მონოდება ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და საეკლესიო გალობის შესწავლის, შესრულებისა და პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ თანამედროვე საქართველოსათვის, რომელიც ურთულესი გამონვევების წინაშეა, უაღრესად აქტუალურია. ქართული ეთნიკური მუსიკის ღირსშესანიშნავი ნიმუშების მეცნიერული კვლევა, უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების სამივე საფეხურზე შესწავლა, სხვადასხვა ტექნიკურ-მუსიკალური საშუალებით მათი უფრო მეტად გაცნობა მსოფლიოსათვის, ქვეყნის კულტურულ, პოზიტიური მხარეს უკეთ წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც უდავოდ საშური, ეროვნული საქმეა.

### **ლიტერატურა:**

- გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტომი III, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990;
- ნანიტაშვილი, ინერნეტრესურსი:** ნანიტაშვილი ლ., დიდი პედაგოგისა და კომპოზიტორის ბიოგრაფიისათვის, [www.mwignobari.wordpress.com](http://www.mwignobari.wordpress.com);
- სიგუა 2014:** სიგუა მ., ზაქარია ფალიაშვილი და ახალი ქართული პროფესიული მუსიკა, ჟ. „ჩემი სამყარო“, №4, 2014;
- ჩიქოვანი 1975:** ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბილისი, 1975.

## **Ia Grigalashvili**

### **Jacob Gogebashvili about Popularization of Georgian Folk Music**

#### **S u m m a r y**

Jacob Gogebashvili in his publicistic papers discusses the pedagogic issues and underlines importance of Georgian folklore in Georgian culture and life.

Jacob Gogebashvili entirely took into account honorable place of Georgian musical folklore in the life of Georgian people and in the history of Georgian culture. By taking one paper as an example, it is obvious that the author takes the issues of studying and popularization of Georgian folk songs and chants as very important act.

Jacob Gogebashvili thinks that financing of a poor student-Konstantine Potskhverashvili is urgent and in the article “About Georgian Song Choir” – he discusses issues not only about student’s funding but also about the necessity of acquainting Georgian folk and ecclesiastic music to the society both within the country and abroad. The author expresses his views about the aesthetic value of Georgian musical folklore and about the significance of its popularization for the progress of the country.

## ეკა ვარდოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### იაკობ გოგებაშვილი არტურ ლაისტის წერილებსა და მოგონებებში

XIX საუკუნეში ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და მეცნიერულ შესწავლაში ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მარი ბროსემ, არტურ ლაისტმა, მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა.

საქართველოსა თუ უცხოეთში გამოცემულ შრომებში ა. ლაისტი ხშირად საუბრობს XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შესახებ. ა. ლაისტის შეფასებები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და გამოირჩევიან ორიგინალურობით. ამასთანავე, იგი ზუსტად აღწერს საქართველოში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალებს.

1882 წელს ა. ლაისტი სწერს აკაკი წერეთელს: „მე მხატვრული სიტყვის მსახური ვარ, ვწერ გერმანულად და პოლონურად. მინდა ვიტვირთო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყარება ამ ორ ერსა და თქვენს თანამემამულეთა შორის“ [ლაისტი 1983: 291]. ამით, ა. ლაისტმა თავადვე განსაზღვრა თავისი როლი კულტურათაშორის დიალოგში.

1884 წელს ა. ლაისტი ი. ჭავჭავაძის მოწვევით პირველად ეწვია საქართველოს.

1892 წლიდან ა. ლაისტი ძირითადად საქართველოში ცხოვრობს. თუმცა, ხშირად სტუმრობს ევროპას, სადაც აქვეყნებს თავის შრომებს საქართველოს შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. ლაისტის „საქართველოს გული“, რომლის შესახებაც 1927 წელს თ. სახოკია წერდა: „არტურ ლაისტმა დაგვიტოვა მეტად საინტერესო წიგნი „საქართველოს გული“, რომელშიაც ავტორმა ჩააქსოვა თავისი საკუთარი და გულწრფელი სიყვარულის გრძნობა. ეს არის კრებული მისთა მოგონებათა საქართველოსა და ქართველების, ქართველთა მწერლებისა და მწერლობის შესახებ. მთელი წიგნი მკითხველზე სტოვებს შთაბეჭდილებას შეყვარებულთა მიწერ-მოწერისას. ვაჟი – არტურ ლაისტია, ხოლო ქალი – საქართველოა. წიგნი თარგმნილია ჩვენს მიერ. პირველი ნაწილი გამოვიდა 1923, ხოლო მეორე 1927 წელს“ [სახოკია 1969: 91].

ა. ლაისტი თავის მოგონებებში ი. ჭავჭავაძეზე ხშირად საუბრობს ი. გოგებაშვილის შესახებაც, როგორცაა: „ილიას მახლობლები“,

„ივერიის რედაქციაში“, „კვლავ ერთი დღე სოფელში“, „ილია საგურამოში“, „ივერიის გაზეთად გამოშვება“, „ილიას დაბადების დღე უილიაოდ“. საყურადღებოა ასევე ა. ლაისტის წერილები: „XIX საუკუნის ქართველები“, „საბავშვო ლიტერატურა“, „საქართველოს ბუნება“.

აღსანიშნავია, რომ ა. ლაისტი ი. გოგებაშვილს ხშირად ნ. ცხვედაძის გვერდით მოიხსენიებს.

წერილში „ილიას მახლობლები“ იგი აღნიშნავს: „ილია ჭავჭავაძეს ძლიერ უყვარდა ნიკო ცხვედაძე. ილია არანაკლებ პატივისმცემელი იყო იაკობ გოგებაშვილისა, მაგრამ მას, ცოტად თუ ბევრად, კრიტიკულად უყურებდა. გოგებაშვილი, დიდი ჭკუის მიუხედავად, თავისნათქვამა და ხანაც ბავშვივით ჟინიანი იყო. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. საერთოდ, გოგებაშვილს მტკიცე და შეურყეველი ხასიათი ჰქონდა. ამასთან, ძლიერ გულკეთილიც იყო, რაც კი შეეძლო ყველას ეხმარებოდა. ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას“ [ლაისტი 1983: 7].

როგორც ვხედავთ, ლაისტი გოგებაშვილის პიროვნულ თვისებებზე საუბრობს, რომ იგი მტკიცე, შეურყეველი, გულკეთილი, ნიჭიერი ადამიანია, რომელიც დაფასებულია საზოგადოებაში. იმავე წერილში ა. ლაისტი ასევე ყურადღებას ამახვილებს გოგებაშვილის შრომისმოყვარეობაზე, მის საქმიან თვისებებზე. იაკობი მუდამ აუმჯობესებდა თავის წიგნებს. იგი საქართველოში პირველი მათგანი იყო, ვინც თავისი წიგნების შემოსავლით ცხოვრობდა. ამავდროულად, ის გამუდმებით მუშაობდა პედაგოგიკაში. ილიას მხოლოდ საქმის გამო ესტუმრებოდა ხოლმე და არასოდეს დარჩენილა სადილად ან ვახშმად, იგი ნაკლებად იცნობდა პრაქტიკულ ცხოვრებას, უფრო თეორეტიკოსი იყო. ლაისტი აღნიშნავს, რომ მას ოცდარვაწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა გოგებაშვილთან. „დიახ, გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი-მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო“ [ლაისტი 1983: 8].

მოგონებაში „ივერიის რედაქციაში“ ლაისტი შენიშნავს, რომ იაკობი უფრო ხშირად „ივერიის“ რედაქციაში დადიოდა, ვიდრე ილიას სახლში. თავისი წერილების ბეჭდვას და კორექტურას თავად ხელმძღვანელობდა. წელიწადში ერთხელ ნადიმსაც გადაიხდიდა, სადაც ილიას და აკაკისაც იწვევდა. ცხოვრების ძირითადი ნაწილი ძველ ბინაში მამადავითზე „პრიუტის“ ქუჩაზე გაატარა და იქვე გარდაიცვალა. „უკანასკნელი ორი ზამთარი გარეთ იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ ხარობდა მოხუცი, როცა ბრწყინვალე მზე მის ოთახებს გააშუქებდა

და სასადილო ოთახის ფანჯარასთან იადონი გალიაში სიმღრას მოჰყვებოდა. ეს ფრინველი იაკობს ბევრ ფარულ სიამოვნებას ანიჭებდა, ხოლო როცა ფრთოსანი მონყენილი იყო და დუმდა, მოხუციც მოიწყენდა ხოლმე“ [ლაისტი 1983: 21].

როგორც ვნახეთ, ლაისტი ძალიან ფაქიზად და რომანტიკული განწყობით საუბრობს მწერალზე. საინტერესოა ასევე ლაისტის მოგონება „კვლავ ერთი დღე სოფელში“, სადაც ავტორი ნ. ცხვედაძისა და ი. გოგებაშვილის ღვანლზე საუბრობს, ეხება მათ გარეგნობასაც და ფიქრობს, „თუმცა ორივენი ერთმანეთს წააგავდნენ, მაგრამ განსხვავებაც დიდი იყო. ორივენი ქართლელი მღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოლეს სემინარიელის დაღი. გოგებაშვილმა დაწერა პირველი ქართული სახელმძღვანელოები, რომლითაც დღესაც მრავალი ქართველი ბავშვი სწავლობს წერა-კითხვას. ნიკო ცხვედაძეს დიდი მოთმინება და ნებისყოფა ჰქონდა. უყვარდა მუშაობა, ყველა ამის მეოხებით მან ქართული გიმნაზიის შენობა ააშენა (ახლანდელი უნივერსიტეტი). ორივე მეგობარი გრძნობდა, რომ მხოლოდ ქართული აღზრდით შეიძლება მშობლიური კულტურის ამაღლება. ისინი იყვნენ ქართული სკოლის ფანატიკოსები და მისი ნამდვილი შემქმნელები – ეს იყო მათი სიცოცხლის მიზანი“ [ლაისტი 1983: 27].

ლაისტი ხაზს უსვამს მათ ეროვნულ ღვანლს და თვლის, რომ ისინი არიან ქართული სკოლის შემქმნელები.

ლაისტი ასევე მოგვითხრობს „ივერიის“ გაზეთად გამოცემის ამბავსაც, თუ როგორ დაიხურა „დროება“ და რატომ გახდა საჭირო ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებულიყო. ლაისტი ასახელებს „ივერიის“ ძირითად თანამშრომლებს, ესენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი („სამშობლოს“ ავტორი) რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე, ილია ხონელი (ბახტაძე), ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, იაკობ გოგებაშვილი, ვანო მაჩაბელი. „ილია და მისი თანამშრომლები ცდილობდნენ „ივერია“ ყოფილიყო ისეთი გაზეთი, რომელიც შინაარსითა და მრავალფეროვნებით მკითხველის დააკმაყოფილებდა. ამიტომ ევროპის ამბებს ყურადღება ეთმობოდა, ცნობებს მათ შესახებ პირდაპირ საზღვარგარეთული გაზეთებიდან იღებდნენ“ [ლაისტი 1983: 56].

განსაკუთრებით საინტერესოა ა. ლაისტის წერილი „XIX საუკუნის ქართველები“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში თანდათან გამოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებსაც დიდი მიზანი ჰქონდათ, შეექმნათ ახალი დროის ქართული კულტურა. „ისინი პირველად მასწავლებლები და მწერლები იყვნენ. ილიასთან

და აკაკისთან თითქმის ერთდროულად იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე გამოჩნდნენ. მთელი მათი მოღვაწეობა ქართული სკოლისაკენ და ქართული ენის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული. გოგებაშვილი და ცხვედაძე არიან ახალი დროის ქართველი მასწავლებლების მამამთავრები“ [ლაისტი 1983: 153].

ილია ჭავჭავაძის გვერდით იაკობ გოგებაშვილის მოხსენიება შემთხვევითი როდია, გოგებაშვილი თავის ნააზრევით ხშირად ეხმარება ილიას შეხედულებებს. გავიხსენოთ ილიას წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, სადაც ილია ამბობს, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას“ [ჭავჭავაძე 1953: 26-27].

1887 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი სისუსტე“, რომელიც პირველად იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით დაისტამბა, ხოლო 1910 წელს იაკობ გოგებაშვილმა იგი თავის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების პირველ ტომში შეიტანა სათაურით „პრესა ჩვენში და სხვა პატარა ერებში“, იგი წერს: „ქართველმა ერმა, და მხოლოდ მან მცირე აზიაში, თავი გაიტანა და სამი უმთავრესი საუნჯე ეროვნებისა მტკიცედ დაიცვა: დაიცვა სამშობლოს ტერიტორია, ადგილი, დაიცვა ენა, განვითარებულ და კულტურის ენების სიმადლემდის აყვანილი, და დასასრულ, დაიცვა თავის შორის ქრისტეს აღსარება“ [გოგებაშვილი 1989: 442].

გვინდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ, ძალიან საინტერესოა გოგებაშვილის პუბლიცისტური ნააზრევი. ი. გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური ხასიათის წერილია: „ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის“, რომელიც მან 1866 წელს გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად დაბეჭდა სათაურით „ამერიკა“ (პოლიტიკური მიმოხილვა). „შემდეგ კი ვრცელი სათაურითა და განმარტებებით 1910 წელს თავისი თხზულებების პირველ ტომში შეიტანა. წერილში იგი ძირითადად ეხება 1865 წლის აპრილიდან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებულ მოვლენებს.

საინტერესოა, რომ აქ ვხვდებით ამონარიდებს პრეზიდენტ ჯონსონის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა სახალხო კრების წინ 22 თებერვალს, ასევე კონგრესის წევრის სტიფენსის პასუხს წარმოთქმულს დეპუტატთა პალატაში“ [ვარდოშვილი 2018: 85].

წერილში „საბავშვო ლიტერატურა“ ა. ლაისტი ერთგვარად აჭამებს ი. გოგებაშვილის მოღვაწეობას და ამბობს: „ზოგიერთი წიგნი,

როგორც არის „დედაენა“ და „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილისა, გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და ცოცხალი გადმოცემებით. მშობლიურ პედაგოგიკას ამ მწერალმა თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით დიდი ღვაწლი დასდო“ [ლაისტი 1983:162].

მართლაც, ფასდაუდებელია ი. გოგებაშვილის ღვაწლი ქართული საზოგადოების წინაშე. მისასაღმებელია ისიც, რომ ამას სათანადოდ აფასებს ქართული კულტურის ისეთი პოპულარიზატორი და დამფასებელი როგორც ა. ლაისტი იყო.

### **ლიტერატურა:**

**გოგებაშვილი 1989:** გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1989;

**ვარდოშვილი 2018:** ვარდოშვილი ე., ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა, თბილისი, 2018.

**ლაისტი 1983:** ლაისტი ა., საქართველოს გული, თბილისი, 1983;

**სახოკია 1969:** სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1969;

**ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1989.

## **Eka Vardoshvili**

### **Iakob Gogebashvili in Leist's letters and memoirs**

#### **S u m m a r y**

In his letters and memoirs, Arthur Leist often tells us about Iakob Gogebashvili, such as “Ilia’s relatives”, “In the Editorial office of Iveria”, “One more day in the village”, “Issuance of Iveria as a newspaper”, “Georgians of the XIX century”, “Children’s literature” and others.

It is noteworthy that A. Leist often mentions I. Gogebashvili together with N. Tskhvedadze, speaks on their personal features and social merits.

The letter of A. Leist “Georgians of the XIX century” is especially interesting, where the author mentions that in Georgian society of the XIX century, gradually appeared the persons, whose purpose was to create Georgian culture of the new times. “They were first teachers and writers. Iakob Gogebashvili and Niko Tskhvedadze appeared with Ilia and Akaki almost at the same time. Their whole activities were directed towards maintaining Georgian school and Georgian language. Gogebashvili and Tskhvedadze are the fathers of the new Georgian teachers” (A. Leist).



It is also important that Gogebashvili with his thoughts often agrees with Ilia's viewpoints, especially on the issues such as protection of the language, country and religion. In this regard, his letter is interesting: "Our press and of other little nations".

In the letter "Children's literature" A Leist somehow sums up the activities of I. Gogebashvili and says: "Some books, such as "Native language" and "Door of the nature" by Iakob Gogebashvili are distinguished with their quality and lively narration. This writer has made a great contribution to his native pedagogics with his numerous works" (A. Leist).

In his works published in Georgia and abroad, A. Leist often speaks of Georgian classical writers of the XIX century.

## **ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ალექსანდრე ორბელიანის „თელავი“ – მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში**

ის ეროვნული სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალულია იაკობ გოგებაშვილის ნაწერები და ღვანლი, უფრო ადრე უშუალო წინამორბედის, ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაშია აღბეჭდილი. საერთოდ, ქართველ სამოციანელთა ნააზრევი ბევრ რამეში ჰგავს და თანხვედა რომანტიკოსი მწერლის ნააზრევს. ვფიქრობ, მწერლის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა მთლიანად და მისი ერთი ნიმუშიც ზემოთქმულს დაადასტურებს.

ალექსანდრე ორბელიანი მრავალმხრივი მოღვაწეა. იგი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, ზღაპრებს, საისტორიო ხასიათის ნარკვევებს, მემუარებს, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებს, გახლდათ დიდი პოლიტიკური მოღვაწე (1832 წლის შეთქმულების მეთაურთაგანი). შეთქმულების დამარცხების შემდეგ მისი პოლიტიკური შეხედულებები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. იგი ერთადერთია, ვინც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც საქართველოს დამოუკიდებლობას ქადაგებდა და სიმართლეს ამბობდა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ.

ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებო და სადღეისოა მისი საისტორიო ჩანაწერები, მემუარები, ნარკვევები, სხვა მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებანი.

ამჟამად ერთი ნაწარმოები – „თელავი“ შევარჩიეთ სამსჯელოდ. იგი 1997 წელს ცალკე წიგნად დასტამბა ალექსანდრე ორბელიანის სა-

ზოგადოებამ. ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჭავჭავიძეში.

თემატიკა ნაწარმოებისა მრავალფეროვანია. როგორც ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული: „სპეციალური ნაშრომი ამ ქალაქზე, ჩანს, ალექსანდრე ორბელიანზე ადრე, არავის დაუწერია“ [ჭავჭავიძე 1997: 47]. რომანტიკოსი მწერალი ერთი იმთგანია, რომელთაც კარგად ესმით ძალიან საჭირო და საშური საქმის – ცალკე ქალაქებისა თუ სოფლების შესახებ ნარკვევის დაწერის – მნიშვნელობა.

თხზულება თელავის მდებარეობის აღწერით იწყება. ალექსანდრე ორბელიანი თითქოს ერთგვარად განაგრძობს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ საფუძვლად ჩაყრილ ტრადიციას. სრულიად კანონზომიერად, იხსენიებს კიდევ დიდ წინაპარს თხზულებაში.

მწერალი გვესაუბრება რა ოთხი გალავნის განლაგების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არამართო ისტორიას, არამედ თანამედროვე მდგომარეობასაც. მაგალითად, პირველ გალავანში რომ წმინდა გიორგის ეკლესიაა, ადრე ქართველებისა ყოფილა, მერე მეფე ერეკლეს განჯიდან მოსული სომხებისთვის უბოძებია. დღეს? „დღეს იმ გალავანში რამდენიმე კომლუენი დგანან: მითამ (თითქოს) შეჭვარვიან იმათ სიმაგრესა“ [ორბელიანი 1997: 5].

გალავნებში განთავსებული ეკლესიების შესახებ თხრობას გაანათებს თეკლას ახალგაზრდობისდროინდელი ამბის მოგონება – როგორ მოკლა ვაჟურად ჩაცმულმა თეკლამ თოფით ჭიჭვავი. ეს ამბავი, ცხადია, გადმოცემით, უფროსების მონაყოლით იცის, ოღონდ ისე გვიამბობს, ისეთი გადამდები განცდითა და გზნებით, თითქოს თვითმხილველი და მომსწრე იყოს. მისი ნიჭი, როგორც თვითონ წერდა, ძველ კაცებში ძველი ამბების გაგონება იყო. დედა კი, „ჭკუით, სიბრძნით, სათნოებით შემკული“ თეკლა ბატონიშვილი [ჭავჭავაძე 1953: 236] ყველაფერს მართლად, შეულამაზებლად, მიუკერძოებლად უამბობდა შვილებს.

ალექსანდრე ორბელიანი არ გახლავთ უპირველესი ხელოვანი ბუნების აღწერისა, მაგრამ განცდა იმდენად წრფელია და ნაგრძნობის გადმოცემა იმდენად უშუალო, რომ გულგრილს ვერავის დატოვებს. შეუძლებელია, მკითხველი არ მოიხიბლოს ალაზნის ველის სურათით, მთებს შორის „გასუფრულსავით“ დაცემული მინდვრით, ხობბით სავსე კორომებით, ღრმა ხეობებიდან გადმომჩქეფარე მდინარეებით, რომლებიც ალაზნის ერთვიან, ალაზნის გაღმით და გამოღმით ნაპირებზე მოსხმული სოფლებითა და სანახაობით, რომელთაც „ქვეყნიერ სასუფევლად“ მოიხსენიებს ავტორი. პოეტურ ხედვასა და განცდას კიდევ ერთხელ ადასტურებს და ხელშესახებად გამოკვეთს 14 ივლისის დილით უღრუბლო კავკასიონის ხილვა, ზედ გადაკრული

„შუა ზამთრული“ თოვლით (აგვისტოში ყინვის მარცვლების მოლანდებისა არ იყოს).

ქართული ლიტერატურისთვის, საერთოდ და, კერძოდ, ალექსანდრე ორბელიანისთვისაც უცხო არ არის ქალის, დედის ქება, მკობა, ხობტა. პიესაში „დავით აღმაშენებელი...“ სულაც ქალმა, დედოფალმა გადანყვიტა ქვეყნის ბედი, შეირაღებულ ქალთა ლაშქარი მზადაა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად; მოთხრობაში „უმანკო სისხლი“ სამი ახალგაზრდა ქალი ეწირება ქრისტიანობისა და სამშობლოს დაცვას; მოგონებების მიხედვით, ბევრი ქალი იყო განდობილი შეთქმულებაში და მზად იყვნენ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო გამარჯვების შემდეგ ქალი, თამარი უნდა გაემეფებინათ. ცალკე დედასთან, თეკლა ბატონიშვილთან და დეიდებთან განსაკუთრებული სინაზითა და სისპეტაკით აღბეჭდილი ურთიერთობა, ცალკე კიდევ მეუღლის, კატინოსადმი (ეკატერინე ბარათაშვილისადმი) მიძღვნილი ლექსები და ყველაფერი ერთად სრულყოფილად წარმოაჩენს ქალის როლის, ადგილის, დანიშნულების შესახებ მწერლის ნააზრევს, ქალის წინაშე მის მოწინებასა და თაყვანებას.

აი, „თელავში“ ქართველი ქალი კიდევ სხვა ჭრილშია დანახული – მხიარული, მოცეკვავე, კეკლუცად მორთული და დამშვენებული. „არიან უფროსი ერთნი მშვენიერნი და ულამაზო მაინც არავინ, არიან მხიარულნი და მომღიმარე სახის მქონე მარადის, არიან წმინდის, უმანკოს ხმით მოუბარნი და მონარნარენი ნაზნი...თუმცა ევროპეულს გვარზედ მხიარულნი არიან, ხოლო თავიანთსა ძველსა მიმოხვრასა და ნელსა ქცევას გონებიდგან არა ჰკარგავენ“ [ორბელიანი 1997: 11].

ერთი მშვენიერი, ახალგაზრდა ორსული ქალის ორბელიანისეული აღწერა ნამდვილი მხატვრული ტილოა, აღორძინების ხანის იტალიელი მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრების ფარდი და დარი რეალისტურობით, გამომსახველობის სიღრმით, ზემოქმედების ძალით.

ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთი პირველია ჩვენს სინამდვილეში, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართულ სიმღერას, როგორც ეროვნულ საგანძურს და წამოჭრა მასზე ზრუნვის საკითხი. სპეციალური ნაშრომიც აქვს ამ თემისადმი მიძღვნილი – „ივერიანელების გალობა, სიმღერა, ლილინი“, რომელზედაც ამჯერად არ შევჩერდები, რადგან ცალკე წერილის თემაა. კერძო საუბრების დროსაც ხშირად უთქვამს რომანტიკოს მწერალს, რომ ჩვენი სიმღერების წმინდა ქართული ხმები უფრო დასავლეთ საქართველოში (იმერეთშია) შემორჩენილი, აღმოსავლეთმა კი (ქართლ-კახეთმა) ძალიან განიცადა სპარსული კულტურის გავლენა – აქ მეტს ვერ ვახერხებთ, „ბაიათებსა და

შიქასტებს“ გავჰკვივითო [ვრცლად ამის შესახებ იხ.: ჯაგოდნიშვილი 1986: 19-24].

თელავშიც მიიპყრეს მისი ყურადღება მომღერლემა, დამკვრელებმა, მოცეკვავეებმა (ერთ პირად ნერილში ბარათაშვილიც რა გულმხურვალედ მსჯელობს იმდროინდელ თბილისში ცნობილი მომღერლების შესახებ!). ალექსანდრე ორბელიანი ევროპეიზმის მხურვალე მომხრეა და პროპაგანდისტად გვევლინება. უფრო კი საკუთარი ნატვრის, იდეალური ყოფის ნიშნები დალანდა – ევროპული და ქართული საუკეთესო წეს-ჩვეულებების, ტრადიციების შერწყმა დაინახა ერთ სუფრაზე. მისი იდეალიც ეს გახლდათ. ევროპასთან დაახლოების საუკეთესო გზად კი, უპირველესად, ევროპული განათლების შემოტანა დასახა.

ქალზე არანაკლებ სადიდებელი ხოტბა შეასხა ვაზს. ლირიკული მონოლოგის დროს, რომელსაც თვითონ ფანტაზიას უწოდებს, ცხადად შეიგრძნობს ზეცის უხილავ მადლს. ოქრო-ვერცხლიან განსაცხრომელ სუფრასთან შედარებით, „რომელსაც ანგერება თაყვანსა სცემს და მონებს სიმდაბლით“ უპირატესობას ღარიბ სერობას ანიჭებს ჩვენებური სასმისებით, საიდანაც გადმოღვრილ „დაძაფრულ წვეთებს“ მუჭას მიაშველებენ ხოლმე ლხინის მონანილენი... რაც მთავარია „კაცობრიობა [უნდა] ერიდებოდეს ყოველს ურიგობას“. ასეთი წმინდა ცხოვრება სძენს მნიშვნელობას ბუნებასაც და ადამიანსაც. ქრისტიანულ მოძღვრებაზე გაზრდილი მწერლის აღქმა საგნებისა და მოვლენებისა ბუნებრივად ემსგავსება დიდ საეკლესიო მოღვაწეთა თუ ჰაგიოგრაფ მწერალთა თვალთახედვას. მათთვის ყველაფერი ზნეობის ქრილიდან დაინახება და ამ სამზერიდან იზომება. ამიტომ ესმება ხაზი ტაო-კლარჯეთის უდაბნოს აღწერის დროს იმას, რომ ბუნების სიკეთეს იქ მცხოვრები და მოღვაწე ბერების უბინო ცხოვრება ანათებს.

ალექსანდრე ორბელიანი არ უშვებს შესაძლებლობას ხელიდან, რათა ვაზის აპოლოგიას ზნეობის, სინმინდის აპოლოგია ააყოლოს.

„თელავი“ გვარწმუნებს, რომ პრაქტიკოსი ალექსანდრე ორბელიანი არაფრით ჩამორჩება მწერალ, მოაზროვნე ალექსანდრე ორბელიანს. ისეთი გამოსადეგი რჩევები მისცა გლეხებს ღვინის დამზადებასა და გაყიდვასთან დაკავშირებით, ჩანს, ამ საკითხზეც, ვაჭრობის განვითარებასა და ევროპასთან ამ სფეროში ურთიერთობაზეც ბევრი აქვს ნაფიქრი. „მომეტებული“ ღვინის სმის უარყოფელმა საუკეთესოდ იცის ქართული სუფრის ტრადიციები. ზომიერი სმისკენ მოუწოდებს თანამეინახეებს და ევროპული ცხოვრების წესის შემოღებისკენ. აქვე ვიგებთ ლხინის ბოლოს „საყოვლანმინდოს“ სადღეგ-

რძელოს ჩვეულებად დამკვიდრების სათავეს. ნინონმინდაში ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის სტუმრობის დროს მასპინძელს, ნინონმინდელს, პურობა ისე არ დაუმთავრებია, სანამ საყოვლანმინდო არ დაუღებია. რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, ეს სადღეგრძელო აუცილებლად უნდა ითქვასო და ალექსანდრე ორბელიანმაც ამით დაამთავრა იმდღევანდელი მეუფროსეობა (თამადობა) სუფრაზე. მკითხველს უნებურად მოაგონდება გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“ და თითქოს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს რომანტიკოსი მწერლის მოგონება..

საინტერესოადაა მოთხრობილი სპორტული შეჯიბრების, ბურთაობის შესახებაც და იქვეა გახსენებული ისტორიული ამბავი 1755 წელს ყვარლის ციხეზე ომარხანის შემოსევისა. ასე, ამ პრინციპითაა აგებული თხზულება: არაფერი არ არის მეორეხარისხოვანი. ყველაფერი, ერთი შეხედვით წვრილმანიც, მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლისთვის. ჩვენი ენის, ჩვენი ისტორიის, წარსულისა და მომავლის სიყვარული იმითაც უნდა გამოიხატოს, რომ ჩავინეროთ, შევინახოთ, მოვუაროთ, არ დავკარგოთ ძველი ამბები და ასე გადავცეთ თაობებს – ასეთია მწერლის რწმენა. თუ მთელი თხზულება, ძირითადად მაინც მოგონებებია, ბოლოს იგი პოლიტიკური მანიფესტის იერს იღებს. ერეკლეს პიროვნების გამოკვეთით საქართველოს თავისუფლებაზეა აქცენტი გაკეთებული. ერეკლე ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სიმბოლოდ აქციეს რომანტიკოსებმა.

კახეთში ნათესავებთან (მოყვრებთან) ამ ერთი მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა მრავალფერი საფიქრალი მოიყოლა როგორც ვნახეთ და მათ შორის – ადამიანის ამქვეყნიურ მოვალეობაზე დაფიქრებაც. ადამიანის თავის ქალა უპოვია რიყეზე, ხელში აულია და ჰამლეტური „ყოფნა-არყოფნის“ საკითხავიც იმას აღუძრავს. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებით გამოკვეთს მწერალი სიკეთის, ზნეობის უპირატესობას. საბოლოოდ კი მაინც ეკლესიასტესეული ამაოების მოტივი იჭრება მსჯელობაში, რაც რომანტიკოსი მწერლისთვის შემთხვევითი არ გახლავთ.

ბოლო ნაწილი თხზულებისა ისტორიულია. მეფე ერეკლეს პირველი ბრძოლა ალექსანდრე ორბელიანის პიესის თემადაც იქცა. „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო...“ ლიტერატურული წყარო გახდა აკაკი წერეთლისთვის „პატარა კახე“ მუშაობის დროს.

თხზულება საინტერესოა როგორც კომპოზიციურად, ასევე ენობრივი თვალსაზრისითაც. აქ ერთმანეთს ენაცვლება პირადად ნანახი, განცდილი და სხვათა ნაამბობით გაცოცხლებული წარსული. დაწერილია სადა, ხალხური, ყველასთვის გასაგები ენით. სამეცნიერო ლიტე-

რატურაში უფრო ხშირად ნარკვევად მოხსენიებული ეს ნაწარმოები მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითაც გამორჩეულია. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში ვპოულობთ იმ საერთო-სახალხო ენისა და სტილის გამოყენების ნიმუშებს XIX საუკუნეში, რომლის დამკვიდრება ქართველ სამოციანელთა, და, უპირველესად, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. „...შინაგანად უკვე ძალუმად გრძობდა მოთხოვნილებას, გადაეხალისებინა გაბატონებული მხატვრული სტილი და ახლებური სუნთქვა და დინამიურობა მიენიჭებინა ფრაზისთვის“, - წერს როსტომ ჩხეიძე [ჩხეიძე 1996: 241].

თერგდალეულებს განსაკუთრებით უყვარდათ ალექსანდრე ორბელიანი და გამორჩეულად პატივს სცემდნენ მას. აკაკი წერეთელი თავის მოგონებებში რამდენჯერმე გულთბილად იხსენიებს. ახალგაზრდები (ილია, აკაკი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე... სხვები) არამართო აფასებდნენ, არამედ მისგან იგებდნენ სიმართლეს ახლო წარსულის შესახებ. მისგან სწავლობდნენ სამშობლოს ფანატიკურ სიყვარულს. თამამად შეიძლება ითქვას, ალექსანდრე ორბელიანი ახალთაობელების ერთ-ერთი ის სულიერი წინაპარია, რომელსაც დაეყრდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

### ლიტერატურა:

- ორბელიანი 1997:** ორბელიანი ალ., თელავი, თბილისი, 1997;  
**ჩხეიძე 1996:** ჩხეიძე რ., ალექსანდრე ორბელიანი, თბილისი, 1996;  
**ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953;  
**ჯაგოდნიშვილი 1986:** ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბილისი, 1986;  
**ჯავახიშვილი 1997:** ჯავახიშვილი გ., მივხედოთ თელავს, მის მდებარეობას (ბოლოსიტყვაობა წიგნისა „თელავი“), თბილისი, 1997.

## Nino Vakhania

### Alexander Orbeliani's "Telavi" – Model of Belles-Documetary Prose

#### Summary

Romantic writer of the 19th century, Alexander Orbeliani is in all aspects noteworthy creator. His name is related to the establishment of some innovations in our writing. He was a follower of belles-documentary prose,

traditions of Sul Khan-Saba Orbeliani and encourager of modern writers in writing some works of this genre. If the population of 60s, fascinated by writings and oral narrative of elder fellow writer did not completely apply writings of Alexander Orbeliani as a model, they were finding and comprehending many innovations from him.

In 1997 Alexander Orbeliani's society as a separate book printed "Telavi" - one of the most noteworthy writing (Giorgi Javakhishvili made it ready for the publication and enclosed epilogue). Subject matter is diverse. Writer emphasizes city's geographical location, narrates about buildings, namely related to fences; provides historical data, revives past based on the narrations of friends and relatives; is represented as a nature painter; comprehend philosophical judgement related to terrestrial assignment and fate; cordially states Europeanisation of Georgia (observation on European dances and popularization of making wine and their sales in accordance with the European method); apologetic attitude to Georgian woman is tangible; we get familiar with the ancient order of Georgian table; are described sporting competitions taken place in old Georgia, noteworthy data are kept with regards to Erekle II and Queen Darejan.

Alexander Orbeliani is adherent of uniting traditional and new. First of all writer finds it necessary to introduce education from Europe and states it.

Besides contents, the writing is interesting even with its composition and language. Here personally seen and felt and adopted and reanimated past according to others narration are altering one another. It is written simply in the national language, clear for everybody. This work often mentioned as an essay in scientific literature is known even with its artistic and emphatic means. In the work of Alexander Orbeliani we find models of that universal and popular language and style that establishment in writing relates to the name of Georgians of 60s and first of all to Ilia Chavchavadze.

## **ხათუნა კალანდარიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **საეკლესიო ენის მნიშვნელობის საკითხი აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ყვითელი სანთელი“**

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართული სინამდვილის ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი იქცა. აქედან გამომდინარე, ქართველი სამოციანელები განსა-

კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ქართულ ეკლესიას, რომელიც ისტორიულად აყალიბებდა ქართველების კულტურულ და ფსიქოლოგიურ იერსახეს, ქმნიდა მათ მსოფლმხედველობას და დანარჩენ სამყაროსთან მიმართების ფორმას განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ „ეროვნული იდეა ეყრდნობა არა მხოლოდ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ-კულტურულ საფუძვლებს“ [ბულგაკოვი 1994: 253]. სწორედ რელიგიური რწმენის ნიადაგზე ყალიბდებოდა ის ზნეობრივი ნორმები, რომლებიც ჩვენი წინაპრების მოქალაქეობრივ შეგნებას და მამულიშვილურ თავგანწირვას განსაზღვრავდა.

ამის გამო ქართველ სამოციანელებს სახიფათოდ მიაჩნდათ მე-19 საუკუნის ქართველ საზოგადოებაში აშკარად გამოკვეთილი სარწმუნოებრივი გულგრილობის ტენდენცია. „ხალხმა დაჰკარგა ზნეობა და ქრისტიანობისაც მხოლოდ გარეგნული ფორმა შეგვრჩა და შინაარსი კი დავკარგეთ“ [წერეთელი 1960: 227], – წერს აკაკი წერეთელი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში. ეს დიდი პრობლემაა, მისი შეხედულებით, რადგან მაშინ, როდესაც „ქრისტეს მოძღვრების შინაარსი შესწავლილი იყო ჩვენი ხალხისაგან“ [წერეთელი 1960: 227], საქართველო ზნეობრივად იყო ამალღებული. ქართველი ადამიანები „მამულის სიყვარულისა და სარწმუნოებისათვის სრულის მოთმინებით იღებდნენ წმ. მოწამის გვირგვინს“ [წერეთელი 1960: 227]. ხალხი „ხედავდა თვის-შორის“ [წერეთელი 1960: 227] ასეთ ზნეობრივ მაგალითებს და ეს ხელს უწყობდა მათ სულიერ სიმტკიცესა და სიმაღლეს. დღეს კი სრულიად სხვა პროცესი მიმდინარეობს, აკაკის თქმით: „დღეს სარწმუნოებაზე თანდათან გულგრილდება ქართველი ხალხი“ [წერეთელი 1961: 318-319]. ეს საყურადღებო და სახიფათო პროცესია, რომელსაც, „რასაკვირველია, მიზეზი აქვს და ამ მიზეზს რომ გამოიკვლევდენ და ყურადღებას მიაქცევდენ, მაღლია“ [წერეთელი 1961: 319]. აკაკი წერეთელი თავადაც ეძებს ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და უაღრესად საინტერესო და დამაჯრებელ დასკვნებსაც გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული აკაკის პატარა მოთხრობაში „ყვითელი სანთელი“.

საზოგადოდ, აკაკის მთელ შემოქმედებას ერთი უმთავრესი თავისებურება ახასიათებს – ყოველი საკითხი, ყოველი თემა დანახული და შეფასებულია ეროვნული პოზიციიდან. ამ პატარა, სიუჟეტური თვალსაზრისით მარტივ ნაწარმოებშიც მწერალი თავს უყრის ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც, მისი შეხედულებით, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. როგორც მიუთითებენ, აკაკი წერეთლისაგან „დრო... ყოველგვარ საქირბოროტო საკითხზე დაუყოვნებ-



ლივ გამოხმაურებას მოითხოვდა. ისიც უყოყმანოდ იხდიდა ამ ვალს და თავისი შემოქმედების ძირითად დანიშნულებად სწორედ ეს მოვალეობა ესახებოდა“ [წერედიანი 2014: 67-68]. ალბათ ამითაცაა გამონკვეული ის ფაქტი, რომ აკაკის პროზაულ თხზულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი აღბეჭდილია პუბლიცისტური პათოსით, რისთვისაც „ნიმანდობლივია ტენდენციის უშუალო გამოხატვა, პოლემიკური ხასიათი“ [მინაშვილი 2003: 36]. ამ თვალსაზრისით „ყვითელი სანთელი“ გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს. მასში მწერლის სათქმელი მხატვრული საფარველის სიღრმეში არ არის საძიებელი, იგი ზედაპირზე ძევს და პოლემიკის, ურთიერთდაპირირსპირებულ მოსაზრებათა ერთ სიბრტყეზე წარმოდგენისა და გაანალიზების გზით იკვეთება ჭეშმარიტება. ცნობილია, რომ „აკაკი წერეთლის თხზულებათა დიდი უმრავლესობა პირდაპირ გამსჭვალულია პოლემიკური ტენდენციით. ეს წარმოადგენს მათი გაშლის ძირითად ფონსა და ერთ-ერთ განმსაზღვრელ მომენტს“ [კიკნაძე 1978: 300]. ამგვარ ხერხს ირჩევს აკაკი წერეთელი მოთხრობა „ყვითელ სანთელშიც“. ეს ლიტერატურული ბრძოლის მეთოდია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლემიკური ტალანტი აკაკი წერეთლის, როგორც ხელოვანის, ბუნების ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება იყო.

„როგორც ისტორია ცხადყოფს, პუბლიცისტური ლიტერატურის განსაკუთრებული გამოცოცხლება, წინა პლანზე წამოწევა ისეთ ეპოქებში ხდება, როდესაც საზოგადოება დიდი კატაკლიზმების, გაჭირვებისა ან აღმავლობის გზაზე დგება. XIX საუკუნეში, ჩვენი ქვეყნისათვის გარკვეულად მძიმე პირობებში, როცა ქვეყანას უშუალოდ დაემუქრა ეროვნული გადაგვარებისა და დაცემის საფრთხე, სწორედ პუბლიცისტიკა აღმოჩნდა ლიტერატურის ის უბანი, რომელიც დიდმა მწერლებმა, დიდმა მამულიშვილებმა ერის მტკივნეულ სასიცოცხლო საკითხებზე მსჯელობისას ერის გამოსაფხიზლებლად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებისათვის გამოიყენეს“ [მინაშვილი 2003: 36]. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რომ პუბლიცისტურობის ტენდენციამ მხატვრული სიტყვის სფეროშიც შეაღწია და მკითხველზე უშუალო, პირდაპირი ზემოქმედების ხერხად იქცა.

ამ ნაწარმოებში, XIX საუკუნის ქართული სინამდვილის სხვა პრობლემებთან ერთად, აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ქართული საეკლესიო ენის ბედზე იმპერიული მმართველობის პირობებში. როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ ქართულ ეკლესია-მონასტერთა დიდ ნაწილში აღკვეთა ქართულ ენაზე ტრადიციული წესით წირვა-ლოცვის ჩატარება და რუსული ენა, რუსული ტრადიცია დაამკვიდრა. ამ ნაბიჯმა ხალხი მძიმე მდგომარეობაში

ჩააგდო: ერთი მხრივ, დააშორა ეკლესიას, სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცის საფუძველს, რადგან ლიტურგიის აზრი და მიმდინარეობა მისთვის გაუგებარი გახდა; მეორე მხრივ, მოუსპო მშობლიურ ენასთან შეხების, მშობლიური ენის შეგრძნობის ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზი. რა თქმა უნდა, ეს განუზომლად დიდ ეროვნულ საფრთხეს წარმოადგენდა. აკაკი მრავალგზის უბრუნდება ამ პრობლემას თავის ნაწერებში: „იმ ტაძარში, სადაც ქართველების სინძინდე და საუნჯე – ნმ. ნინოს გვამია დაკრძალული და სადაც თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ღვთისადმი ლოცვა-ვედრება გაისმოდა, დღეს აღარც ერთი ქართველი ფეხს აღარ დგამს და მიზეზათ იმას ამბობენ, რომ აღარა გვესმის რაო“ [წერეთელი 1961: 318], – წერს ის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში. მშობლიურ ენაზე ლიტურგიის მოსპობის მიზანი რომ ქართველთა ეროვნული დეგრადაცია იყო, ეს აკაკიმ თავის პოეტურ თხზულებებშიც არაერთხელ გამოკვეთა:

„...წვერებზე მოისვა ხელი  
მოლამ, სთქვა: „ბისმარ ჰალლაო!  
ამ ხალხის გასათათრებლად  
უნდა ვიხმარო ძალაო...  
„აკრძალავ წირვა-ლოცვის დროს  
მათ ენას მამა-პაპურსო  
და მივსცემ სამაგიეროდ  
ჩვენს მეტყველებას დათურსო“  
(„ახლანდელი პოლიტიკა“).

ეკლესიაში ქართული ენის აკრძალვის საკითხსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც აღვნიშნეთ, აკაკი წერეთელი მოთხრობა „ყვითელ სანთელშიც“ განიხილავს. დიდი მწერალი გვიჩვენებს, რომ ზოგადფილოსოფიური მიმართება – ქრისტიანობა საყოველთაო რელიგიაა და მნიშვნელობა არ აქვს, სულ ერთია რა ენით იდიდება ღმერთით, საბოლოო ჯამში, დიდი საფრთხის შემცველია. აკაკი საკითხს ასე აყენებს: „მისთვის [ღმერთისთვის] კი ერთია, ... მაგრამ მადიდებლისთვის?“ [წერეთელი 2015: 96]. ეს კითხვა უკვე ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაში ხედავს დიდი მწერალი საფრთხეს. საზოგადოდ, ლოცვა – პიროვნული მიმართება შემოქმედთან – უაღრესად ინტიმური პროცესია, რომელიც ეკლესიური წესით მცხოვრებ ადამიანს თან სდევს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მასში ინტელექტის გარდა გულიც მონაწილეობს. ეკლესიის წიაღში ლოცვას განიხილავენ, როგორც ადამიანის სულიერი ამალღებისა და

განმტკიცების ყველაზე უფრო ქმედით საშუალებას. ის დიდ ზემოქმედებას ახდენს მლოცველზე. ამიტომ სულიერი სარგებელის მისაღებად და შინაგანი გაორების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ ლოცვა წარმოითქვას მშობლიურ ენაზე, იმ ენაზე, რომელიც ადამიანის ბუნებაში განცდის დონეზეც არსებობს. მეორე მხრივ, ენის ფსიქოლოგიას სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ცნობიერებაზე. მენტალიტეტს ბევრწილად სწორედ იგი აყალიბებს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ლოცვისთვის უცხო ენის შეთავაზება, ცხადია, შორს მიმავალი იმპერიული ზრახვების ერთი გამოხატულება იყო, რომელიც აკაკის, როგორც ფხიზელი ბუნების ხელოვანს, არ გამოეპარა. ასეთ ვითარებაში არგუმენტად არ გამოდგება იმის შეხსენება, რომ პირველ საუკუნეებში, ვიდრე მეხუთე საუკუნემდე, საქართველოში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე ტარდებოდა. მოთხრობაში ეს მოსაზრებაც მოჰყავს აკაკის, რადგან, სავარაუდოდ, სინამდვილეშიც სწორედ ამ მოსაზრებას იშველიებდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გაცნობიერებული არ ჰქონდა ეკლესიიდან მშობლიური ენის გამოძევების ჭეშმარიტი საფრთხე. ამის პასუხს ნაწარმოებშივე გვაძლევს აკაკი: „მერედა, რა კარგი იყო? მიტომაც ირყეოდა ქრისტიანობა, სანამდი საღმრთო წერილი არ გადათარგმნეს და ხალხს არ გააგებინეს. მაშინდელი სიხლი ტყუილა დაიღვარა? რათ შეაკლა ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ერთმანეთს გორგასლან მეფემ, თუკი მაინც ეს დღე მოგველოდა და უკანვე დავბრუნდებოდით?“ [წერეთელი 2015: 96]. ამ სიტყვებით აშკარად იკვეთება, როგორია აკაკი წერეთლის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით.

როგორც მისი წერილებიდან ჩანს, იყო შემთხვევები, როდესაც აკაკი წინამძღვართან მოლაპარაკებით ცდილობდა იშვიათად მაინც მიეღწია იმისათვის, რომ ლიტურგია ქართულ ენაზე ჩატარებულიყო [წერეთელი 1961: 318], რადგან ის ხედავდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამას ქართველთა სულიერი სიმტკიცისათვის. როგორც მისი მოთხრობის – „ყვითელი სანთლის“ – პერსონაჟი განმარტავს, ლოცვისას მშობლიური ენის „მადლიანი სიტყვები ძირამდის ხვდება გულს“, „როცა ეს სიტყვები ყურსა ხვდებიან, სულსაც ესმის და გულსაც. სხვანაირათ კი - არა...“ [წერეთელი 2015: 96], თუნდაც საღვთო წერილი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდე. ეს აკაკის, როგორც მართლმადიდებლურ გარემოში აღზრდილ ავტორს, ბავშვობიდანვე ეკლესიური წესით მცხოვრებს (რასაც „ჩემი თავგადასავალიც“ ნათლად გვიდასტურებს), პირადად ჰქონდა განცდილი და ამიტომ ის ძალიან კარგად იაზრებდა პრობლემის სიღრმეს.

ენის აკრძალვამ ეკლესიისგან გათიშა ხალხი, სულიერი საზრდო გამოუღია. აკაკი ფიქრობს, რომ გარკვეულწილად ესეც გახდა ქართველებში რწმენის ქეშმარიტ არსთან გაუცხოებისა და, საზოგადოდ, სარწმუნოებრივი გულგრილობის საფუძველი. ჯანსაღ ღირებულებებთან გამოთხოვებამ ადამიანის სულიერ სამყაროში კარდინალური ცვლილებები გამოიწვია. ამის მაგალითები ნათლადაა ნაჩვენები ხსენებულ ნაწარმოებში – „ყვითელ სანთელში“. ეს არის სინამდისადმი მონინების დაკარგვის, რწმენასთან გაშინაურების, მისი გამატერიალურების პრობლემები. მოთხრობის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ პრობლემების დემონსტრირებას ეხება.

ამ ნაწარმოებში აკაკი წერეთელი გვიჩვენებს, რომ ქართველი კაცის ყოფა, მისი ყოველდღიურობა ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან. ღვთის სამსახური განსაზღვრავდა მთლიანად მის სახეს. როგორც მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი მიუთითებს, ძველი ქართველები „უფრთხილდებოდნენ არამს“, ცდილობდნენ, ღვთსათვის სანყენი საქმე არ ჩაედინათ, მათი შრომა, საზოგადოდ, მათი ყოფა სარწმუნოებას ემყარებოდა და მათი ყოველდღიური ცხოვრება თავისებური „ლოცვა და ვედრება“ იყო. აკაკის შეხედულებით, ეს აყალიბებდა ქართველი ერის ფსიქოლოგიას და მის თავისებურებებს განსაზღვრავდა. სარწმუნოებასთან დაშორება, სარწმუნოებისადმი გაუცხოება კი ძირს უთხრიდა ცხოვრების იმ ნეხს, რომელიც ქართველ ადამიანს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა შესისხლხორცებული, ამით არღვევდა მის ცნობიერებას და მისი ეროვნული იერსახის ცვლილებას იწვევდა.

ამრიგად, მოთხრობით „ყვითელი სანთელი“ აკაკი წერეთელმა გამოკვეთა მე-19 საუკუნის ქართულ ყოფაში არსებული სირთულეების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მან გვიჩვენა, რომ ქართველთა ეროვნული თავისებურებების შენარჩუნება ბევრწილად ქრისტიანული ცნობიერების შენარჩუნებაზე იყო დამოკიდებული, რასაც სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა ქართული ეკლესიიდან მშობლიური ენის გამოძევების ფაქტი.

### ლიტერატურა:

- ბულგაკოვი 1994:** ბულგაკოვი ს., ჰეროიზმი და მოსაგრეობა (განაზრება რუსი ინტელიგენციის ბუნების შესახებ), თარგმნა ზ. სარაძემ, ჟ. „საუნჯე“, 1994, № 1-2;
- კიკნაძე 1978:** კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978;
- მინაშვილი 2003:** მინაშვილი ლ., ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბილისი, 2003;

**წერედიანი 2014:** წერედიანი დ., ანარეკლი, თბილისი, 2014;

**წერეთელი 1960:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XI, თბილისი, 1960;

**წერეთელი 1961:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XIII, თბილისი, 1961;

**წერეთელი 2015:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი VI, თბილისი, 2015.

## **Khatuna Kalandarishvili**

### **The Issue of the Importance of Clerical Language in Akaki Tsereteli's Short Story "Yellow Candle"**

#### **S u m m a r y**

The issue of national self-identification was one of the imperative problems in the Georgian reality during the 1860s. For this reason, the Orthodox Christian faith, as well as the Georgian church were afforded crucial importance. Historically, these had played an essential role in the cultural and psychological development of the Georgian people, as well as the shaping of their world-view. During the 19th century, the tendency to put ambivalence towards religion and faith on display was regarded as dangerous within the Georgian society. In his "Yellow Candle," Akaki Tsereteli discusses the gravity and the root causes for these processes happening in the Georgian reality. Chief of these is the prohibition of the use of national language within the Georgian churches. This caused the alienation of the true essence of faith and the mass ambivalence towards religion in the Georgian people. The loss of a healthy value system laid a foundation for cardinal changes within people's minds. This, in turn, weakened the old, centuries-long order and dismantled the consciousness of the Georgian people, thereby changing them on mental and spiritual levels. The central idea within the short story tells of how the exile of the native language from the churches and its separation from religion can act as the precursor to national degradation.

**მარიამ მირესაშვილი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ხელოვნებისადმი უტილიტარული დამოკიდებულების  
იდეიდან პარტიულობის კატეგორიამდე**

1905 წლის 13 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“ (№12) დაიბეჭდა ვ. ი. ულიანოვის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. სწორედ **პარტიულობის** ლენინურ კატეგორიაში პოვა განვითარება მარქსისტულმა იდეებმა ხელოვნების კლასობრივი და ტენდენციური ხასიათის შესახებ. საინტერესოა ამ პრინციპის შედარება XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა ესთეტიკური და მხატვრული სკოლებისა და მიმდინარეობების თეორიულ ძიებებთან. არ არის შემთხვევითი, რომ აღნიშნული კატეგორია სწორედ XX საუკუნის ესთეტიკაში ჩამოყალიბდა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ძალზე ფართო გავლენა მოიპოვა **ტენდენციურობის** იდეამ. იგი გაგებულ იქნა, როგორც: განსაზღვრული იდეის თანმიმდევრული გატარება; კერძო თუ ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე არაობიექტურობა ან მიკერძოება; მხატვრულ ნაწარმოებში გარკვეული ამოცანის ღიად დასახვა.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისადმი უტილიტარული დამოკიდებულების იდეა ჯერ კიდევ ხალხოსნებმა ჩამოაყალიბეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მათვე წამოიწყეს მსჯელობა ხელოვნების ხალხურობის შესახებ. ლიტერატურაში ხალხურობის იდეების დამკვიდრება უკავშირდება „რაზნოჩინელების“ იდეურ-ესთეტიკურ ნააზრევს (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი...), რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ. „რაზნოჩინელების“ ღრმა რწმენით, ლიტერატურაც და მეცნიერებაც ხალხის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მისი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. აქვე შევნიშნავთ, რომ „რაზნოჩინელების“ შეხედულებათა ძირითადი ასპექტები – სინამდვილის მართლად წარმოსახვა, ხალხისთვის საინტერესო საკითხების დასმა და გაშუქება, პრობლემების ახსნა და გადმოცემა ხალხისთვის მისაწვდომ, გასაგებ ენაზე – ქართველმა „სამოციანელებმა“ შემოქმედებითად აითვისეს. ილიამ, აკაკიმ და მათმა თანამოაზრეებმა, საზოგადოებრივ ფუნქციასთან ერთად, ლიტერატურას ერის (ხალხის) სამსახურის იდეაც დაუმატეს. ზემოაღნიშნულმა საკითხებმა სიღრმისეული ასახვა პოვა ილიას პუბლიცისტიკაში.

ამგვარად, პარტიულობის ლენინური პრინციპისკენ ორ ტრადიციას მივყავართ: ერთი მხრივ, ტენდენციურობისა და იდეურობის

მარქსისტულ ტრადიციას და, მეორე მხრივ, „სოციალური უტილიტარიზმისა“ და „მოქალაქეობის“ ტრადიციას, რომელიც XIX საუკუნის რუსულ კულტურაში იშვა. თავად ტერმინი – „პარტიულობა“ – სულაც არ იყო ლენინის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული. აქვე შევნიშნავთ, რომ ფილოსოფიისა და ისტორიის ისეთი კატეგორიებიც, როგორებიცაა „კლასები“ და „კლასობრივი ბრძოლა“, სამეცნიერო მიმოქცევაში დაამკვიდრეს ფრანგმა ისტორიკოსებმა: ო. ტიერიმ, ო. მინიემ და ფ. გიზომ. რაც შეეხება კარლ მარქსს, რომელსაც ხშირად მიაწერენ ზემოაღნიშნულ ტერმინებს, მან განავითარა კლასობრივი ბრძოლის თეორია და მივიდა პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრების იდეამდე, ხოლო ძალადობა გამოაცხადა „ისტორიის ძიებად“ და მის „ერთადერთ მოქმედ ინსტრუმენტად“.

პარტიულობის ცნება ლიტერატურულ შემოქმედებასთან მიმართებით ლენინამდეც გვხვდება. იგი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა რუსულ ჟურნალისტიკასა და კრიტიკაში. მაგ., 1902 წელს, ლენინის ზემოთ ხსენებული წერილის გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე, გამოიცა ცნობილი ლიტერატურული ალმანახის, „ჩრდილოეთის ყვავილების“ („Северные цветы“) პირველი ნომერი. სარედაქციო წერილში გამომცემლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მასალის შერჩევასას ისინი არ იხელმძღვანელებენ **პარტიულობის პრინციპით**, რადგან, მათი აზრით, პუშკინისა და ნეკრასოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა ისევე ფასეული და საინტერესოა მკითხველისთვის, როგორც ტურგენევის და ფეტის. გამომცემლები არც იმ ფაქტს მიიჩნევდნენ უხერხულად, რომ ზემოაღნიშნული ავტორების გვერდით დაებეჭდათ ა. ვოლინსკის სტატიები, რომელიც, ზოგადად, უკიდურესად კრიტიკულად იყო განწყობილი პოეზიის მიმართ. ავტორები თავად აგებენ პასუხს გამოქვეყნებულ მასალაზე – ასეთია „ჩრდილოეთის ყვავილების“ გამომცემელთა პოზიცია. [ისტორია ...1995: 89].

ხელოვანთა „ხალხის სამსახურში“ ყოფნის იდეის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება რუსეთის პოეზიის აღიარებული მეტრის, ალექსანდრ ბლოკის, მსჯელობა სტატიაში „სამი კითხვა“. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მწერლებისთვის საჭილდაო ქვად ქცეულა „მშვენიერისა“ და „ხალხისთვის სასარგებლოს“ ურთიერთშეთავსება. ბლოკის აზრით, ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრობლემის გარდა, თანამედროვე მწერლებმა უნდა იფიქრონ **საზოგადოებრივი დაკვეთის** შესრულებაზეც. ბლოკს მიაჩნია, რომ ის ხელოვანი, რომელიც შეძლებს ამ პრობლემის გადაჭრას, იმ მწვერვალს მიაღწევს, სადაც ტრადიციული, დაუძინებელი „მტრები“ – სილამაზე და სარგებლობის მოტანა – ერთმანეთს ხელს გაუნვდიან.

ამავე წერილში ალ. ბლოკი იმონებს ჰენრიკ იბსენს და მოაქვს მისი სიტყვები: „მაშ, რატომ ეძლევათ ხელოვანებს პოეტური ნიჭი? სწორედ იმისთვის, რომ პოეტური აღმაფრენით შთაგონებული სკალდების ბაგეთაგან გავიგონოთ ხალხის ბედნიერებისა თუ უბედობის შესახებ“ [ბლოკი 1970: 236].

როგორც ვხედავთ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კითხვები: რაში მდგომარეობს ხელოვნების დანიშნულება, რა ევალეა ჭეშმარიტ ხელოვანს – მხოლოდ რუსული კულტურის მოღვაწეებს არ აღელვებდათ. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის ძიებამ საზოგადოება ხელოვნების სოციოლოგიის კატეგორიამდე მიიყვანა, რომელსაც უნდა გამოეხატა მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივი მიმართულება. ხელოვნების სოციოლოგიის ახალი კატეგორია ლენინმა ჟურნალისტიკასთან მიმართებით შეიმუშავა წერილში „პარტიული ბეჭდვითი ორგანოების მიმართ“ [ლენინი 1960: 106]. მოგვიანებით მისი მოქმედების არეალი გააფართოვეს და ლიტერატურასაც მიუსადაგეს. ლენინმა გამოიყენა ჟურნალისტურ-ლიტერატურულ პროცესში უკვე არსებული ტერმინი, რომლის თანახმად, პარტიულობა გაგებულ იქნა, როგორც ჟურნალისტიკის სოციალური მიმართულება; თუმცა, მან აღნიშნულ ცნებაში ახალი შინაარსი ჩადო. ლენინის თანახმად, ხელოვანი მოვალეა, რომ **ლიტერატურა გახადოს ზოგადპარტიული, ზოგადპროლეტარული საქმის ნაწილად**. აღნიშნული იდეა, ცხადია, იმთავითვე დამღუპველია, რადგან თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ლიტერატურა შეიძლება მხოლოდ **ზოგადსაკაცობრიო საქმის ნაწილს წარმოდგენდეს** და, რა თქმა უნდა, არ უნდა ემსახურებოდეს ერთი რომელიმე პარტიის ინტერესებს.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გამოკვეთა ერთი საინტერესო ტენდენცია; საბჭოთა კულტურის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ არასასურველი პირობების მიუხედავად, ხელოვნება ძალზე პლასტიკური, მოქნილი აღმოჩნდა. მან საოცარი ადაპტაციის უნარი გამოამჟღავნა და სოციალიზმის პირობებშიც კი, შეძლო მაღალმხატვრული, ჭეშმარიტად ფასეული ნიმუშების შექმნა. კულტუროლოგები ამ ფაქტს შემდეგი გარემოებით ხსნიან: „ზოგადპროლეტარული საქმისადმი“ შემოქმედების დაქვემდებარების მოთხოვნა ორთოდოქსი კომუნისტების, ზოგჯერ კი დემაგოგების მიერ გაგებულ იქნა, როგორც „ზოგადსახალხო საქმისადმი“ დაქვემდებარების, მშრომელი ხალხის დაკვეთის შესრულების მოთხოვნა. ყოველ შემთხვევაში, ხელოვანს ჰქონდა უფლება, ასეთი ახსნა მიეცა თავისი შემოქმედებისთვის. რაც შეეხება ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ხალხთა მეგობრობის იდეებს, რომლებსაც



ნაწილობრივ დემაგოგიურად, ზოგჯერ კი რეალურად აღიარებდა საბჭოთა იდეოლოგია, ისინი საშუალებას იძლეოდნენ, რომ საერთო-სახალხო საქმე განხილულიყო ზოგადსაკაცობრიო პრინციპში.

XX საუკუნის ესთეტიკაში ტენდენციურობის იდეაზე საუბრისას აღსანიშნავია ჟან პოლ სარტრის მიერ შემოტანილი და დამკვიდრებული ხელოვანის „ანგაჟირებისა“ და „გადაბირების“ კატეგორიები, რომლებიც ახლოს დგანან სოციალური დაკვეთის იდეასთან. საინტერესოა, რომ ესპანურ ენაზე ფრანგულ სიტყვას “L’engagement” შეესატყვისება “Compromico”; ამდენად, გამოთქმა „ანგაჟირებული ხელოვნება“ ესპანურად ჟღერს, როგორც “Arte Comprometido”, ანუ ხელოვნება, რომელმაც თავის თავზე ვალდებულებები აიღო. ეგზისტენციალური ესთეტიკის ზემოაღნიშნული დებულებები, გარკვეულწილად, ეხმაურებიან წარსულის სოციალური განვითარებისთვის ისეთ მნიშვნელოვან და ტრადიციულ ცნებებს, როგორებიცაა მეცენატობა და პატრონატი.

ედმუნდ ჰუსერლიმ და მისმა ფენომენოლოგიურმა სკოლამ წინა პლანზე წამოსწიეს ინტენციონალურობის გნოსეოლოგიური კატეგორია, რომელიც გულისხმობდა შემეცნების წარმართვას სასურველი მიმართულებით. ლენინური ესთეტიკისგან განსხვავებით, ფენომენოლოგიას მხედველობაში აქვს შემეცნების წარმართვა არა სოციალურ, არამედ სუბიექტურ-პირადულ ასპექტში. ანალოგიურად, სუბიექტურ-პირადულ შინაარსს გულისხმობს „გააზრებული“ ფაქტის ფენომენოლოგიური იდეა. ამ შემთხვევაშიც შემეცნების აქტივობა რეალობასთან მიმართებით არის აღიარებული, მაგრამ, მარქსიზმის პოსტულატებისგან განსხვავებით ეს აქტივობა არ არის ნაკარნახევი პარტიული ინტერესებისათვის მსახურების ამოცანით.

ხელოვნების „ხელმძღვანელობისა“ და შემოქმედი ადამიანების „მფარველობის“ (მეცენატობის) იდეა არც თანამედროვე კულტურისთვის არის უცხო. ამას მოწმობს, თუნდაც, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯონ ჰოლოუეის, სამეცნიერო ნაშრომი „ხელოვნების ონტოლოგია და სოციალური ინჟინერია“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „თანამედროვეობის ისეთი სოციალური ფენომენი, როგორიც არის ხელოვნების პატრონატი ადგილობრივი ადმინისტრაციის ან ხელისუფლების მხრიდან, ბადებს უამრავ არტისტულ ინდივიდუალობას“ [ჰოლოუეი 1979: 492]. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ მეცენატობა ვრცელდება არა ყველაზე და არა ყველაწიანი ხელოვნებაზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რაც პატრონს მოსწონს.

„ინტენციონალურობა“ (ჰუსერლი), ხელოვანის „ანგაჟირებულობა“ და „გადაბირება“ (სარტრი), ფაქტის „გააზრება“ (ფენომენო-

ლოგია), „ხალხის სამსახური“ (იბსენი), „მწერლის მოვალეობა“ ხალხის წინაშე (ბლოკი), „სოციალური მიმართულება“ (XXს-ის დასაწყისის რუსული კრიტიკა), „ტენდენციურობა“ (მარქსი), „პარტიულობა“ (ლენინი), „სოციალური დაკვეთა“ (რაპპელები, ვულგარული სოციოლოგიზმი), „პატრონატი“, „მეცენატობა“ (ჰოლოუეი) – აი, არასრული ჩამონათვალი ტერმინებისა, რომლებსაც გვთავაზობს XX საუკუნის ფილოსოფია, ესთეტიკა, გნოსეოლოგია. თითოეული მათგანი განსხვავებული დოზით უსვამს ხაზს სუბიექტურობის როლს რეალობის აღქმასა და გაგებაში, შემოქმედებით გააზრებაში. არსობრივად, ზემოაღნიშნული ტერმინები ახლოს დგანან ერთმანეთთან. თუმცა, ზოგიერთ მათგანში სოციალური პასუხისმგებლობა და შემოქმედის სოციალური მოვალეობა იკვეთება როგორც საზოგადოების, ხალხის, კლასის მიერ ხელოვანზე დაკისრებული, თავსმოხვეული სულიერი კონტრიბუცია.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პროპაგანდისა და აღმზრდელი მუშაობის ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ შემოქმედებით ინტელიგენციაში პარტიულობის პრინციპი რაღაც მორალური პოსტულატის მსგავს შინაგან იმპულსად გადაექციათ, რომელიც, სინდისისა და მოვალეობის გრძნობების მსგავსად, „შიგნიდან“ წარმართავდა ხელოვანის შემოქმედებით მუშაობას. არსებითად, ეს უნდა ყოფილიყო „შინაგანი ცენზორი“, პიროვნებაში ჩანერგილი „შინაგანი რედაქტორი“. ტოტალიტარიზმის ეპოქაში სახელმწიფო შემოქმედის შეგნებაში „შინაგანი რედაქტორის“ ჩანერგვას ცდილობდა პროპაგანდის, ტაბუირებული ნაწარმოებების აკრძალვის, დაპატიმრებებისა და გადასახლებების საშუალებით. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, პარტიულობის ლენინური პრინციპისა და შემოქმედის სოციალური მოვალეობის და, მეორე მხრივ, შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპების ურთიერთშეთავსება. წარმოდგენილია შემოქმედებით თავისუფლებაზე საუბარი იმ პირობებში, როდესაც არსებობს სოციალური იმპერატივი; როდესაც გარე ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ ხელოვანის შეგნებაზე; როდესაც „მოაზროვნე თავში“ ჩანერგილია შინაგანი ცენზორი (თუ რედაქტორი).

მხატვრული კომუნიკაციისა და რეცეფციის თეორიის თანახმად, მწერლისა და მკითხველის ცხოვრებისეული გამოცდილების ურთიერთქმედება მხატვრული ნაწარმოების საშუალებით ხდება. მწერლის გამოცდილებას, ისევე როგორც მკითხველის გამოცდილებას, საკუთარი სოციალური ვექტორი აქვს. პარტიულობის პრინციპი გულისხმობს არა მარტო მწერლის შემოქმედების, არამედ მკითხველისა და

კრიტიკის მიერ მხატვრული ტექსტის აღქმისა და ინტერპრეტაციის გაკონტროლებას. ლევ ტროცკის (ლევ ბრონშტეინის) შეხედულებების განხილვა ლენინის შემდეგ, შესაძლოა, ერთი შეხედვით, უჩვეულოც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ლიდერების მიერ ტროცკის დავინყებულმა თუ აკრძალულმა ნაშრომებმა სინამდვილეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსაზღვრა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის კულტურის პოლიტიკა. ლევ ტროცკიმ საბჭოთა პარტიული მოღვაწისთვის საკმაოდ უჩვეულო ცხოვრებისეული გზა განვლო. იგი იყო მხედართმთავარი და პარტიული ხელმძღვანელი, მსოფლიო რევოლუციის ფანატიკოსი და ყაზარმული სოციალიზმის იდეოლოგი, სტალინური ტირანიის მოწინააღმდეგე და ქვეყნის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი. მექსიკაში გადახვეწილი, იგი საბჭოთა უშიშროების დაკვეთით მოკლეს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ტროცკის სახელს ტაბუ მოეხსნა და მისი ნაშრომების გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ დაინტერესებულ მკვლევრებს, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეებს.

საინტერესოა, რომ ხშირად სწორედ ტროცკისგან მომდინარეობდა სერიოზული ინიციატივა, რომელიც შემდგომში განსაზღვრავდა მწერლებსა და სხვა ხელოვანებზე ხელისუფლების ორგანოების ზემოქმედების კონკრეტულ ფორმებს. მაგალითად, 1922 წლის 30 ივნისს ტროცკიმ პოლიტბიუროში გაგზავნა წერილი – „ახალგაზრდა მწერლების, მხატვრებისა და სხვათა შესახებ“. დოკუმენტში ეწერა, რომ ბოლშევიკები თავიანთი არათანმიმდევრული, არასწორი პოლიტიკის გამო კარგავდნენ იმ ახალგაზრდა მწერლებსა და მხატვრებს, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიმპათიებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ; „არავითარი, ან თითქმის არავითარი ყურადღება მათ არ ეთმობათ, თუ არ ჩავთვლით ცალკეული საბჭოთა მუშაკების მხრიდან მათდამი შემთხვევით, წმინდა კუსტარული გზით გამოვლენილ ყურადღებას. მატერიალური თვალსაზრისითაც, ნიჭიერ, რევოლუციურად განმსჭვალულ მწერლებსაც ჩვენ ვუბიძგებთ ბურჟუაზიული, ჩვენდამი მტრულად განწყობილი გამომცემლობებისკენ, სადაც ახალგაზრდა პოეტები იძულებულნი ხდებიან, დამალონ ჩვენდამი სიმპათიები. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენელებთან ყურადღებიანი, ინდივიდუალური და მოკიდებულების დამყარება“. [დოკუმენტები 2002: 36]. უნდა აღინიშნოს, რომ ტროცკის წინადადება ჯეროვნად გაცნობიერეს პარტიული ელიტის წარმომადგენლებმა და იგი მოკლე ხანში იქნა განხორციელებული. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ

ტროცკის წერილში, არსებითად, მოცემულია პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის (მომავალში – კავშირის) კონტურები. როგორც შემდგომმა ცხოვრებამ გვიჩვენა, აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები მორალურად, მატერიალურად და ცხოვრებისეული თვალსაზრისითაც დამოკიდებული იყო მმართველ პარტიაზე და ახორციელებდა იმ კულტურულ პოლიტიკას, რომელსაც მას უკვეთავდნენ.

ტროცკის ძირითადი ნაშრომი ესთეტიკისა და კრიტიკის შესახებ – „ლიტერატურა და რევოლუცია“ – გამოქვეყნდა 1923 წელს. იგი მოიცავს 1907-1923 წლების შრომებს. მართალია, აღნიშნული წიგნი არ წარმოადგენს ერთიან მონოგრაფიას, მაგრამ მისი სტრუქტურა ავტორის მიერ არის განსაზღვრული. ცხადია, აღნიშნულ წიგნში (რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „აკრძალული ლიტერატურის“ კატეგორიაში შედიოდა) ტროცკი არ გვევლინება აკადემიურ მკვლევრად. წიგნში არ არის წარმოდგენილი ავტორის ესთეტიკური სისტემა, აშკარად იგრძნობა ესთეტიკური პროფესიონალიზმის ნაკლებობა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ტროცკის არ აქვს ლიტერატურული პროცესის დაყოფის ერთიანი პრინციპი; მისთვის ხან პოლიტიკური კრიტერიუმებია ამოსავალი („თანამგზავრები“, „გლეხუჭები“), ხანაც – წმინდა მხატვრული (რეალისტები, სიმბოლისტები, ფუტურისტები). ტროცკის წერილებში გვხვდება არაერთი შაბლონი, რომელიც ნაკარნახევია კლასობრივი ფანატიზმითა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და კულტურის მიმართ აგებული დამოკიდებულებით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ზოგიერთი პარტიული თეორეტიკოსისგან განსხვავებით, ტროცკიმ მოგვიანებით აღიარა თავისი შეცდომები.

ტროცკის თეორიული შეხედულებები ჩამოყალიბდა ჰეგელისა და მარქსის იდეათა ზეგავლენისა და არისტოტელეს, პლატონის, კანტისა და კიერკეგორის ფილოსოფიურ-ესთეტიკური სკოლების სრული იგნორირების პირობებში. აქედან გამომდინარე, მის თეორიულ შეგნებას, რა თქმა უნდა, ვულგარული სოციოლოგიზმის დაღი აჩნევია. აქვე შევნიშნავთ, რომ ვულგარული სოციოლოგიზმი თითქმის მთელი „რევოლუციური“ კრიტიკისა და ესთეტიკის პანდემიურ სენს წარმოადგენს. ტროცკიმ ყურადღებით შეისწავლა მარქსი და თავის თეორიულ მოსაზრებებით ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად იქცა რევოლუციამდელ ნააზრევში ერთმანეთს დააკავშირა მარქსისტული ხელოვნებათმცოდნეობითი აზრი და 1930-1950-იანი წლების ვულგარულ-სოციოლოგიური თეორიები; კერძოდ, საბჭოური ესთეტიკის განვითარების ისტორიულ ჯაჭვში მისი იდეები წარმოადგენს დამაკავში-

რებელ რგოლს პლეხანოვის სწავლებასა და ჟდანოვის დადგენილებებს შორის.

სტალინ-ჟდანოვის „რევოლუციური ესთეტიკის ნათესაობა“ ტროცკისთან, უპირველეს ყოვლისა, მჟღავნდება ხელოვნებისადმი ვულგარულ-სოციოლოგიურ, კლასობრივ მიდგომაში; ნაწარმოების მხატვრული შინაარსის გათანაბრებაში მის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ეკვივალენტთან; ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის უარყოფაში. ამასთან ერთად, იმდენად თვალშისაცემია სტალინისა და ტროცკის პოსტულატების მსგავსება, რომ ზოგჯერ რთულია პირველწყაროს დადგენა. მაგ.: გამონათქვამები „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“; „ხელოვნებაში მთავარია მისი შინაარსი და პოლიტიკური ორიენტაცია“; „მწერლები ფასდებიან მხოლოდ ერთი კრიტერიუმით – რევოლუციის „მომხრე“ თუ „მონინალმდეგე“ და სხვა. ასევე, „სტალინურად“ ჟღერს ტროცკის გამონათქვამი „ადამიანის გადადნობასთან“ (переплавка человека) დაკავშირებით.

ტროცკი, პრინციპში, იზიარებს ლენინის შეხედულებას ყოველ ეროვნულ მემკვიდრეობაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. ტროცკის თანახმად, ეროვნულისა და კლასობრივის განვითარების დინამიკა ერთმანეთს ემთხვევა. ყველა კრიტიკულ ეპოქაში ერი ორად იყოფა და ასეთ სიტუაციაში ეროვნულად ისინი უნდა შეირაცხონ, ვისაც ხალხი, სამეურნეო და კულტურული თვალსაზრისით, უფრო მაღალ საფეხურზე აყავს. თავის მხრივ, ერთი ხალხის შემადგენლობაში ორი ერის გამოყოფის თეორია რომაული სამართლიდან მომდინარეობს. აღნიშნული თეორიის ვულგარულ-სოციოლოგიური გზით განვითარებას მივყავართ იქამდე, რომ თავადაზნაურული კულტურა (რუსულ სინამდვილეში – პუშკინი, ტოლსტოი, ტურგენევი და სხვ.; ქართულ სინამდვილეში – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.) არ მოიაზრება ეროვნული კულტურის ნაწილად.

ტროცკის პოზიცია ხელოვნებისადმი პარტიის დამოკიდებულებისა სრულად გაცხადდა რკპ(ბ)-ის ცკ-ს ცნობილ დადგენილებაში ლიტერატურის სფეროში პარტიის პოლიტიკის შესახებ (1925). მოგვიანებით, სტალინი და ჟდანოვი ტროცკის პრინციპებს უარყოფენ და კულტურის პოლიტიკას გაამკაცრებენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ არც ტროცკის კულტურული პოლიტიკის იდეალიზაციის მომხრე ვართ; უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა პუბლიკაციები და სამეცნიერო მონოგრაფიები, რომლებშიც ტროცკის კულტურულ პოლიტიკას მაღალ შეფასებას აძლევენ, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია. ტროცკის

წერილებში გვერდიგვერდ გვხვდება, ერთი მხრივ, ხელოვნების სპეციფიკურობის გათვალისწინების სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, საკმაოდ მკაცრი გამონათქვამები. იგი წერს: „არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებსაც უშუალოდ პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს. არსებობს სფეროები, რომლებსაც პარტია აკონტროლებს და ეხმარება. არსებობს სფეროები, რომლებსაც იგი მხოლოდ ეხმარება. დაბოლოს, არსებობს სფეროები, სადაც მას მხოლოდ ორიენტირებზე მინიშნება შეუძლია. ხელოვნების სფერო არ განეკუთვნება იმ დარგს, სადაც პარტიამ განკარგულებები უნდა გასცეს. პარტიას შეუძლია და კიდევაც უნდა მოაქციოს ხელოვნება გარკვეულ ჩარჩოებში, უნდა დაეხმაროს მას და გარკვეული დოზით, უნდა უხელმძღვანელოს კიდევ. პარტიას შეუძლია და კიდევაც უნდა გასცეს ნდობის მანდატი იმ მხატვრულ დაჯგუფებებზე, რომლებიც ისწრაფვიან რევოლუციისკენ, რომელთაც შეუძლიათ რევოლუციის მხატვრული გაფორმება. მაგრამ პარტია არ უნდა დადგეს და არც დადგება რომელიმე ლიტერატურული წრის გვერდით, რომელიც უბრალოდ ექიშპება სხვა, მის კონკურენტ, ლიტერატურულ დაჯგუფებას.” [ტროცკი 1991: 171]. ტროცკი ამკაცრებს ლენინის შეხედულებას და მიიჩნევს, რომ მმართველმა პარტიამ პერმანენტულად უნდა აკონტროლოს ლიტერატურული პროცესები: „სრულიად ნათელია, რომ ხელოვნების სფეროში პარტია ვერც ერთი დღით ვერ დაუშვებს ლიბერალურ პრინციპს: “Laisser faire, Laisser passer” (დართეთ ნება მოვლენებს, თავიანთი გზით იარონ) [ტროცკი 1991: 172]. მოგვიანებით ტროცკი დაწერს, რომ პარტიას ამაჟამად არ გააჩნია არავითარი „მზა რეცეპტები“ ლექსთწყობის ფორმებთან, სალიტერატურო ენის განახლებასთან ან თეატრალური ხელოვნების ევოლუციასთან დაკავშირებით, თუმცა იმედოვნებს, რომ ასეთი დირექტივები უახლოეს მომავალში შემუშავდება.

ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდოლოგიის სფეროში ტროცკი, ძირითადად, შემოიფარგლა ფორმალისტური სკოლითა და ვულგარული სოციოლოგიზმით; რა თქმა უნდა, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. ტროცკი არ იზიარებდა ფორმალისტების შეხედულებებს. მართალია, იგი ხელაღებით არ უარყოფდა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის საჭიროებას, თუმცა, დიდ მნიშვნელობასაც არ ანიჭებდა მას. ტროცკი ვერ აცნობიერებდა, რომ ხელოვანი აზროვნებს სტილის, ფორმის საშუალებით და რომ მხატვრულობა მხოლოდ სახეობრივი აზროვნების ფორმას კი არ წარმოადგენს, არამედ მის ესთეტიკურ შინაარსსაც. ზოგჯერ ტროცკი ცდილობდა ვულგარულ-სოციოლოგიური უკიდურესობების გადალახვას და აცხადებდა, რომ რევოლუციური ხელოვნება არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აღწერო ფაბ-

რიკის მიღები და მუშათა ცხოვრება. თუმცა, ასეთი გამონათქვამები მხოლოდ ერთეულია.

უდავოა, რომ ტროცკი ყურადღებით გაეცნო ფორმალისტური სკოლის წარმომადგენელთა ნააზრევს. ამას ადასტურებს მის მიერ წიგნში ციტირებული ფრაზები: „ხელოვნება ყოველთვის თავისუფალი იყო ყოფისგან და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალაქის ციხესიმაგრის თავზე მოფრიალე ალმის ფერს“, „პოეზია წარმოადგენს ფასეული სიტყვების გაფორმებას“, „თუკი არსებობს ახალი ფორმა, შესაბამისად, არსებობს ახალი შინაარსიც. აქედან გამომდინარე, ფორმა განაპირობებს შინაარსს“. ეს ფრაზები აღებულია ვ. შკლოვსკის, რ. იაკობსონის, ა. კრუჩონიხის თხზულებებიდან. ზემოთქმულის მიუხედავად, ტროცკიმ ვერ განჭვრიტა ფორმალისტური სკოლის ძლიერი მხარეები, თუმცა, აღიარებდა, რომ „ერთადერთი თეორია, რომელიც საბჭოთა ნიადაგზე ამ წლების განმავლობაში უპირისპირდებოდა მარქსიზმს, არის ხელოვნების ფორმალისტური თეორია“ [ტროცკი 1991: 132].

ფორმალიზმისა და მარქსიზმის პირდაპირი კონფრონტაციის იდეა კარგად აითვისა ეპოქის ლიტერატურულმა და პოლიტიკურმა ცნობიერებამ და მოგვიანებით, სტალინის დროს, კულტურული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში ფორმალისტების ლიტერატურულ-კრიტიკული სკოლა განადგურებულ იქნა. სამწუხაროდ, უარყოფილ იქნა ფორმალისტური მეთოდოლოგიის ყველა ის რაციონალური მომენტი, რომელზეც მოგვიანებით აღმოცენდა *სტეჟუქუჩაძე*. ამ უკანასკნელმა კი, როგორც ცნობილია, 1960-1970-იანი წლებიდან წამყვანი პოზიცია დაიკავა ლიტერატურათმცოდნეობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ტროცკის ისტორიული ოპტიმიზმი ახასიათებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მომავალი ანმეოსა და წარსულზე უკეთესი იქნებოდა, რადგან იგი გაითვალისწინებდა და აღარ გაიმეორებდა დაშვებულ შეცდომებს და „უფრო ბრძენი და ძლიერი გახდებოდა“. ამიტომაც პროლეტარული ინტელიგენციის უახლოეს ამოცანად ტროცკის ესახებოდა არა ახალი კულტურის ფორმირება, არამედ ჩამორჩენილი მასების მიერ ძველი კულტურის გეგმიურად, კრიტიკულად ათვისება, გათავისება. ტროცკის აზრით, მხოლოდ ამგვარი გზით მოხერხებოდა ხიდის გადაბა ძველსა და ახალს შორის. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ტროცკის მოსაზრებები **პროლეტკულტელების თაობაზე**. როგორც ცნობილია, პირველი პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები რუსეთში 1917 წელს გაჩნდა. მოგვიანებით, განათლების სახკომის, ა. ლუნაჩარსკის ინიცი-

ათივით, ისინი გაერთიანდნენ სრულიად რუსეთის პროლეტკულტად. „ხელოვნების კლასობრიობის“ თეორიიდან გამომდინარე, ზოგიერთი თეორეტიკოსი (მაგ., ა. ბოგდანოვი და სხვ.) ცდილობდა, ხელი შეეწყოს ინდუსტრიულ „ბაზისზე“ კულტურის, როგორც საზოგადოებრივი „ზედნაშენის,“ შექმნისთვის. ახალი კულტურა, რომლის მატარებლად მშრომელთა კლასი გამოდიოდა, მთლიანად უნდა ჩანაცვლებოდა ძველ, ბურჟუაზიულ კულტურას. ახალი კულტურა პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო. 20-იანი წლებისთვის პროლეტკულტი გადაიქცა მასობრივ ორგანიზაციად, რომელიც აერთიანებდა 80 000-მდე მუშას, ჰქონდა საკუთარი 20-მდე ჟურნალი და სისტემატურად გამოსცემდა პროლეტკულტელი პოეტების კრებულებს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოშიც კომუნისტური პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის დასაყრდენ, საიმედო ორგანიზაციას წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. გამოდიოდა ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ქურა“, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ პროლეტარული პოეტები: ს. ეული, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი და სხვები. მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები საკმაოდ მოკრძალებული იყო და ხასიათდებოდა წერის მკვეთრად გამოხატული პლაკატური მანერით. მოგვიანებით მათ რიგებს შეუერთდნენ ახალი თაობის პროლეტარული მწერლები: ა. მირცხულავა, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. კალაძე და სხვები. ისინი ასპარეზზე გამოვიდნენ თავიანთი ბეჭდვითი გამოცემებით „პროლემადი“ (პროლეტარული ლიტერატურის ახალი ფრონტი), „დარიალი“ და სხვ., შემდეგ კი თანამშრომლობა დაიწყეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანოში „პროლეტარული მწერლობა“).

სწორედ ზემოთ ნახსენები პროლეტკულტის ამოცანად მიიჩნევა და ტროცკი მუშათა კლასში კულტურული დონის ამაღლებას. მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ პროლეტარმა მწერალმა კარგად უნდა აითვისოს პუშკინი, რათა მასზე უკეთ წეროს. თუმცა, პარტიული ლიდერები არათანმიმდევრულები იყვნენ კულტურის პოლიტიკაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, ერთი მხრივ, ტროცკი (ლენინის მსგავსად) აკრიტიკებდა პროლეტკულტელებს იმის გამო, რომ ისინი ხელალებით უარყოფდნენ წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო, მეორე მხრივ, არ ეწინააღმდეგებოდა ლენინის ინიციატივას „დიდი თეატრის“, როგორც „თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კულტურის ნამსხვრევის“, დახურვის თაობაზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ლენინს წინააღმდეგობა აღუწარსკიმ გაუწია.



აღსანიშნავია, რომ ტროცკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შენიშნა, რომ 1917 წლის შემდეგ განვითარებას იწყებს ე. წ. გარდამავალი კულტურა, რომელიც დაკავშირებულია რევოლუციურ ცვლილებებთან, მაგრამ რევოლუციურ კულტურას არ წარმოადგენს. ტროცკიმ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში რამდენიმე პლასტი გამოყო: ა) არარევოლუციური ლიტერატურა და მასთან ახლოს მყოფი ფუტურიზმი, როგორც ძველი ლიტერატურის გადმონაშთი; ბ) საბჭოთა „გლეხური“ ლიტერატურა; გ) პროლეტარული ხელოვნება, რომელიც ჯერ „მონაფეოების პერიოდშია“ და ახალი კლასისთვის ძველი მიღწევების ასიმილირებით არის დაკავებული; დ) სოციალისტური ხელოვნება.

ტროცკი არარევოლუციურ ლიტერატურაში მთავარ კონფლიქტად რევოლუციასა და ინტელიგენციას შორის არსებულ დაპირისპირებას მოიაზრებდა და თვლიდა, რომ „დიადმა ოქტომბერმა“ საბოლოოდ დაასამარა ეს უკანასკნელი. აღნიშნულმა თვალსაზრისმა მყარად მოიკიდა ფეხი პარტიულ წრეებში და, გარკვეულწილად, განსაზღვრა ყველა ის უბედურება, რომელიც შემდგომში თავს დაატყდა ინტელიგენციას, ზოგადად, კულტურასა და, საბოლოო ჯამში, პარტიასაც. ტროცკი ისტორიულ სამართლიანობად მიიჩნევდა ერთიანი კულტურული პროცესიდან ხელოვანთა იმ თაობის „ამოშლას“, რომელიც რევოლუციამ „ხერხემალში გადატეხა“ (იგულისხმება XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერლები). ტროცკის აზრით, დეკადანსი და სიმბოლიზმი პიროვნების ბურჟუაზიული ინდივიდუალიზების ნაყოფს წარმოადგენენ; თავად პარტიული ბელადი კი კოლექტიური ყოფის მომხრეა. დღესდღეობით ყველასთვის ნათელია, რომ ინდივიდუალიზება პიროვნებისთვის, შემოქმედისთვის აუცილებელი პროცესია, რომლის გარეშე ინდივიდი უსახო ხდება. რაც შეეხება შემოქმედთა „კოლექტივიზაციას“ და ხელოვნების ნიველირებას – მისი მძიმე შედეგები სოციალისტური ბანაკის მწერლებმა და ხელოვანებმა თავიანთ თავზე ინვნის.

ახალი ეპოქის კულტურასა და ესთეტიკაზე მსჯელობისას ტროცკისთვის ამოსავალი იყო პოსტულატი, რომ ახალი კულტურა უნდა შეიქმნას მათ მიერ, ვინც ეპოქის მაჯისცემით ცხოვრობს. ლიტერატურაზე მსჯელობისას ტროცკი აზროვნებს არა ესთეტიკური, არამედ პოლიტიკური კატეგორიებით. სწორედ მან შემოიტანა არაესთეტიკური ტერმინები (მაგ., „კადეტები“, „მოტმასნილები“, „თანამგზავრები“ და სხვ.), რომლებიც ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრდა საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკაში. კერძოდ, მისი თანამედროვე სალიტერატურო პროცესის დახასიათებისას ტროცკი „თანამგზავრებს“ უწოდებს იმ ლიტერატორებს, რომლებმაც ვერ შეძლეს კომუნისტური

იდეალების ბოლომდე გათავისება. „თანამგზავრებთან“ დაკავშირებით ყოველთვის მებადება კითხვა: რომელ სადგურამდე?“ – წერდა ტროცკი. ამ კითხვაზე ცხოვრებამ ტრაგიკული მოვლენებით უპასუხა, რადგან ის მწერლები, რომლებიც ინდივიდუალობას ინარჩუნებდნენ და მმართველი პარტიის მორიგ სისულელეს ხოტბას არ ასხამდნენ, „1937 წლის“ სადგურს ვერ გასცდნენ (რუსეთში – ნ. გუმილიოვი, ო. მანდელშტამი, ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი და სხვ., საქართველოში – მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტროცკის არ შეუქმნია ერთიანი სამეცნიერო ესთეტიკური სისტემა. მან ჩამოაყალიბა პოლიტიკურ სიტუაციაზე გათვლილი ნორმატიული სისტემა, რომელიც ემსახურებოდა ხედოვნებაზე პაჩგიის ზემოქმედების მიზნებს. ტროცკის იდეები ეხმაურება ლენინის სწავლებას ხედოვნებასა და ლიტერატურაში პარტიულობის შესახებ. სწორედ ლენინისა და ტროცკის შემოთავაზებულმა პრინციპებმა პოვა შემდგომი განვითარება სტალინური კულტურის პოლიტიკაში.

### ლიტერატურა:

- ბლოკი 1970:** Блок А., Избранные произведения, Ленинград, 1970;
- ბორევი 2008:** Боров Ю., Социалистический реализм: Взгляд современника и современный взгляд, Москва, 2008;
- დოკუმენტები 2002:** Записка Л. Д. Троцкого в Политбюро ЦК РКП (б) о молодых писателях и художниках // Власть и художественная интеллигенция. Документы ЦК РКП (б), ВЧК-ОГПУ-НКВД о культурной политике. 1917-1953. Москва, 2002;
- ისტორია 1995:** История русской литературы XX век., Серебряный век, Москва, 1995;
- ლენინი 1960:** Ленин, Полное собрание сочинений, Том 12, Москва, 1960;
- ტროცკი 1991:** Троцкий Л., Литература и революция, Москва, 1991;
- ჰოლოუეი 1979:** Holloway J., Art Ontology and Social Engineering//New Literary History.Vol.10.N.3.

## **Mariam Miresashvili**

### **From the Idea of a Utilitarian Attitude towards Art to the category of Partisanship**

#### **S u m m a r y**

The latter implied that the literature expressed only the interests of Communist Party and not of the entire society. Soviet literature was developing in the atmosphere of Party dictatorship. Formally the literary policy was conducted by the Unity of Soviet Writers but in reality, by Party officials.

The Union of Soviet Writers just implemented the instructions and orders issued by Party. All writers and literary critics were obliged to conduct the official artistic credo of socialist realism in their creative works, follow Marxist-Leninist doctrine, direct literary life in the spirit of theoretical postulates of Lenin's article "Party organization and party literature". Party controlled the publishing houses and printed media, interfere in the issues of determination of the form and content of art works, planned main trends of literature and the arts which were reflected in the resolutions issued by the Central Committee.

### **საბა მეტრეველი**

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 22-ე გამოცემის მთავარი სირთულე**

1907 წელს იაკობ გოგებაშვილმა „დედაენის“ 22-ე გამოცემაზე დაიწყო მუშაობა. დიდი რუდუნებით კრებდა და ამუშავებდა ახალ მასალებს, შეარჩია პატრიოტულ თემაზე დანერგილი ორი ლექსიც: იოსებ ბაქრაძისა და დუტუ მეგრელისა.

იოსებ ბაქრაძის „მე ქართველი ვარ“ 1875 წელს „დროების კალენდარში“ გამოქვეყნდა (გვ. 15-16) ი. ელაქაძის ფსევდონიმით. ლექსის თარიღად 1873 წელია მითითებული. 1938 წელს გამოცემულ იოსებ ბაქრაძის ერთადერთ კრებულში (სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით) ლექსი ასე იკითხება:

„მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო  
 ორ ზღვას შუაა გადაჭიმული;  
 თუმცა პატარაა, მაგრამ ბუნებით  
 ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.  
 მის დიდროვანი მაღალი მთები  
 შეხეთ, თითქოს ცას ებჯინებიან  
 და იქიდანა ტურფა ქვეყანას  
 ამაყურათა თავს დასცქერიან:  
 მე ქართველი ვარ! მთლად ქართველობა  
 რაღაც ღრმა ძილში არის ჩაფლული  
 და მამულისთვის არა ღელდება  
 გაქვავებული იმისი გული!  
 როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარს ყოფას,  
 სული და გული კვნესას დამინწყებს,  
 მაგრამ იმედი, ისევ იმედი  
 სულით მაშვრალსა მარად მამხნევებს.  
 მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე  
 წავა, გაივლის ეს დრო ძილისა  
 და დღესა თუ ხვალ, უეჭველათა,  
 გამობრწყინდება მზე მომავლისა.  
 მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარით:  
 ან რალა არის კაცი ქართველი?  
 ის იმყოფება სიბნელეშია  
 და თვალებს სჭვალავს დღისა ნათელი.  
 აქ აღარ ისის ხმა ცხოვრებისა,  
 მის შიშით მტრები აღარა თრთიან  
 და თვითონ ჩვენი ღვიძლი მოძმენი  
 სოცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!“

როგორც სოლომონ ყუბანეიშვილი განმარტავს, ცენზურას ამო-  
 უგდია ლექსის ბოლო სტროფის მეორე ტაეპი [ბაქრაძე 1938: 4]: „**მის  
 შიშით, მტერნი აღარა თრთიან**“, რომლის ნაცვლად წერტილებია  
 დასმული.

1901 წლის ოქტომბრის ჟურნალ „ჯეჯილში“ (N10) დაიბეჭდა დუტე  
 მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) 5-სტროფიანი ლექსი „პატარა ქარ-  
 თველი“ (გვ. 3-4):

„მე პატარა ქართველი ვარ,  
 კაკკასიის მთების შვილი  
 და განცხრომით სხვაგან ყოფნას  
 მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამგრელო -  
ყველა ჩემი სამშობლოა,  
საყვარელი საქართველო.  
ქვეყნის თვალი - ეს ქვეყანა  
ღვთის მშობლისა არის წილი;  
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია  
და უნახავს ბევრიც ტკბილი:  
ხან თუ მტრები აოხრებდა,  
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის;  
ბრწყინვალე დროც დასდგომია,  
დრო დავითის და თამარის!..  
მე პატარა ქართველი ვარ,  
სახელოვან ერის შვილი  
და მსურს, მერგოს სასახელო  
მეც სიცოცხლე სიამ-ტკბილი“.

ჟურნალის რედაქციამ (რედაქტორი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა) პოეტის სიტყვები: „და მსურს, მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი“ ამგვარად შეცვალა: „და მსურს, მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე სიამ-ტკბილი“. ტაეპის ასეთ ჩასწორებას კატეგორიულად არ იღებდა დუტუ მეგრელი, მაგრამ თავდაპირველი ვერსია ლექსისა მაინც ამგვარად გავრცელდა.

დუტუ მეგრელის ლექსის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი იაკობ გოგებაშვილმა, როდესაც 1907 წელს „დედა ენის“ საკითხავი წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდა ამ ლექსის ერთი სტროფით შემოკლებული ვარიანტი (გვ. 224). იაკობ გოგებაშვილმა შეცვალა ლექსის ფორმა, გააერთიანა სტროფები და ამოიღო მხოლოდ ერთი სტროფი:

„ქვეყნის თვალი – ეს ქვეყანა  
ღვთის მშობლისა არის წილი;  
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია  
და უნახავს ბევრიც ტკბილი“.

„დედაენისეულ“ რედაქციაშიც ლექსის ფინალი ისეთივე დარჩა, როგორიც დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“.

1907 წლამდე გამოცემული „დედაენის“ არცერთ რედაქციაში არც იოსებ ბაქრაძისა და არც დუტუ მეგრელის ლექსები შეტანილი არ არის. როგორც ირკვევა, „დედაენის“ 1907 წლის 22-ე გამოცემაზე მუშაობის პერიოდში იაკობ გოგებაშვილი დადგა არჩევნის პირისპირ: მას

საკითხავ ნაწილში უნდა შეეტანა ან იოსებ ბაქრაძის „მე ქართველი ვარ“, ან დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“. ორი მიზეზი არსებობდა გადანყვეტილების მისაღებად: პირველი – მეგრელი ავტორების ნახალისება და მათი ბუნებრივი ჩართულობის ხაზგასმა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში და მეორე, ალბათ, ნიჭის ფაქტორი, რომლის მთავარი განმსაზღვრელი, მხატვრულ დონესთან ერთად, ლექსის სპეციფიკა, კერძოდ, მისი საბავშვო ხასიათიც უნდა ყოფილიყო – ყმანვილთათვის ადვილად დასამახსოვრებელი და დასასწავლი სწავლების პირველსავე ეტაპზე.

ავტორები ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდნენ ნებისმიერ ჩარევას და ბუნებრივი პროტესტი გაუჩნდა დუტუ მეგრელსაც. 1907 წლის ჟურნალ „ნიშადურის“ 10 აპრილის 38-ე ნომერში (გვ. 10-11) მან დაბეჭდა „შენიშვნა“, რომელშიც განმარტა: „ჯეჯილში“ „და სიკვდილის“ მაგიერ დაბეჭდილია „სიამ-ტკბილი“, თუმცა მე პირადად თანახმა არა ვარ ამისთანა შესწორებისა. ამის გარდა, პოეტმა გააპროტესტა ისიც, რომ „დედაენაში“ მისი ლექსი მოთავსებული იყო სხვა „ამერ-იმერ ქართველთა სიმღერებს“ შორის და, რომ მესამე სტროფი გამოტოვებული იყო, რაც, მისი აზრით, „ლექსს თუ არ ახდენს, არაფერს მატებს“. ამას გარდა, დუტუ მეგრელი გულისწყვეტით წერდა იმის შესახებაც, რომ „სარჩევში, სადაც ავტორები ჰყავს აღნიშნული ბ. გოგებაშვილს, ამ ლექსის ავტორზე ხმას არ იღებს და გამოდის, მის წინასიტყვაობასთან მინაწერ შენიშვნის მიხედვით, რომ ეს ლექსიც ან თავად ბ. იაკობს უნდა ეკუთვნოდეს, ან ხალხური უნდა იყოს“. დუტუ მეგრელის წერილი მთავრდება მრავლისმთქმელი ემოციური ფრაზით „ეს სრული აბუჩად აგდებაა მწერლისა!“ [მეგრელი 1907: 11].

„შენიშვნას“ მაშინვე გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი და ამავე ჟურნალის 42-ე ნომერში დაბეჭდა საპასუხო წერილი სათაურით „უცნაური ბრალდება (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს)“ (გვ. 5-6). ის განმარტავს, რომ „დედაენის“ 22-ე გამოცემის (იგულისხმება 1907 წლის გამოცემა) გეოგრაფიულ ნაწილში დაიბეჭდა სამი ლექსი სამშობლოს სიყვარულის შესახებ, რომელთაგან ორი ხალხურია, ხოლო მესამე დუტუ მეგრელს ეკუთვნის: „არცერთს ამ ლექსთაგანს თავისი საკუთარი სათაური არა აქვს. ყველას წინ მიუძღვის საერთო სათაური „ამერ-იმერთა ქართველთა სიმღერები“ [გოგებაშვილი 1907: 5]. იაკობ გოგებაშვილი ასახელებს ორ მიზეზს, თუ რატომ დაარქვა „სიმღერები“:

1. ლექსები გამოთქმულნი არიან სიმღერის კილოზედ;
2. გვნადდა, მასწავლებლებისათვის ჩაგვეგონებინა, რომ ეს ლექსები, სავსე მხურვალე ეროვნული გრძნობით, არა მარტო წაეკითხებინა მოსწავლეთათვის, არამედ ზეპირად დაესწავლებინა

**და ემღერებიანთ, რათა უკეთესად გამსჭვალულიყვნენ შიგ დამარ-  
ხული ეროვნული გრძნობით.**

იაკობ გოგებაშვილი განმარტავს იმ მიზეზებსაც, თუ რატომ ვერ მოხერხდა ავტორის მითითება („საერთო სახელს ვერ მივუყენეთ ავტორები, ცალკე სახელები კი წიგნის ტექსტში არ მოიპოვებოდა“), თუმცა პირობას იძლევა, რომ შემდეგ გამოცემებში ეს ლაფსუსი გასწორდება. აქვე ის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხება: **„ბ-ნი დუტუს დაუსახელებლობა ჩვენ სანანურად და სამწუხაროდ დაგვრჩა ერთის გარემოების გამო. მოგეხსენებათ, რომ ქართველის ერის მტრები ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ სამეგრელო საქართველოს მოსწყვიტონ, სამასი ათასი მეგრელით შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერთი დიდი ლუკმა ორ პატარა ლუკმად აქციონ, ადვილად გადაყლაპონ და ადვილადვე მოინელონ. ერთი ძლიერი ღონისძიება ამ ბოროტი განზრახვის წინააღმდეგ არის - მხურვალე მონაწილეობა მეგრელებისა ქართულს მნიგნობრობასა და ლიტერატურაში და ამ მონაწილეობის გამომზევება, ხაზის გასმა... ამავე მოსაზრებით ჩავურთეთ „დედა ენაში“, ნაცვლად იოსებ ბაქრაძის ლექსისა, ბატონი დუტუ მეგრელის ლექსი იმავე თემაზე“ [გოგებაშვილი 1907: 5].**

ლექსის მესამე სტოფის ამოღებას იაკობ გოგებაშვილი ასე ასაბუთებს: **„ჩვენი კალმოსანი საქართველოს ქვეყნის თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა. ამავე სტრიქონში საქართველოს იხსენიებს როგორც ღვთის-მშობლის წილ-ხდომილს ქვეყანას. ჩვენ კი „დედა ენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებამდი ქრისტიანული ელემენტი გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველს სპარსელებს, კერძოთ, ქართველ მაჰმადიანებს საზოგადოდ და ქართველს ურიებს მივცეთ შეძლება, დაუბრკოლებლივ იხმარონ საერთო სახელმძღვანელო ქართულის ენისა“. გარდა ამისა, მითითებულია კიდევ ერთი შინაარსობრივი მიზეზი: რომ გამოტოვებულ სტროფში გამოხატული აზრი საქართველოს ბედის ცვალებადობის შესახებ უკეთესად არის გამოთქმული შემდეგ სტროფებში და ამიტომ, „ლექსი არაფერს ჰკარგავს ამ საჭირო გამოტოვებით“ [გოგებაშვილი 1907: 6].**

გაუგებრობა თუ კამათი ამით ამოიწურა.

ის, რომ 1907 წლიდან მოყოლებული ქართველმა ერმა პატარაობიდანვე შეისისხლხორცა დუტუ მეგრელის ეს ლექსი, იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაცაა. ლექსის მიხედვით კომპოზიტორმა ვალერიან ცაგარეიშვილმა 1945 წელს დაწერა სიმღერაც გუნდისათვის ფორტეპიანოს აკომპანიმენტით.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში აქტიურ ფაზაში შევიდა განათლების რეფორმა. დაიწყო სისტემის მოდერნიზების

პროცესი. გაჩნდა ალტერნატიული სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის საეტაპო მნიშვნელობისა იყო ვახტანგ როდონაიას ჯგუფის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებშიც პირველად მოხერხდა ლიტერატურის სწავლების საბჭოური სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება. სწორედ, ამ ჯგუფის (ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული) ავტორობით 1998 წელს დაიბეჭდა „დედაენის“ მეორე კლასის სახელმძღვანელო. მასში გაჩნდა ლექსი „საქართველო (პაპის ანდერძის გახსენება)“ (გვ. 124).

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო;  
**რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი**  
**და მესხეთი სასახელო;**  
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,  
სვანეთი და აფხაზეთი;  
ძველი ტაო-იმერხევი,  
საინგილო და ლაზეთი;  
მთიულეთის საარაგვო  
და აჭარის ზღვა და მდელი;  
ყველა ჩემი სამშობლოა,  
საყვარელი საქართველო!

სარჩევში კი მითითებული იყო „საქართველო“ – დუტუ მეგრელის მიხედვით“.

ამ ჩანართი ტაეპების ავტორია ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული. როგორც თავად აღნიშნავს, ამოცანა მარტივი იყო: დუტუ მეგრელის ცნობილ ლექსში ჩამოთვლილია საქართველოს მხოლოდ ხუთი კუთხე. ერთიანი საქართველოს გააზრება ადრეულ ასაკში უნდა ჩამოყალიბდეს და, რადგან დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“ ძალიან ადვილად ამახსოვრდებათ ბავშვებს, მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ლექსით საქართველოს კუთხეების სახელთა დამახსოვრების პრობლემის გადაჭრა.

ასე გაჩნდა ლექსში საქართველოს დანარჩენი კუთხეები: რაჭა, ლეჩხუმი, ჯავახეთი, მესხეთი, ხევი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი, აფხაზეთი, ტაო, იმერხევი, საინგილო, ლაზეთი, მთიულეთი და აჭარა – ამ ჩანართით, ფაქტობრვად, მთლიანი საქართველოს, ამერიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პანორამა აღდგა, იმ ერთიანი და მთლიანი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოსი, რომლის ბევრი მხარე უკვე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, აღარ შემოდის. თანაც, ავტორთა ჯგუფის-



თვის პლაგიატორობა რომ არ დაენამებინათ, ლექსს დაარქვეს „საქართველო“, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ამ ვარიანტის შეთხზვის კონცეფციას. შესაბამისად, სარჩევში მიუთითეს „დუტუ მეგრელის მიხედვით“ და არა „ავტორი დუტუ მეგრელი“.

### ლიტერატურა:

- ბაქრაძე 1938:** ბაქრაძე ი., კრებული (სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით). თბილისი, 1938;
- გოგებაშვილი 1907:** გოგებაშვილი ი., „უცნაური ბრალდება (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს).“ ჟ. „ნიშადური“, # 42, 1907;
- დედა ენა 1907:** დედა ენა შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. 23-ე გამოცემა, თბილისი, 1907;
- დედაენა 1998:** დედაენა. მეორე კლასის სახელმძღვანელო, (საავტორო ჯგუფი: ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული), თბილისი, 1998;
- დროების კალენდარი 1875:** დროების კალენდარი, თფილისი, 1875;
- მეგრელი 1907:** მეგრელი დ. შენიშვნა. ჟ. „ნიშადური“, N 38, 10 აპრილი, 1907;
- ჯეჯილი 1901:** ჟ. „ჯეჯილი“, # 1, 1901.

## Saba Metreveli

### The main difficulty of the 22nd edition of "Deda Ena" by Jacob Gogebashvili

#### Summary

In 1907, Jacob Gogebashvili started working on the 22nd edition of Deda Ena. He collected and adapted new materials for the book with great piety. There were two poems on a patriotic theme he chose for it: one by Iosif Bakradze, and the other one by Dutu Megreli. The poem "I am a Georgian" by Joseph Bakradze was published in 1875 in the "Droebis Calendari" newspaper under the pseudonym I. Elakadze, and the five-line poem "Little Georgian" by Dutu Megreli (Dmitry Khoshtaria) was published in the 1901 tenth (October) issue of the "Dzhejili" magazine. Jacob Gogebashvili ultimately chose the poem by Dutu Megreli and in the second part of 1907 edition of Deda Ena he published this poem in an abridged form - one line less than in the original. Dutu Megreli protested that his poem was published in the Jacob Gogebashvili's book among songs from different parts of Georgia and the third line was missing in it. According to Dutu Megreli, the removal of the

third line spoiled his poem and did not give it anything good. The poet's letter ended with a polysemantic emotional phrase: "This is a complete mockery of the writer." Jacob Gogebashvili immediately responded to Dutu Megreli's remark, and in the 42nd issue of the same magazine a response letter was published under the title "Strange accusation (answer to Dutu Megreli)", where he explained the reasons why he introduced the poem "Little Georgian" instead of the one by Iosif Bakradze, and what guided his correction of some of the poem's details.

## ლადო მინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი („იავნანამ რა ჰქმნას“ მაგალითზე)

იაკობ გოგებაშვილს ქართულ სინამდვილეში სამართლიანად თვლიან საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად. მართალია, ძირითადად ბავშვებისთვის გამიზნული ნაწარმოებები ჩვენში ადრეც იწერებოდა, მაგრამ მწერლობის ეს სფერო მეცნიერულ საფუძვლებს იაკობ გოგებაშვილმა დააყრდნო.

დიდი ხნიდან არსებობდა აზრი, გარკვეული ავტორები ფიქრობდნენ, რომ საკუთრივ საბავშვო ლიტერატურის არსებობას საფუძველი არა აქვს. ვოლტერის აზრით, მხოლოდ ის წიგნებია ყმანვილებისთვის სასარგებლო, რომლებიც დიდებისთვისაც კარგია. "თუ გინდა წერო ბავშვისათვის, შენ არ უნდა წერო სპეციალურად "ბავშვისთვის" (თეოდორ შტორმი), "მხოლოდ ჭეშმარიტი ჩვენი მწერლები არიან და უნდა იყვნენ ჩვენი საბავშვო მწერლებიც" (ჰენრიხ ვოლგასტი). ამ აზრის არგუმენტად იმონებენ დიდ ადამიანთა – მოაზროვნეთა, მწერალთა ბავშვობას. ბავშვობის დროს გოეთეს, მაგალითად, ისევე როგორც სხვა დიდ შემოქმედთ, არ უკითხავთ საბავშვო წიგნები, რადგანაც, უბრალოდ, არც არსებობდა ასეთი წიგნები. ისინი კითხულობდნენ იმას, რაც შეიძლება წაეკითხათ დიდებს. ეს აზრი ჩვენს დიდ კლასიკოსებზეც შეიძლება გავავრცელოთ. რას კითხულობდნენ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა... ისინი კითხულობდნენ ბიბლიას, „ვეფხისტყაოსანს“, ისმენდნენ ამბებს „ქართლის ცხოვრებიდან“, ბიბლიიდან.

განსხვავებით ასეთი შეხედულებისაგან, თანდათან ჩამოყალიბდა საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საბავშვო ლიტერატურას უდიდესი აღმზრდელობითი და შემეცნებით-ესთეტიკური

მნიშვნელობა ენიჭება. ადრე იმიტომ არ არსებობდა საბავშვო ლიტერატურაო, ფიქრობენ, რომ "ძველი კაცობრიობა არ იჩენდა ბავშვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს", ამდენად, "ბავშვებისადმი დამოკიდებულების ისტორია გვიჩვენებს კაცობრიობის ფსიქოლოგიურ ისტორიას" (ლევ ტოლსტოი).

ჩვენში საბავშვო ლიტერატურის დიდი ქომაგი, მეცნიერული განმავითარებელი არის იაკობ გოგებაშვილი. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი რაინდული მსახური იყო საბავშვო მწერლობისა.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათაგან გამოირჩევა სრულიად განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალის მოთხრობა "იავნანამ რა ჰქმნა?" მოთხრობა თავისი ხასიათით ახლოსაა იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებთან, რამდენადაც, როგორც ავტორი მიუთითებს, გარკვეულ ისტორიულ დროს ეხება, მაგრამ ვერც სავსებით ისტორიულად ჩაითვლება, რამდენადაც მასში არც გარკვეული ისტორიული ფაქტია ასახული და არც ისტორიული პირები მოქმედებენ.

მოთხრობამ მალე მოიპოვა აღიარება და არა მარტო საქართველოში.

ისინი, ვინც ამ შედევრს განიხილავენ, – იქნება ეს ფსიქოლოგი, პედაგოგიკის სპეციალისტი თუ ლიტერატურისმცოდნე, საგანგებოდ ჩერდებიან, ყურადღებას ამახვილებენ თხზულებაში ასახული გრძნობების "ფსიქოლოგიურ სისწორეზე". ეს ბუნებრივია და სავსებით მოსალოდნელი ისეთი დიდი პედაგოგისა და მწერლისაგან, როგორც იაკობ გოგებაშვილია, რომელმაც შესანიშნავად იცის ადამიანის საზოგადოდ, და კერძოდ, ბავშვის სამყარო, სულის ყოველი მოძრაობა, რომლის შემოქმედების მთავარი ნიშანია სიმართლე და გულწრფელობა.

ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ახერხებს მწერალი ამის გადმოცემას, რომ ასე იტაცებს და აღელვებს მკითხველს, ამ აზრით, პირველ ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ მწერალი ამას აკეთებს ძირითადად პერსონაჟების განცდების, სულიერი მოძრაობის გარეგამოხატული ნიშნების მიხედვით. მწერალი კი არ მოგვითხრობს, თუ რას განიცდის მისი გმირები, არამედ გვიჩვენებს მათ განცდებს გარეგამოტანილი ქცევებით, მოქმედებებით, პერსონაჟების სახეზე აღბეჭდილი გრძნობების აღწერით, ხშირად მწერალი გრძნობათა დასახასიათებლად მიმართავს გაშლილ შედარებებს, რომლის დროსაც შესაძარებლად აღებულია ისეთი მოვლენები და საგნები, რომლებიც მოზარდისთვის მახლობელია და გასაგები. თან ყველაფერი ეს ხდება გაჭიანურების, ვრცელი აღწერა-დახასიათების გარეშე დინამიურად, რაც კარგად პასუხობს ჯერ კიდევ გაუნაფავი მკითხველის ინტერესებს.

მწერალი საგანგებოდ ითვალისწინებს, მხედველობიდან ერთი წამით არ რჩება თავისი პერსონაჟი გოგონას ასაკობრივი თავისებურებები; ქეთო სამი წლისაც არ იყო, როცა ლეკებმა იგი მოიტაცეს. ამ ასაკის ბავშვისათვის, როგორც ავტორი მიუთითებს, ძირითადია ან-მყო. "ის შეუწყვეტლივ, ყოველ დღე იზრდება, სულითა და ხორციით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდას, წინსვლას და ბედნიერია ამ გრძნობით"... ბავშვი არ ფიქრობს, "არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და თითქოს სრულიად იშლება", მართალია, „პირველ ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად სტიროდა, როცა თავის დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავის სოფელს მოიგონებდა“, მაგრამ ნაიბის ცოლი და იმის ქმარი ისეთი სიყვარულით, მოფერებით და ალერსით ექცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი, თანდათან ჩააქრეს მის ხსოვნაში „ღვიძლი დედ-მამის სიყვარული, მოგონება, სახე. ორი-სამი წლის შემდეგ“ ქეთოს ნაიბი და მისი ცოლი მიაჩნდა ნამდვილ დედ-მამად. „ღვიძლი დედ-მამის კვალი თითქმის მთლად წაიშალა მის ბუნებაში. ლეკურმა ენამ ცოტ-ცოტაობით დღით-დღე შეასუსტა ქართული ენა ქეთოში, დაიჭირა მისი ადგილი და ჩააქრო იგი. ქეთომ ყველაზე გვიან დაივიწყა დედის "მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა". ამას საგანგებოდ გახაზავს მწერალი, რომ დედის ტკბილი სიმღერა ყველაზე გვიან დაივიწყა, მაგრამ დაივიწყა ისიც და "ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ ქალად".

ქართველი ქალის ლეკ ქალად გადაქცევის პროცესს მწერალმა თითქოსდა შედარებით მცირე დრო დაუთმო, თუმცა ძირითად მომენტებზე, ზუსტი მოკლე მითითებებით.

თხზულების ცენტრია უკვე გაზრდილი, ცამეტი წლის ქეთოს, მამის მიერ შინ დაბრუნებულის, სულიერი დრამა და კვლავ ქართველ ქალად გადაქცევა. აქ თხრობა მიიმართება ქეთოს და მისი მშობლების ტანჯვის და ქეთოს მიერ წარსულის აღდგენის დრამატული ამბების თხრობით. მწერალი საგანგებოდ მითითებებით, სულიერი დრამის ჩვენებით გადმოგვცემს ამ პროცესს. ქალი ახლა უკვე დიდია. მისთვის უკვე წარსული, მოგონებები მძლავრია და ცხოველი.

ქეთო "საშინლად იტანჯება"... "ქეთოს სახეზე გამოუთქმელი ტანჯვა იხატებოდა"... "ქეთო ყინულივით ცივი, ქვასავით უგრძნობელი იყო და არავითარი გავლენა არ იქონია მაგდანის მხიარულმა, დედობრივმა მიგებებამ და ალერსმა, იქონია სრულიად წინააღმდეგი მოსალოდნელისა. დედის ალერსმა ცოცხლად თვალწინ წარმოუდგინა ქეთოს მისი დედობილის, ნაიბის ცოლის სახე და ალერსი, ვარამი

კიდევ უფრო გაუძლიერდა და მდულარე ცრემლის ნაკადული გადმოსკდა თვალებიდან. მაგდანი იმედს არ ჰკარგავდა, რომ ქეთოს დღეს თუ ხვალ მოაგონებდა თავის პატარაობას, იცნობდა მშობლებს და დაუბრუნდებოდა მათ".

მაგრამ თვითონ ქეთო კი „ჩამოხმა, გაყვითლდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ის იჯდა ტახტზე ჩუმად უმეტესწილად თვალებდახუჭული და მისი გონება ფრინავდა იქ დაღესტანში ნაიბთან და იმის ცოლთან". საშველი არ ჩანს. „ყმანვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავადმყოფოდ ქვნიებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილი ედო".

ამ მომენტში მწერალი ერთ საინტერესო ფსიქოლოგიურ დეტალს იმარჯვებს, რითაც თვალნათლივ გამოკვეთს ცალ-ცალკე მამისა და დედის ხასიათებს, მათი დრამის ნიუანსებს: მამა, შვილის ტანჯვის შემხედვარე, ამბობს: „არა, მე ველარ ვუცქერი ამ ბავშვის ამდენ ტანჯვას და წვალებას, თუ რამდენსამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩემის ხელით ავუყვან ნაიბსა და იმის ცოლსა. ეტყობა ღირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შეუყვარებიან თავი ჩემი ღვიძლი შვილისათვის, – უთხრა ზურაბმა თავის ცოლს, მაგდანსა, ხოლო მაგდანი ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა და მზად იყო ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში".

უტყუარი ფსიქოლოგიური დეტალია.

მწერალი საგანგებო მოტივირებას აკეთებს მოთხრობის კულმინაციისათვის. გაზაფხულის უმშვენიერესი დილაა. ბუნება დიდ ზემოქმედებას ახდენს ყველაზე. მათ შორის ქეთოზე და მის ტანჯულ დედაზეც. „ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა. შვება მისცა მან ქეთოს ნაღვლიან გულსაცა და სახეზე მას აშკარად დაეტყო შემცირება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდე მაჯლაჯუნასავით აწვა მის გულსა და გონებას"... ამასთანავე, ქეთომ პირველად დაიწყო ფიქრი იმაზე, რისთვის და რად მიჩვენებენ ამდენ სიყვარულს უცხო ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარებაზედაო".

დედაც ასეთმა ამინდმა რამდენადმე მოაბრუნა და ქეთოს ეს საწუგემო ცვლილებაც არ დარჩა შეუმჩნეველი. ეს იყო ერთგვარი მიზეზი, რომ ათი წლის დუმილის მერე მაგდანმა „თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. მერე კი თავისი ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დაამღერა, მაღლა აუწია ხმას, უნებლიედ შვილისაკენ გაიხედა და გაოცდა. ქეთოს სახეზე აშკარად ეტყობოდა აღელვება, ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერ კი მოეგონებინა გარკვევით". დიდი დამაჯერებლობით აღწერს მწერალი, თუ როგორ იღვიძებს ქეთოში

"დამარხული ხსოვნა". ეს ურთულესი ფსიქოლოგიური მომენტი მწერალს ისე თვალსაჩინოდ, პლასტიკურად აქვს აღწერილი, რომ მოზარდი მკითხველი ნამდვილი ესთეტიკური აღქმის გზაზე დგება. ასეთ შემთხვევაში მწერალი ისეთ შედარებას იმარჯვებს რომელიც ღრმა გრძნობას თვალსაჩინოდ წარმოუდგენს მკითხველს მისთვის ნაცნობი მოვლენებით: "აღმოჩნდა, რომ პირველი წლების ჩაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ ნაშლილიყვნენ, ქეთოს გონებაში, თურმე ღრმად ეძინათ, დამარხული იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში და ზევიდან მათ ეფარებათ მთელი ათი წლის ნანახი და ნაცადი დაღესტანში ყოფნის დროისა. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა ჩაბეჭდილებას, სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი ჩაბეჭდილების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლოს ხმამ, საბავშვო სიმღერამ "იავნანამ", რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჭდარი"... "ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და ქეთოს სარკესავით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო"...

ერთი სიტყვით, მწერალმა ხელშესახებად, თვალსაჩინოდ წარმოუდგინა მკითხველს სულში მიმდინარე პროცესები თავის ყველაზე მძაფრ, დრამატულ მომენტში და ისიც გარკვევით გვითხრა, რომ ადამიანის სულის სიღრმეში ყველაზე მძლავრად, ღრმად მუსიკა, სიმღერა იჭრება და მისი ხსოვნაც ყველაზე ღრმაა და მძლავრი.

ამ მოთხრობაში ყველაზე თვალსაჩინოდ, მაღალმხატვრულად არის წარმოდგენილი ღრმა ადამიანურ გრძნობათა ფაქიზი ანალიზი. ეს შესანიშნავი მოთხრობა სწორედ იმისთვისაცაა მოწოდებული, რომ მოზარდებში მოამზადოს დიდი ხელოვნების განმცდელი, ჭეშმარიტი მკითხველი.

ეს თხზულება იმითიცაა გამორჩეული, რომ ნებისმიერი ასაკისა და დონის მკითხველის ინტერესებს პასუხობს. ერთი სიტყვით, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში, მაღალი ნიმუში ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც მოზარდებისათვის, ასევე დიდებისათვის, მაღალი გემოვნების მკითხველებისათვის.

## **Lado Minashvili**

### **Iakob Gogebashvili as a children's writer (On the example of the story "What did Iavnana do")**

#### **S u m m a r y**

Iakob Gogebashvili is rightly considered to be the founder of children's writing in the Georgian reality. It is true that mostly works aimed at children were written in our country before, but Iakob Gogebashvili based this field of writing on scientific foundations. Throughout his life he was a selfless servant of children's writing.

The story "What did Iavnana do?" is close to Iakob Gogebashvili's historical stories in its character, but it cannot be considered completely historical, as it does not reflect certain historical facts or historical figures.

Those who consider this masterpiece, be it a psychologist, a pedagogue or a literary critic, pay special attention to the "psychological correctness" of the feelings expressed in the work. This is natural and quite expected from a great teacher and writer. For the literary historian, first of all, it is important how the writer manages to convey this, so that he captivates and excites the reader. The writer does not even tell us what his characters experience, but shows their feelings through outward behaviors, actions, descriptions of the feelings imprinted on the characters' faces.

Most visibly, highly artistically presented in this story is a delicate analysis of deep human feelings. This work is also distinguished by the fact that it responds to the interests of readers of any age and level. In a word, a real work of art is equally interesting and important for both adults and fame, for readers of exquisite taste.

### **მაია მიქაბერიძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

### **იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია**

ქვეყნის კულტურულ განვითარებაში საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების პარალელურად უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ პირად ბიბლიოთეკებს. პირადი ბიბლიოთეკების ფორმირების პროცესს, როგორც წესი, წარმართავს მფლობელის ინტელექტუალური და სულიერი მისწრაფებები, მისი ინტერესები. აქედან გამომდინარე,

ასეთი ბიბლიოთეკა შეიძლება აღმოჩნდეს უნიკალური, სამეცნიერო-ისტორიული ღირებულების კოლექცია. ამის მაგალითია, თუნდაც, პოეტი-აკადემიკოსის, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც შეიცავს ბევრ ისეთ დოკუმენტს, რომლებიც არ მოიპოვება საქართველოს არცერთ წიგნსაცავსა თუ კერძო კოლექციაში.

პირადი ბიბლიოთეკების მნიშვნელობას განსაზღვრავს სხვადასხვა ასპექტი: თემატური შემადგენლობა; ეგზემპლართა ბიბლიოგრაფიული ღირებულება (ქრონოლოგიის, იშვიათი, განსაკუთრებული და სხვა ტიპის გამოცემის მიხედვით); ეგზემპლარებზე დართული ავტოგრაფები, ექსლიბრისები, მარგინალიები და სხვა ნიშნები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თვით კოლექციის მფლობელის სტატუსი, მისი როლი და ადგილი ქვეყნის ისტორიაში.

განსაკუთრებულად საინტერესოა იმ შემოქმედი ადამიანების პირადი ბიბლიოთეკები, რომლებიც თვითონ ქმნიან მხატვრულ ან სამეცნიერო ლიტერატურას. პირადი ბიბლიოთეკა საშუალებას იძლევა, თვალყური მივადევნოთ საავტორო წიგნების შექმნის, მომდევნო გამოცემებისათვის მათი რედაქტირების და შევსების პროცესებს. ასეთი მოღვაწეების ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარებისთვის ესაა თვალსაჩინო მასალა მათი შემოქმედებითი განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესასწავლად.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია.

თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა იაკობ გოგებაშვილს წიგნებისადმი, საინტერესო მოგონება აქვს შიო მღვიმელს. იგი წერს: „ი. გოგებაშვილი ყოველ ახალ გამოსულ წიგნს უეჭველად იძინდა იმ მიზნით, რომ, ჯერ ერთი, წაეკითხა და მერე, გაეგო, სასარგებელი იყო თუ მავნებელი საზოგადოებისათვის ესა თუ ის წიგნი. წიგნს მყიდველ-წამკითხველი უნდა ჰყავდესო, თორემ წიგნი უამისოდ საზოგადოებას ვერ გაეცნობაო“ [შიო მღვიმელი 1991: 363-364].

ი. გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის მოცულობის შესახებ სხვადასხვაგვარი ინფორმაცია არსებობს. მწერლის გაზრდილი ქრისტინე ბიბილური-კასრაძის ბავშვობისდროინდელ მოგონებებში ვკითხულობთ: „სასადილოდან ერთი კარით შეხვიდოდით ძიას ბიბლიოთეკაში. აქ სამ-წყებად იყო წიგნებით სავსე კარადები. თუ არ ვცდები, 8-9 კარადა იქნებოდა“ [ბიბილური-კასრაძე 1991: 296]. ეს ცნობა კარადების რაოდენობაზე არ ემთხვევა დავით კასრაძის მოგონებებს, სადაც საუბარია ოთხ კარადაზე. იგი ასე აღწერს იაკობის ბიბლიოთეკას:




„კლასიფიკაციის მიხედვით თითოეულ წიგნის კარადას თავისი დანიშნულება ჰქონდა. ყველაზე ხშირად იღებოდა საპედაგოგო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კარადა. რაც კი რამ ახალი ითქმოდა რუსეთში პედაგოგიკის სფეროში, სულ აქ შეგეძლოთ გენახათ. მშვენიერი ყდებით იმზირებოდნენ მისი ცხოვრების უდიდესი თანამგზავრები – უშინსკი, პიროგოვი, პესტალოცი, კონდორსე, მაკოლეი, დარვინი, სპენსერი, ჟან-ჟაკ რუსო, ჯონ სტუარტ მილი, სმაილსი, მინტო თავისი ცნობილი ლოგიკით. დიდი უტოპისტებიდან აქ ადგილი ჰქონდათ დათმობილი რობერტ ოუენს, სენ-სიმონს და მრავალ სხვათა. ქართველებიდან ამ კარადაში მხოლოდ გაბრიელ ქიქოძის ქადაგებანი გამოიყურებოდა ობლად იაკობის თხზულებათა გვერდით, რომელთა შორის უმთავრესად ათიოდე ცალი „ბუნების კარი“ იქნებოდა და ამდენივე „დედა-ენა“ (სხვადასხვა წლის გამოცემები).

მეორე კარადა დათმობილი ჰქონდა ისტორიულ წიგნებს, სადაც, სხვათა შორის, ნახავდით მიშლეს „საფრანგეთის დიდ რევოლუციას“, აგრეთვე მომზენს, დრეპერს, მაქსიმ კოვალევსკის, მარისა და ხახანაშვილის წიგნებს, ცაგარლის შრომებს, გამოკვლევებს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ირგვლივ, რაღა თქმა უნდა, აქვე ნახავდით ვახუშტსაც, მარი ბროსეს ქართლის ცხოვრებასაც და სხვებს, ვინც კი საქართველოს ისტორიას შეჰხებოდნენ ჰეროდოტედან მოყოლებული დღემდე.

მესამე კარადაში ნახავდით გუმბოლტს, მაგრამ მის გვერდით დავიდ შტრაუსიც იყო, რენანიც, მოლეშოტიც, იმავე დროს მსოფლიო კლასიკოსები დანყებული შექსპირით და ბაირონით, გათავებული პუშკინითა და გოგოლით. ამავე კარადაში ნახავდით ბროკჰაუზ-ეფრონის ვრცელს „ენციკლოპედიას“ და „პროსვემჩენიეს“ მოკლე ენციკლოპედიასაც.

მეოთხე კარადა ქართველ კლასიკოსებს და ჩვენს პერიოდიკას ჰქონდა დათმობილი“. დ. კასრაძის ამ მოგონებას ახლავს სქოლიოში შენიშვნა: ეს ბიბლიოთეკა იაკობმა თითქმის მთლიანად უანდერძა ქმნკვ საზოგადოებას და ნაწილი კიდევ ნათესავებსა და ახლო მეგობრებს” [კასრაძე 1940: 78-79].



იაკობმა რომ თავისი ბიბლიოთეკა ქმნვკ საზოგადოებას უანდერ-  
და, ეს ფაქტი ცნობილია მისი ანდერძის ტექსტიდან. ეს არის ბიბლიო-  
თეკის შესახებ ოფიციალური ხასიათის ერთადერთი დოკუმენტი (შედ-  
გენილია 1912 წლის 2 მაისს) [იოვიძე 1951: 159]. თუმცა ანდერძს არ ახ-  
ლავს გადაცემული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სია, რაც  
აძნელებს ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკის ეგზემპლარების იდენტი-  
ფიცირებას.

ქმნვკ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა 1927 წელს. 10 წლის  
განმავლობაში მისი წიგნსაცავ-მუზეუმი, რომელშიც შედიოდა იაკო-  
ბის მიერ საზოგადოებისათვის გადაცემული წიგნებიც, ინახებოდა ივ.  
ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო  
1937 წელს მისი ბეჭდური ნაწილი გადაეცა საქართველოს პარლამენ-  
ტის ეროვნულ ბიბლიოთეკას (მაშინ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო სა-  
ჯარო ბიბლიოთეკა).

როგორც ცნობილია, მაშინდელ საჯარო ბიბლიოთეკაში თავდა-  
პირველად არასწორი ნაბიჯები გადაიდგა ამ კოლექციასთან მიმარ-  
თებით. იმის ნაცვლად, რომ შეენარჩუნებინათ წიგნთსაცავის მთლიან-  
ობა, ბეჭდური ერთეულები გადაანაწილეს სხვადასხვა ფონდში.  
სხვებთან ერთად ასე დაიშალა იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლი-  
ოთეკის კოლექციაც, რომელიც მან უანდერდა ქმნვკ საზოგადოებას.  
დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკამ სცადა შეცდომის გამოსწორე-  
ბა, მაგრამ ეს რთული საქმე იყო და დიდი ძალისხმევის შედეგად  
მხოლოდ ილია ჭავჭავაძის კოლექციის აღდგენა მოხერხდა, ისიც  
არასრულად. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა 1999 წლიდან, რო-  
დესაც შემუშავდა წერა-კითხვის წიგნთსაცავის ფონდის სრულად აღ-  
დგენის პროექტი (პროექტის ხელმძღვანელი: ლევან თაქთაქიშვილი).

1999 წელს ამ წიგნსაცავის ფონდში საინვენტარო წიგნებზე დაყ-  
რდნობით აღდგა ქმნვკ საზოგადოების წიგნთსაცავის ძველი ნომრე-  
ბი, რომლებსაც შენახვის შიფრის ფუნქცია დაეკისრა. მათგან ცალკე  
აღინუსხა ოთხი კერძო კოლექცია: ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ბაქრა-  
ძის, დავით ჩუბინაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლი-  
ოთეკები. იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია  
დღეს ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის დედაენის დარბაზში.

ი. გოგებაშვილის პირადი კოლექციის გამოყოფისას მთავარი  
წყარო, როგორც აღინიშნა, იყო წერა-კითხვის საზოგადოების საინ-  
ვენტარო წიგნები, რომლებზეც მითითებულია წიგნების შემომწირ-  
ველთა გვარები. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მინიშნება ყველა ჩანა-  
წერს არ ახლავს, რამაც გააძნელა ი. გოგებაშვილის მიერ წიგნსაცავი-  
სათვის გადაცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ეგზემპლარე-

ბის მოძიება. კოლექციაში შევიდა ის წიგნები, რომლებსაც ახლდა თვით იაკობის ავტოგრაფი ან იაკობისათვის ნაჩუქარი წიგნების ავტორთა წარწერები.

დღეისათვის იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია არ გამოიყურება ისე მასშტაბურად, როგორც ეს აღწერილია მისი ნათესავეების მოგონებებში. დავით კასრაძე თავის მოგონებაში მიუთითებს, რომ წიგნების ნაწილი, ქმნკგ საზოგადოების გარდა, იაკობმა უსახსოვრა თავის ნათესავეებს. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო ძირითადად მხატვრული ლიტერატურა და მისივე სახელმძღვანელოები, რითაც აიხსნება კიდევ მათი სიმცირე ბიბლიოთეკის კოლექციაში.

წიგნების უმრავლესობა პედაგოგიურ ხასიათის ლიტერატურაა. თვით იაკობის სახელმძღვანელოებიდან დარჩენილია ათი ეგზემპლარი. ესენია: „დედა ენის“ მე-5 (1886 წ.) და მე-6 (1888 წ.) გამოცემები, 30-ე (1910 წ.) და 33-ე გამოცემების (1910 წ.) პირველი ნაწილები, მე-8 გამოცემა წიგნისა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“ (1877 წ.), „კონა პირველ-დანყოფითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან“, მე-5 გამოცემა (1900 წ.), „ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი“, მე-16 გამოცემა (1907 წ.) და „დედანი ქართული წერისა“ (1884 წ.).

„დედანი ქართული წერისა“ მხოლოდ ერთხელ, 1884 წელს გამოიცა. იაკობი წერდა: „რიგი ასოებისა, მიღებული დედანში, ემორჩილება იმ წესსა, რომელზედ არიან ასოები დაწყობილნი ჩვენს დედა-ენაში. ამ სახით „დედა-ენა“ და „დედანი“ ერთიმეორის შემდეგ უნდა იხმარებოდნენ“ [გოგებაშვილი 1957: 678]. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, ავტორმა „დედანი“ მეტჯერ აღარ გამოსცა იმ მიზეზით, რომ გამოცემის სიძვირე გასაყიდ ფასსაც აძვირებდა და ათანაბრებდა „დედაენის“ ფასთან (1884 წელს „დედაენაც“ და „დედანი“ ღირდა 30-30 კაპიკი). მომდევნო წლებში მან „დედანი“ შემცირებული სახით შეიტანა „დედაენის“ გამოცემებში და ასე ააცილა ზედმეტი ხარჯი თავის ღარიბ თანამემამულეებს. „დედანი ქართული წერისა“ დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობად არის ქცეული.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილი გამუდმებით მუშაობდა „დედაენისა“ და სხვა სახელმძღვანელოების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე, ამიტომ ყოველი ახალ გამოცემა ზუსტად არ იმეორებდა ძველს. კოლექციიდან ასეთი რედაქტირების კვალი ჩანს „დედაენის“ მეხუთე გამოცემაზე (FS 5.803/0).

ი. გოგებაშვილის შენიშვნები ძირითადად არის ტექსტის გვერდებზე ფანქრით მიწერილი პლუსები, კითხვის ნიშნები, გადაჯვარედი-

ნებული ან ვერტიკალური საზები. უნდა ითქვას, რომ იაკობს არ სჩვეოდა წიგნების ზედმეტად გადახაზვა და დაზიანება. ცოტა გვხვდება მარგინალიები. მხოლოდ ერთადერთი წიგნი არის ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკაში, რომელიც ავტორმა „უმონყალოდ“ გადახაზა და შენიშვნებიც უხვად დააწერა. ეს არის 1877 წელს გამოცემული „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“, მე-8 ვრცელი და შევსებული გამოცემა. ეს წიგნი იმითაა საინტერესო, რომ ავტორმა მისგან ახალი სახელმძღვანელოს გაკეთება სცადა და ეს ეგზემპლარი (Fშ 5807/0) გამოიყენა, ასე ვთქვათ, სამუშაო პოლიგონად. მასზე არის უამრავი შესწორება დატანილი. ფაქტით გადახაზულია როგორც სათაურების ერთი ნაწილი, ასევე შეცვლილია ცალკეული სიტყვა ტექსტიდან ან მთლიანად ტექსტი. შეცვლილია წიგნის სათაურიც. მე-8 გამოცემის სახელწოდების („ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“) ნაცვლად ავტორის მიერ მიწერილია ახალი სახელწოდება - „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“. 1885 წელს გამოვიდა ამ სახელმძღვანელოს მე-9 გამოცემა, რომელსაც ეწოდა „კოკორი“. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა „დედაენის“ პარალელურად.

ი. გოგებაშვილის აზრით, დედა ენიდან ბუნების კარზე გადასვლამდე საჭირო იყო რაღაც შუალედური სახელმძღვანელოს შედგენა, რომლიდანაც ბავშვებს აღარ გაუჭირდებოდათ „ბუნების კარის“ ათვისება. „კოკორის“ შესახებ იაკობი წერდა: „კოკორი“ წარმოადგენს შემოკლებულს „დედა ენასა“, რადგან მასში მოქცეულია საუკეთესო ლექსები და მოთხრობები. გარდა ამისა, „კოკორში“ მოვათავსე იმისთანა საგულისხმიერო რამეები, რომელიც არ მოხერხდა „დედა ენაში“ [იოვიძე 1951: 159].

ეს ბიბლიოთეკა საშუალებას იძლევა, შევიხედოთ დიდი მეცნიერის სამუშაო ლაბორატორიაში და ამ რაკურსიდანაც დავინახოთ, თუ რა დიდი შრომა უძღოდა წინ უკვდავი „დედაენის“ შექმნას. მის ბიბლიოთეკაში პედაგოგიურ წიგნებს შორის ქარბობს არა თვით ი. გოგებაშვილის, არამედ სხვა ავტორთა, უმეტესად კი რუს პედაგოგთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები. კოლექციაში ინახება კონსტანტინე უშინსკის, ლევ ტოლსტოის, ალექსეი ბარანოვის, მიხეილ ვოლპერის, ალექსანდრე რადონეჟსკისა და სხვათა სასწავლო წიგნები. იაკობი აანალიზებდა რუსულ სახელმძღვანელოებს და მათ ნაკლსა თუ დადებით მხარეებს ითვალისწინებდა საკუთარ სახელმძღვანელოთა შედგენის დროს. „დედაენისა“ და „Русское чтение-ს“ ავტორის ინტერესისა და შესწავლის ობიექტი ერთნაირად იყო რუსული ენის სახელ-

მძღვანელოები როგორც რუსული სკოლებისათვის, ასევე ის წიგნებიც, რომლებიც განკუთვნილი იყო არარუსულენოვანი ბავშვებისათვის. ასეთია, მაგალითად ლ. აღნიაშვილის წიგნი „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“. 1883 წ. (TS 6.115/0), ივანე როსტომაშვილის „Русская речь и первая книга чтения с азбукою для грузин“. 1886 (TS 6.177/0), ფილიპე ლევიტსკის „Курс русского языка для начальных училищ Закавказья“ (TS 6.158/10) და სხვები. თითქმის ყველა მათგანზე ჩანს იაკობის მუშაობის კვალი.

ი. გოგებაშვილის ინტერესები ქართული ენის გარდა სხვა სფეროებსაც მოიცავს. მისი კოლექციის შემადგენლობაში შედის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა სასკოლო სახელმძღვანელოებიც, რომლებიც იმ პერიოდში გამოიყენებოდა. წიგნების ერთი ნაწილი საქართველოს ისტორიას ეხება.

მკვლევარისათვის სახელმძღვანელოების შედგენაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა განათლების სისტემას. იგი, როგორც პროფესიონალი, ჩართული იყო სწავლა-აღზრდის პროცესის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და შესაბამისად, ამ თემატიკის წიგნებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მკვლევარის ბიბლიოთეკაში. ი. გოგებაშვილი წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „განათლებასთან“, რომელიც იმ პერიოდში ერთადერთი სამეცნიერო-პედაგოგიური პროფილის ქართული პერიოდული გამოცემა იყო. მის ბიბლიოთეკაში ინახება ამ ჟურნალის სხვადასხვა წლის ნომრები, აქედან რამდენიმეს ახლავს მისი გამომცემელ-რედაქტორის, ლუარსაბ ბოცვაძის მიძღვნილი ხასიათის წარწერა.

კოლექციაში დიდი რაოდენობითაა დაცული ავტოგრაფიანი წიგნები. მწერლები, მეცნიერები და, ზოგადად, ქართული კულტურის მოღვაწეები (გაბრიელ ქიქოძე, კალისტრატე ცინცაძე, მოსე ჯანაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები) პატივად თვლიდნენ, თავიანთი წიგნები შესაბამისი წარწერებით ესახსოვრათ ი. გოგებაშვილისათვის. ყველა ნაჩუქარ წიგნს, როგორც ჩანს, მიძღვნილი წარწერა არ ჰქონდა. ასეთია, მაგალითად, მიხეილ თამარაშვილის ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც 1902 წელს გამოიცა თბილისში. ი. გოგებაშვილისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ეს საჩუქარი, რომ თვითონვე გაუკეთებია წარწერა: „მივიღე საჩუქრად თვით ავტორისაგან. ი.გ.“ კოლექციის წიგნების ერთ ნაწილზე თვით მფლობელის წარწერა ახლავს „იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოთეკიდან“.

ი. გოგებაშვილის კოლექციის საყურადღებო ეგზემპლარია წიგნი „Братская помощь пострадавшим в Турции армянам“ (TS 5.189/0). ამ

ნიგნს თავისთავად საინტერესო ისტორია აქვს. იგი გამოიცა თურქეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დასახმარებლად, რომლებიც დაზარალებულნი იყვნენ 1894-1897 წლებში მომხდარი დარბევების დროს. ასეთი კრებული გამოცემის ინიციატორი იყო ცნობილი პუბლიცისტი გრიგოლ ჯანშიევი. ნიგნის მომზადებაში ბევრმა ცნობილმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა: ივანე აივაზოვსკიმ, ანტონ ჩეხოვმა, ლევ ტოლსტოიმ, კლიმენტ ტიმირიაზევა და ა. შ. კრებულის ავტორთა შორისაა ალექსანდრე ხახანაშვილიც სტატიით „სომხების მდგომარეობა საქართველოს სამეფოში“ (გვ. 549-554).

კრებულის პირველი გამოცემა განხორციელდა 1897 წელს და მთელი ტირაჟი სწრაფად გაიყიდა. მათი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად მოხმარდა ლტოლვილებად ქცეულ სომეხ მოსახლეობას. ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია ამ კრებულის მეორე, 1898 წლის გამოცემა. მწერლის კეთილშობილური ბუნებიდან გამომდინარე არაა გასაკვირი, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა ამ საქველმოქმედო აქციაში. იგი არ კმაყოფილდებოდა დაჩაგრული ადამიანებისადმი მხოლოდ თანაგრძნობას და შესაძლებლობის მიხედვით მათ რეალურ დახმარებასაც უწევდა. თუმცა ი. გოგებაშვილის მხრიდან ამ ნიგნით დაინტერესების მეორე მიზეზიც არსებობს.

გ. ჯანშიევი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო თავისი ანტიქართული განწყობილებით. მისი და მისი მსგავსების საქართველოს მიმართ არაჯანსაღმა დამოკიდებულება საქველმოქმედოდ შედგენილ კრებულშიც კი იჩინა თავი. ნიგნში ალ. ხახანაშვილის სტატიას მოსდევს გრ. ჯანშიევის ორი ვრცელი შენიშვნა ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხებზე. ამ მონაკვეთში და ნიგნის სხვა ადგილებზე, სადაც კი გაშლილი იყო საქართველოს თემა, უხვად არის ი. გოგებაშვილისთვის დამახასიათებელი ჩანიშვნები – კითხვის ნიშნები და ორ-ორი ვერტიკალური ხაზი ტექსტის გასწვრივ.

კოლექციაში არის გ. ჯანშიევის მეორე ნიგნიც «Пери Кавказа» [=კავკასიის მარგალიტი], რომელშიც ბორჯომი და მისი მიდამოები ლამის ისტორიულ სომხურ მხარედ არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც ნიგნის არაერთ გვერდზე ვხვდებით ი. გოგებაშვილის მიერ დასმულ კითხვის ნიშნებს. ამ ფორმით იგი გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას ნიგნში წარმოდგენილი მასალის მიმართ. ი. გოგებაშვილი არ იყო უსამართლობის პასიური მაყურებელი. იგი აქტიურად იცავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს, თუკი ვინმე შეეცდებოდა ჩვენი ისტორიის გაყალბებასა და მისი სიკეთეების მითვისებას.

ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე სამედიცინო თემატიკის წიგნები ფრანგულ და რუსულ ენებზე. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დაავადებული იყო იმ დროისათვის უკურნებელი სენით – ტუბეკულოზით (ჭლექი). მწერალი ყურადღებით ეცნობოდა ამ დაავადების შესახებ ლიტერატურას და შესაბამისად, კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობის სირთულე. ამიტომაც, გასაგებია ის სიფრთხილე, რომელსაც იჩენდა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექციის ეგზემპლართა უმეტესობას თავისი, მეტ-ნაკლებად საინტერესო, ისტორია აქვს. ამ წიგნების გარემოცვაში იქმნებოდა ქართული პედაგოგიკური ლიტერატურის შედეგები, ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პუბლიცისტური წერილები. თვით კოლექცია, არასრული შემცველობის მიუხედავად, არის იაკობ გოგებაშვილის, როგორც პიროვნების, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთგვარი ანარეკლი. ამიტომ იგი ღირებულია ქართული კულტურის ისტორიისათვის.

### ლიტერატურა:

**ბიბლიური-კასრაძე 1991:** ბიბლიური-კასრაძე ქ., მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე // წიგნში: ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1991;

**გოგებაშვილი 1957:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტომი V, თბილისი, 1957;

**იოვიძე 1951:** იოვიძე ა., იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), თბილისი, 1951;

**კასრაძე 1940:** კასრაძე დ., იაკობ გოგებაშვილი: ბიოგრაფია, თბილისი, 1940;

**შიო მღვიმელი 1991:** შიო მღვიმელი. მოგონებები // წიგნში: ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1991.

## Maia Mikaberidze

### Iakob Gogebashvili's personal library collection

#### Summary

Along with public libraries, private libraries play an important role in the cultural development of the country. The process of forming personal libraries is usually guided by the owner's intellectual and spiritual aspirations, his interests. Therefore, such a library may prove to be a collection of unique, scientific-historical value.

The National Library of the Parliament of Georgia preserves the collection of the personal library of the great Georgian teacher, writer and public figure, Iakob Gogebashvili. Most of the copies in the collection of Iakob Gogebashvili's personal library have their more or less interesting history. Masterpieces of Georgian pedagogical literature, brilliant children's stories and publicist letters of public importance were created in the environment of these books. The collection itself, despite its incomplete content, is a kind of reflection of the spiritual and intellectual life of Iakob Gogebashvili as a person, writer and public figure. That is why it is valuable for the history of Georgian culture.

## **ივანე მჭედელაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების შესახებ**

ქართველოლოგიური კვლევების ისტორიას უკრაინულ მეცნიერებაში მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესება მე-19 საუკუნიდან იწყება და უკავშირდება ორიენტალისტური კვლევების ჩამოყალიბებას. ამ პერიოდისგან მოყოლებული განვითარდა ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების ისტორია, ისტორიული წინაპირობებისა და კულტურული კონტექსტების გაანალიზებისა და შესწავლის ტრადიცია.

ისტორიული და კულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესზეც. თანამედროვე სამყაროში, მოიცვა რა ცხოვრების ყველა სფერო გლობალიზაციამ და ინტეგრაციულმა პროცესებმა, კულტურათაშორისი დიალოგი კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა. ლიტერატურის თეორიასა და კომპარატივისტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად: „სწორედ კულტურათაშორისი დიალოგი უწყობს ხელს საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული ნეგატიური სტერეოტიპების, ნაციონალური ჩაკეტილობისა და ქსენოფობიის დაძლევა, ლიტერატურული კომუნიკაციების სათავეც კულტურათა ზემოქმედების ღირებულ პროცესშია საძიებელი“ [რატინი 2017: 234]. ეს



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი ერებისთვის, რომელთა კულტურული იდენტობის შენარჩუნება მათი არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. თანამედროვე ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული დიალოგის ამსახველი მასალები ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. ლიტერატურული კომუნიკაციები კულტურის ისტორიის მეტად საინტერესო ნაწილია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული: „ერები ვერ გადარჩებიან კულტურული ისტორიის გარეშე. ერთ-ერთი ყველაზე ღრმად ფესვგადგმული კოლექტიური ემოცია არის ხალხის მოთხოვნა თვითიდენტიფიკაციისა. შემოქმედება, მხატვრული თუ ლიტერატურული მიმდინარეობები, ისევე როგორც ხალხის მგრძნობიარობა დამოუკიდებლობის მიღწევისა (და დაცვისადმი) გამოხატავს გამორჩეული „კოლექტიური მე-ს“ აღმოჩენის, აღდგენის, გამოსახვისა თუ გამოგონების შესაძლებლობას“ [წიფურია 2016: 81].

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის აღნიშნული უცხოური ქართველოლოგიის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ქართული კულტურის ისტორიაში დიდი ადგილი უკავია საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის კერებს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესოა რუსეთსა და უკრაინაში მე-17 მე-18 საუკუნეებში არსებული ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა, რომელიც ნაყოფიერ ტრადიციას ქმნის ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა ისტორიაში.

უკრაინულ მეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ქართული ლიტერატურის აღქმის ტრადიციას მივყავართ ორიენტალისტიკის, როგორც დარგის, ჩამოყალიბებისა და განვითარების სათავეებთან. აღმოსავლეთმცოდნისა და შედარებითი ლიტერატურის პროფესორის, ლ. გრიციკის აზრით, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში ვლინდება განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლური სამყაროსა და მისი ლიტერატურის მიმართ. ეს გამოიხატა, როგორც ავტორების, ისე თავად მეცნიერთა შემოქმედებაშიც. მისი აზრით, მეცნიერების მიზანდასახულობა იყო დაემტკიცებინათ უკრაინული მწერლობისა და კულტურის ძველ და მსოფლიო კულტურებთან მრავალმხრივი კონტაქტი [Грицик 1994]. ეს ერთგვარად რუსულ იმპერიულ მოდელებში შემუშავებული მარგინალური, პერიფერიული სტატუსის დაძლევის მცდელობაც იყო. ქართული ლიტერატურით ინტერესდებიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ი. ფრანკო, მ. დრაგომანოვი, აგათანგელ კრიმსკი და სხვები.

უკრაინაში ქართველოლოგიური კვლევების ყველაზე აქტიური პერიოდი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარია, როდესაც ჩამოყალიბდა

საუნივერსიტეტო სამეცნიერო ტრადიციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინელი ქართველოლოგისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორის, **ლუდმილა გრიციკის**, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კვლევები.

მისი ნაშრომები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანამედროვე უცხოურ ქართველოლოგიაში. მეტად შთამბეჭდავია მეცნიერის მიერ მიღებული მასალები ქართულ, უკრაინულ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებში. ამ მასალებში ქართული მწერლობის რეცეფციის უცნობი და მეტად საინტერესო ფაქტებია ასახული.

ლუდმილა გრიციკის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია „ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თაგმანებში“, მოგვიანებით სადოქტორო – დამოსავლეთის ქვეყნების (შუააზია, ამიეჩკავკასია) ლიტერატურები XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესებში. თარგმნილი აქვს ქართული პროზა და პოეზია, ქართულ ხალხური ზღაპრები. ლ. გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების თავისებურებებიდან ყურადღებას იპყრობს ლიტერატურათაშორისი კონტაქტების გაანალიზებაში ინტერდისციპლინური, ინოვაციური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების დანერგვა.

როგორც საქართველოში, ისევე უკრაინაში, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, როგორ სამეცნიერო დისციპლინა განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. კომპარატივისტიკის პოზიტივისტური ფაზა საბჭოთა მეცნიერებაში წარმოდგენილია კონტაქტურ-გენეტიკური კავშირებით და იგი უფრო ლიტერატურის ისტორიის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ, ვიდრე თეორიის.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში ქართული ლიტერატურის გაცნობის ყველაზე მასშტაბური პროექტი საბჭოთა პერიოდში განხორციელდა. ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში დაიწყო ქართული კლასიკური ლიტერატურის თარგმნის აქტიური ეტაპი, ითარგმნებოდა როგორც თანამედროვე (მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვ.), ისე კლასიკური (ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის) და ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები. ამ თვალსაზრისით სრულიად გამორჩეულია „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია.

მთარგმნელობითი პროცესი, ერთი მხრივ, საბჭოთა იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთ ბერკეტს წარმოადგენდა განსხვავებული ეთნოსებისა და მათი კულტურების ერთიან სივრცეში ინტეგრირებისათვის, მეორე მხრივ კი, ასევე მნიშვნელოვანი იყო ქართული კულტურის

პოპულარიზაციისათვის. მე არ ვემხრობი საბჭოთა კულტურულ ისტორიასთან მხოლოდ ნეგატიური დამოკიდებულების პოზიციას. ქართული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვან მონაპოვრად მიმაჩნია ამ პერიოდში განხორციელებული მასშტაბური კულტურული კავშირები და მის შედეგად შექმნილი თარგმანები. აღნიშნულმა სამეცნიერო-კულტურულმა ტრადიციებმა განაპირობა შემდგომში კვლევისა და შესწავლის აუცილებლობა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ოთარ ბაქანიძის ინიციატივით საფუძველჩაყრილმა მეტად პროგრესული და წარმატებული პროექტი ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა. „1960-იანი წლების დამდეგიდან უკრაინაში სასწავლებლად და შემდეგ უკრაინიდან, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, თბილისის უნივერსიტეტში გაცვლითი წესით სტუდენტების ჩამოსვლამ ფილოლოგიის სფეროში მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო“ [ნემსაძე, ბაქანიძე, 2005: 7-8].

სწორედ აღნიშნული პროგრამის შედეგად და ზემოთ აღწერილი დაგროვებული ემპირიული მასალის შესწავლას მიეძღვნა მკვლევრის საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც ქართული მხატვრული პროზის უკრაინულად თარგმნის პრობლემებია განხილული. აღიარებულია, რომ სულიერი და კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებათა ურთიერთგაცვლის ყველაზე პროდუქტიული ფორმა საუკუნეთა განმავლობაში და ახლაც, სწორედ თარგმანი იყო და რჩება. თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხებია პასუხი გაცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა - რა უნდა ითარგმნოს, როგორ ხდება ტექსტის ტრანსლაცია რეციპიენტის ენისა და კულტურის კოდირების სისტემაში, კულტურული კონცეპტების განსხვავებათა დაძლევა და ურთიერთგაგების პრობლემები. ეს საკითხები საინტერესოა როგორც თარგმანმცოდნეობისთვის, ისე ლიტერატურული კომპარატივისტიკისთვისაც. ლ. გრიციკის საკანდიდატო დისერტაციაში განხილულია მხატვრული თარგმანის თეორიისა და ისტორიის სწორედ ასეთი კომპარატივისტული პრობლემები, რომლებიც საბჭოთა მენიერებაში ლიტერატურულ ურთიერთობათა ტერმინის ქვეშ ერთიანდებოდა. მეცნიერი დასაწყისშივე განიხილავს ქართული ენიდან უკრაინულად თარგმნის ისტორიას და გვთავაზობს მის პერიოდიზაციასაც [Грицик 1973: 3]. მეტად საინტერესოა მისი მსჯელობა თარგმანმცოდნეობითი საკითხების ისტორიის გაანალიზებისას, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პირველი უკრაინისტის, მეცნიერისა და მთარგმნელის, მიხეილ კინწურაშვილის უკრაინულად თარგმნის პრობლემებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილებზე. აღსა-

ნიშნავია, რომ მიხეილ კინწურაშვილის შესახებ იგი არაერთ პუბლიკაციას აქვეყნებს შემდეგ წლებშიც. 2010 წელს გამოქვეყნებულ მისი საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფიაში „უკრაინული კომპარატივისტიკა: კონცეპტუალური პროექციები“ უდიდესი ნაწილი ქართულ მასალას უკავია. ერთ-ერთი ასეთია მთელი პარაგრაფი „მიხეილ კინწურაშვილის შემოქმედებითი ძიებები“ [Грицик, 2010: 262-269]. დისერტაციაში საგანგებო ყურადღებას მახვილებს ასევე ცნობილი მთარგმნელისა და კრიტიკოსის, გიორგი ნამორაძის მთარგმნელობით ხელოვნებაზე. მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ უკრაინულ თარგმანებზე, განიხილავს ასევე კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას შემოქმედების თარგმანებსაც. განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პროცესის გაანალიზება და ისეთი ცნობილი მეცნიერებისა და მთარგმნელების, როგორებიც არიან ქართველი უკრაინისტი, უდიდესი მეცნიერისა და მთარგმნელის – ალექსანდრე მუშკუდიანისა და სრულიად გამორჩეული მეცნიერის, ორიენტალისტის, უკრაინელი ქართველოლოგის, გრიგორი ხალიმონენკოს, მთარგმნელობითი ხელოვნება და სტრატეგიები [Грицик 1973: 12-13], სპეციფიკური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, ანდაზების თარგმნის სირთულეები და დაძლევის ხერხები და ა. შ. „დიდოსტატის მარჯვენის“, „არსენა მარაბდელის“, „გვადი ბიგვასა“ თუ ქართული პროზის სხვა გამორჩეულ ნაწარმოებთა უკრაინული თარგმანების მაგალითზე. იგი არა მარტო იკვლევს ქართული ლიტერატურის თარგმანებს, არამედ მასვე ეკუთვნის გურამ ფანჯიკიძის, ნოდარ დუმბაძის, ლადო მრელაშვილის შემოქმედების თარგმანები უკრაინულ ენაზე.

თანამედროვე უნგრელი კომპარატივისტი, სტივენ. დ. ზაპეტნეკი თავის მეტად საინტერესო ნაშრომში „ახალი კომპარატივისტიკა, როგორც თეორია და მეთოდი“ ლიტერატურული კომპარატივისტიკის ერთ-ერთ პრინციპად განიხილავს ცალკეული/განსხვავებული ენების, ლიტერატურისა და კულტურის პარალელურ შესწავლას შედარებით-კონცეპტუალური მეთოდებითა და ფუნქციით [Запетнек 2009: 151]. ცხადია, აქ უმეტესად იგულისხმება მოძველებული ტერმინი - შედარებით-ტიპოლოგიური კვლევები, რომელიც ქართულ-უკრაინულ კონტექსტში საკმაოდ მწირადაა წარმოდგენილი. ამ მხრივ მეტად საინტერესო და აქტუალურია ლუდმილა გრიციკის ნაშრომი „სათავეები შემდგახი და ახშემდგახი შეხვედრებისა“, რომელშიც განხილულია აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს ისტორიულად ფიქსირებული ერთადერთი შეხვედრის საკითხი რუსული სიტყვიერების პროფესორის, მიკოლა კოსტომაროვის ბინაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ისტორი-

ულ ფაქტზე არაერთი პუბლიკაცია არსებობდა, ასეთი ფართო კომპარატივისტული ანალიზი არც ერთ მეცნიერთან არ გვხვდება. მეცნიერის კვლევის პრობლემას წარმოადგენს „რატომ მიიპყრო აკაკი წერეთლის ყურადღება მ. კოსტომაროვმა, რომლის ბინაზეც შეხვდა იგი შევჩენკოს. ამ შეხვედრამ ააღელვა წერეთელი, შთაბეჭდილება იმდენად ღრმა იყო, რომ ხუთი ათეული წლის შემდეგ სიამაყით ამბობდა: „პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, როგორ უნდა მიყვარდეს სამშობლო და ჩემი ხალხი“ [გრიციკი 1999: 393]. შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ცხოვრების წესის ცალკეული ფაქტებისა და მათი სინქრონული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, საზოგადოებრივ-ტიპოლოგიური და ლიტერატურულ-ტიპოლოგიური მსგავსებების გაანალიზების შედეგად მეცნიერი მიდის დასკვნამდე, რომ „ნ. კოსტომაროვის იდეურმა და მეცნიერულმა შეხედულებებმა 60-იან წლებში ა. წერეთელი გაიტაცა, რამაც მიიყვანა შევჩენკომდე და მისი პოეზიის ღრმა გაგებამდე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მხატვრული სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარებამდე. ეს კანონზომიერი მოვლენა იყო. კანონზომიერი იყო ასევე 80-იან წლებში კოსტომაროვის გადახვევა თავისი „რელიგიიდან“. ეს ცვლილება შეუძლებელია არ ეგრძნო აკაკი წერეთელს, რომელიც განუწყვეტლივ იმყოფებოდა XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში“ [გრიციკი 1999: 404].

ამავე პრობლემის ხელახალი ნაკითხვა პოსტკოლონიური თეორიისა და კრიტიკის კონტექსტში გვხვდება ლ. გრიციკის ერთ-ერთ უახლეს პუბლიკაციაში „აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრა: პოემა „კავკასიის“ კომუნიკაციური საფუძვლები“. უკვე არაერთი მეცნიერის (ნ. გაფხინდაშვიდი, მ. მიხესაშვიდი, ვ. ბუღნი, მ. იღნიცი, ე. ჩხაიძე, მ. დეკე, ბ. წიფუჩია და სხვ.) ნაშრომის მიხედვით სულ უფრო თანმიმდევრული და მიზანსწრაფული ხდება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პრობლემების გაანალიზებისათვის შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში პოსტკოლონიური კვლევების მართებული დანერგვა. უკრაინელი ქართველოლოგიც მიჰყვება ამ უახლეს ინტერდისციპლინურ მიდგომას და აღნიშნულ პუბლიკაციაში განიხილავს შევჩენკოს ცნობილი პოემა „კავკასიის“ ანტიკოლონიურ/ანტიიმპერიულ მოტივებს [Грицик 2019: 65-66], ქართული და უკრაინული რომანტიზმისა და რეალიზმის ტიპოლოგიას, ნაციონალური დისკურსის მოდელებს, XIX საუკუნის მე-2 ნახევრის პეტერბურგის უკრაინული და ქართული სათვისტომოების ისტორიას.

ტიპოლოგიურ კვლევათა თვალსაზრისით აღსანიშნავია ასევე პროფესორის პუბლიკაცია, „ნიკოლოზ ბარათაშვილი უკრაინულ სამეცნიერო და მხატვრულ დისკურსში“ რომელიც ეძღვნება ქართული და უკრაინული რომანტიზმის შედარებით ანალიზს. იგი ნაკითხულია საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე „რომანტიზმი ლიტერატურაში: ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“, განიხილავს ორივე ქვეყნის რომანტიზმის გენიალური წარმომადგენლების - ტარას შევჩენკოსა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მსგავს მოტივებს, მათ შორის არსებულ შინაგან კავშირებსა და ორივეს მიმართებას მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტთან [Грицук 2017: 194-201].

ტრადიციულ კომპარატივისტიკაში, ლიტერატურულ ურთიერთობებში, არაერთი ათეული წელია დამკვიდრებულია უცხოეროვნული ლიტერატურის აღქმის, კულტურათა ურთიერთმიმართების მრავალფეროვანი მასალების კვლევის ტენდენციები. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ცნობილი მკვლევრის, ნ. გაფრინდაშვილის, მოსაზრებით: „აღქმა ლიტერატურაში და, ზოგადად, კულტურაში ერთიანი მოვლენების ნაწილია. იგი არის პროცესი და შედეგი საზოგადოების ან პიროვნების ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია უცხოეროვნული მოვლენის შესაცნობად და გასაგებად... რეცეფცია აღქმის სინონიმია. იგი გულისხმობს ლიტერატურული ფასეულობების შესწავლას როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ასევე რეცეფციულ-კომუნიკაციური თვალსაზრისით“ [გაფრინდაშვილი, 2018:26]. ქართულ-უკრაინული ლიტერატურათაშორისი რეცეფციის მრავალფეროვანი ფორმები განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლუდმილა გრიციკის შრომებში. აქედან ორი დიდი მოდელი უნდა გამოიყოს: ქართული ლიტერატურის რეცეფცია უკრაინაში და უკრაინული ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში. კიდევ უფრო კონკრეტულად, ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან ცალკე მოდელად გამოვყოფდი „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ მის რამდენიმე პუბლიკაციას, რომელშიც სრულიად უცნობი და უნიკალური მასალებია წარმოდგენილი. ესაა, უკრაინული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ლიდერის, გენიალური უკრაინელი პოეტისა და კრიტიკოსის, ევგენი მალანიუკის წერილი. ეს სტატია მიეძღვნა რუსთველის პოემის ბალმონტისეულ თარგმანს და დაიბეჭდა პოლონურ გამოცემაში „Wschod“. ამ პუბლიკაციის ავტორი კრიპტონიმით იყო წარმოდგენილი. უკრაინელმა მეცნიერმა სიღრმისეული ტექსტოლოგიური და კომპარატივისტული ანალიზით დაადგინა (აღნიშნული საკითხის კვლევაში სტატიის ავტორიც მონაწილეობდა), რომ სწორედ ევგენი მალანიუკია მისი ავტორი. ლ. გრიციკის ერთ-ერთი არგუმენტია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გამოთქმული მო-

საზრებები ტიპოლოგიურ კავშირშია მალანიუკის ცნობილ ესესთან „კუდღუხათა გიპოდოგის მონახაზები“. მის მიერ შემუშავებული აღმოსავლეთ-დასავლეთის თეორიული კულტურული პარადიგმა სრულიად ეთანხმება ქართული პოემის შესახებ გამოთქმულ მსჯელობებს და ეს მართლაც ასეა. (დეტალ.: Грицик 2015: 243-250). მეტად საინტერესოა მეცნიერის კომპარატივისტული ანალიზი სტატიაში „ვეფხისტყაოსნის“ უკაინური ხეცეფცია: მ. გუდაკსა და ო. ნავხოცკის შოხის“. ნაშრომი დაიბეჭდა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჟურნალში „სჯანი“ №14, 2013 წ.

მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით პუბლიკაცია, მონოგრაფია თუ პუბლიცისტური სტატია მიედღვნა საქართველოსა და უკრაინის ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას, ემიგრაციის მასალები უკანასკნელ წლებამდე მიუწვდომელი და უცნობი იყო როგორც ქართველ უკრაინისტიკაში, ასევე უკრაინულ ქართველოლოგიაში. სწორედ დიდ უკრაინელ მეცნიერს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტების გამომზეურება ემიგრანტების არქივებიდან, როგორიცაა ვ. დერჟავინის მიერ შესრულებული გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ემიგრანტულ პერიოდიკაში მიმობნეული ქართული პოეზიის უნიკალური თარგმანები. მასვე აქვს მიკვლევული მეოცე საუკუნის დასაწყისში უკრაინაში და შემდგომ უკვე ემიგრაციაში ცნობილი ორიენტალისტის, ვიაჩესლავ ლაშჩენკოს ლექსი „Сакартвели“, ეს ლექსი მკვლევრის მოსაზრებით ეძღვნება 1924 წლის აჯანყებაში დახვრეტილ ქართველ მებრძოლებს. მის მიერვეა მიგნებული პრალაში, ე.წ. „პრალულ არქივში“ უკრაინელთა სამოქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში მანქანაზე დაბეჭდილი და ნახევრად ხელნაწერი ანთოლოგია „აღმოსავლური პოეზია“, რომელშიც ქართული კლასიკური პოეზიის თარგმანებიც ყოფილა შეტანილი [Грицик, 2010: 191-193, Грицик 2013: 365-375].

შედარებითი ლიტერატურის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მოდელების კვლევას ეძღვნება 2010 წელს გამოცემულ მის საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფიაში ცალკე პარაგრაფები – შედარებითი კვლევების ქართული მოდელები გვ. 236-244, კულტურული ურთიერთგაგების პრობლემები თარგმანში, გვ. 277-293. უნიკალური ქართული მასალაა წარმოდგენილი შემდეგ თავებში – ლიტერატურული ველის მარგინესები: გარე კონტაქტები, 108-116, უკრაინულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი მოდელები მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გვ. 108-129.

ლუდმილა გრიციკს ემპირიულ კვლევებთან ერთად ეკუთვნის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის თე-

ორიული სისტემატიზაცია და მისი მიმართება თანამედროვე ინტერ-დისციპლინურ, ტრანსნაციონალურ კომპარატივისტულ კვლევებთან. თეორიული თვალსაზრისით ფასდაუდებელია ნაშრომი „უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები: პერფერენციები და აქცენტები შედარებითი კვლევებისათვის“. სტატიაში ტრადიციულ ფორმებთან და სახეებთან ერთად იგი გვთავაზობს კვლევის სამომავლო თეორიულ პერსპექტივებსაც [Грицик 2015: 63-70]. თავისი სრულიად გამორჩეული შინაარსისა და მნიშვნელობის გამო ეს მეტად საინტერესო და აქტუალური კვლევა ვთარგმნე ქართულ ენაზე და მზადდება გამოსაცემად.

ძნელია ერთი პუბლიკაციის ფარგლებში აღწერო და განიხილო დიდი მეცნიერის თითქმის 50 წლიანი მოღვაწეობა ქართველოლოგიის დარგში. ეს ყველაფერი დაიწყო და გრძელდება თავისი მეორე სამშობლოს - საქართველოს, მისი კულტურისა და მწერლობის, უანგარო სიყვარულით. ლუდმილა გრიციკი აკეთებს საქმეს, რომელიც ჩვენთვის ნამდვილად არის საჭიროებაც, მიზანიცა და აუცილებლობაც. უკრაინელი მეცნიერის თითქმის უკვე ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში – 2013 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

### ლიტერატურა:

- გაფრინდაშვილი 2018:** გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2018;
- გრიციკი 1973:** Грицик Л. В., Грузинская художественная проза в современных украинских переводах. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Киев, 1973;
- გრიციკი 1994:** Грицик Л. В., Орієтналістика А. Кримського в українському літературному процесі початку ХХ ст. Київ, «Живиця», 1994.
- გრიციკი 1999:** გრიციკი, ლ., სათავეები შემდგარი და არ შემდგარი შეხვედრებისა. უკრაინულიდან თარგმანი და წინათქმა რევაზ ხვედელიძისა. წიგნში: „აკაკის კრებული“ ტომი I, თსუ, აკაკი წერეთლის კაბინეტი, 1999;
- გრიციკი 2010:** Грицик, Л. В., Українська компаративістика: концептуальні проєкції. Донецьк Юго-Восток, 2010;
- გრიციკი 2013:** Грицик Л. В. Эмиграционная модель украинско-грузинских литературных связей начала ХХ века. მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება) მასალები, ნაწილი I, თბილისი: GCLA PRESS, 2013;



- გრიციკი 2015:** Грицик Л.В., Ще одна сторінка української Руставеліани. Український журнал іноземної літератури, Київ, 2015, №5;
- გრიციკი 2015:** Грицик, Л. В., Українсько-грузинські літературні взаємини початку ХХ ст.: преференції та акценти порівняльних досліджень. Науковий збірник «Теорія літератури: концепції, інтерпретації. Київ, Логос, 2015;
- გრიციკი 2017:** Грицик, Л. В., Николоз Бараташвили в украинском научном и художественном дискурсах. წიგნში: „რომანტიზმი ლიტერატურაში: ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“ (ეძღვნება დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლის-თავს) მასალები, ნაწილი II, თბილისი, GCLA PRESS, 2017;
- გრიციკი 2019:** Грицик, Л.В., Зустріч А. Церетелі з Т. Шевченком: комунікативне тло «Кавказу». В кн. Шевченкознавчі студії, збірник наукових праць, випуск 1 (22), Київ 2019;
- ზაპეტნეკი 2009:** Стивен Тетеші де Запетнек. Нова компаративістика як теорія і метод. В кн. «Сучасна літературна компаративістика: стратегії і методи. Антологія. За загальною редакцією Дмитра Наливайка. Видавничий дім «Києво-Могилянська академія», 2009;
- ნემსაძე,...** 2005: ნემსაძე ლ., ბაქანიძე ო., ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2005;
- რათიანი 2017:** Ratiani I., Stroevi, Al., Turnava R., Lomidze G., The Reflection of French Culture and Literature in the Georgian Cultural Space of 17th and Early 20th Centuries . SJANI. Journal of literature theory and comparataive literature, Tbilisi, TSU Publishing House, 2017, #18;
- წიფურია 2016:** წიფურია ბ., ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

**Ivane Mtchedladze**

## **Georgian Literature in Contemporary Ukrainian Comparative Studies: On the Kartvelological Studies of Ludmila Grytsyk**

### **S u m m a r y**

Kartvelological research has a rich and interesting history in Ukrainian science. Interest in Georgian literature and culture dates back to the 19th century and is linked to the development of Orientalist studies in Ukrainian science. From this period on the history of Georgian-Ukrainian literary-cultural relations, the tradition of analyzing and studying historical pre-conditions and cultural contexts developed.

The most active period of Kartvelological research in Ukraine is the second half of the twentieth century, when the university scientific traditions were established. The rich and diverse studies of the Ukrainian Kartvelologist, Professor Ludmila Grytsyk, are especially important. Her studies are one of the most important works in modern foreign Kartvelology. The materials found by the scientist in the archives of Georgia, Ukraine and various European countries are very impressive. These materials reflect unknown and extremely interesting facts about the reception of Georgian literature.

Ludmila Grytsyk's field of scientific interests includes Georgian-Ukrainian literary relations and interconnections of the late 19th and early 20th centuries. In the seventies of the twentieth century, she defended her PhD dissertation "Georgian Fiction in Contemporary Ukrainian Translations", later the dissertation- "Literature of Eastern Countries (Central Asia, Transcaucasia) in the Ukrainian Literary Processes of the Early Twentieth Century". She has translated Georgian prose and poetry, Georgian folk tales. Among the Kartvelological studies by L. Grytsyk, the introduction of interdisciplinary, innovative theoretical and methodological approaches in the analysis of inter-literary contacts are especially noteworthy.

The Ukrainian researcher studies the rich and unique empirical material obtained for almost half a century in the context of traditional (contactology) and modern (typology, imagology, translatology, cultural transfer, colonial and postcolonial studies, etc.) comparative methodologies.

The article discusses the unique Kartvelological studies of the famous Ukrainian scientist: both separate articles and her fundamental essay "Ukrainian Comparative Studies: Conceptual Projections" published in 2010. A large part of this monograph is devoted to the study of Georgian culture and literature. The almost half-century-old work of the Ukrainian scientist has been honored in Georgian scientific and academic circles - in 2013 she was awarded the title of Honorary Doctor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

## რუსუდან ნიშნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი (როსტომ ჩხეიძის ტექსტების – „იის სურნელი თოვლში“ და „ეკლიანი და პატარა გზა“ – მიხედვით)

უძველესი ჩინური ანდაზაა: „როცა წყალსა სვამ, წყარო გახსოვდეს“. ასე ვაფასებთ ჩვენ წინაპრებს. ვიცით, რომ ასე აფასებს ქართველი ერიც თავის კლასიკოსებს“, – ამგვარად აუხსნა ამ ფრთიანი გამოთქმის დედააზრი საბჭოეთიდან ჩასულ ქართულ დელეგაციას „ვეფხისტყაოსნის“ ჩინურ ენაზე მთარგმნელმა, ცნობილმა პოეტმა ლი ცი-ემ. ამას ამ ჯგუფის წევრი, პოეტი ალიო მირცხულავა მოიგონებს [მირცხულავა 1956: 70]. ქართულ სივრცეში სიტყვას „წყარო“ უამრავი სინონიმი აქვს: წყარო – დასაწყისი, დასაბამი, ძირი, ფესვი, საფუძველი და ა.შ. არაერთი ქართველის ცოდნის, წერა-კითხვის დასაბამი იაკობ გოგებაშვილია, დიდი და მნიშვნელოვანი წიგნების ავტორი. მის გარეშე ამ წყაროს დინება წარმოუდგენელია. ქართულ სამეცნიერო და ასევე, სალიტერატურო კრიტიკას არაერთხელ გაუანალიზებია მისი ღვანლიც და ლიტერატურული მემკვიდრეობაც. ამჯერად, მინდა ყურადღება მხატვრულ სიტყვაზე – მწერლობაზე შევაჩერო; იაკობ გოგებაშვილი – ლიტერატურული პერსონაჟი.

როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ეს დიდტანიანი ლიტერატურული ტექსტი დეტალურად წარმოაჩენს არა მხოლოდ ამ გამორჩეული, უდიდესი მოღვაწის მიერ განვლილ გზას, არამედ იმ ეპოქასაც, რომელშიც მას უხდებოდა საქმიანობა. ამავე მწერლის სხვა ნაწარმოებებში იაკობ გოგებაშვილი ხან მთავარი პერსონაჟია, ხანაც ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათქმელის გამომხატველი. განვიხილავ პიესას „იის სურნელი თოვლში“ და მეორეს – დეტექტიური ცდა „ეკლიანი და პატარა გზა.“

პიესა „იის სურნელი თოვლში“ წიგნად 2015 წელს გამოიცა – ესაა ორ მოქმედებად და ათ სურათად გათვალისწინებული ტექსტი. მთავარი პერსონაჟი იაკობ გოგებაშვილი გახლავთ. ჟანრული კანონების მიხედვით ყველაფერი ზუსტადაა გათვალისწინებული: მოქმედი გმირები, მუსიკა, განათება და ისიც, გარკვეულ შემთხვევებში მოქმედების პარალელურად, რას უნდა ხედავდეს მაყურებელი სცენის სიღრმეში. როცა თეატრში, დარბაზში მჯდომი ადამიანი გამოგონილ პერსონაჟებს უყურებს, ემოცია სხვაგვარია; მაგრამ, როდესაც სპექტაკ-

ლში უკვე იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი და სხვანი სცენაზე დადიან, საუბრობენ, მოქმედებენ – ეს პასუხისმგებლობაა; პასუხისმგებლობა და რისკიც.

„გოგებაშვილი ჩამოვიდა... გოგებაშვილიიიი!“ სემინარიელების ყიჟინა ფარავს ცხენების ფრუტუნს, მათრახების ტყლაშუნის და ეტლების რახრახის ხმას. ასე დასრულდება პირველი მოქმედების პირველივე სურათი და მერე ჩვენებაა იმისა, რაც მოხდება სემინარიის თითოეულ ოთახში, რა და როგორ იცვლება „სასწავლო პროცესში“, ამის პარალელურად, აკაკის დროინდელი სემინარიის გახსენება, რომელიც ახლა გოგებაშვილის დროებისაგან აღზრდის მეთოდებით არაფრით განსხვავდება. რთულია დამკვიდრებული „წესრიგის“ ახლით შეცვლა და სრულიად ბუნებრივია ის წინააღმდეგობა, რომელსაც ზედამხედველად გამწესებული იაკობი წააწყდება. მკაცრია და შეუვალი. ახლა ის სახელმწიფო მოხელეა და მასთან დაპირისპირებას ღიად მაინც ვერ გაბედავენ. გაბრიელ ეპისკოპოსი სიცილით იტყვის:

„თქვენმა დაახლოებამ ძალიან შეაშფოთა გუბერნატორიც და ნამესტნიკიც და დღე ერთია, ათ საჩივარს მაინც აგზავნიან პეტერბურგში, ახალ განკარგულებებსა და ბრძანებებს ითხოვენ, ახალ რჩევა-დარიგებებს ივედრებიან, როგორმე ეს ორი კაცი დაგვაშორებინეთ ერთმანეთს, ჯერ ცალ-ცალკე გვირთულებენ აწყობილ ცხოვრებას და მათი ერთად ყოფნა რაღაც უბედურებას გადაგვყრის, გვიშველეთ, ჩვენი ვერას ვუხერხებთო“ [ჩხეიძე 2015: 26]

„თქვენ“ = ერთი – იაკობ გოგებაშვილია, მეორე – ილია ჭავჭავაძე და გასაგებია ის სიხარული, სასულიერო მოღვაწეს რომ დაუფლებია. რამხელა საქმეს შესჭიდებია ეს ორი ქართველი, თანაც ერთად, და ალბათ, როგორი წარმატებით შესძლებენ.

ე.წ. „დრამატული კონფლიქტი“ „დედა ენა“-ს პირველ სიტყვას უკავშირდება. დიდ პედაგოგს შედგენილი კრებული მთლიანად დაუსრულებია, მაგრამ დასაწყისისათვის ვერ მიუგნია. ზოგადად ასე ხდება: რჩევას ყველას არ ეკითხებიან; მხოლოდ იმას, ვისაც ენდობიან და ვის სიტყვასაც პატივს სცემენ. ზოგადად, ასეა. ვფიქრობ, როსტომ ჩხეიძემ ძალიან ზუსტ კონტექსტს მიაგნო. მნიშვნელოვანია, ვის ეთათბირება გოგებაშვილი. პირველად თავის შეფერხებას ეპისკოპოსს გაბრიელს გაანდობს:

„თითქოს მოჭადოებულ წრეში მოვქცეულვარ, პირველდანყებითი სახელმძღვანელო, რაზეც ვაფუძნებ მთელს ჩემს სწრაფვას სკოლის გაქართულებისა, თავიდან ბოლომდე მაქვს გააზრებული, ასე

მგონია, ერთ საღამოშიც შევადგენ-მეთქი, ეგაა, დასაწყისი ვერა და ვერ მიპოვნია. ამდენი ხანია თავს ვიტყვ, მაგრამ ვერ მივაგენი, თუ რითი შეიძლება დავიწყო“ [ჩხეიძე 2015: 28]

მეორე მოქმედება, ბოლო, მეხუთე სურათი. დეკორაცია - დრამატურგი განსაზღვრავს: „ბარდნის, თოვლში გასუდრულა ტფილისი. ყმანვილები გარბი-გამორბიან, თოვლში კოტრიალობენ, ერთმანეთს გუნდებს ესვრიან. გამვლელები ფრთხილად ადგამენ ფეხს. გამოჩნდება იაკობ გოგებაშვილი. განსაკუთრებული სიფრთხილით მოძრაობს, ისეა შეფუთნული, თვალებილა მოუჩანს“ [ჩხეიძე 2015: 60-61]. ესეც მართალი ცხოვრებისეული დეტალი (*მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე*). სცენაზე ისმის ყმანვილების მხიარული ჟივილ-ხივილი. თანდათან ხმები მკვეთრდება და ბავშვებიც გამოჩნდებიან. ისინი თამაშობენ, ხალისობენ და თოვლში შეყუჟულ ყვავილებსაც შეამჩნევენ.

„- ეს რა ყვავილია, ძია?

- ია ყოფილა, ია!

- აგერ კიდევ ია, ძია, აგერ კიდევ ია!

- აი ია!“ [ჩხეიძე 2015: 62]

ესაა, მიაგნო! ქუდსაც მოისვრის, კაშნესაც და პალტოგაღელილი, უბედნიერესი თითქოს ცეკვავს კიდევ. ილიას მინიშნებასაც გაიხსენებს და ხელგაშლილი სცენის სიღრმისკენ გარბის.

დასაწყისში იაკობი რჩევისათვის ამ სამეულს გაენდობა: ეპისკოპოს გაბრიელს - *სუდიეხება და ხედიგიუხი ხეჯვა*, ილია ჭავჭავაძეს - *XIX საუკუნის შემომქმედი* და დარო მამაცაშვილს - *ღამაზი გიფობა*.

რწმენა, თავგანწირვა და სიყვარული - დიდი საქმე მხოლოდ ამ ერთობლიობით კეთდება. რასაკვირველია, უკვდავი „აი ია“ მხოლოდ გოგებაშვილის სიბრძნის, გონიერების და ესთეტიკის ნიმუშია.

და ორიოდ სიტყვა სათაურის შესახებაც: „იის სურნელი თოვლში“ - ვფიქრობ, მეტაფორულად: გაყინული მიდამო, თოვლში გაშლილი უღამაზესი ნაზი ია და სურნელი, რომელიც თაობებს გადასწვდება.

როსტომ ჩხეიძისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ დარბაზში შეკრებილი ასობით მაყურებლისთვის არა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი გახადოს საცნაური, არამედ 21-ე საუკუნის ქართველს ის უმნიშვნელოვანესი წიგნები შეახსენოს და ვეებერთელა საქმიანობის პერიპეტეები წარმოუდგინოს, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის სახელი ჰქვია. პიესა ვფიქრობ, აქტუალურია და რეჟისორებისთვის საინტერესო სპექტაკლად ქცევის სურვილს გააჩენს. აკი გააჩინა კიდევ. პიესა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში დაიდგა, რეჟისორი - სოსო ნემსაძე.

„ეკლიანი და პატარა გზა“ – ილია ჭავჭავაძის მკვლევლობას ეხება. წიგნის მეორე და შევსებული გამოცემა არაერთ ისტორიულ პიროვნებას დაიმატებს. პირველში ბევრი არაა, მათ შორის არც იაკობ გოგებაშვილი. სიუჟეტში თითოეულ მოქმედ პერსონაჟს მხოლოდ ერთი პატარა თავი ეთმობა. ეს მოზაიკური ნაირგვარობა (ექვთიმე თაყაიშვილი, ქაქუცა ჩოდოყაშვილი, ნიკო ნიკოდაძე, თეოდ დაბაუხი, იხოღიონ ევლოშვილი, ნოე ჟოხდანი, კიკია აბაშიძე, კახლო ჩხეიძე, წყადობა ბიჩნიგაუხი, კოტე აფხაზი, ისაკა აღხანაშვილი, მაჩგია დიქოკედი... ვინ აღაჰ) ერთიან სურათს აღადგენს. მოქმედი გმირები ან კონკრეტულ პიროვნებაზე ყვებიან, ან თავის ამბავს, საქციელს იხსენებენ, ოღონდ სხვადასხვაგვარად: ზოგი ინანიებს, ზოგიც თავსაც კი იწონებს ჩადენილი დანაშაულით. სათქმელი ყველასა აქვს: მეეტლედან – მოაზროვნედ; შეფასების სხვადასხვა ხატიც ჩადგება. თუმცა ხატად მაინც ილია დგას. ეს „მოგონებები“ კი სხვადასხვა ფერს ადებენ ტილოს. მუქი ფერები სჭარბობს, მაგრამ ბნელი სურათი არ შეიძლება, ნახატი ხომ უნდა დავინახოთ?! ის ბედნიერი გამონათებები ამ ხატის დანახვის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა. ქვეყანაშიც ხომ ასეა; არც ძალიან ბნელი და არც ძალიან გაბრწყინებული. თუკი „ფერთა მრავალფეროვნება“ მეტ-ნაკლებად განონასწორებულია, ქვეყანას არაფერი უჭირს. დროს და ქვეყანას კი იმის მიხედვით განვსაზღვრავთ, რომელი ფერი ჭარბობს: მუქი თუ ნათელი. „შავი ღრუბლები იკრიბებოდაო“ ხშირად წაგვიკითხავს ამ ეპოქის ირგვლივ, ცხადია, რომელი ძალების გაერთიანებაც იგულისხმება. ილია ჭავჭავაძის ფიგურამ ფერები გაამკვეთრა კიდევ.

ამჯერად, მხოლოდ იმ თავს წარმოვადგენ, რომელსაც „იაკობ გოგებაშვილი“ ჰქვია. ვფიქრობ, აქ მწერლის განსაკუთრებული სათქმელია ჩადებული. იაკობ გოგებაშვილის დღის რეჟიმი ყველასთვის ცნობილი გახლდათ. ამხელა ჯაფის გამწევი კაცის რიდი ჰქონდათ და მასთან დაუპატიჟებელ სტუმრობას ყველა ერიდებოდა. თუმცა, ისეც მომხდარა, რომ შეგვიანებულ ნაცნობსაც შემოუვლია. კარის გაღებამდე არასოდეს უკითხავს, ვინ იყო სტუმარი. აკი კარს რომ გააღებდა, ისედაც ნახავდა. ექსპრესიულად დახატული სურათი მხატვრულად შთამბეჭდავია და მძიმეც.

„კარზე შუალამისას დამიკაკუნეს“.

შემდეგ უკვე ხმამალალი ფიქრია საკუთარ თავთან. თუმცა „ხმამალალი“ ეგებ, არც.

„ისევ დააკაკუნეს, ფრთხილად, მორიდებულად, თუმცა გაბმულად და ჩაძინებული კაცის ყურს ეს დაჟინება უნდა მიწვდომოდა... მაგრამ ისე გავილურსე და გავმტკნარდი, ისე გავხევდი, სუნთქვაც შემეკრა“ [ჩხეიძე 2007: 231].

არც ფანჯრიდან ხერხდებოდა სილუეტისთვის თვალის მოკვრა. არადა, უკვე გამოეცადა, როგორ შემოეფანტნენ ისინი, ვინც ერთგულებას ეფიცებოდა. საფრთხე ეყნოსათ და სულმოკლედ გაესწროთ. სხვა დრო დამდგარიყო, ხანი უნდობარი. მაინც რომ არ გატყდებოდა, უკან არ დაიხევდა. მაგრამ ამ შუალამეს? ამონარიდი:

„შიში არასოდეს მეგრძნო. მიკვირდა, როდესაც მაფრთხილებდნენ თუ შემაგონებდნენ, ხელისუფლებასთან დაპირისპირება სიკეთეს არ დაგაყრის და შეენიროები ქართული სკოლის შექმნასო.

იმათ, ეტყობა, ჩემი პასუხი უკვირდათ და ახსნით კი ვერ აეხსნათ: შევენიროები და შევენირო, მარცვალს ხომ მაინც ჩავაგდებ ხნულში, ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ იხარებს-მეთქი.

ახლა ამ კაკუნმა ეს რა დამმართა“ [ჩხეიძე 2007: 231].

რიჟრაჟი დაამშვიდებს. ჩამომდგარი სიჩუმეც. თუმცა, დასკვნას მაინც გამოიტანს – მკაცრს და რეალურს:

„ასე – წამის დიდი გარდასახვა ვიხილე, ახალი ჟამის დაბადება. ვიხილე და ველარც გამოვეხსენი“ [ჩხეიძე 2007: 232].

შიში არ ეკუთვნის რომელიმე დროს! ყველა ხელისუფალს „თავისი შიშის“ დანერგვის მეთოდი მოაქვს. მან უკეთ იცის, ამ კონკრეტულ საზოგადოებაზე როგორ იმოქმედოს. მეთოდები მისი მმართველობის დროს არ იცვლება, სახეს მხოლოდ მეორე ხელისუფალთან იცვლის. არადა, ის ინდივიდუალური განცდაა. ინდივიდუალური, მაგრამ ამა თუ იმ ეპოქის ნიშანი. მოდის ახალი ეპოქა. ეპოქა, რომელსაც თავისი „ნიშანი“ მოაქვს. ჯერ ატმოსფერულად, სიტყვით.

„მართალია, უდიდესი საკითხია ხელოვნება, საერთო კულტურა, მაგრამ როცა ჩვენ ვინტოვკით ვწყვეტთ საკითხს რევოლუციისას...“ – ეს საქართველოს მწერალთა კავშირის I ყრილობაზე პარტიის სახელმძღვანელოთ გამოსული ლიტერატორის სიტყვებია [ნიშნინიძე 2000: 13]. 19 წელი გასულა ილიას მკვლევლობიდან, რიტორიკა და მუქარა კი იგივე დარჩენილა. „ვინტოვკით“ გადანყვეტილი საქმეების ბედი ყველამ კარგად უნყის – კარგს არაფერს მოასწავებს. ეს დაახლოებით იმგვარია:

„მხოლოდ თითით დაგემუქრები,“ – მითხრა და ის თითი ჩახმახს მიადო.“

„კაკუნი“ – დიდ, დამანგრეველ, შემზარავ ხმაურად გაისმება. განსაკუთრებით, ღამის კაკუნი, ისეთივე დამთრგუნველი, როგორც შუალამეს კარებთან ეტლის შენელებული ბორბლების ხმა ან უკვე მოგვიანებით, გაჩერებული ავტომობილი. ფანჯარასთან, ფარდის უკან ამოფარებული მუხლებაკანკალებული ადამიანები ელიან, იმ მანქანიდან გადმომხტარი შავლაბადიანების ამაღა რომელ კარზე დააკაკუნებს.

ეს განაჩენია! რაგვარ შიშს ნერგავენ? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ აქვს მინანური: „დეტექტიური ცდა“. არც ეს წიგნია „დეტექტივი“ და მით უფრო არც „ცდა“. მგონია, რომ XX საუკუნის ბოლოს დაწერილი ეს წიგნი აღადგენს XX საუკუნის დასაწყისის ეპოქას.

**ილია ჭავჭავაძე – საქმის კაცი, იაკობ გოგებაშვილი – სიტყვის.** გიმნაზიაში მომავალი ქართველები იზრდებიან; მათი საქმე და სიტყვა ერთმანეთს არ უნდა დასცილდეს. ორივეს ერთობლიობა ქართველობას მტკიცედ და მყარად უნდა ახსოვდეს!

**გასროლის ხმა მთელ საქართველოში გაისმა... იაკობ გოგებაშვილის კარზე კაკუნიც...**

როსტომ ჩხეიძე ლიტერატურულ ტექსტებში სათქმელის ვრცელ თვალსაწიერს, საუკუნის შეცნობას ცდილობს და იმ პირების მხატვრულ პორტრეტებს ხატავს, რომელთაც ეპოქა შექმნეს. **იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის თანამონაწილეა, თანაც, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.**

#### **ლიტერატურა:**

**მირცხულავა 1956:** მირცხულავა ა., მოგზაურობა ჩინეთში, პოეტის დღიურები, თბილისი, 1956;

**ნიშნიანიძე 2000:** ნიშნიანიძე რ., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან... თბილისი, 2000;

**ჩხეიძე 2015:** ჩხეიძე რ., იის სურნელი თოვლში, თბილისი, 2015;

**ჩხეიძე 2007:** ჩხეიძე რ., ეკლიანი და პატარა გზა, დეტექტიური ცდა, თბილისი, 2007.

### **Rusudan Nishnianidze**

#### **Iakob Gogebashvili – Literary Character (Rostom Chkheidze’s texts „The Scent of Violet in the Snow” and According to the „Thorny and Small Road”)**

##### **S u m m a r y**

Iakob Gogebashvili is the author of great and important books. Georgian scientific as well as literary criticism has been repeatedly analyzed for its merits and literary heritage. This time, I want to focus on the artistic word – writing; Iakob Gogebashvili – literary character.

Rostom Chkheidze owns the biographical novel „Burji Nation”, which is about the life and work of Iakob Gogebashvili. This voluminous literary text details not only the path taken by this distinguished, great figure, but also



the epoch in which he had to work. In other works of the same writer, Iakob Gogebashvili is sometimes the main character, sometimes the expression of one of the important saying of the author. I will discuss the play „The Scent of Violet in the Snow” and the second - the detective attempt „The Thorny and the Little Road.”

Rostom Chkheidze tries to get a wide view of what is to be said in literary texts, to know the century and to paint artistic portraits of the people who created the epoch. Iakob Gogebashvili is an accomplice of the XIX century, moreover, one of the main characters.

## სალომე ოშიაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### „უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი

„უვიცობის შემცირება“ ის, რასაც იაკობ გოგებაშვილმა არა მართო საკუთარი შემოქმედება, არამედ მთელი ცხოვრება მიუძღვნა. თვით ეს შესიტყვება – „უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან წიგნის – „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“ – წინასიტყვაობაში გამოიყენა. დასახელებული ტექსტი ისევე, როგორც მისი არაერთი სხვა ნაწარმოები, ადამიანისა და ქვეყნის განვითარების, წარმატების ერთგვარი სახელმძღვანელოა. აღნიშნულ წინასიტყვაობაში იაკობ გოგებაშვილი ჩვეული სინათლითა და სიმარტივით აღწერს ბუნების თვისებებისა და კანონების უმეცართა მდგომარეობას: „ამისთანა ბუნების უვიცი ადამიანი ხშირად ავადმყოფობს, უნაყოფოდ მუშაობს, ხელი ეცარება ყოველს ნაბიჯზე, მოსავალი უცდება, დოვლათი არ უდგება სახლში. ხშირად ავადმყოფობა და სიღარიბე – აი ხვედრი ამისთანა უვიცი ადამიანისა ... ნაიკითხეთ ეს წიგნი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ გაუზვიადებელს მართალს ვამბობთ. და სწორედ ამ უვიცობის შემცირებისათვის<sup>2</sup> დავბეჭდეთ წინათ „ბუნების კარი“ და „კონა“ და ახლა ვბეჭდავთ ამ ახალს წიგნსა, რომელსაც მოჰყვებიან სხვა წიგნებიც ბუნებისმეტყველებიდან“ [გოგებაშვილი 1896: 3]. მართლაც, ი. გოგებაშვილის ყველა მანამდელი და მომდევნო წიგნი, ყველა მოთხრობა, შეიძლება ითქვას, ყოველი სიტყვაც კი, ცხადად თუ შეფარვით საგანმანათლებლო მიზანს ემსახურება.

<sup>2</sup> ხაზი ჩვენია, – ს. ო.

საუკუნეზე მეტი დროის შემდეგაც, შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ვითარებაში, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებას ალტერნატივა არა აქვს. მისი ყავლგაუსვლელობის პირობას წარმოადგენენ ის მთავარი კონცეპტები, რომლებიც ქართველთა უმრავლესობის ცნობიერებაში დღესაც ღირებულებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურებს ინანილებენ.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მთავარ კონცეპტად მოზარდი თაობის რეალური ცოდნით შეიარაღება უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის მრავალფეროვან თხზულებებში ცოდნის კონცეპტის ობიექტივაციისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. მათგან ყველაზე ძლიერი შემოქმედების მქონეა უცოდინარობით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების წარმოჩენა, რაც თავისთავად ბადებს „უვიცობის შემცირების“ სურვილსა თუ აუცილებლობას. დასახელებული ხერხი გასდევს როგორც მის პედაგოგიკურ დისკურსს, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებს. უაღრესად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც შემეცნებითი ხასიათითა და პოპულარული თხრობის მანერითაა ნიშანდებული. სწორედ ასეთია მის მიერ აღწერილი საქართველო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ყოფა და ცხოვრება, რომელთა ყოველი ქცევის, ხასიათის ნებისმიერი თვისების მიზნად თუ პირობად ცოდნისადმი მათი დამოკიდებულება სახელდება. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული გზით შექმნილი ის მიკროკონტექსტები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის კომპოზიციურ-შინაარსობრივ ერთეულად გვევლინება.

საინტერესოა ამ მხრივ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მცხოვრებთა შედარება, რის საილუსტრაციოდაც მსჯელობის ვრცელ მონაკვეთს დავიმოწმებთ: „თავიდათავი უაღრესობა იმერებისა ამერებზე იმაში მდგომარეობს, რომ იმათ საკვირველად უყვართ ცოდნა, სწავლა და განათლება. თითქმის ყველა სოფელში სკოლაა გამართული და ზოგს დაბაში ორი-სამიცა. ეს სკოლები სულ სავსენი არიან მოწაფეებით. ვერც სიღარიბე და ვერც სხვა დაბრკოლება განათლების სურვილს ვერ უქარწყლებს იმერებს. უკანასკნელი მოჯამაგირე, რომელსამე ქალაქში დაბინავებული, ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს და ზოგჯერ თავის მცირე ჯამაგირს ჰხარჯავს, რომ წერა-კითხვა ისწავლოს... აქეთა ქართველებს სწავლის წადილი ამის ნახევარიც არა აქვთ. სკოლა მხოლოდ ზოგიერთ სოფელშია გამართული და შინაც წიგნის სწავლა იშვიათი მოვლენაა. რადგანაც ზნეობისა, ქკუისა, დოვლათისა და კეთილდღეობის წარმატება დამოკიდებულია განათლებაზედ, ამიტომ აქეთა ქართველებმა უნდა აწინდელზე მეტად შე-

იყვარონ სწავლა, თორემ ძლიერ უკან ჩამორჩებიან წარმატებითა და კეთილდღეობითა თავის დასავლეთელ მოძმეთა ... იქითური გლეხობა მეტს წიგნსა ჰყიდულობს, ვიდრე აქეთური. იქით ლაზათიანი და მკვიდრი სახლები უდგათ, აქეთ კი უმრავლესობა მიწურს ქოხებში სცხოვრობს. იმათ დიდი ხანია თავის ნაბატონართაგან გამოისყიდეს „საკომლო“ მიწები ... ესენი კი ჯერ ისევ მეოთხედს მოსავლისას აძლევენ მემამულეებს და თითქმის ისევ ყმანი არიან მათნი“ [გოგებაშვილი 1982: 191]. მოხმობილ მსჯელობას წინ იმის აღნიშვნა უძღვის, რომ „ნიჭიერებით იქითა და აქეთა ქართველები ერთმანეთს არ ჩამორჩებიან“, მაგრამ კონკრეტულ ტექსტშიც და სხვაგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლებისაკენ სწრაფვაა ნებისმიერი წარმატების წინაპირობა.

ცოდნის კონცეპტური სტრუქტურის რეალიზება იაკობ გოგებაშვილის მთელ მემკვიდრეობაში დეკლარაციული და კონტრასტული დაპირისპირების ხერხთა მონაცვლეობით მიიღწევა, თუმცა მის დისკურსზე დაკვირვება უკანასკნელის უპირატესობას ცხადყოფს და მაკროკონცეპტი ცოდნა უმეტესად საპირისპიროს (უცოდინარობის) უარყოფის გზით აღიწერება. საინტერესო ის არის, რომ ეთნოგრაფიული ტექსტები, რომლებშიც, ჩვეულებრივ, განათლებასთან დაკავშირებულ ცნობებს დიდი ადგილი არ ეთმობა, იაკობ გოგებაშვილისათვის ისეთივე საშუალებაა „უვიცობის შემცირებისა“ და განათლების აუცილებლობის წარმოჩენისა, როგორც საგანგებო პედაგოგიკური თხზულებები. მის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში უცოდინარობა ყოველგვარი სიკეთის დამაბრკოლებელი და მრავალგვარი სიავის სათავეა, მცირისაც და დიდისაც, ამგვარი შინაარსის ყოველი მონაკვეთის დასკვნით ნაწილში კი გამოსავლად სახალხო განათლება სახელდება. მაგალითად, ქართლელების ხასიათისა და ქცევის ცვლილების, კერძოდ, გახშირებულ მკვლელობათა გამო, იაკობი აღნიშნავს: „მეორე მიზეზი მხეცური მოქმედებისა იყო უკიდურესი უვიცობა. ქართლი სწავლით ყველა სხვა კუთხეებზე უკან არის დარჩენილი... ვისაც არც სარწმუნოება აქვს და არც ცოდნა, ადვილად მხეცდება... უკიდურესად საჭიროა დაუყოვნებლივ გაიხსნას სკოლები ქართლში. მიწა და სკოლა – აი რა არის ქართლელი გლეხებისათვის საჭირო უპირველესად ყოვლისა“ [გოგებაშვილი 1982: 241]; თუშების დახასიათებისას წერს: „საზოგადოდ, როცა თუშების ცხოვრებას გაიცნობ, დარწმუნდები, რომ დოვლათი არა კმარა ბედნიერებისათვის, – საჭიროა აგრეთვე განათლება, ურომლისოდ ხალხს არ შეუძლია თავისი ქონება ადამიანურად მოიხმაროს და ლაზათი მისცეს თავის ცხოვრებასა“ [გოგებაშვილი 1982: 235]; კახელების კეთილდღეობის პირობადაც განათლება

მიაჩნია: „...თავის გულის წადილს [ქალაქელი ჩარჩებისათვის ჩალის ფასად ღვინის მიყიდვის ნაცვლად, თვითონ გაიტანონ შორეულ ქვეყნებში საკუთარი ღვინო] კახელები მხოლოდ მაშინ მოენევიან და მაშინ გამდიდრდებიან, როცა სკოლებს ბევრგან გახსნიან და სწავლა მოიფინება კახეთში“ [გოგებაშვილი 1982: 229] და მისთ. კიდევ არაერთი კონტექსტის დამონშება შეგვეძლო, თუმცა მოხმობილს დავჯერდებით და ვიტყვით, რომ იაკობ გოგებაშვილის ყოველ ნაწარმოებში – მხატვრულშიც და არამხატვრულშიც – ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ცოდნის ძალაა ნაჩვენები, „უვიცობის შემცირება“ კი მისი მდიდარი შემოქმედების ქვაკუთხედი და მისი ცხოვრების საზრისია.

თითქოს ას წელზე მეტი არ გასულიყოს, იმდენად ჰგავს მაშინდელსა და ახლანდელ განათლების სფეროში არსებული პრობლემები. არც მაშინ თანხვდებოდა და დღესაც მკვეთრად შორდება ერთმანეთს დასახული და აღსრულებული.

გოგებაშვილისეულ „რეალურ ცოდნას“ თანამედროვე განათლების მეცნიერებებში „შედეგზე ორიენტირებული სწავლება“ შეესაბამება. შედეგის მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს გადასაცემი ცოდნის მოცულობის განსაზღვრას. იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ სკოლაში შესასწავლი საგნების პროგრამებში შეეტანათ ცოდნის აუცილებელი მინიმუმი და არა მთელი მეცნიერული ცოდნა ცხოვრებაში გამოუსადეგარი ცნობებით (რეალური განათლების თეორიას უპირისპირებდა კლასიკურ განათლებას). იგი ფორმულების დაზეპირების, ყალბი ცოდნისთვის ზურგის შექცევისა და ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლებისკენ მოუწოდებდა ყველას. გოგებაშვილის მოძღვრების თითოეული საკვანძო დებულება არა მხოლოდ დიდი ფიქრის, არამედ ევროპელი და რუსი პედაგოგიკის კლასიკოსების გამოცდილების გაზიარების შედეგი იყო. თუმცა, საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ყოველი კონცეპტის ჩამოყალიბებისა თუ გამოკვეთისას იგი ეროვნული კულტურით საზრდოობდა და ეროვნული ღირებულებების პარადიგმას უსადაგებდა მათ. თანამედროვე განათლების სისტემის ნაკლოვანებათა და ჩვენი საზოგადოების მანკიერებათა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ამგვარი სისტემური მიდგომის დეფიციტი და წარმოვადგინოთ გოგებაშვილისეული ის სახელმძღვანელო დებულებები, რომელთაც, ჩვენი აზრით, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეშიც მკვიდრი ადგილი უნდა ეკავოს:

- საქართველოში გამოყენებული ყოველი დიდაქტიკური მიდგომა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურიდან უნდა მომდინარეობდეს და ამის შემდეგ უნდა ითვალისწინებდეს თანამედროვე დასავლური პედაგოგიკის პროგრესულ შეხედულებებს.

- დანყებით განათლებას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს, როგორც მოზარდის განვითარების საფუძველს, ამასთანავე, სწავლა-სწავლების ენა უპირობოდ დედაენა უნდა იყოს, განსაკუთრებით – სამყაროს შემეცნების პირველ ეტაპზე.

- ზოგადი განათლება უნდა იქცეს სანდო საფუძვლად სპეციალური განათლებისთვის.

- აღზრდა და განათლება დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის კონკრეტულ ინტერესებთან, მის კეთილდღეობასთან.

- „ყალბ ცოდნასა“ და „ზეპირობას“ უნდა ჩაენაცვლოს გაგება-გაგებინებასა და ბავშვის აქტიურ შემეცნებით საქმიანობაზე აგებული სწავლება, რის მთავარ პირობასაც მოზარდის ინტერესის გაღვიძება უნდა წარმოადგენდეს.

- უნდა გააქტიურდეს გოგებაშვილისეული შემდეგი დიდაქტიკური პრინციპები: თანმიმდევრობისა (ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, ახლობლიდან შორეულისაკენ); სისტემატურობისა (რეპეტიტულობისა); თვალსაჩინოებისა (განსაკუთრებით განყენებული აზროვნების განვითარებამდე); ყურადღების, ნებისყოფის, მეხსიერების გავარჯიშება-განვითარებისა.

- სწავლებისას ყოველ ახალ ცოდნასთან მისვლის მოტივაცია მაღალზნეობრივი უნდა იყოს და, სიყვარულთან ერთად, მოვალეობის გრძნობა უნდა კვებადეს, სახელდობრ, მოზარდს უნდა გაუჩნდეს პასუხისმგებლობა საზოგადოების, ხალხის, ისტორიისა და სამშობლოს უკეთესი მომავლის წინაშე.

- სწავლების შინაარსიცა და ცოდნის მიწოდების გზებიც მიზნად-ველი უნდა იყოს მოზარდებისათვის, რათა ისინი ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნით შეიარაღდნენ.

ვფიქრობთ, შედეგიან სწავლებამდე მისასვლელი მთავარი პირობა, რომელსაც „უვიცობის შემცირება“ შეუძლია, სწორედ უკანასკნელ დებულებაშია – სწავლებასთან დაკავშირებული ყველა ადამიანი, იქნება ეს სახელმძღვანელოს ავტორი, შემდგენელი, მხატვარი, მასწავლებელი თუ მშობელი – უნდა ეცადოს, რომ „სასიამოვნო სასარგებლოსთან შეაერთოს“, რისი უბადლო მაგალითიც თავად იაკობ გოგებაშვილმა გვიჩვენა – საკუთარი ცხოვრებითა და უმდიდრესი შემოქმედებით.

### **ლიტერატურა:**

**გოგებაშვილი 1896:** მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები: მრავალი სურათებით / შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ტფილისი, 1896.

**გოგებაშვილი 1982:** გოგებაშვილი ი., საგანძური, წიგნი I, თბილისი, 1982.

## **Salome Omiadze**

### **“Reduction of Ignorance” – The Cornerstone of Iakob Gogebashvili’s Creative Works**

#### **S u m m a r y**

“Reduction of Ignorance” is the goal to which Iakob Gogebashvili dedicated his creative works and his entire life. The collocation “reduction of ignorance” belongs to Iakob Gogebashvili himself. These words were used by the author in the preface to a book “Protectors of Crops i.e. Useful Animals and Birds”. This text, like Gogebashvili’s other works, is a manual for the development and success of each person as well as the entire country.

The conceptual structure of knowledge is achieved in Iakob Gogebashvili’s entire heritage by the alternation of declarative and contrastive opposition methods. However, observation of his discourse proves the priority of contrast, and the macro-concept – knowledge is mostly described by means of negation of the opposite concept – ignorance. Interestingly enough, the ethnographic texts, in which educational data are usually rare, are used by Gogebashvili for the purpose of “reduction of ignorance” and propaganda of education. In this regard, they are similar to special pedagogical essays. In Gogebashvili’s ethnographic works, ignorance hampers everything that is good and gives birth to numerous evils. In each conclusion of the above-mentioned works, public education is mentioned as the only way out.

In every creative work (fictional or non-fictional), Iakob Gogebashvili, explicitly or implicitly points to the power of knowledge. Thus, “reduction of ignorance” is the cornerstone of his rich creative heritage.

## ინგა სანიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **XIX საუკუნის სასაუბრო ენის ერთი თავისებურება 1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით**

გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ ენას საკუთარი ასაკი, გრამატიკული სტანდარტი თუ ლექსიკური მარაგი აქვს, მეცნიერული შესწავლის პროცესში სტილისტიკა ჩამოთვლილ კომპონენტთა ფუნქციური დაყოფისაკენაა მიმართული. ფაქტობრივ უდავოა, რომ სასაუბრო მეტყველება, როგორც ზეპირმეტყველებითი ფორმა, საფუძვლად ედება ზედნაშენურ სტილებს და ამ უკანასკნელთათვის სარეზერვო (როგორც ლექსიკურ, ისე – გრამატიკულ) ბაზას ქმნის. ჩვეულებრივ, ფუნქციური სტილის რომელიმე სახეობა დამოუკიდებელ ქვესისტემადაა გაგებული და, როგორც რამდენადმე განსხვავებული ვერბალური ფენომენი, მეტყველების გამოყენების სხვადასხვა სფეროსთანაა დაკავშირებული. მართლაც ფაქტია, რომ ენა (/ტექსტი), როგორც სტილურად აგებული ოდენობა, ან მხოლოდ კომუნიკაციურ ენობრივ ფუნქციას ეყრდნობა, ან ექსპრესიულ ფუნქციასაც დაირთავს და მხატვრულობის კონტექსტს გააძლიერებს. ამათგან სასაუბრო სტილი ძირითადად იმ შემთხვევაში მოდელირდება, როცა კომუნიკაციის სუბიექტსა და კომუნიკაციის ობიექტს შორის ავტომატური, ე.წ. სიტუაციური ურთიერთობა დგება. ასეთ შემთხვევაში ორივე ეს პირი (სუბიექტიცა და ობიექტიც) ენის სარეზერვო ბაზიდან იღებს იმ აუცილებელ ლექსიკურ მარაგსა თუ გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც მას კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდება; ამიტომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ვგულისხმობთ მწერლის მიერ მხატვრულ ტექსტში სასაუბრო მიკროტექსტების გამოყენებას კონკრეტული იდეის განხორციელების მიზნით), ესთეტიკური დატვირთვა ბათილდება და ტექსტი რჩება იმ ერთეულად, რომელიც კონკრეტული სოციალური ჯგუფისა თუ ზოგადად ენის სამეტყველო პროცესებს აცხადებს.

ვფიქრობთ, რომ ქართული ენის განვითარების ხანგრძლივ პროცესში ერთ-ერთი საყურადღებო ეტაპი XIX საუკუნის I ნახევარია, როცა რუსიფიკატორული პოლიტიკა ძალებს იკრებს და ქართული განათლების უქონლობა მოწინავე საზოგადოებასა და მის მეტყველებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ჩვენი აზრით, დასახელებული პერიოდის სასაუბრო მეტყველების სპეციფიკურობისა და მისი ხარისხის დასადგენად 1932 წლის შეთქმულების სავარაუდო მონაწილეთა დაკითხვის ოქმები მნიშვნელოვან და ღირებულ მასალას მოი-

ცავს, ამიტომ სწორედ ეს ტექსტები მოექცა ჩვენი მეცნიერული დაკვირვების ფოკუსში. „აჯანყების მოწყობის აზრი პეტერბურგში დაბადებულია და შეთქმულების პირველი ჩანასახიც იქვე ყოფილა მოცემული, როგორც ეს შეთქმულების მასალებიდან ჩანს“, – წერს გ. გობალიშვილი და იქვე დასძენს, – „საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში საქმე ასეა წარმოდგენილი: პატივმოყვარე და მეოცნებე ქართველ ბატონიშვილთ თან სდევთ საქართველოს სამეფო ტახტის დაბრუნების აზრი; ისინი რუსეთში ჩასულ ახალგაზრდებს ამ მიზნით თავში სულელურ აზრებს უნერგავდნენ და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდნენ. მათ მოახერხეს კიდევ ზოგიერთი ახალგაზრდის შეცდენა და ბოროტებაზე დაიყოლიეს. ამ ბოროტგანზრახულების საქმეს საქართველოში საძირკველი ჩაუყარა შემთხვევით ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა 1830 წელს“ [გობალიშვილი: 1935: 15]. აშკარაა, რომ საგამომძიებლო კომისიის მოხსენება თავისი არსით რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ცალმხრივობითა და სუბიექტურობითაა შედგენილი, მაგრამ ეს მაინც 1832 წლის შეთქმულების ისტორიული ანალიზისათვის მიგვინდია, ჩვენი ინტერესის საგანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ეპოქის სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი აქცენტების გამოყოფა და მათი მეცნიერული ანალიზია.

უპირველესად, რაც თვალშისაცემ ენობრივ, კერძოდ, ლექსიკურ სიგნალებს ქმნის, ეს რუსიზმებია, რომლებიც ერთგვარი ბუნებრივობით განლაგებულია მონოლოგურ ტექსტებში ისე, რომ მათი წარმომთქმელი ვერანაირ უხერხულობას ვერ გრძნობს. მეტიც, ჩვენების მიმცემის მიერ იმის მცდელობაც არ შეიმჩნევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რუსულ ენაში დამკვიდრებული ლექსიკური ფორმის ქართულენოვანით ჩანაცვლება მოხდეს. საილუსტრაციოდ ბარძიმ ამილახვრის ჩვენებიდან მოვიყვანთ მაგალითებს, რომლებიც ქვეყანათა თუ ეთნოსთა დასახელებისას სრულად სარგებლობს რუსულენოვანი ფორმებით. ნიმუშები:

*„ხოდესაც დავდიეთ ჩაი სახეში, მაშინ თეიმუხაზმა დაიწყო დაპაჰაკი, რომ პოდშაში ბუნგიაო და ხუსის ჯაჩი მისუდა და ომი აქვსთ ეხთმანეთთანაო... მას უკან მე უთხაჩი იმათ, რომ მამაძალდი პოდიაკები ჩას უზმენ ხედმწიფესა, ხოდესაც ამან სძდია და დაამაჩცხა ხონთქაჩი და ყაენი“ (ბარძიმ ამილახვარის ჩვენება, გვ. 260);*

*იქვე: „...მაშინ ვითომც ედინბაჰს ეჩისტოვს და გიოხგი ჩემს ძმას ედაპაჰაკნოთ, რომ ოქროპირის ბატონიშვიდს და ზავიდეცკის (გუბეჩნაგოჩია) მიწუხ-მოწუხა ქონდეთო ანგდიაში და ფხანციაში მე აჩც გამიგონია და აჩც ვიცნი...“ (გვ. 261).*



ან: „...მაშინ გიოხგი ეჩისთავი მოყვა ხომ პოდშას ასხე შეუწუხებია ხუსეთი ხომ უკანასკნელს განწიხულობაში აჩისო“ (თეიმუხაზ ამიდახ-ვიხის ჩვენება, გვ. 275).

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსიზმების „ბუნებრი-ობა“ დაკითხვის თითქმის ყველა ჩანანერში შეინიშნება. ამ თვალსაზ-რისით მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მაინცდამაინც გან-სხვავებული არ არის; მაგალითად, იასე ფალავანდიშვილის „სლედ-სტვენის კომისიასა შინა“ მიცემული ჩვენების ტექსტშიც შიგადაშიგ ჩართული რუსული ლექსიკური ერთეულები – „სოვეტნიკი“, „პახოდი“, „ლრაჟდანსკი“ თუ „კომანდირი“ – ტექსტის ორგანიზებაში ისე მონაწი-ლეობს, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა. ფაქტია, რომ XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების (აქ: არისტოკრატის) კულტურული ვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება ქართულ ენაზე ფიქსირებულ მონოლოგურ ტექსტებში, ე.წ. ჩვენებებში. ენის სა-ჯარო გამოყენების ამ ფორმაში რუსიზმების გამოყენება არც მხატვ-რული იდეის შემადგენელია, ანუ არც სიტყვის ესთეტიკური ნიუანსებით შეღებვა-შეფერადებას ემსახურება, და არც თავსმოხვეული აუცილებ-ლობაა. ისინი, ერთი მხრივ, ქართული კულტურის ამ ქრონოლოგიური ეტაპის რეალობას წარმოგვიდგენს და, მეორე მხრივ, ამავე ეთნოკულ-ტურული ღირებულების – ენის – საერთო მდგომარეობის განმცხადებე-ლი რჩება. ნათქვამის დასტურად კიდევ ერთ ტექსტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ეს არის „გიორგი დავითის ძე ერისთავის ფილოდელოფ-სისადმი საიდუმლო ანბანით მიწერილი წერილი“, რომელშიც ვკითხუ-ლობთ:

*„მამაო, ფილადელოფოს... მიზეზი ჩემის მდუმახებისა ის იყო, ხომ მგზავხი ვეჩავინ ვიშოვე და ფორგით ახ მოგწეხე ამისთვის ხომ ხოცა პა-ხოლობა შეიქმნება ხოლმე ყოვედთვის წიგნსა ხსნიან“ (გვ. 102).*

დოკუმენტის მიხედვით მოჩანს, რომ გიორგი ერისთავი მღვდელ-მონაზონ ფილადელოფოს კიკნაძეს ამ მნიშვნელოვან (შეთქმულების) საქმეში სხვა პირთა შემოერთებასაც ჰპირდება. წერილის მიხედვით, მათ შორის არიან: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, დავით ჯორჯაძე, სოლომონ დოდაევი და სხვანი. სწორედ ამ სხვათა შესახებ მწირ, თუმცა ღირებულ ინფორმა-ციას აწვდის გ. ერისთავი მამა ფილადელოფოსს, როცა წერს:

„იოსებ მამაცაშვიდი ეს არის განათლებული აზნაურიშვილი რუსუ-ლისა და ქართულის მცოდნე. ამას თითქმის არავინა სჯობს სუდა ი რასპრავის პერეკოდჩიკი.

ღიმიტხი ყიფიანოვი ყმანვილი კაცი რუსულისა და ქართულის კარგათ მცოდნე სკოლაში უჩიტელი და პერეკოდჩიკი დეპუტატ სობ-რანიაში.

...ყვედას სუხს შენი ხიდვა. მე პახოდში ვაპიხები ჩვენის საზოგადოების აზრით, ხადგანაც ბევრნი თავადნი მიდიოდნენ ისინი მეშოვნა ჩდენტ. მაგჩამ ისეთები მიდიან პუხი სჭამაც აჩ იციან...“ (გვ.102-103).

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ 1832 წლის შეთქმულთა ჩვენებების ენობრივი ფაქტურა აბსოლუტურად ერთგვაროვანია, ამგვარი მიდგომა იმთავითვე გამოირიცხება, რადგან თითოეული დაკითხული პირის მიერ წარმოთქმული ტექსტი მისივე განათლების, ერუდიციისა თუ ინტელექტუალური დონის შესაბამისია; მაგალითად, რუსიზმები ფაქტობრივ არ იძებნება სოლომონ დოდაშვილის (დოდაევის) ან მღვდელ-მონაზონ ფილადელფოს კიკნაძის ტექსტებში, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს საერთო ენობრივ სურათს ვერ ცვლის, რადგან დაკითხულთა სია საკმაოდ გრძელია, ოქმების რაოდენობა კი იმდენად მოცულობითია, რომ ისინი სამ ტომადაა გამოცემული.

აუცილებელია ითქვას, რომ ზოგადად, ენაცა და მეტყველებაც რამდენადმე აბსტრაქტული ცნებითი კატეგორიებია და მათი მოხმარება კონკრეტულ სიტუაციაში პირდაპირი გამომხატველია ინდივიდის ან სოციუმის კულტურისა. მეტყველება ის ინდიკატორია, რომელიც ცდომილების გარეშე ზომავს მეტყველის (მოსაუბრე პირის) სოციალურ სტატუსს, მის ინტელექტსა და აზროვნებას, ანუ იმ კულტურულ ფენას, რომელსაც იგი მიეკუთვნება. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა თუ ეჭვმიტანილ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართული არისტოკრატიისა და მაშინდელი მონინავე ინტელიგენციის წრეს ეკუთვნის, ამიტომ ფაქტია, რომ მათსავე ჩვენებებში ფიქსირებული ენობრივი მახასიათებლები საერთოენობრივია და მეტ-ნაკლებად „დახვეწილი“, თუმცა აქვე ერთი საინტერესო მომენტი იკვეთება, რომელზეც, ჩვენი აზრით, ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. როგორც ბ. ფოჩხუა წერს: „სიტყვა რომ ფუნქციონირებს, ეს კიდევ ერთი პირობის წყალობით ხდება: იგი დროში არსებობს“, – და იქვე განაგრძობს, – „სიტყვა (ისევე როგორც სიტყვათა მთელი ერთობლიობა, ანუ ლექსიკური ფონდი, და ისევე როგორც ენა მთლიანად, რომლის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს ლექსიკა) დროთა განმავლობაში რომ იცვლება, ეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია“ [ფოჩხუა 1974: 58]. ამ აქსიომატურ თვალსაზრისს (ცოცხალი ენის მუდმივი ცვალებადობისას) ძნელად თუ არ დაეთანხმება მეცნიერი, მაგრამ თავად ცვალებადობა ხომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაკადისაგან შედგება, მაგალითად, სიტყვათა სესხებისა თუ ნეოლოგიზმების წარმოქმნისაგან, უცხოენოვანი კალკების შემოღებისა თუ ლექსიკის მორფო-ფონეტიკური ცვლილებებისაგან და სხვ.

ახლა საკითხი ასე დავსვით – რა ენობრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე XIX საუკუნის I ნახევარში? როგორ უნდა კვალიფიცირდეს საკვლევ ტექსტებში გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები, მაგალითად, „უჩიტელი“ ან „პერევიოდჩიკი“? ნათელია, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის პირველ ხანებშივე ლექსიკურ დონეზე რუსული ენის არა მხოლოდ გავლენა, არამედ მისი „დაბუდება-მოკალათება“ ქართულში ფაქტობრივი მასალით დასტურდება. „სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში ადვილად ხერხდება, რადგან ლექსიკური ფონდის ელემენტთა (ლექსემების, სიტყვების) რაოდენობა ფაქტობრივ განუსაზღვრელია და ურთიერთკავშირიც მათ შორის სუსტია“, – შენიშნავს ბ. ფოჩხუა [ფოჩხუა 1974: 346]. 1832 წლის შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები, ჩვენი აზრით, არ მიეკუთნება ბარბარიზმების ჯგუფს, რადგან ისინი მაქსიმუმ ერთი საუკუნეც ვერ ძლებს ქართული ენის ქსოვილში: ვერც – სასაუბრო ენაში და მეტადრე – ვერც სალიტერატუროში. აჯობებს, თუ მათ რუსიზმებს ვუნოდებთ და უმრავლეს ნაწილს პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის ამსახველ ფორმებად მოვიაზრებთ, ანუ კონკრეტული კულტურული ეპოქის საკუთრებად ჩავთვლით. თუკი თანამედროვე გაგებით მეტყველების კულტურის კონცეფციას გავყვებით და მის საფუძველში სწორმეტყველების, ანუ ორთოეპიის, იდეას განვათავსებთ, მაშინ ენობრივი შეცდომის ცნებასთანაც მივალთ და მნიშვნელოვნად ავცდებით მართებულ მეცნიერულ გეზს, რადგან, ვფიქრობთ, რომ შეთქმული თუ ეჭვმიტანილი პირების საუბრის ჩანაწერებში არც „პოდშა“ და არც „სოვეტნიკი“ მოსაუბრე პირების მიერ მცდარ ფორმებად არ შეიმეცნება, ამიტომ, შესაბამისად, მოსაუბრენი მათ გასწორება-აღმოფხვრაზე არც ფიქრობენ; ეს კი თავისთავად მეტყველებს მათსავე სოციალურ-კულტურულ მდგომარეობაზე.

რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა შეთქმულებაში ეჭვმიტანილ პირთა გვარების რუსიფიცირების თვალსაზრისით. ამ ნაწილში დამპყრობი ერის ძალდატანების კვალი და მისი პოლიტიკის შედეგი იკითხება და არა ის „ბუნებრიობა“, რომელიც ზემოთ მოყვანილი მაგალითების შემთხვევაში გვაქვს. საქმე ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველ თავად-აზნაურთა გვარები –ოვ’ დაბოლოებიანია. საგამომცემლო კომისიის საქმეებში მოხსენიებული არიან, მაგალითად: ლუარსაბ, ალექსანდრე, მამუკა, ასლან ორბელიანოვები, თადია ჩოლოყაყვი, ნინია ანდრონიკოვი (ბარონ როზენის მიმართვა გენერალ ბაიკოვისადმი: გვ. 130-139), გიორგი ერისთოვი თუ თეიმურაზ და გივი ამილახვაროვები (ლევან ერისთავის ჩვენება: გვ. 269-271) და სხვანი.

ქართული ინტელიგენციის გვაროვნული წარმომავლობის ფორმობრივი დამახინჯება ქართული სახელმწიფოს შეწოვისა და მისი ასი-

მილირების მცდელობის გზაზე რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვანი ტაქტიკური ნაბიჯი იყო, რომლის მიზანმიმართულობა ზედაპირზე დევს და უთუმცაოს ხდის რუსიფიკატორული პოლიტიკის ვერაგობას. ქართული ეროვნული და სახალხო ენის ნიველირებას ეროვნული თვითშეგნების დაქვეითება და რამდენადმე შემრიგებლური პოზიციის დაკავება („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“ – გრ. ორბელიანი) მოჰყვა შედეგად, არადა, როგორც ავ. არაბული წერს: „[ქართული ენა] საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად აერთიანებდა ქართველურ ტომებს, იყო ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი“ [არაბული 2004: 24]. ნათქვამიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხდება ცხადი, როგორი მნიშვნელობის მისია აიღეს საკუთარ თავზე 60-იანელებმა. მათი მესიანური ფუნქცია ქართულ აზროვნებაში ავტოიმუნური სისტემის ამუშავება და თავდაცვის გაძლიერება იყო, ეს ყველაფერი კი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მომავლით სუნთქავდა.

ენის, როგორც კულტურული კოდის, გაცნობიერება და მისივე მატერიალიზაცია ზედირებულეა, ამიტომ თერგდალეული მოაზროვნენი, როგორც მშობლიური ენის სინმინდის ფხიზელი მოდარაჯენი, მალევე დაიწყებენ ეპოქალური მნიშვნელობის მოძრაობას, „მამათა და შვილთა“ ბრძოლას გააჩაღებენ და იტყვიან: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ [ჭავჭავაძე 1953: 27].

### ლიტერატურა:

- არაბული 2004:** არაბული ავ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2004;
- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ., შეთქმულებისთვის მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია, წიგნში: 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935;
- ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974;
- ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

### წყაროები:

- გოზალიშვილი გ.,** 1832 წლის შეთქმულება (მასალები), ტ. I, ტფილისი, 1935, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. დაკითხულთა ჩვენებები და სხვა იურიდიული დოკუმენტები:
1. ზაად ავთანდილაშვილის ჩვენება: გვ. 246-247.
  2. ბახიძე ამიღახვიის ჩვენება: გვ. 260-261.
  3. თეიმურაზ ამიღახვიის ჩვენება: გვ. 275-276.

4. გიორგი დავითის ძე უჩისთავის ფილოლოგიური საიდუმლო ანბანით მიწეხიდი წეხიდი: გვ. 102-103.
5. დევან უჩისთავის ჩვენიება: გვ. 269-271.
6. ბახონ ხონენის მიმახთვა გენეხარ ბაკოკოვისადმი: გვ. 130-139.
7. იახე ფადავანდიშვილის ჩვენიება: გვ. 257-260.

## **Inga Sanikidze**

### **One Feature of the 19th-Century Spoken Language according to Materials of the Plot of 1832**

#### S u m m a r y

In the lengthy process of development of the Georgian language, the first half of the 19th century is one of the significant periods when the Russification policy was summoning up all its strengths, while the lack of Georgian education was having a significant impact on the language of high-society. For the purposes of determining the specificity of the spoken language of the period under consideration, records of interrogations of alleged participants of the 1832 plot contain important materials, therefore, we made these texts our primary focus of scholarly attention. First of all, Russisms that occur in monologue texts with particular naturalness are what create striking lexical signals. For example, Russian lexical items that appear here and there in the testimony text given by I. Palavandishvili to the “sledstvenniy komitet” (investigation commission), such as “sovetnik” (advisor), “pakhod” (expedition), “grazhdansky” (civic), and “komandir” (commanding officer), engage in the organization of the text as a sociocultural phenomenon. It is a fact that the cultural situation of the Georgian society (i.e. the aristocracy) of the first half of the 19th century is reflected in a directly proportional way in monologue texts (i.e. testimonies) recorded in Georgian. The use of Russisms within this form of public use of the language does not represent a component of an artistic idea, and does not serve the purpose of embellishing words with the help of aesthetic nuances. They present the reality of this chronological period of the Georgian culture, on the one hand, and acknowledge the common state of the language – the ethnocultural value, on the other hand.

In our opinion, the lexical units identified in the testimonies of accomplices participating in the plot of 1832, are not part of a group of barbarisms since they could not remain in the structure of either spoken or literary Georgian for at least one century. Hence, it could be preferable to identify them as Russisms and consider them as integral to a particular sociocultural period.

## თეა სუმბაძე

წმიდა ანდრეას სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია სიმონ ჩიქოვანის რეცეფციით

სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია მისი ესეისტური წერილები. სიმონ ჩიქოვანის, როგორც ესეისტის ინტერესის სფერო მეტად მრავალფეროვანია. მისი ყურადღების ცენტრში მოქცეულია ქართველ და რუს კლასიკოსთა შემოქმედება, მათი მხატვრული აზროვნების თავისებურებანი. ჩიქოვანის წერილებში ნათლად ვლინდება ავტორის ფართო ერუდიცია, ლიტერატურული გემოვნება და ანალიტიკური ტალანტი. სიმონ ჩიქოვანის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოქცეულია XIX საუკუნის მწერლობა. ეს არის ლიტერატურული ცხოვრების განახლების, აღორძინების პერიოდი, როცა ქართველთა შემოქმედებითი ენერჯია განვითარების ახალ საფეხურზე ადის. XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან ჩიქოვანის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება იპყრობს. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ირგვლივ ს. ჩიქოვანის მიერ გამოთქმული ძირითადი შეხედულებები, რომლებიც სადღეისოდაც ინარჩუნებს აქტუალობასა და სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

ს. ჩიქოვანის მიერ ბარათაშვილის შესახებ დაწერილი წერილებია: „დიდი კლასიკოსი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“ (1936-1945 წწ). სწორედ ამ წერილებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ სიმონ ჩიქოვანის შეხედულებებს ბარათაშვილის პოეტურ ფენომენზე.

ს. ჩიქოვანის თვალით დანახული ბარათაშვილი გამოკვეთილად ევროპული ორიენტაციის პოეტია, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაემიჯნა აღმოსავლურ პოეტიკას და იმდროინდელ ევროპაში გაბატონებული მიმართულება – რომანტიზმი – ქართულ სინამდვილეში უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. „ბარათაშვილმა ქართულ პოეტურ კულტურაში დაამკვიდრა ყველაზე მკაფიოდ ევროპიული გზა ლექსის აღნაგობისა, გზა გაუხსნა ქართული პოეტურ მეტყველების ახალ მიმართებას და გახდა წინამორბედი სამოციანი წლების დიდი ქართველი პოეტებისა“ [ჩიქოვანი 1936: 3].

ბარათაშვილის პოეზიის ნოვატორულ მხარედ მიაჩნია სიმონ ჩიქოვანს ის, რომ პოეტმა „ჩვენს პოეზიაში გამეფებული სასიმღერო კილოს ნაცვლად ლექსში ინტონაციური მხარე გაამდიდრა. მოსპო რიტ-

მის ინერტული მდინარება და სიტყვაკაზმულ მწერლობაში თავისებური მონუმენტურობა დაამკვიდრა“ [ჩიქოვანი 1983: 82].

რომანტიკოსი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან სიმონ ჩიქოვანი უპირველესად საგანგებო ყურადღებას ბარათაშვილის ლირიკული შედეურის – „ჩემი ლოცვის“ ანალიზს უთმობს. ამ ღრმად რელიგიური შინაარსის ნაწარმოების აქცენტირება იმ დროს მკვლევრის მხრიდან გარკვეულ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა. ს. ჩიქოვანმა ეს ნაბიჯი გადადგა და ლექსის საყურადღებო ანალიზიც შემოგვთავაზა. მისი მართებული აზრით, „ჩემი ლოცვა“ არის პოეტის მცდელობა დააცხროს მის სულში შეჭრილი ეჭვის გრიგალი: „ჩემი ლოცვა“ „არა მართო „ხმა იდუმალში“ ატეხილ ვნებათა გასაყურებლად არის დაწერილი, არამედ იგი წინასწარ „სულო ბოროტოს“ დასაძლევადაც არის შექმნილი“ [ჩიქოვანი 1983: 89].

სიმონ ჩიქოვანი მიუთითებს, რომ ბარათაშვილის რომანტიზმისათვის უცხო იყო წარსულის იდეალიზაცია: „მერანის“ ავტორი წარსულის რომანტიკოსი არ ყოფილა, მის პოეზიაში არსად იგრძნობა გმირული წარსულის გაღმერთება და ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების მიმართ აღტაცება. „მერანის“ ავტორს არ უყვარდა წარსულის მიმართ მხოლოდ აღტაცების გამოთქმა. „საქართველოს ისტორიულ წარსულში მხოლოდ ერეკლეს პიროვნებაზე შეაჩერა თავისი ყურადღება, მაგრამ პოეტს ერეკლეს სიქველე და მხედრული ვაჟკაცობა არ გაუხდია ამღერების საგნად. მან ერეკლეს პოლიტიკური აზროვნების გარშემო აამოქმედა თავისი პოეტური ფიქრი“ [ჩიქოვანი 1983: 1286].

განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებები ბარათაშვილის ლექსის კომპოზიციურ მხარეზე. ს. ჩიქოვანის თქმით, ბარათაშვილის ლექსები გამოირჩევა მყარი, შეკრული კომპოზიციით. რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაში აზრის ლირიკული მდინარება არასოდეს არღვევს ლექსის კომპოზიციურ მთლიანობას, პირიქით, იგი ორგანულადაა შენივთებული ნაწარმოების კომპოზიციასთან: „ნიკოლოზ ბარათაშვილის თითოეულ ლირიკულ ლექსში მიღწეულია საოცარი კომპოზიციური მთლიანობა. იგი ლირიკულ ლექსში კომპოზიციის დიდი ოსტატია. ლირიკულ შედეურებში: „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „აღმოხდა მნათი“, „ჩემი ლოცვა“, „ვპოვე ტაძარი“, „არ უკიჟინო“ და „ჩინარი“ შეიმჩნევა საოცარი მთლიანობა და კომპოზიციური გამოკვეთილობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის თითოეულ ლირიკულ ქმნილებაში კომპოზიციური მთლიანობა თითქოს პოეტური აზრის მეშვეობითაა მიღწეული. ლექსის არც ერთი ცალკე თვისება, ხატოვანება, მუსიკალობა თუ ინტონაცია განცალკევებულად არ წარმოიდგინება“. [ჩიქოვანი 1983: 104]. ამ გადმოსახედიდან ბარათაშ-

ვილი მკაფიო კლასიკური აზროვნების პოეტად წარმოდგება. სიმონ ჩიქოვანის სწორი დაკვირვებით, ბარათაშვილის ლექსებში პოეტური ჩანაფიქრი მუსიკალური მოტივის მსგავსად იშლება და სიმეტრიულად ვითარდება.

ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებანი ბარათაშვილის ლექსზე „შემოღამება მთანმინდაზედ“. მახვილი თვალის მქონე კრიტიკოსი უმაღლეს ამჩნევს ნაწარმოების ლიტურგიკულ მიზანსწრაფვას. მისი თქმით, „ამ ლექსში აღქმული მთანმინდა და მისი შემოგარენი წარმოდგენელია, როგორც სამლოცველო ტაძარი“ [ჩიქოვანი 1983: 93]. მართლაც, ლექსში ბუნება წარმოდგენილია საკრალური სივრცის სახით, რომელშიც მისტერია აღესრულება. ამ ლიტურგიკულ სულისკვეთებას ს. ჩიქოვანი ამგვარად ახასიათებს: „თუ ლექსში „შემოღამება მთანმინდაზედ“ აღწერილ ბუნების სურათს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი წირვისებური იერის მატარებელია. უფრო მკაფიოდ: იგი ლიტურგიული სახის მქონეა, სადაც შეერთებულია ბუნების მეტყველი დუმილი და პოეტის ლოცვისებური ღაღადისი. ეს შთაგონებული ლიტურგიული განწყობილება ხელთუქმნელ პოეტურ შენობაშია ახმიანებული“ [ჩიქოვანი 1983: 94].

როგორც წესი, ნიკოლოზ ბარათაშვილი სატრფიალო ლექსებს ორ ჯგუფად ყოფენ ხოლმე. პირველი – ლექსები, რომლებშიც ზოგადაა და საუბარი სიყვარულის ამალღებულ გრძნობაზე, სადაც ბარათაშვილი სულიერ მშვენიერებას უგალობს, ლირიკული გმირის მონოლოგი კი ფილოსოფიური განსჯის სახეს იღებს და მეორე – ლექსები, რომლებშიც ჯერ კიდევ მოჩანს ლიტერატურული ტრადიციის ზეგავლენა, სადაც გვეძლევა სატრფოს კონკრეტული, ფიზიკური სახე, ანდა – მიწინება მასზე.

სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის სხვაგვარ დიფერენცირებას გვთავაზობს. მისი თქმით, პოეტის ლირიკის ეს ნაწილი, პირობითად, ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: „პირველ რკალს მიეკუთვნება უშუალო შთაბეჭდილებებით გამონვეული ლექსები. ლევან მელიქიშვილის გადმოცემით, ერთ საოჯახო წვეულებაზე თუ საღამოზე, ბარათაშვილი აღფრთოვანებულა ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის რხევით და იმ საღამოსვე დაუწერია შესანიშნავი სატრფიალო ლექსი „საყურე“. ეტყობა, ასეთივე უშუალო განცდის შედეგად დაბადებულა ლექსები: „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“, „თავადის ქ...ძის ასულს ეკ...ნას“, „შენნი დალალნი“ და „მიყვარს თვალები“... თვითეული ლექსი ამ წრეში მიღებულ შთაბეჭდილებათა უცარი გამოხმაურებაა... სატრფიალო ლირიკის მეორე რკალს მიეკუთვნება ლექსები: „ჩემს ვარსკვლავს“, „სატრფოვ, მახსოვს“, „აღმობდა მნა-



თი“, „შევიშრობ ცრემლსა“, „ვპოვე ტაძარი“, „ჩინარი“ და „არ უკიჟინო“. ეს ლექსებიც პოეტის სატრფიალო თავგადასვლის უშუალო ანარეკლია... მაგრამ აქ საყვარელი არსების მშვენებით ან მასთან შეხვედრით გამოწვეული შთაბეჭდილებანი უკვე მოგონებათა სფეროშია გადასული; ადრე მიღებული განცდა უკვე მომნიჭებულა და იგი პოეტისათვის განსჯის საგნად გამხდარა; გრძნობა უფრო ღრმად გააზრებული და პოეტურ ფიქრთან შეწყვილებულია“ [ჩიქოვანი 1983: 99-100].

საინტერესოდ ახასიათებს სიმონ ჩიქოვანი სატრფოს სახეს ბარათაშვილის პოეზიაში. მისი თქმით, ბარათაშვილის ლირიკული გმირის ტრფობის ობიექტი „ცისიერია“, ღვთაებრივია და თითქოს ღვთაებასთან თანაზიარების წყაროცაა, იმდენად დაცლილია ეს ტრფობა მინიერი განცდისაგან. ბარათაშვილის ლირიკული სუბიექტი სატრფოს მიმართაც თითქოს ლიტურგიკული სულისკვეთებითაა განმსჭვალული: „პოეტს წარმოუდგენია, რომ ნამდვილი სიყვარული ღვთაებრივობის გამოსხივებაა და მისი სატრფოც თუ ამ ღვთიურობას ეზიარება, სხვა მომაკვდავთა შორის გამოირჩევა და ციურთა არსებას დაემგვანება. საყვარელი არსება ცისიერია, ავტორი თითქო გალობით ესაუბრება სატრფოს და ლიტურგიული სულისკვეთებით გამსჭვალულია მისი თვითეული მიმართვა“ [ჩიქოვანი 1983: 101].

სიმონ ჩიქოვანის ვრცელ წერილში ერთ სპეციალურ საკითხად შეიძლება გამოიყოს ბარათაშვილის ძველ ქართულ მწერლობასთან, განსაკუთრებით – „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართების საკითხი. კრიტიკოსი ფიქრობს, რომ „მერანის“ ინტერტექსტი სწორედ „ვეფხისტყაოსანია“ და საერთოდაც, ბარათაშვილის მხატვრული სამყარო დიდად საზრდოობს რუსთაველის პოემით.

თავდაპირველად ს. ჩიქოვანი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თანხვედრის ფაქტებს მონიშნავს „ვეფხისტყაოსანსა“ და ბარათაშვილის ლირიკულ შედევრს შორის. პირველ ყოვლისა, იგი მიუთითებს, რომ სიტყვა „მერანი“ არაერთგზის გაიელვებს „ვეფხისტყაოსანში“: „ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“ ანდა: „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია.“

მკლევარი პარალელს ავლებს „მერანის“ ლირიკული გმირის მონოლოგსა და ავთანდილის „ანდერძს“ შორის, იგი განაზოგადებს ლირიკული თანხვედრის ფაქტებს და ყოველივეს ნაწარმოებთა იდეური ნათესაობით ხსნის: „როგორც ეტყობა, ნიკოლოზ ბარათაშვილს მცირედ შეუსხვაფერებია და განუმეორებია რუსთაველის სტრიქონები, რუსთაველის პოეტური ლექსიკითა და მეტაფორებით უსარგებლია. „შავი ყორანი გამითხრის საფლავს... მივალალებენ სვავნი მყივარნი“ სავსებით ენათესავება რუსთაველის სტრიქონს: „შენთვის მოვკვდე-

ბი, გავხდები ყორანთა დასაყვივარად“. ამ ნაწყვეტებში პოეტურ განცდათა სრული ნათესაობა შეინიშნება და ორივე ნაწარმოებში უკულმართი ბედის წინააღმდეგ ერთნაირი ჩივილია გამოთქმული. ავთანდილის ანდერძში გამომჟღავნებულმა მაღალმა ზნეობრივმა მოძღვრებამ, მოძმისადმი თავდადებულმა სიყვარულმა და მისმა მეგობრობის ფილოსოფიამ მისცა ერთგვარი საბაბი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ გაქანებას“ [ჩიქოვანი 1983: 123].

თუმცა უნდა ითქვას, რომ იდეური თვალსაზრისით „მერანის“ ლირიკული გმირის სულისკვეთება მაინც არ არის მთლად იდენტური ავთანდილის მისწრაფებისა. ავთანდილს კონკრეტული მიზანი აქვს – ძმადნაფიცის დახმარება. „მერანის“ ლირიკული სუბიექტის მიზანსწრაფვა კი უფრო ფართოა, უფრო უნივერსალურია. მართალია, ლექსის ბოლოს საუბარია მოძმის თანადგომაზე, მისთვის გზის გაადვილებაზე, თუმცა მთავარი „მერანის“ ლირიკული გმირისთვის მაინც „ბედის საზღვრის“ გადალახვაა, პიროვნული თავისუფლების მოპოვებაა, რისთვისაც ყველანაირი მსხვერპლის გასაღებად მზადაც არის.

სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა მძლავრი შემოქმედებითი იმპულსია ბარათაშვილისათვის. მისი მხატვრული სამყარო უხვად საზრდოობს არამხოლოდ „ვეფხისტყაოსნით“, არამედ ძველი ქართული კლასიკური მწერლობის სხვა ძეგლებითაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ ბარათაშვილის მდიდარი პოეტური ენა. ჩიქოვანის დაკვირვებით „ჩინარის“ „ლექსიკური მასალა, ამ სიტყვიერი მასალის არქაული აღნაგობა შავთელის „აბდულ-მესიით“ არის შთაგონებული. „ჩინარის“ და მრავალი სხვა ლექსის სიტყვიერი მასალა (მაგრილებელი, ღრუბვლა, ეთეროვანი, სალმობანი, მღერალი – თამაშის სემანტიკური გაგებით, შავარნო, სახიობა – შრიალის მნიშვნელობით, რეცა, სახიერი, ალვათა ნორჩი, ელხინება, დამაშვრალი, ჰუნე, სანუთრო, შეცდომილი და სხვა) ბარათაშვილს რუსთაველისა და შავთელის მიერ დამკვიდრებულ მნიშვნელობით უხმარია, ამ სიტყვებისადმი მინიჭებული ადრინდელი იერი და შინაარსი განუახლებია და მათი პირველადი მნიშვნელობა გაუცოცხლებია“ [ჩიქოვანი 1983: 127].

მართებულია სიმონ ჩიქოვანის მოსაზრება, რომ ბარათაშვილისათვის ბოლომდე უცხო დარჩა ყარაჩოხელთა ბაიათების პოეტიკა და ქალაქური პოეზიის უკიდურესობანი. ქართული ლექსის განსაახლებლად პოეტმა ხალხურ შემოქმედებაზე აიღო ორიენტაცია, რაც პოეტური ლექსიკისა და ინტონაციის სიბრტყეზე აისახა: „პოეტმა თავად აღიარა, „მადლი შენს გამჩენს“ მდაბიო ხმაზე დავწერეო, და მკითხველთა ყურადღება გაამახვილა ხსენებული ლექსის ხალხურ კილოზე.

ავტორის ეს მცირე შენიშვნა ძლიერ საგულისხმოა. ეტყობა, პოეტს გლეხური ხმისათვის შეგნებულად მიუმართავს და უძებნია ქართული ხალხური პოეზიის ნამდვილი სათავეები. „მადლი შენს გამჩენის“ მეშვეობით იგი დაპირისპირებია ქართულ პოეზიაში გამეფებულ ყარაჩოხელთა ხმას“ [ჩიქოვანი 1983: 128].

ს. ჩიქოვანის მართებული აზრით, ბარათაშვილის ნოვატორული საქმიანობა ქართული პოეზიის წიაღში სამი მიმართულებით გაიშალა. ერთი მხრივ, ბარათაშვილი გამოკვეთილად ევროპული კულტურულ-ლიტერატურული ორიენტაციის პოეტია, მეორე მხრივ, მან მიმართა ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს, მესამე მხრივ, კი ხალხური სიტყვიერების საუნჯითაც ისარგებლა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმონ ჩიქოვანის ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე დიდი ლიტერატურათმცოდნეობითი ალღოთია დანერგილი. მკვლევარი ახერხებს წარმოაჩინოს რომანტიკოსი პოეტის შემოქმედების ნოვატორული არსი, ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხი, ბარათაშვილის პოეტიკის არაერთი საკვანძო დეტალი. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის გადმოსახედიდანაც სიმონ ჩიქოვანის ცალკეული დაკვირვებები ძალზე ფასეულია და შესაძლოა მკვლევართათვის ბიძგის მიმცემიც გახდეს ზოგიერთი საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად.

### ლიტერატურა:

ჩიქოვანი 1936: ჩიქოვანი ს., დიდი კლასიკოსი: (ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ), გაზ. „კომუნისტი“, 1936, N 303;

ჩიქოვანი 1983: ჩიქოვანი ს., თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. III, თბილისი, 1983.

## Tea Sumbadze

### Nikoloz Baratashvili's Poetry from Simon Chikovani's reception

#### Summary

One of the most interesting parts of Simon Chikovani's literary heritage is his essayistic letters, in which the works of Georgian and Russian classics are considered and the peculiarities of their artistic thinking are characterized.

It is worth mentioning Simon Chikovani's essay on Nikoloz Baratashvili's poetry, which is distinguished not only with excellence of Literary

Value of the romantic poet's creativity, thematic artistic evaluation, but with outlining the innovative role.

Simon Chikovani's essay on Nikoloz Baratashvili's's creativity is written by great literary studies criticism. The researcher manages to present the innovative essence of the romance poet's creativity, issue of attitude towards the literary tradition, Nikoloz Baratashvili's's characteristics of a marvelous lyric, connection with folk creativity, several key details of Nikoloz Baratashvili's's poetry. From the point of view of modern literary studies, Simon Chikovani's separate essays are very valuable and it may be a push for the researchers to study some issues more deeply.

## **ნესტან ლამბაშიძე**

ნმიდა ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### **ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში (ზოგადი შენიშვნები)**

მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ აზროვნებაში „ქალთა საკითხის“ აქტუალიზაციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. ინგლისში წარმოშობილი ლიბერალური იდეოლოგია დაუპირისპირდა ტრადიციულ მონარქიულ წყობას, რადგანაც მონარქებს ძალაუფლებასთან ერთად ცდუნება გაუჩნდათ, თავიანთ მოვალეობებში გაეერთიანებინათ სასულიერო პირების ფუნქციებიც, ანუ მინიერი და ზეციური ძალაუფლების მატარებლები გამხდარიყვნენ. სწორედ ამ პროცესს დაუპირისპირდა ჯონ ლოკის ლიბერალური სულისკვეთებით განმსჭვალული ნაშრომი „ორი ტრაქტატი მმართველობაზე“, რომლის მიხედვითაც, პიროვნებებს გააჩნიათ სრული თავისუფლება, ესწრაფოდნენ საკუთარ ბედნიერებას.

ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი იმთავითვე გახდა ქალისა და მამაკაცის სრული უფლებრივი თანასწორობის აღიარება.

ანტიკური სამყარო არ იცნობდა ადამიანთა თანასწორობას. ამიტომაც არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალიზმი ქრისტიანულ წიაღში შეიძლება ჩამოყალიბებულყო. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ – ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები ეფუძნება ქრის-

ტიანული მსოფლმხედველობის ზოგიერთ ასპექტს [ლოკი 2016: 247-267].

ბიბლიის მიხედვით, ადამი და ევა პირველ საზოგადოებას ქმნიან სამოთხეში, ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობებით – რაც აკრძალულია ერთისთვის, აკრძალულია – მეორისთვისაც. აკრძალული ნაყოფის ქამის შემდეგ ღმერთმა სასჯელი ერთნაირად გამოუცხადა ადამსაც და ევასაც. აი, ეს თანასწორობაა ქრისტიანული რელიგიის მთავარი მახასიათებელი [სახელმძღვანელო... 1909: 186-18].

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში განსაკუთრებული სიმწვავეთ დაისვა საკითხი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, რადგანაც იმ დროისათვის ქალებს ეკრძალებოდათ განათლების მიღება, არ ჰქონდათ მუშაობის, პოლიტიკური კარიერის უფლება. მაგ.: ინგლისში ისმოდა კითხვა – არიან თუ არა ქალები ადამიანები? ის, ვინც პირველად ქალების დამცველად ინგლისის თემთა პალატას მოეწვინა, იყო ჯონ სტიუარტ მილი. მან 1867 წ. 20 მაისს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების დაკანონება მოითხოვა [მილი 2014: 248-267]. პალატა განაცვიფრა მილის ასეთმა წინადადებად, დასცინეს კიდევ ჯენტლმენ მილს იმის გამო, რომ ქალების დაცვას ითხოვდა. 1869 წ. მილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქალთა დაქვემდებარება“, რომელშიც წერდა: „ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა ისტორიულად დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებს ამ მდგომარეობას მომავალშიც“. მილი ნაშრომში საუბრობს ქორწინებაში მყოფი ქალების უუფლებობაზე, ასევე ქალთა შესაძლებლობებზე, რომ მათ შეუძლიათ შეასრულონ მრავალი სამუშაო. მილის ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მრავალ ენაზეც ითარგმნა.

დედოფალ ვიქტორიას მმართველობის ხანა (1837-1901) – „ვიქტორიანული ეპოქა“ – მიჩნეულია დასაბამად ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობისა. მან მთელი ეპოქა შექმნა. ინგლისის ისტორიაში დედოფალი ვიქტორია არ გამოირჩეოდა ქალთა უფლებებზე ზრუნვით, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ქალის მონაწილეობის თვალსაზრისით და მას მაგალითად ხშირად იშველიებდნენ ინგლისში.

ქალთა უფლებების აქტუალიზაციის კუთხით საფრანგეთშიც მიმდინარეობდა გარკვეული პროცესები. 1848 წელს ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი ეუგენი ნიბოი ითხოვდა ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების დაკანონებას. იგი გამოსცემდა ჟურნალს „ქალთა ხმა“, რომლის 1848 წ. აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „ქალმა კი არ უნდა განიცადოს ემანსიპაცია და დაემსგავსოს მამაკაცს, არამედ მამაკაცი

უნდა ემანსიპირდეს“. ან კიდევ: „ჩვენ უბრალოდ გვსურს გავხდეთ კარგი მოქალაქეები და ჩვენ ვითხოვთ უფლებებს, როგორც ქალები“. ათი წლის შემდეგ იმავე ჟურნალში ჯენი დე ჰერიკო წერდა: „ქალებმა უნდა მოითხოვონ თავიანთი უფლებები არა როგორც ქალებმა, არამედ როგორც ადამიანებმა და სოციუმის წევრებმა“ (La ვოის დეს ტემეს, 1848, # 4).

1848 წელს ნიუ-იორკის შტატ სენეკა ფოლსში ჩატარდა ქალთა უფლებების პირველი კონფერენცია. დოკუმენტი, რომელიც სენეკა ფოლსში შედგა, ასე იწყება: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტად აშკარაა ის, რომ მამაკაცი და ქალი თანაბარუფლებიანად შეიქმნა. მათ შემოქმედმა მიანიჭა ძირითადი და თანდაყოლილი უფლებები, რომელთა შორისაც არის სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. დოკუმენტს 68 ქალი აწერდა ხელს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ისტორიულად, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ქალის როლი და დანიშნულება საქართველოში თუ არა მეტად, ნაკლებად არ იყო დაფასებული. „ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დედაკაცი უფრო ამაღლდა მამაკაცის თვალში, უმისობაც არ შეიძლებოდა, რადგან ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ,“ – წერდა აკაკი წერეთელი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მთელ ძველ აღთქმას წითელ ზოლად გასდევს ქალის შესაძლებლობის შესახებ ნათქვამი ფრაზა: „თესლი დედაკაცისაი შემუსრავს თავსა გველისასა“. სწორედ ქალს უნდა დაეთია თავის წიაღში უფალი, მხსნელი და დამტვეველი ქვეყნიერებისა. ქალის შესაძლებლობები და სულიერი ძალა თვალნათლივ აისახა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. ქალური დიდსულოვნებისა და სიძლიერის მაგალითია მენელსაცხებლე დედათა მოღვაწეობა, რომელთაც, მამაკაცებისაგან განსხვავებით, არ მიუტოვებიათ ჯვარზე გაკრული უფალი. ქალთა ღვანლი მისიონერულ საქმიანობაში ცალკე ვრცელი თემაა. ქართულ კულტურაში სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია სამ ქალს: წმინდა ნინოს – საქართველოს გამაქრისტიანებელს, ქეთევან დედოფალს – რჯულისა და მამული-სათვის სამაგალითო მონამეს და თამარ მეფეს – რომლის მეფობის პერიოდსაც „ოქროს ხანა“ ეწოდა. მიუხედავად ამ ისტორიული ფონისა, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ქალის სოციალური ფუნქცია ძირითადად ოჯახში დიასახლისობითა და შვილების გაზრდით შემოიფარგლებოდა. ქალს არ ჰქონდა ნამდვილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებები. იგი მშობლებისა და ქმრისგან მინიჭებული გარკვეული უფლებებით სარგებლობდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა სამოციანელებმა (ილია ჭავჭავა-

ძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) თავიანთი ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აქციეს ბრძოლა ქალთა სამოქალაქო უფლებებისათვის.

ილია ქავჭავაძე ერთი უპირველესთაგანი იყო, ვინც საგანგებოდ წერდა ქალთა საზოგადოებრივი ფუნქციის ზრდის აუცილებლობაზე. ილიას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ქართველი ქალების გააქტიურება და მათი სწავლა-განათლების საკითხი. წერილში „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ მან ვრცლად განიხილა იმდროინდელი ევროპული ვითარება. ილია აცხადებდა, რომ ევროპულ ქვეყნებში ტრადიციულად ვინრო სპექტრით განიხილავდნენ ქალის როლს, როგორც ქალისას და დედისას. „დედაკაცის ადამიანია, – წერდა ილია, – და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლებების საქმე უნდა ჰღალღებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვასა, ამ ფართო გზაზე დგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერ სამსახურს უწევს ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილსა და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გაანევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“.

ცხადია, მოყვანილი ციტატიდან ილია მრავალი ასპექტით ხედავდა ქალს, პირველ ყოვლისა, როგორც ქვეყნის სამსახურში ჩართულ, საზოგადოების აქტიურ წევრს. ილია რომ საყოველთაო განათლების მომხრე იყო და ქალთა განათლების რეფორმის მოსურნეც, თვალსაჩინო ხდება იმავე წერილიდან. „განა ქალი არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისთვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივი ინტერესებისთვის, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში მისთვის საჭირო იქნებაო“.

ილიას აზრით, ქალი, რომელსაც არ ჰქონდა სწავლა-განათლება, არც ოჯახში იყო მზად კარგი დედობისთვის და ცოლობისთვის, განათლებული ქალი კი არის მომავალი თაობის აღზრდის საწინდარი.

ქალთა განათლების საკითხი განიხილა ილიამ წერილში „ქალთა სასწავლებელი“. „უთავბოლოდ ნათქვამ ფრაზებად“ აღიქვამდა ილია ქალის ტრადიციულად მიჩნეულ სამ ძირითად დანიშნულებაზე – დედობაზე, ცოლობასა და დობაზე საუბარს. აი, რას წერს ის: „უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უნ-

მინდესი და უსაღვთოესი“ დანიშნულება აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქოს ყველაზე უწინარე იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და მამასადამე, მინამ დედობას, ცოლობას და დობას იკისრებდეს, ყველაზე უწინარე იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს, დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა საქმე კაი დედაკოცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კაი კაცობა და მერე დედობა. კაცს დედობის, ქმრობისა და სხვა ამისთანას გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“ [ჭავჭავაძე 1987: 352].

ილია ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ასაბუთებს. წერილი ერთგვარი მიმართვაა საზოგადოებისადმი, ვისაც ამის გაგება უჭირს და ქალს მხოლოდ იმ დანიშნულებით განიხილავს, რაც ღვთისგან ისედაც ბოძებული აქვს და განვითარებას არ საჭიროებს. ქალი თავისი ბუნებითა და შეგნებით დედაა, მაგრამ კარგ დედობას განათლება სჭირდება, ქალს სჭირდება შეცნობა გარესამყაროსი, რადგან ისაა ქვაკუთხედი მომავლისა და მან უნდა იცოდეს, როგორ თაობას ითხოვს ერი, ქვეყანა და საზოგადოება.

ილია წერდა, რომ აღმზრდელობით საქმეში ქალები „მხნე, მოხერხებულნი და დაულაღავნი არიანო“. პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ თვითმოქმედება ყველაფრის მხსნელი ძალაა და მიესალმებოდა ქალების წამოწყებულ ყველა საქმეს, მას უხაროდა, რომ „ქალებს საკუთარი თვითმოქმედება ფარ-ხმალად აუღიათ, რომ თავისი საკუთარი ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებას და ბედი შეძლებისაებრ თავისკენ მოატრიალონ“.

ილიას სულისკვეთებას ამ საკითხში სრულად იზიარებდა აკაკი წერეთელიც. აკაკი უფრო ისტორიულ კვალს გაჰყვა და ქალის როლი და დანიშნულება თავის წერილში „თამარ მეფე“ ისტორიული რაკურსით წარმოაჩინა. მან შორეული წარსულიდან მოყოლებული, გაიხსენა და მაგალითებით დაგვანახა, როგორ იჩაგრებოდნენ ქალები ძველ დროში სხვადასხვა ერების კულტურაში: „ძველთაგან დაწყებული ჯერ არ ყოფილა დედამინაზე იმისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვადასხვა უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახელებინოს, მაგ: ბერძნებმა, ტროდის ლაშქრობით აღშფოთებულებმა, ყოველგვარი უბედურების მიზეზად მშვენიერი ელენე გამოსახეს, ებრაელები – დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდნენ, ეგვიპტის ფარაონთა დამხობას – კლეოპატრას აწერდნენ, და სხვანიცა ამგვარადვე ყველა რომ არ ჩამოვთვალოთო“, – წერდა აკაკი.

ამ ფონზე, აკაკის თქმით, ისტორიულად განსხვავებული იყო დედათა სქესისადმი ქართველთა დამოკიდებულება: „ხალხში ერია ერ-



თი ტომის ხალხი, ივერიელები, ანუ ქართველები, რომ სულ სხვა თვალთადასრულებით უყურებდნენ ქალებს, უფლებით გათანასწორებულებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთესს მათგან გაცემით იხსენიებდნენო“ – წერს იგი და ცდილობს, ღვთისმშობლიდან დაწყებული, წმინდა ნინოს სასწაულებრივი ღვანლით გაგრძელებული, ქეთევან დედოფლის საკვირველი მაგალითით დასრულებული აჩვენოს ხალხს ქართველი ქალის სიძლიერე, როლი და დანიშნულება: „პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ, ერთ უბრალო, მოგზაურ, უძღურ, კაბადოკიელ ქალს, რომელსაც მისივე თმებით შეკონილი ვაზის მეტი არა ეჭირა რა, ფეხქვეშ ემხოობდნენ მეფენი და დიდებულები, ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალითს უჩვენებს საქრისტიანოს რჯულისა და ეროვნებისთვის წმინდა მონამეობისას, თამარ დედეფალი უმტკიცებს მის შემდეგ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთეულება, ამალღება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ღმობიერებითა და სიყვარულით. აი, ეს სამი ქალი ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს“.

ქართველ ქალებს არაერთი გულშემატკივარი ჰყავდათ: გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ინაშვილი. „ვისაც ჰგონია, რომ დედაკაცი მართო კარგი მეოჯახე უნდა იყოს, ისინი ძალიან სტყუიან ამისთვის, რომ შეიძლება კაცი კარგი ოჯახის მომვლელი იყოს და ამასთან კარგი ექიმიც, კარგი ვაჭარიც, კარგი ვეჟილიც, კარგი ისტორიკოსიც, კარგი სახელმწიფო მოღვაწეც, ოჯახობა, როგორც მამაკაცს აგრეთვე დედაკაცს ვერ დაუშლის სხვა რიგ სამოქალაქო სამსახურს“ – წერდა გიორგი წერეთელი.

ქართველ ქალებს, როგორც ვთქვით, ჰყავდათ, აგრეთვე, დიდი გულშემატკივარი ნიკო ინაშვილის სახით. მან 1869 წელს თარგმნა ჯონ სტიუარტ მილის ცოლის წერილი „ქალების გათავისუფლება“ და წინ წაუძღვარა საკუთარი წერილი, რომელშიც წერდა: „ქალის დამონება ერთი ორად ხდება შეუწყნარებელი, ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რისი შემძლებელიც არის ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქმნება ისეთივე გონიერი და კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთ-ერთი ჩვენთაგანი. ქალს უნდა მიენიჭოს ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვს მამაკაცს“ („მნათობი“, 1870 #4). ნიკო ინაშვილი წერილში ნათლად გამოთქვამს თავის მოსაზრებას ქალის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, ვრცლად მიმოიხილავს ქალის სწავლა-განათლების საკითხსაც და ხედავს საჭიროებას, რომ ქალს ჰქონდეს თავისი ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

ეს თანადგომა, რა თქმა უნდა, მუხტს და ბრძოლის ენერგიას აძლევდა ქალებს, დაიწყო კიდევ მათი გაქტიურების პროცესი.

ამ მცირე ისტორიული ექსკურსიდანაც ნათელია, რომ 60-იან წლებში ინტენსიურად დაიწყო ქალთა საკითხის აქტუალიზაცია და ქალის სოციოკულტურული როლის ზრდაზე ზრუნვა ქართულ საზოგადოებაში. ეს არ გამოხატულა მხოლოდ წერილობითი თუ ზეპირი განცხადებებით და თანდათან პრაქტიკულ მოქმედებაშიც გადაიზარდა. ფაქტია, რომ როგორც კი პირველი პერიოდული გამოცემა დაარსდა, ქართველი ქალების თხოვნებიც დაიბეჭდა. ეს იყო ჟურნალი „ცისკარი“, რომლის ფურცლებზე ორი ქალის – დარია ერისთავისა და ელისაბედ წერეთლის თითო-თითო ლექსი გამოქვეყნდა. შემდეგ ათწლეულებში 1870-იანი წლიდან სულ უფრო მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გახდა ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ქართველი ქალების გალერეა.

### **ლიტერატურა:**

**სახელმძღვანელო... 1909:** სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად, „მწყემსის“ რედაქციის სტამბა, თბილისი, 1909;

**მილი 2006:** მილი ჯ. ს., ლიბერალიზმის საფუძვლები, თბილისი, 2006;

**ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი., „პუბლიცისტური წერილები“ ტ. 4, თბილისი, 1987;

## **Nestan Gambashidze**

### **The Origins of Liberal Ideology and the Issue of Women's Emancipation In the 19th Century Georgian public thinking (General remarks)**

#### **S u m m a r y**

From the 60's, the issue of women was intensively actualized and thinking to increase the socio-cultural role of women in Georgian society. This was expressed not only in written or oral statements, but also gradually turned into practical action. It is a fact that as soon as the first periodical edition was established, the works of Georgian women were published. It was the magazine "Tsiskari", on the pages of which two poems by two women – Daria Eristavi and Elisabeth Tsereteli – were published. In the following decades, from the 1870s, the gallery of Georgian women working in the field of literature became more and more important and diverse. The

issue of women's rights activism was controversial in the European countries of that time. It is fair to say that historically, compared to European countries, women have not been less if not more valued in Georgia. However, it still became necessary to discuss and debate about the emancipation of women in the second half of the 19th century. It should be noted that Georgian women have not been alone in the fight for women's rights, they've had a lot of supporters. Generation of the 60s led by Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli, Niko Nikoladze, Niko Inashvili – This is a short list of people with progressive thinking whose letters reflected on the protection of women's rights. Akaki Tsereteli in his letter "Queen Tamar" discusses the role and purpose of women in detail and historical context. The issue of women's education, equal rights with men, as well as encouraging calls and phrases towards them can be seen from the letters of Niko Nikoladze and Niko Inashvili. Of course, this gave a kind of charge and energy to a not so weak Georgian woman who has been actively involved in the public life historically. The fight for the return of dignity, self-establishment and freedom was about to begin.

## **თამარ შარაბიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუშის ანალიზი**

XIX საუკუნის ქართული სატირისა და იუმორის სპეციფიკის უკეთ გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი გამოვლინების ჟანრობრივი ნაირსახეობები (პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა); ამისათვის კი სასურველია თითოეული მწერლის შემოქმედებაში ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს სატირული პლასტის შესწავლა და ერთიანი სურათის ჩამოყალიბება. საჭიროა აგრეთვე თითოეული მწერლის შემოქმედებაში სატირის თემატიკისა და ხერხების გამოწვლილვითი შესწავლა და ანალიზი, განსაზღვრა იმისა, თუ რა განაპირობებს ამა თუ იმ მხატვრული ხერხის სატირული ფუნქციით გამოყენებას. ამჯერად საკვლევ ობიექტად აკაკის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები ავიღეთ.

ჩვენი დაკვირვებით, აკაკის სატირული მხატვრული შემოქმედებისა და სატირული პუბლიცისტური წერილების თემატიკა პრინციპუ-

ლად არ განირჩევა ერთმანეთისგან, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივ სატირასთან, რომელიც ხანდახან პიროვნულ სატირაში გადადის. საერთო თემატიკას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აკაკის როგორც პუბლიცისტურ ნერილებს, ასევე მხატვრული შემოქმედების ნაწილს საპოლემიკო ხასიათი აქვს. მის ასეთი ტიპის ლექსებსა და მოთხრობებს რეალური ფაქტები უდევს საფუძვლად და გამიზნულია მოვლენის ან კონკრეტული პიროვნების დასაცინად.

აკაკის ერთ-ერთი პირველი პუბლიცისტურ ნერილში – **„ახირებული ფურცელი“** (პეტერბურგის პერიოდის შემოქმედებიდან) – სატირის ობიექტია როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ასევე პერიოდული პრესა და კონკრეტული პიროვნება. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სატირა პიროვნულში გადადის, თუმცა მათ შორის მკვეთრი ზღვარის დადგენა არ ხერხდება და არცაა აუცილებელი. პიროვნული სატირაც აკაკისთან საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. ნერილში აკაკი სალიტერატურო საკითხებს მიმოიხილავს: წარმოაჩენს ახალგაზრდა უნიჭო მწერლების სადარდებელს – მათ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა სურთ, მაგრამ აღარ იციან, ვის მიბაძონ – ახალ მწერლებს თუ ძველებს. აკაკი ირონიით საუბრობს მათზე, რომელთაც მიბაძვის გარეშე არ შეუძლიათ რაიმეს შექმნა. მწერალი ირონიას გამოხატავს აჩქარებული გულის რიტმის ხმაბაძვითი ბგერებით, აგრეთვე – რუსთაველის მიბაძვა-პერიფრაზითა და ბგერათა თამაშის ხერხით (სიტყვაში ასო-ბგერის შეცვლით სხვა მნიშვნელობის სიტყვის მიღება): **„ძინგ! ძინგ! ძინგ! – ჰა ანბავია? გუდი მიძგეხს! პიჩვედჯეჰი გამოვდივაჰ სადიგეჰაგუჰო ასპაჰეზზედ და ვემსგავსები იმ ახალგაზრდა მონადიხებს, ხომელთაც ხელათ აჰა აქვსთ დიდი ნადიხების ხოცა და პატაჰ-პატაჰა ნადიხებს უსვხიან“** [წერეთელი 1990: 5]. ამ „ახალგაზრდა მონადირეებს“ ქართველ მწერალთაგან მისაბაძი ვერ ამოურჩევიათ, რადგან, აკაკის აზრით, ქართველი მართლაც აღარსად ეგულებათ. აკაკი „თერგ გამოღმა დარჩენილებსაც“ დასცინის და „ახლებსაც“; ამ უკანასკნელთ კი ქრელაძეებს ეძახის. ის ირონიით მიგვანიშნებს, რომ ძველი მწერლების მიერ ხმარებული ენობრივი არქაიზმები ყოვლად გაუგებარია როგორც ახალი, ისევე ძველი თაობისთვის, რადგან ხელოვნურად არის შედგენილი. მაგალითად, ექვთიმე წერეთლის სტატიიდან აკაკის ამოღებული აქვს და სპეციალურად, ძველი თაობის დაცინვის მიზნით, ხმარობს გამოთქმას – **„ყოვლადვე ნუ იყოფინ“**; ქრელაძეებს კი იმათ ეძახის, **„ქაჩთუღზედ ხომ ხელს იღებენ, / ველაჰც ჰუსურს ახეხებენ, / უღვაშებს ემგეჰებიან, / ჰუსურად ბაკებს უშვებენ“** [წერეთელი 1990: 5]. გარდა ამ მნიშვნელოვანი ნაკლისა, ქრელაძეები ემტერებიან სხვის კარგ საქმეებსაც; მიუხედავად თავი-

ანთი სილატაკისა („ჯიბეებსა თავვი უჭიხით“), დიდკაცობენ, არიან გაუნათლებლები და ბრძნად მოაქვთ თავი; ისინი ვერც ლიტერატურაში ერკვევიან („ტრედიაკოვსკის აქებენ და ხუსთავედს დასცინიან“). აკაკი მათ საქართველოს „ფუჭ ძეებსა“ და „სულელ ბრძენთ“ უწოდებს. მეტყველი გვარით თავადთა ამ ნაწილის შემკობასაც, რა თქმა უნდა, სატირული ფუნქცია ენიჭება.

სტატიაში აკაკი ჟურნალ „ცისკარსაც“ აკრიტიკებს და მისი კრიტიკა ამ შემთხვევაში სატირაში გადადის. მწერალი დამდაბლებულის პოზას იმარჯვებს, რითაც ამდაფრებს თავის სატირულ დამოკიდებულებას ობიექტისადმი. აგდებული საუბრით ის ზუსტად გამოყოფს ჟურნალის ნაკლს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ცისკარი“ 6 წლის მანძილზე უნდა დახვეწილიყო, ჩამოეყალიბებინა სტრუქტურა, რუბრიკები; მიზანი და მიმართულება მაინც უნდა გამოეკვეთა, ინდივიდუალური ყოფილიყო, რაც ვერ მოახერხა და გაუგებარი დანიშნულების, უინტერესო პერიოდულ ორგანოდ დარჩა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ „ძილის მომგვრელია“: „ეს ჩვენი ყმაწვილი „ცისკაი“ მეექვსეს წელიწადში ჩადგა, – წეხს აკაკი, – მაგამ დღემდე ახ ვიცოდი სადაუხი ყმაწვილი იყო, ხუსის თუ ქახთვედის... ზოგიერთი თვისება კი ქახთვედი ყმაწვილისა ჰქონდა. ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, ხან წითელს იცვამდა, ხან ყვითელს და დუჩხს; ამით სწოხეთ ცედექი ქახთვედი ყმაწვილი მომაგონებოდა ხოლმე. ამას გახდა ზამთაში მსუბუქებოდა და ზაფხულში გახდებოდა ხოლმე...“ [წერეთელი 1990: 8].

აკაკი განსაკუთრებით თავს ესხმის ექვთიმე წერეთელს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოაქვეყნა სტატია ამგვარი ხელმოწერით: „ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე“. ამ მაღალფარდოვნების გამო, რომლის მიღმაც აზრი იკარგება, აკაკი კვლავ ირონიულად შენიშნავს: „ვიფიქხე, აბა, აქ ახის სიბხძნე სოღომონისა თქო და დავიწყე კითხვა...“ (იქვე). ის „აქებს“ ავტორის „გასაგებ“ ენას და მასთან დაკავშირებით ერთ ანეგდოტურ ამბავს ჰყვება: მამამ შვილი ნათლიას წარუდგინა და შეაქო, ხუთი ენა იცისო. ნათლიამ ამოიხვნეშა: „შე კაცო აქამდის ჩემი ნათღუდის სიჩეხჩეგე ეხთმა ხადხმა იცოდა და ახდა ხუთ სხვადასხვა ხადხს შეუგყვიოო. მისი ახ იყოს... ხე! ხე! ხე! ... გოხისედსაც ასე მოსვდია, იმ დაღოცვიდს ანტონ კათალიკოზსავით ღხმათ ხომ დაეწეხა ბეჯი ვეი გაიგებდა და კახი ეგონებოდა და ახდა კი ყვედა შეიგყობს, ხომ ავგოხს ცახიედი გუდა დაუბეგყავს“ [წერეთელი 1990: 9]. ანეგდოტური ამბის ან არაკის მისადაგება კონკრეტულ სიტუაციასთან აკაკისათვის ჩვეული სატირული ხერხია. სახეზე გვაქვს საზოგადოებრივი სატირის პიროვნულში გადასვლა, რადგან დაცინვის ობიექტი კონკრეტული პირი ხდება; სატირა გამოხატულია მთქმელის დამდაბლებული პოზით, დაცინვის შორისდებულებით, გერგილიანი

თქმით, რომელიც მოსწრებულია სწორედ ერთი ამბის მეორეზე გადატანის შესაძლებლობით და ანეგდოტური ამბის დამოწმებით. აკაკი ექვთიმე წერეთელს მესტვირე ბლიადის დასაცინადაც ხდის. ცნობილია, რომ გუდა-სტვირზე დანამღერები ძირითადად სატირული ხასიათის იყო. სტვირზე და დიპლიპიტოს ხმაზე დამღერების ფორმით გამოხატულ სატირას მრავლად ვხვდებით აკაკის პოეზიაში, საკრავების ხმები მისამღერით გამოიხატება. ამ შემთხვევაშიც „ბლიადის სიმღერის“ ტექსტი მისამღერით სრულდება – „ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!“, რაც ამდაფრებს სატირას იმით, რომ ტექსტს აგდებულ ტონს აძლევს:

„ზემოური იმერელი  
კახელს შემოწყრაო,  
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!“  
სამდღეს უღეჭა სტატია  
და ძლივს გამოხრაო.  
ცილს არ ვსწამებთ, ბატონებო,  
თვითონ მოგვითხრაო.  
ჰეე-ჰოო, ჰეე-ჰოო!“

[წერეთელი 1990: 10]

„ზემოურ იმერელში“ ექვთიმე წერეთელი იგულისხმება, ხოლო კახელში – ილია ჭავჭავაძე, რომლის სტატიაც ისარივით მოხვედრია ექვთიმეს (იგულისხმება ი. ჭავჭავაძის წერილები ძველი თაობის წინააღმდეგ):

„მაგ კახელის სტატიამ  
გულს ისარი მკრაო...  
მაგ თერგის წყალდალეულმა  
ეგ რა შეგვკადრაო?“

[წერეთელი 1990: 10]

ილიამ „ორიოდე სიტყვაში“ უარყოფითად დაახასიათა ანტონ კათალიკოსის ენა და ჩახრუხადის პოეზია, ამიტომაც სატირულ ლექსში აკაკი ექვთიმეს ათქმევინებს ილია ჭავჭავაძეზე:

„ანტონსა და ჩახრუხაძეს  
რას ჩაემტერაო?...  
ჟურნალი უნდა გამოსცეს,  
სულ ქართლი შესძრაო“

[წერეთელი 1990: 10].

ამ უკანასკნელ სიტყვებში ნაგულისხმევია ილიას მიერ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა; თუმცა ექვთიმე წერეთლის მხრიდან ილიას დაცინვას საპირისპირო მნიშვნელობა აქვს და ექვთიმეზე თქმულ პიროვნულ სატირას წარმოადგენს.

ამ პატარა წერილში, რომლის სათაურიც – „ახირებული ფურცელი“ – პირდაპირ მიგვანიშნებს სატირაზე, მრავალი საზოგადოებრივი საკითხია წამოჭრილი: ახალგაზრდა მწერლების უნიჭობა, სხვისადმი მიბაძვის სურვილი, მათი უპრინციპობა, არჩევანის მიღებისას მერყეობა; ზოგადად კი, საზოგადოების დაბნეულობა სალიტერატურო ენის საკითხში; ჟურნალ „ცისკრის“ გაუგებარი პოზიცია, უვიცი ლიტერატორების მხრიდან განათლებული მწერლების შეურაცხყოფა, მათი ცრუ მედიდურობა და დიდკაცობა; სტატიაში წარმოჩნდება სოციალური საკითხიც – გაკოტრებულ თავადთა საფუძველს მოკლებული ამპარტავნება, რომლის მიზეზიც გაუნათლებლობაა. წერილში ასევე გაშუქებულია ერთი კერძო შემთხვევაც – ექვთიმე წერეთლის მიერ ილიას წინააღმდეგ მიმართული წერილის კრიტიკა, რომელიც ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ დროს გამართული პოლემიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სწორედ ამ კონკრეტული წერილის ავტორის აბუჩად აგდების გამო აკაკის საზოგადოებრივი ხასიათის სატირა პიროვნულ სატირაში გადადის.

სტატია ზემოთ ჩამოთვლილი თემატური მრავალფეროვნებისა და სატირის სხვადასხვა ხერხის გამოყენების გამო საკმაოდ მწვავეა. როგორც დავინახეთ, აკაკი ხშირად მიმართავს ირონიას, სხვა მწერალთა მიბაძვა-პერიფრაზს დაცინვის მიზნით, მოხერხებულ, გერგილიან თქმას, გულისცემისა და საკრავების ხმის იმიტაციით აბუჩად ასაგდები სიტუაციის დახატვას, ერთი სატირული სიტუაციის მეორეზე გადატანას, ერთი პერსონაჟის დაცინვით მეორის დაკნინებას და ყოველივე ამის დამდაბლებულის პოზით წარმოჩენას. სატირის ჩამოთვლილი ხერხები დასტურდება აკაკის სატირულ პროზასა და პოეზიაშიც. სამივე ჟანრში სატირის ინტენსიურ გამოყენებას საპოლემიკო ხასიათი აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ყველა სტატია ერთნაირად სატირული არ არის; უმრავლესობა შეგვიძლია თამამად მივაკუთვნოთ კრიტიკულ სტატიებს სატირული გადახვევებით. აკაკისთვის, როგორც კრიტიკოსისთვის, მთავარი დაცინვა არ არის, მისთვის უფრო პრიორიტეტულია არგუმენტირებული კრიტიკა, რომლის დროსაც სატირას ნაკლები ფუნქცია რჩება, თუმცა ის ყველგან გარკვეული დოზით მაინც წარმოჩნდება.

ზოგადად, აკაკის სჩვევია ერთისა და იმავე თემის როგორც გალექსვა, ასევე – პროზად თქმა, რაზეც მიგვანიშნებს სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებთა ერთნაირი სათაურები. პუბლიცისტიკაში მეორდება მხატვრული შემოქმედების თემატიკა, თუცა უკვე სხვა სათაურით. ის ძირითადად შესულია აკაკის სატირულ რუბრიკებში, რომელთა სახელწოდებებია: „ცხელ-ცხელი ამბები“, „სათეატრო შენიშვნები“, „თეატრი“ და ა.შ. ამგვარ რუბრიკებში ერთიანდება სხვადასხვა სატირული თემა განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით.

პუბლიცისტურ წერილებშიც იგივე სატირული ხერხები გვხვდება, რაც მხატვრულ შემოქმედებაში. ესენია: ბგერათა თამაშის ხერხი, დაცინვის შორისდებულები, საკრავების ხმათა იმიტაცია, მიბაძვა-პერიფრაზი, ირონია, მეტყველი სახელები და გვარები, დამდაბლებულის პოზა, გერგილიანი თქმა, ანდაზის, ანეგდოტური ამბის დამონება, არაკის შექმნით ერთი სატირული სიტუაციის მეორეზე გადატანა, გამოცანის მეშვეობით სატირული ობიექტის დაფიქსირება, ნართაული და ა. შ. ამ ხერხებს შორის დასტურდება ფუნქციურ-სტილისტური ომონიმიაც (ერთი სიტყვის ან ფრაზის დაყოფა-დანაწევრება სტილისტური მიზნით). მხატვრულ შემოქმედებაში ამ ხერხს სატირულ-იუმორისტული დატვირთვა ნაკლებად აქვს, პუბლიცისტიკაში კი სწორედ ამ პრინციპზეა აგებული; მაგალითად, „აქციონერებს“ მწერალი განმარტავს როგორც ორფუძიან სიტყვას – „აქციონ“ და „ერები“, რითაც მას „ერთა დაქცევის“ მნიშვნელობას ანიჭებს.

პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით სტატიკაში შემოგვაქვს ლიტერატურათმცოდნეობითი ცნება – ავტორისეული სატირის ხერხი. მას მივაკუთვნებთ ტროპის იმ სახეებს, რომლებიც სატირული მიზნით არის გამოყენებული და ამავე დროს „ავტორისეულია“, აკაკის მიერ შექმნილი და მხოლოდ მის მიერ ხმარებული. მაგალითად, ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ნაკლის – დაუსრულებელი დროსტარების – დაცინვის მიზნით, აკაკი მასპინძლის სახეზე გამოხატულ სურვილს შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„აკაკაჩია, ბაკაკაჩია,  
გისვამთ, გიჭამიათ,  
გზა გაგაჩნიათ“

[წერეთელი 1990: 45].

სახეზეა მიბაძვა გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „პასუხი შვილთა“ – „ბევრი მოვიდნენ თქვენის-თანები, აკაკიები, ბაკაკიები.“ მართალია, გრიგოლ ორბელიანის სიტყვები აკაკის საწინააღმდეგოდ



არის თქმული, მაგრამ ხალხში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ყოველ-თვის გამოიყენებოდა აკაკისადმი დაცინვის მიზნით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ აკაკი იყენებს ამ შესიტყვებას და მას ლექსიკურ სატირად გარდაქმნის – „აკაკაჩია, ბაკაკაჩია“ – რითაც ამძაფრებს „ბახუსთან მოთამაშე“ საზოგადოების დაცინვის ტონს. ეს არის ავტორისეული სატირის მაგალითი, რომელსაც სხვა მწერლის შემოქმედებაში ვერ შეხვდებით. ერთ-ერთ ნერილში აკაკი ქართული საზოგადოების ღირსეული წევრების ცალ-ცალკე დგომის მიზეზად **„ეშმაკის თაფლ-წებოს“** ასახელებს, რომლით შეკავშირება ისეთი **„ორ-წვერ-ლესულია** და ისეთი მწარეთ მჩხვლეტი, რომ ერთს მარცხნივ გახტუნებს სიმწარით და მეორეს მარჯვნივ“ (იქვე). ზემოთ დასახელებული მეტაფორაცა და ეპითეტიც ავტორისეული სატირის მაგალითებია.

ჩვენი სტატია გვინდა დავასრულოთ აკაკის პუბლიცისტიკიდან კიდევ ორი ნერილის განხილვით, რადგან ვფიქრობთ, რომ მათში საუკეთესოდ ჩანს აკაკის სატირის ტენდენცია – ერთი კონკრეტული ამბავი მიემართება ყველას, საზოგადოების უმრავლესობა კი მასში თავის თავს ხედავს.

აკაკისეული კლასიკური პუბლიცისტური სატირის მაგალითად მიგვაჩნია **„პირ-მადიანი რაინდის პასუხი“**. აკაკი ნერილს მისთვის ჩვეული ხერხით, დაცინვის შორისდებულებით იწყებს: „*ბა-ბა! ბა-ბა--ბა! ეხთის სტატიისთვის ოხ დღეში სამი საყვედუხი და მუქაჩა! ოხი სიგყვიეხი და ეხთიც წეხიდობითი!..*“ [წერეთელი 1990: 253]. პუბლიცისტი აკნინებს მოწინააღმდეგეს როგორც დაცინვის, ასევე მწუხარების შორისდებულების მოხმობით, ლექსიკური სატირით, ირონიით, ანდაზისა და არაკის გამოყენებით და კიდევ სხვა ხერხებით. არაკი, რა თქმა უნდა, ნართაულია და შეეხება მხატვარს, რომელმაც მეფის სურვილი, ისეთი ნახატი შეექმნა, რომ მასში ყველას თავისი სახე დაენახა, გამოხატა პირდაღმა დამხობილი კაცითა და მის ზურგზე მიხატული დიდი კუზით. ნახატი ყველამ თავის თავზე მიიღო. ეს არაკი აკაკის თავის ნაწერებზე გადმოაქვს და მკითხველს ეკითხება: „*ამ აჩაკისა ახ იყოს, ჩვენ ნაწეხში ხომ ვინმემ თავისი ზნეობითი კუზი დაინახოს, ჩვენი ხა ბხადია?*“ მოწინააღმდეგეს აკაკიმ „უპირო რაინდი“ უწოდა, რადგან სამწერლო ასპარეზზე ის „პირბადით“ გამოდის და პირდაპირობას ვერ ბედავს, მისი მუქარა ძაღლის ყეფას შეადარა, რომელსაც ხმას არავინ სცემს, მის ცოფიანივით დატაკებას კი მუქართვებ უპასუხა: „*ახ იცით ხოგოხ იგეხებენ ციფიანს და ხას უშვხებთანო?*“ ბოლოს კი განაზოგადა საკითხი და ამგვარ თავდამსხმელებს „ზემოდან“ მიუთითა: „*ახ გეგონოსთ, ხომ მახგო თქვენთვის მოგვეცადოს და საკუთხად თქვენა გხიდეთ პასუხის ღიხსად. ახა, თქვენისთანა ქკუის კოდოფები სხვე-*

ბიც ბეჯი ბიძანდებიან და ყვედასათვის მოგვიხსენებია ეს სიგყვები ეხთხედ და სამუდამოდ. და ამიეხითგან თქვენი წეხილები, სადაც თქვენი ქკუა და გიძნობა იხატება, თავის გზას მიაგნებენ“ [წერეთელი 1990: 254]. მან კონკრეტული პირი პასუხის ღირსად არ ჩათვალა.

აკაკის სატირა გულზე ხვდებოდა ფართო საზოგადოებას და ყველა თავის თავზე იღებდა, რადგან იმავე ნაკლს თავად ხედავდნენ საკუთარ ბუნებასა და საქციელში. ერთ-ერთ „ცხელ-ცხელ ამბებს“, რომელიც ქართული საზოგადოების მძაფრი სატირაა, აკაკი „ერთი დედაბრის“ არაკით იწყებს, მაგრამ ცვლის დედაბერ პერსონაჟს იმის გამო, აპრუნაანთ ეფემიამ თავის თავზე არ მიიღოსო; „მამაბერზე“ ნათქვამით, შიშობს, იტყვიან: „ჩაპრუნაანთ ლაზარე ჰყოლია სახეშიო“; ვირზე რომ გვიამბოს, ვერ დათვლის, რამდენი დარბაისელი მიიღებს თავის თავზე; მუტრუკი რომ ახსენოს, ზოგიერთ ახალგაზრდას არ ეამება, ბოლოქანქარა ჩიტზე რომ მოჰყვეს ამბავი, გადაირვეიან ქალები. გამოსავალი პუბლიცისტმა „ადამისხნის“ ზღაპრის მოყოლაში ნახა, ამბავი შორეულ წარსულში გადაიტანა; გვიამბო მეფისა და იმ ქაჩალი კარისკაცების ზღაპარი, რომლებმაც ქვეყანა აიკლეს იმის გამო, რომ მათ სამეფოში ქაჩალი არავინ ყოფილიყო. არაკის ბოლოს თავად მათი ქაჩლობა გამომჟღავნდა; მეფემ მოლალატეები იმათ გადასცა სამსჯავროდ, რომელთაც ასე სასტიკად აწიოკებდნენ. გამხიარულებულმა ხალხმა დაირის ხმაზე დასცინა ორგულებს:

„დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!  
გამიხურდი დაირა!  
ორგული და მოლალატე  
ეშმაკმა დაიპირა!..

[წერეთელი 1990: 258].

დაირისა და სტვირისა მელოდიური გახმოვანების სატირულ ხერხად გამოყენება ჩვეულია აკაკისათვის. ეს ხერხი ხშირად გვხვდება მის პროზასა და პოეზიაში. აკაკის ნართაული მიემართება ფარისეველ საზოგადოებას, რომელიც თავის ნაკლს საგულდაგულოდ ფარავს, სხვას კი არაფერს პატიობს.

აკაკის პუბლიცისტურმა სატირამ მრავალი თემა მოიცვა, საზოგადოების მრავალ ნაკლს შეეხო, ამიტომაც პირობითად შეგვიძლია მისი დაყოფა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სატირად. საზოგადოებრივი სატირა სჭარბობს პოლიტიკურს. მასში ერთიანდება ისეთი მანკიერი მხარეების მხილება, როგორებიცაა: ქართული ენისა და ტრადიციების უგულვებელყოფა, საკუთარი ქვეყნის ღირებულებების უარ-

ყოფით სხვებისადმი მიბაძვა, გაუნათლებლობა, პროვინციალიზმი, მოდით გატაცება, დაუსრულებელი დროსტარება, მემთვრალეობა, მრავალსიტყვაობა, ჭორიკნობა, ფარისევლობა, უნიჭობა, პლაგიატობა. აკაკი განსაკუთრებული სიმწვავით, სატირულად აფასებს ქართულ მწერლობასა და მის წარმომადგენლებს, მსჯელობს თეატრის, განათლების, ბანკის, არჩევნებისა და მართლმსაჯულების საკითხებზე. მის პუბლიცისტულ ნაშრომებში გამოიყოფა სატირა სომეხი ეროვნების დიდვაჭრებსა და ქართველ ქალებზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აკაკის სატირა მიმართულია ერთი ეროვნების მიმართ ან ყველა ქართველი ქალისადმი. ამ სახის სატირაში პუბლიცისტი გამოყოფს იმ სატირულ ტენდენციებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ ფენისათვის – სომეხი ვაჭრებისთვის – და ზოგადად ქალთა სექსისტისთვის, რომელთა შორის, რასაკვირველია, გამონაკლისებიც არიან.

### **ლიტერატურა:**

**წერეთელი 1990:** წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1990.

## **Tamar Sharabidze**

### **Analysis of some samples of Akaki Publicist satire**

#### **S u m m a r y**

To better understand the specifics of 19th century Georgian satire and humor, it is necessary to consider the genre varieties of their manifestation. (Poetry, prose and Publicism); For this it is desirable to be foreseen the genre peculiarity in the works of each writer, and study satirical materials as well as forming of unified picture. It is also necessary to study and analyse the satiric themes and techniques in the works of each writers. To determine what causes the uses of artistic method with satirical function. As the object of study, we have used publicist and critical letters of Akaki Tsereteli.

The common theme is determined by the fact that Akaki as a publicist letter as well as part of artistic works has a polemical character. His poems and stories are based on real facts, and is intended to deride a specific person or an event

It should be noted, that not all of Akaki's articles are equally satirical; most of them can be attributed to critical articles with satirical deviating. For Akaki as a critic derider is not main, argumentative critique is more of a

priority for him, when satire remains less of a function, although it still appears everywhere in a certain dose.

In general, Akaki is accustomed to saying the same topic as verse as well as in prose which is indicated by the same title with different genre of artistic works. In the publicism is repeated the theme of artistic work. However, already with different title. It is mainly included in Akaki's satirical rubrics, those titles are: "Breaking News", "Theatrical Notes", "Theatre", etc. in such rubric are combined different satirical theme with different function.

In the publicist letter are found the same satirical techniques as in artistic works. Based on publicism in the article we introduce the literary idea – the satirical method by author. We attribute it to the type of trope that are used by satirical purpose and same time it is "authorial", created by only Akaki and used only by him.

## **სოფიო ჩხატარაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **იაკობ გოგებაშვილი უკრაინულ კულტურულ კონტექსტში**

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი დამსახურებულად იკავებენ კუთვნილ ადგილს ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში. მათ შორის საყურადღებო და მეტად საგულისხმოა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის შესწავლა უკრაინულ კულტურულ კონტექსტში.

დღეს, როდესაც კომპარატივისტული კვლევები ინტენსიურ ხასიათს იძენს და საქართველოსა და უკრაინას შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები იძლევა მდიდარ მასალას, საფუძვლიანია მწერალთა როლისა და ადგილის განსაზღვრაც ზემოაღნიშნულ ქრილში. მათ შორის, პრინციპულად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა და ცოდნა, რამეთუ შეუფასებელია მისი როლი ქართული კულტურისა და განათლების, ზოგადად, ერის ისტორიაში. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, უკრაინელთათვის, მათი ლიტერატურისა და კულტურისათვის, ამ კულტურის ინტეგრირების საკითხში, მრავლისმეტყველი აღმოჩნდა ქართველი კლასიკოსის შემოქმედებითი მიდგომები როგორც მშობლიურ, ისე უკრაინულ კულტურასთან დაკავშირებით.

რატომ არის მნიშვნელოვანი იაკობ გოგებაშვილის როლის განსაზღვრა უკრაინულ კულტურაში და სწორია თუ არა საკითხის ასე

დასმა? როგორც ისტორია გვიჩვენებს, მთარგმნელობით პროცესი ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში, მწერალთა კონტაქტები, ამ კონტაქტების შედეგად გამოწვეული რემინისცენციები და ეპისტოლური მემკვიდრეობა საუკუნეებს ითვლის. კონტაქტებს მოჰყვა ნაწარმოებთა თარგმანები და თუ თანამედროვეობას დავიმონებთ, გრიცკო ხალიმონენკოს უახლეს ნაშრომში „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ვკითხულობთ: „უკრაინული ლიტერატურის სრულად შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ ქართული მწერლობის შეცნობასთან ერთად“ [ხალიმონენკო 2020: 9].

აღსანიშნავია, რომ ქართველი და უკრაინელი მკვლევრები: ალექსანდრე მუშკუდიანი, ოთარ ბაქანიძე, ლუდმილა გრიციკი, ოლექსა სინიჩენკო ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კომპარატივისტიკის კონტექსტში წარმოაჩენენ იაკობ გოგებაშვილის პიროვნების მნიშვნელობას ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში.

ვფიქრობთ, საკითხი კვლავ საჭიროებს შესწავლასა და კვლევას.

იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შემონახულია ეპისტოლური ხასიათის ნაწილი, რომელშიც უკრაინელი ადრესანტებიც ფიგურირებენ. მისი არქივი ინახავს წერილებს, რომლებიც გაგზავნილია/მიღებულია კიევიდან, დაწერილია კიევში ყოფნის პერიოდში.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება უკრაინულ კულტურულ სივრცეს, უპირველესად, მისი კიევში სწავლის პერიოდში დაუკავშირდა. 1861-63 წლებში იაკობ გოგებაშვილი კიევის სასაულიერო აკადემიის სტუდენტია და როგორც პროფ. ოთარ ბაქანიძე აღნიშნავს, ის ესწრებოდა ლექციებს კიევის ნაციონალურ უნივერსიტეტშიც. „ეროვნული პრინციპის აღიარება და დაცვა ყველა სფეროში, როგორც უზენაესისა, იაკობ გოგებაშვილთან ერწყმოდა ფართო ხედვას, სხვა ხალხთა მიღწევებისადმი ინტერესსა და მათ პატივისცემას, მსოფლიო კულტურის საგანძურისადმი სწრაფვას. იაკობ გოგებაშვილი განუმეორებელი მოვლენაა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში და მის ამ განუმეორებლობაში მცირე როლი როდი მიუძღვის უკრაინის სამყაროს“, – წერს ოთარ ბაქანიძე [ბაქანიძე 2015: 59].

მისი პედაგოგიური მოძღვრებანი და მიდგომები ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა უკრაინელი კოლეგებისათვის. ამასთანავე, მათთვის უმნიშვნელვანესია, რომ სწორედ იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ტარას შევჩენკოს, უკრაინის საამაყო შვილისა და შემდგომში სულიერი მამის შემოქმედებას, და მოუწოდა ქართველ რედაქტორებს მისი ნაწარმოებების თარგმნისა და დაბეჭდვისაკენ.

1986 წელს კიევში გამოიცა ალექსანდრე მუშკუდიანის საეტაპო ნაშრომი „ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობების ისტორიიდან“. ალ. მუშკუდიანი ყურადღებას აქცევს იაკობ გოგებაშვილის იმ სტატიებს, რომლებშიც უკრაინულ მწერლებს ახსენებს ქართველი მეცნიერი.

1997 წელს სიმონ გონჩარენკო „უკრაინულ პედაგოგიურ ლექსიკონში“ ათავსებს ცნობებს იაკობ გოგებაშვილის შესახებ. სიტყვა--სტატიკაში ნათქვამია, რომ „ქართველი პედაგოგი და საბავშვო მწერალი სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, ისმენდა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში, მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ზედამხედველად; რომ იგი ფუძემდებელია ქართული საბავშვო ლიტერატურისა“ [Гончаренко 1997: 71].

ქართველოლოგი ლიუდმილა გრიციკი იაკობ გოგებაშვილის როლს ქართულ-უკრაინული ურთიერთობების კომპარატივისტიკის წრილში განხილვისას მოიხსენიებს. უკრაინელი მეცნიერი აქცენტს ტარას შევჩენკოს მიმართ იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებაზე აკეთებს: „თემატურად, ტარას შევჩენკოს ნაწარმოებთა იდეა, ეროვნული ტრადიციებით ნასაზრდოები აზრი, ნაციონალური მოტივები ახლობელი იყო ქართველი მკითხველისთვის... ამით აიხსნება იაკობ გოგებაშვილის მოწოდება ქართველი მწერლების მიმართ, „გაემდიდრებიანთ“ ქართული ლიტერატურა შევჩენკოს თარგმანებით“ [Грицик 2013: 328] - წერს ლ. გრიციკი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულია იაკობ გოგებაშვილის პირადი არქივი. იმის გასაანალიზებლად, თუ რა როლი აქვს ქართველ პედაგოგსა და პუბლიცისტს უკრაინული კულტურისათვის, ალბათ კმარა მისი წერილების ფონდი, რომელშიც დაცულია იაკობ გოგებაშვილისა და კიევის სასულიერო აკადემიის რექტორთა მიმონერა, როგორც მისი სწავლის პერიოდში სასულიერო აკადემიაში, ისე, მომავალში, როდესაც აღარ იყო კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი. ეს მიმონერა ეხება: 1. ბიოგრაფიულ ფაქტებსაც და 2. შემოქმედებით მოღვაწეობასაც (მაგ. ივანე ლევიცკის წერილი ი. გოგებაშვილს, იაკობ გოგებაშვილის თხოვნა კიევის სასულიერო აკადემიის რექტორს აკადემიის აგარაკზე გაგზავნის თაობაზე, აკადემიის რექტორის მიმართვა ი. გოგებაშვილს, სახელმძღვანელოების მიღების თაობაზე და ა.შ.).

უკრაინულ კულტურულ კონტექსტში პრინციპული მნიშვნელობა აქვს იაკობ გოგებაშვილის ინიციატივას - ქართველმა პოეტებმა თარგმნონ ტარას შევჩენკოს შემოქმედება.

1911 წელს სახალხო გაზეთში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის „პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ“. წერილში იაკობ გოგებაშვი-

ლი რეკომენდაციას უწევს უკრაინული ლიტერატურის თარგმნის საკითხს: „აღვნიშნავ რა ამას, ვურჩევ ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით. ეს თარგმანები ჯერ ბეჭდონ ჟურნალ-გაზეთებში და შემდეგ ცალკე კრებულად გამოსცენ“ [გოგებაშვილი 1911: 254].

იმავე წელს, ჟურნალ „ჯეჯილში“ ქვეყნდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „ტარას შევჩენკო დიდი პოეტი უკრაინისა“, რომელშიც საკვანძო საკითხია უკრაინის, როგორც სახელმწიფოს რეცეფცია: „რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულია, სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომელიც ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის შვილთა შორის კაი ხანია დაიბადა და აღიზარდა თანაგრძნობა და სიმპატია საქართველოსადმი. ამ ქვეყანას ჰქვია უკრაინა, ანუ მოლოროსია“ [გოგებაშვილი 1911: 43]. გარდა იმისა, რომ ტარას შევჩენკოს მიიჩნევს ავტორიტეტად, საქართველოს და უკრაინის ბედს ამსგავსებს ერთმანეთს; ამავდროულად, უკრაინას, როგორც ქვეყანას ასახელებს და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს მის კეთილგანწყობაზე საქართველოს მიმართ. რა გასაკვირია, რომ ქართველის კლასიკოსის მხრიდან, ეს ერთგვარი აღიარება იყო ე.წ. „ვალუევის ცირკულარის“, „ბად-ემის ბრძანებისა“ თუ სხვა ღონისძიებების შედეგად შევიწროვებული უკრაინული ენისა და კულტურისა, უკრაინელი ერისა და მისი ისტორიისა.

საინტერესო მოგონება აქვს უკრაინელ მწერალს, ქართული ლიტერატურის უამრავი ძეგლის მთარგმნელს, ოლექსა სინიჩენკოს:

ვიცოდი რა, რომ ყველაზე უკეთ სწავლობ მაშინ, როდესაც ასწავლი, გადავწყვიტე ქართული ენის წრის ორგანიზება. ამ ენის გაცნობის სურვილი გამომცემლობიდან ოთხმა კაცმა გამოთქვა. პირველი გაკვეთილი 29 ოქტომბერს დავნიშნეთ. ეს წრე რომ არ დაშლილიყო, ცვდილობდი ჩემი გაკვეთილები საინტერესო გამეხადა. როდესაც ვთქვი, რომ ქართული ასოები მარტივია, ვიდრე უკრაინული, ჩემს მოსწავლეებს თვალები გაუფართოვდათ, ისინი იეროგლიფებს მოელოდნენ. ავიღოთ, ვეუბნები, მაგალითად ჩვენი ასო-ბგერა „ა“. გვაქვს ოთხნაირი დაწერილობა: ბეჭდური დიდი და პატარა „ა“ და ხელნაწერი დიდი და პატარა „ა“; ქართულად კი „ა“ არის მხოლოდ შემდეგი მოხაზულობა და დაკუნერე „ა“ასო (მათ არ აქვთ დიდი ნიშნები“, ხოლო როდესაც ვუთხარი, რომ 5 წუთის შემდეგ ისინი შეძლებდნენ დაეწერათ მოკლე ქართული ფრაზა, ეს გაფართოებული თვალეები შუბლზე აუვიდათ. „ვიღებთ ორ ასო-ბგერას „ა-ს“ და „ი-ს“, ახლა კი დავწეროთ: აი ასი ია. განსაკუთრებულად ვუსვამ ხაზს, რომ ია არის პირველი სიტყვა ქართული ენის სახელმძღვანელოებში, რომ დედა ენა სწორედ „აი იათი“ იწყება ქართული სახელმძღვანელოები, რომ ია ქართულ კულტურაში ქალის სახელიცაა და ასევე აღნიშნავს პატარა და ლამაზ ყვავილს; და რომ სწორედ იებია ამოკვეთილი იაკობ გოგებაშვილის საფლავზე.

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი, როგორც ქართველი მწერალი, პედაგოგი და პუბლიცისტი ცნობილია უკრაინულ სალიტერატურო სივრცეში; უფრო მეტიც, იგი ავტორიტეტია პედაგოგიკის დარგში და მის შრომებსა და მოღვაწეობას მრავალი უკრაინელი პედაგოგი და მეთოდისტი იმონებს (მაგ. სიმონ გონჩარენკო) და კიდევ უფრო მეტიც, მისი მიდგომები პრაქტიკაშიც კი გამოიყენება (სინიჩენკო ო.)

რასაკვირველია, კვლევა სრულყოფილი მხოლოდ კიევის სასულიერო აკადემიის არქივის შესწავლის შემდეგ გახდება, რამეთუ ცნობები და დოკუმენტები იაკობ გოგებაშვილის შესახებ, უდავოდ, იქნება. ერთი რამ კი ცხადია - იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება კიევში, თავისთავად იყო ქართული კულტურის აღქმისა და პროპაგანდის გარანტი იმ პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში.

### ლიტერატურა:

- ბაქანიძე 2015:** ბაქანიძე ო., კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების სავანე, თბილისი, 2015;
- გოგებაშვილი 1911:** გოგებაშვილი ი., პატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ. გ. „სახალხო გაზეთი“, 1911.
- გოგებაშვილი 1911:** გოგებაშვილი ი., ტარას შევჩენკო დიდი პოეტი უკრაინისა, ჟ. „ჯეჯილი“, N43, თბილისი, 1911;
- ხალიმონენკო 2020:** ხალიმონენკო გ., ქართული ლიტერატურის ისტორია კიევი, 2020;
- Гончаренко 1997:** Гончаренко С., Український педагогічний словник; Київ, 1997;
- Грицик 2013:** Грицик Л., Плуралістична парадигма грузинської шевченкознавчої компаративістики Наукові записки № 40. Літературознавство 2013;
- Мушкудіані 1986:** Мушкудіані О., 3 історії українсько-грузинських літературно-культурних взаємин ХІХ початку ХХ ст. Київ, 1986;
- Синиченко 2018:** Синиченко О., Свій шлях широкий, Київ, 2018.

## Sophio Chkhatarashvili

### Iakob Gogebashvili in the Ukrainian cultural context

#### Summary

Georgian writers and public figures have deservedly taken their rightful place in the dialogue of Georgian-Ukrainian cultures in different sections of history. Among them, the role of Iakob Gogebashvili in the dialogue between Georgian and Ukrainian cultures is noteworthy and very significant.



For us, Georgians, it is fundamentally important to study and know the life and work of Iakob Gogebashvili, because his role in the history of Georgian culture and education in general is invaluable. It is known that Iakob Gogebashvili studied (1861-1863) at the Kyiv Theological Academy, attended lectures at National University of Kyiv; His pedagogical teachings were accountable to his Ukrainian colleagues. At the same time, it is important for them that Iakob Gogebashvili was one of the first to pay attention to the work of Taras Shevchenko.

It should be noted that Georgian and Ukrainian scholars: Alexander Mushkudiani, Otari Bakanidze, Liudmyla Hrytsyk, Oleksa Synychenko present the importance of Iakob Gogebashvili in the Georgian-Ukrainian relations, in the context of Georgian-Ukrainian literary comparative studies, but, Nevertheless, the issue still needs to be studied and researched.

Iakob Gogebashvili's literary heritage preserves a part of epistolary character, in which Ukrainian addressees are also featured. His archive stores letters sent / received from Kiev, written during his stay in Kiev.

It should be emphasized that the life of Iakob Gogebashvili in Kiev was in itself a guarantee of the perception of Georgian culture in the Ukrainian literary and cultural space of that period.

## **მაგდა ქიქაბერიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში**

სოფრომ მგალობლიშვილმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შესახებ. მემუარისტი მათ პირადად იცნობდა და ზოგიერთთან სამსახურებრივი ურთიერთობაც აკავშირებდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოგონება, რომელიც სოფრომ მგალობლიშვილმა იაკობ გოგებაშვილს უძღვნა. ის დაიბეჭდა გაზეთ „ლომისში“ (N 28) 1923 წელს.

თავდაპირველად მემუარისტი იაკობ გოგებაშვილს წარმოგვიდგენს, როგორც 1860-იანი წლების ერთ-ერთ უპირველეს მოღვაწეს. შემდეგ მოკლედ გვაცნობს მის ცხოვრებას, ბიოგრაფიას.

იაკობი სვიმონ გოგებაშვილის პირველი შვილი იყო. კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი მამასთან ერთად სამ-

სახურის საშოვნელად გორში ჩავიდა, მაგრამ საბოლოოდ თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო მუშაობა.

სოფრომ მგალობლიშვილის აზრით, იაკობ გოგებაშვილი ივანე მაჩაბლის ტიპის პიროვნება იყო: „ისეთივე ფხიზელი, სწრაფი მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთვნელი, მტყუნანის კარებამდე მიმყოლი“ [მგალობლიშვილი 1938: 188].

სოფრომ მგალობლიშვილი აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ახსენებს დიდ რუს პედაგოგს, ნიკოლოზ პიროგოვს; უსათუოდ იცნობდაო იაკობი მის მოღვაწეობას.

იაკობ გოგებაშვილის უდიდეს დამსახურებად მემუარისტს ის მიანიჩია, რომ მან როზგი და მოსწავლეების ყველანაირი ცემა-ტყეპა აკრძალა. ამის გამო მას დიდი დაპირისპირება შეხვდა. უსულგულო პედაგოგებისთვის დასჯაზე უარის თქმა ძნელი იყო. იაკობი სიტყვით მკაცრი იყო, ამ მხრივ იყო შეუვალი. სემინარიის მოსწავლეები დიდ პედაგოგთან ხშირად იკრიბებოდნენ. მას მოჰქონდა ახალი წიგნები, აცნობდა მოსწავლეებს, რაც მათზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. სწორედ იაკობ გოგებაშვილის შთაგონებით დააარსეს მოწაფეებმა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“. სემინარიაში რამდენიმე მწერალიც გაიზარდა: იონა მეუნარგია, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, იოსებ ბაქრაძე, გიორგი უთურგაული.

ბოლოს მთავრობამ შეიტყო იაკობისა და ქართველ მასწავლებელთა საქმიანობის შესახებ და მათი დევნა დაიწყო. ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. მაშინ იაკობ გოგებაშვილი უფრო მუყაითად შეუდგა სახელმძღვანელოების შედგენას. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, იგი „ნამდვილი დარაჯი იყო ქართული ახლად დაწყებული საქმისა. თუ ვინმე გადაელობებოდა ამ დაწყებულ საქმეს, იგი უპასუხოდ არ გაუშვებდა, რუსულს ჟურნალ-გაზეთებში აძლევდა პასუხსა „ვარიანელის“ ფსევდონიმით“ [მგალობლიშვილი 1938: 190]. მან „ძალიან გაცოცხა“ დავით კეზელი, რომელმაც რამდენჯერმე გაილაშქა მისი სახელმძღვანელოების წინააღმდეგ.

იაკობ გოგებაშვილი ფიცხი კაცი იყო. თუ რედაქცია წერილს დროზე არ დაუბეჭდავდა, შემოსწყრებოდა და, რომც შეხვეწნოდნენ, აღარაფერს მიაწოდებდა. მემუარისტი იგონებს, თუ როგორ გაუწყრა იაკობი „ივერიის“ მესვეურთ. გრიგოლ ყიფშიძეს დეკანოზ ვოსტორგოვის სანინააღმდეგოდ დაწერილი მისი სტატია დავინყებოდა. იაკობ გოგებაშვილმა სოფრომ მგალობლიშვილს მკაცრი წერილი მისწერა, რვეული უკან დამიბრუნეთო; ბევრს ეხვეწა სოფრომი, აუხსნა დაუბეჭდაობის უნებლიე მიზეზი, იგი თითქოს ცოტა მოლბა, მაგრამ წერილი მაინც წაიღო.

ზოგი ფიქრობდა, რომ იაკობი გოროზი კაცი იყო. ამას ისინი ამბობდნენ, ვინც მას კარგად არ იცნობდა. სეირნობის დროს დიდმა პედაგოგმა თავადერებული სიარული იცოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. ეგებ ამან განუმტკიცა ზოგს წარმოდგენა მისი გოროზობის შესახებ. სინამდვილეში, იაკობი უბრალო კაცი იყო, სუფრაზე შექცევა და ლხინი უყვარდა. მწერალი იხსენებს, თუ როგორ ისტუმრა სურამში მყოფმა იაკობ გოგებაშვილმა დიდი აკაკი, არისტო ქუთათელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და ივანე მაჩაბელი, როგორ გულითადად გაუმასპინძლდა მათ მშვენიერ ქალაში, როგორ მოილხინეს, იმღერეს. სიმღერას იაკობ გოგებაშვილი იწყებდა, სხვები მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ; ღვინისაგან ცოტათი შეხურებულნი, სამშობლოს დახსნას წინასწარმეტყველებდნენ რუსეთის მონარქიის ბრწყალებიდან.

მემუარისტი საგანგებოდ საუბრობს იაკობ გოგებაშვილზე, როგორც დიდ ქველმოქმედზე. იაკობზე ზოგი ამბობდა, ნათესავების მიმართ გულცივიყო, რაც, სოფრომ მგალობლიშვილის აზრით, სიმართლეს სრულიადაც არ შეესაბამება; პირიქით, მან ძმისშვილ-დისშვილებს თავისი ხარჯით ასწავლა; ძმისა და დის სიძეებსაც არ ივიწყებდა და, რაც მთავარია, გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა.

1910 წელს იაკობ გოგებაშვილი გამოესარჩლა და დახმარების ხელი გაუწოდა გასაჭირში მყოფ სოფრომ მგალობლიშვილს, როდესაც იგი სამსახურის გარეშე დარჩა: გაუჩინა კერძო საქმეები, მისცა თავისი სახელმძღვანელოები კორექტურისათვის, ასევე, შესთავაზა სახალხო კალენდრის შედგენა და ამ საქმეში ხელმძღვანელობაც აღუთქვა.

მემუარისტი არც იმას ივიწყებს, თუ როგორ უსაყვედურა იაკობ გოგებაშვილმა განაწყენებულ ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც სოფრომს ხმა დაუყარა – დიდი შეძლება აქვსო.

იაკობ გოგებაშვილი უცოლშვილოდ, უოჯახოდ გადაეგო და მთელი თავისი ქონება ქართველ საზოგადოებას დაუტოვა.

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონება იაკობ გოგებაშვილზე იმით არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ მასში დანვრილებით არის აღწერილი დიდი მოღვაწის პიროვნული თვისებები, მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. ეს კი, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში.

### ლიტერატურა:

**მგალობლიშვილი 1938:** მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, ტფილისი, 1938;  
**ქართული ლიტერატურა 2013:** ქართული ლიტერატურა ოთხ ტომად, ტ. II, ევგენიძე ი. მინაშვილი ლ. თბილისი, 2013;

**ჭიქაბერიძე 2020:** ჭიქაბერიძე მ., XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა, თბილისი, 2020.

## **Magda Chikaberidze**

### **Iakob Gogebashvili - in the Memory of Sophrom Mgaloblishvili**

#### **S u m m a r y**

Sophrom Mgaloblishvili left us the wonderful memories of Georgian writers and figures. The memoirist knew them personally and had some business relations with them. The memory of Sophrom Mgaloblishvili dedicated to Iakob Gogebashvili deserves special attention. It was published in the newspaper "Lomisi" (N 28) in 1923.

Initially, the memoirist presented Iakob Gogebashvili as one of the leading figures of 1860s and later he briefly introduced his life and biography.

The memoirist especially considers as the greatest merit of Iakob Gogebashvili that he forbade birch rod and using all kind of physical force on students. Seminary students often met with a great teacher. He brought new books, introduced them to the students that had a great impact on them. It was under the inspiration of Iakob Gogebashvili that the students established the manuscript magazine "Shroma". Several writers grew up in the seminary: Iona Meunargia, Niko Lomouri, Sophrom Mgaloblishvili, Ioseb Bakradze, Giorgi Uturgauli.

Finally, the Government learned about the activities of Iakob and Georgian teachers and began to persecute them. They were dismissed from work. Then Iakob Gogebashvili started to make textbooks more industriously. According to Sophrom Mgaloblishvili, he was "A real guard of the newly started Georgian business. If anyone stood up against the started business, he never left anyone unanswered; he responded them in the Russian magazines and newspapers under the Pseudonym "Varianeli". He "strictly dispraised" David Kezeli, who had several times attacked his textbooks.

Some thought that Iakob Gogebashvili was a supercilious man, but only those who did not know him well. The great teacher used to walk with head held high and always had a proud look. In fact, Iakob was a simple man and loved to take joy and had good time in events. The writer recalls how Iakob Gogebashvili who was in Surami guested the Great Akaki, Aristo Kutateladze, Sophrom Mgaloblishvili and Ivane Machabeli, how warmly he entertained them in a beautiful flood meadow, how they made merry and sang. Iakob

Gogebashvili started to sing, others followed and joined him in singing. A little bit drunk by wine, they forecasted the liberation of the homeland from the clutches of the Russian Monarchy.

The memoirist especially recalls Iakob Gogebashvili as a great philanthropist. He taught his nieces and nephews at his own expense; He did not forget his brothers and sisters-in-law and, most importantly, helped the needy Georgian students. In 1910, Iakob Gogebashvili interceded and supported the hard-pushed Sophrom Mgaloblishvili when he lost his job.

Sophrom Mgaloblishvili's memory is especially noteworthy in the direction that he describes in details the characteristic features of a great figure, interesting episodes of his life, which arouses great interest in readers.

## **ქეთევან ქკუასელი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა**

იაკობ გოგებაშვილი იმ მოღვწეთა რანგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედების განხილვა საუკუნეების გადასახედიდან ტოვებს ახლის ძიების განცდას, პარალელების გავლებას თანამედროვეობასთან. კლასიკოსების და კლასიკის თვისებაც ეს არის – მუდამ თანამედროვეობა. სწორედ ამ ასპექტით გვინდა განვიხილოთ წარმოდგენილ სტატიაში იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა.

იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა სამი უმთავრესი ასპექტით შეიძლება წარმოვადგინოთ. იაკობ გოგებაშვილი, როგორც – ქართული სკოლის ფუძემდებელი, პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, საზოგადო მოღვაწე.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიის სათაურად წარმოდგენილია „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა“, სტატიაში განვიხილავთ არა მხოლოდ საკუთრივ დიდაქტიკის საკითხებს, არამედ მთლიანად გოგებაშვილის პედაგოგიკას, ვინაიდან დიდაქტიკა დარგია პედაგოგიკისა და მისი პედაგოგიკის კონტექსტიდან ამოგლეჯა ვერ შეგვიქმნის სათანადო სურათს გოგებაშვილის მოღვაწეობისა და ამასთან, რაც მთავარია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გოგებაშვილი ქართული სკოლის ფუძემდებელია საქართველოში მისი არსებობის უმძიმეს პერიოდში. ხოლო სკოლა მხოლოდ მაშინაა ქმედითი და შედეგის მომტანი, როდესაც იგი მეცნიერულ, კერძოდ, მეცნიერ-

რულ-პედაგოგიკურ საფუძველზე დგას. ამდენად, გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა, ერთი მთლიანი და განუყოფელია, ერთ ხედვაზე დაფუძნებული და მიზეზ-შედეგობრივობით დაკავშირებული და ამ მოღვაწეობის ნაწილ-ნაწილ, თემატური განხილვა ვერ დაგვანახებს ი. გოგებაშვილის ქმედებათა იმ თანამიმდევრობას, სისტემურობას და ლოგიკური კავშირების ჯაჭვს, რომელიც, სავსებით შესაძლებელია, გახდა ქვაკუთხედი იაკობ გოგებაშვილისა და მის თანამოღვაწეთა განუხრელი წარმატების მიზეზი.

იაკობ გოგებაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა. ბუნებრივია, მისი მსოფლხედველობა სწორედ ამ პერიოდის საქართველოში არსებული ვითარებითა და საჭიროებებითაა განსაზღვრული, რაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით არის გახმოვანებული. რუსეთმა, საქართველოში შემოსვლისთანავე სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქართულ განათლებას და ქართულ სკოლას და დაიწყო ქართველი ერის განათლების რუსულ ენაზე დაფუძნება. ქართველ სამოციანელთა ზრუნვის საგანი, სხვა უამრავ საზრუნავთან ერთად, უპირველესად, ქართული განათლების, როგორც ეროვნული ცნობიერების ფორმირების უძირითადესი საშუალების, აღდგენა და გაძლიერება გახდა. სწორედ განათლება და მასზე ზრუნვა მიიჩნიეს მათ ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების ცენტრალურ ხაზად. ეს კი ურთულესი საქმე იყო, ვინაიდან მოითხოვდა სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც უნდა დაფუძნებულიყო მკაფიოდ განსაზღვრულ განათლების პოლიტიკაზე და მის შესაბამის კურიკულუმზე, სახელმძღვანელოზე, სწავლების მეთოდებსა და მასწავლებლებზე. „თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, თვალისჩინივით უნდა იცავდეს ეროვნულს გონებას, სულსა და გულს, იცავდეს, აწვითარებდეს და აღორძინებდეს თავისი ქვეყნის ენას, ეროვნულს განათლებას, კულტურას, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა“ [გოგებაშვილი 1954: 155]. ი. გოგებაშვილის ამ ციტატაში ნათლად იკვეთება მისი დამოკიდებულება ეროვნული ცნობიერებისადმი, როგორც ქვეყნის არსებობის და განვითარების უმთავრეს პირობისადმი. ი. გოგებაშვილს, ეროვნული გათავისუფლების ძირითად გზად განათლება და ცოდნა მიაჩნია.

„მთავარი ძალა, რომელიც გამარჯვებას ანიჭებს ერსა საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება“ [გოგებაშვილი 1954: 155].

მაშასადამე, მთავარი საზრუნავი ქართული სკოლის, სწავლა-განათლების სათანადო დონეზე დაყენებაა. განათლების მოწყობას კი მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი სჭირდება. უნდა განისაზღვროს რა

მიზანს უნდა დაეფუძნოს ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც უნდა იყოს მომავალი ქართველი, რომ შეძლოს ქვეყანაში არსებული სირთულეების გამკლავება. აღზრდის მიზანი პედაგოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი უძირითადესი ცნებაა, იაკობ გოგებაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ იგი „ახალი ტიპის ქართველი“-ს სახით გაახმოვანეს. აღზრდის მიზანი ი. გოგებაშვილისთვის პატრიოტი მამულიშვილის აღზრდაა. „ვისა ჰქვიან პატრიოტი?“ – სვამს კითხვას ი. გოგებაშვილი და პასუხობს: „მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაულალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე [გოგებაშვილი 1977: 108]. მომავალი, ახალი ტიპის ქართველის აღზრდის სწორედ ეს მისია უნდა იტვირთოს საზოგადოებამ და სწავლა-განათლებამ. „ზოგს ჰგონია, რომ მამულის სიყვარულის გრძნობა დედის მუცლიდან დაჰყვება ყოველ ახლადშობილს და მის აღზრდაზე ზრუნვა საჭირო არააო, მაგრამ ეს მართლა ასე როდია... პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზე“ [გოგებაშვილი 1977: 107].

ამასთანავე, გოგებაშვილი კარგად იცნობს ანტიკური პერიოდის მოაზროვნეების პლატონისა და არისტოტელეს მიერ განმარტებულ აღზრდის მიზანს, ჰარმონიული პიროვნების აღზრდის იდეას, რომელიც დღემდე კაცობრიობის ორიენტირია აღზრდისა და განათლების სისტემის მოწყობის თვალსაზრისით. კერძოდ, საუბარია პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზე, შრომითი ჩვევების დაუფლებაზე, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე. „სწავლა ყოვლის საგნისა იმისთანა გზაზე უნდა იყოს დაყენებული ყოველს პედაგოგიურად მოწყობილს სკოლაში, რომ ავარჯიშოს, განამტკიცოს და გააძლიეროს არა ერთი რომელიმე გამარტივებული ნიჭი, არამედ სხვა ნიჭიცა და დაეხმაროს მთელის გონების წინსვლასა, განვითარებასა“ [გოგებაშვილი 1961: 376].

აღზრდის მიზნის განსაზღვრაში გოგებაშვილი განსაკუთრებით გამოჰყოფს ზნეობრივ აღზრდას, რომელიც საფუძველთა-საფუძველია პიროვნების სრულყოფილებისა. „პატიოსანის, კეთილშობილური

გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა“ [გოგებაშვილი 1954: 202].

ამასთან ერთად, გოგებაშვილი სერიოზულ ყურადღებას უთმობს გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდას. „ესთეტიურს მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს“. [გოგებაშვილი 1957: 673]. „თუ ბავშვმა რამდენჯერმე უშნო, უკანონო ასოები დასვა, მისი ხელი დაეჩვევა მათ ცუდად წერასა და შემდეგში ძნელად გადაეჩვევა“ [გოგებაშვილი 1977: 200]; „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის ქეშმარიტის ცოდნისას, ხოლო ამგვარს ცოდნას იძლევა რეალური სისტემა განათლებისა“ [გოგებაშვილი: 1954: 293].

მაშასადამე, გოგებაშვილს და მის თანამოაზრეებს აქვთ მკვეთრად გამოხატული მიზანი განათლებისა, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ საჭიროებას.

კლასიკური დიდაქტიკა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების მოწყობისას ოთხ ძირითად კითხვას ეფუძნება – ვინ უნდა აღვზარდოთ? /განათლების მიზანი/; რა უნდა ვასწავლოთ? /განათლების შინაარსი/; როგორ უნდა ვასწავლოთ? /სწავლების დიდაქტიკური პრინციპები და მეთოდები/; ვინ უნდა ასწავლოს? /მასწავლებელი/. განათლების მოწყობის სწორედ ამ კლასიკურ/დიდაქტიკურ ფორმატს ეფუძნება გოგებაშვილის მოღვაწეობა ქართული სკოლის შექმნის თვალსაზრისით. მიზანი მომავალი ქართველის აღზრდისა მათ მიერ განსაზღვრულია. თუ მიზანი განსაზღვრულია, მაშინ განათლების შინაარსიც ადვილი განსასაზღვრია. რა უნდა ვასწავლოთ, რომ დასახულ მიზანს მივალნიოთ. აქაც ნათელია პასუხი – რეალური განათლება, პატრიოტული განათლება, რელიგიური სწავლა.

„მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა. იგი მიმაჩნია ყველა ერისათვის უფრო ნაყოფიერ სისტემად, მეტადრე ქართველებისათვის“ [გოგებაშვილი 1954: 248].

რეალური განათლება – თანადროული ცოდნისთვის, რომელმაც ერს უნდა დაუმკვიდროს ადგილი, პატრიოტული განათლება, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის საშუალება და რელიგიური სწავლა – ზნეობრივი აღზრდისთვის. აქვე აქვს განსაზღვრული ი. გოგებაშვილს საბავშვო თემატიკა – ბუნება და ადამიანთა საზოგადოება, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი ცოდნა, ხალხის ყოფაცხოვრება და მორალის შესწავლა, ისტორიული წარსული. სწორედ ეს თემები მიაჩნია მას მნიშვნელოვნად პატრიოტი მამულიშვილის აღზრდისთვის, რომელსაც ეცოდინება საკუთარი ქვეყნის ისტორია, გე-



ოგრაფია და ხალხის ყოფა-ცხოვრება. სწორედ ამ შინაარსითაა გამსჭვალული გოგებაშვილის სახელმძღვანელოები – დედა ენა, ბუნების კარი და რუსკოე სლოვო, რომლებიც, კლასიკური დიდაქტიკის ზემოთ წარმოდგენილ პრინციპებს ეფუძნება.

შემდეგი კითხვა კლასიკური დიდაქტიკისა არის, როგორ უნდა ვასწავლოთ, და გულისხმობს სწავლების ზოგადპედაგოგიკურ და დიდაქტიკურ პრინციპებს, სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. ი. გოგებაშვილი აქაც დგას კლასიკური პედაგოგიკის პოზიციებზე, როცა სწავლებაში შემოაქვს ასაკობრივი განვითარების გათვალისწინების /მისაწვდომობის/, თვალსაჩინოების, შეგნებულობისა და აქტიურობის, ცოდნის სისტემატურობისა და თანამიმდევრობის, ცოდნის მტკიცედ შეთვისებისა და გამეორების პრინციპები და მათზე დაყრდნობით წერს თავის სახელმძღვანელოებს. ეს ის პრინციპებია, რომელზეც დგას თანამედროვე სკოლა. მოვიტანთ ციტატებს წარმოდგენილ პრინციპებთან დაკავშირებით.

„საზოგადოდ ბავშვის ჩვილ და სუსტ გონებას ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი სიძნელის ატანა შეუძლიან. თუ მას ერთად დაანყებინებ ორს ან სამს საქმესა, ადვილათ შეიძლება მას გონება ჩანყდეს და დაუმახინჯდეს. ამიტომ პედაგოგიკაში არსებობს ერთი კანონი, რომელიც ამგვარად გამოიხატება: ერთბაშად ბავშვს მიეცეს მარტო ერთი სიძნელე“ [გოგებაშვილი 1955: 44];

„ბავშვის გონება კარგა ხანი ნორჩი და სუსტია, იმას შეუძლიან აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა. როცა მაგვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემაგრდება, მაშინ მძიმე შრომის ატანასაც შეიძლება. ეს არის ბუნების კანონი და დაუსჯელად არ დარჩება ის, ვინც ამას ეწინააღმდეგება“ [გოგებაშვილი 1957: 5];

„უჩვენე ყმანვილს თვალით ის საგანი, რაზედაც ელაპარაკები. ან მისი სურათი მაინც, თუ გსურთ, რომ იმან იმის ქეშმარიტი წარმოდგენა გამოხატოს გონებაში“ [გოგებაშვილი 1958: 8];

„ვისაც კი სურს, რომ ყმანვილი გონების გახსნაში და სწავლაში გზაზედ დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც ყმანვილებზედ უფრო ახლო არიან, ის გრძნობა-გონებას აზიდავენ და ადვილათ შეითვისებენ“ [გოგებაშვილი 1958: 8];

„ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევდუგეთ შეძენას ნამდვილის, ქეშმარიტის ცოდნისას, ხოლო ამ გვარს ცოდნას იძლევა ესრედ წოდებული რეალური სისტემა განათლებისა“ [გოგებაშვილი 1958: 10];

„მახლობლიდგან გადასვლა შორეულზედ, ნაცნობიდან უცნობზედ, მარტივიდან რთულზედ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე და სხვანი, უკვე საკმაოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში, ხოლო კონკრეტული ანალიზი კი ძალიან იშვიათია“ [გოგებაშვილი 1957: 659];

„უმთავრესი დანიშნულება ანბანისა ის არის, რომ კითხვის სწავლება გაუადვილდეს ბავშვსა, თვალი გაუტყდეს მას ასოების გარჩევაში, მიეჩვიოს მათს დასახელებას დროთ, სწრაფად. ამ თავის აზრს ანბანი მით უფრო ჩქარა მიენევა, რავდენადაც უფრო ხშირად იმეორება სიტყვებში, და ფრაზებში ის ასო, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს. „გამეორება დედაა სწავლისაო“... ისე არსადაა საჭირო, როგორც პირველ დაწყებითს სწავლაში“ [გოგებაშვილი 1955: 230];

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გოგებაშვილის დამოკიდებულება მშობლიური ენისა და უცხო ენის სწავლებისადმი, რომელსაც კლასიკურ დიდაქტიკაში მშობლიურ ენაზე სწავლების პრინციპი ეწოდება და რომელსაც განუხრელად იცავს ყველა ქვეყანა. ალბათ იშვიათი გამონაკლისია თანამედროვე საქართველო, სადაც უცხო ენა მშობლიურ ენასთან ერთად, პირველივე კლასში იწყება და ამასთან, სავალდებულოდ და მხოლოდ ინგლისური ენა. რას უნდა ემსახურობოდეს ეს გადანყვეტილება, თუ არა ერის ცნობიერების მოშლას და დამახინჯებას? განა მესამე-მეოთხე კლასიდან რომ დაიწყოს უცხო ენის შესწავლა, მშობლიური ანბანის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, ბავშვი უცხო ენის სწავლას ვერ მოახერხებს? ამაზე ღირს დაფიქრება.

„ბავშვმა ვერ თავისი ენა და წიგნი უნდა შეისწავლოს და მერე უცხო ენის სწავლას შეუდგეს. თორემ თუ ერთსა და იმავე დროს დააწყებინებთ ორივე ენის შესწავლას, ერთად აჰკიდებთ ბავშვის გონებას ორს ტვირთსა, იგი ვერცერთს ვერ მოერევა, ტვინი დაეჩაგრება, ვერც ერთს საგანს ვერ შეისწავლის“ [გოგებაშვილი 1957: 5];

„ენა არ არის ტანისამოსი, რომლის გამოცვლაც ადვილად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ძვალსა და სირბილეში, მთელს მის ბუნებაში. იგი ძვირფასი იარაღია, რომელიც ღმერთს ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე“ [გოგებაშვილი 1954: 343].

აქვე აღვნიშნავთ, რომ გოგებაშვილს უმნიშვნელოვანესად მიაჩნია ქართველისთვის უცხო ენის შესწავლა, რომელიც ისევე აუცილებელია ერის განვითარებისთვის, როგორც მშობლიური ენა.

„მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველს – შეაქციე ზურგი უცხო ენასა და დარჩი მართო დედაენის ამარაო. მისი მოუცილებელი შედეგი იქნებოდა სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივინროვე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა“ [გოგებაშვილი 1958: 5-6].

და ბოლოს, ამ მიზნის, შინაარსის, პრინციპებისა და მეთოდების განხორციელებას სწავლების პროცესში მასწავლებელი სჭირდება, რომელსაც შეთვისებული აქვს დიდაქტიკის ეს კანონზომიერებები და ცდილობს მის პრაქტიკაში განხორციელებას. ვინ უნდა ასწავლოს, როგორი თვისებების და ცოდნის მქონე უნდა იყოს მასწავლებელი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გოგებაშვილის ინიციატივით სერიოზული ძალისხმევა დახარჯა მასწავლებლის პიროვნებისათვის სათანადო ადგილის მინიჭებისათვის.

„მეტი მზრუნველობა მასწავლებლის კეთილდღეობაზე, მეტი ნდობა მისადმი, აი, საუკეთესო წამალი ჩვენი განათლების განკურნებისა, აყვავებისა“ [გოგებაშვილი 1954: 366];

„ისეთ უაღრესად რთულ და ცოცხალ საქმეს, როგორიცაა ადამიანის აღზრდა და სწავლება, მხოლოდ იმათ შეუძლიათ წარმატებით მოკიდონ ხელი, ვისაც იტაცებს წრფელი სიყვარული მოყვასისა, ადამიანისა“ [გოგებაშვილი 1954: 366].

როგორც ცნობილია მსოფლიოში განათლების სისტემები, როგორც ინსტიტუციები, მე-19 საუკუნის ბოლოს შეიქმნა. საქართველოში ამ პერიოდში მოქმედებდა რუსეთის განათლების სისტემა, რომლის მთავარი მიზანი მეფის რუსეთის ერთგული ქვეშევრდომის მომზადება იყო. საქართველოში მე-18 საუკუნის ბოლოს, ქართველი მეფეებისა და მოღვაწეების თეიმურაზ პირველის, არჩილის, ერეკლე მეორის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვათა სახელმწიფოებრივი ხედვებით განათლების მოწყობის მიმართ, საქართველო სავსებით მზად იყო განათლების სისტემის შექმნისათვის. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა იოანე ბაგრატიონის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების მიზნით შედგენილი პროექტი „სჯულდება“, ანუ „ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი XIII-ისადმი მირთმეული 1799 წელსა“. რეფორმის ღონისძიებათა შორის „სჯულდება“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს განათლების დარგს. „სჯულდების“ მიხედვით, განათლების დარგის ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამიტომ იგი სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის ხელში და შექმნას ადმინისტრაციული დაწესებულება, როგორც სახელმწიფო მმართველობის აპარატი: „იყოს

განათლების მოხელე ესე იგი სკოლებისა, სხვა სასწავლებისა და სტამბების საქმეში და ამასთან ჰყვანდნენ ხელქვეითნი“. ეს, ფაქტობრივად, განათლების იურიდიული უწყებაა თავისი მმართველითა და ხელქვეითებით, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ განათლების საქმეს სახელმწიფოში [ქინქლაძე 1980]. ყოველივე ეს კი არაფერია, თუ არა განათლების სისტემა. ამ იდეას განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა და რუსეთის ხელისუფლება, ბუნებრივია, არ დაუშვებდა კონტროლის მექანიზმების ხელიდან გაშვებას ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორც განათლებაა. პირიქით, იგი სწორედ განათლების პროცესით აპირებდა ქართველი ხალხის ცნობიერების შეცვლას. შესაბამისად, საქართველოში განათლების სისტემის შექმნა XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის განათლების სისტემის შექმნასთან იდენტიფიცირდება.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება არასდროს შერიგებია რუსიფიკატორულ რეჟიმს განათლების დარგში. ქართველი საზოგადო მოღვაწეების, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, იოსებ მამაცაშვილის, სერგი მესხის და სხვათა და სხვათა თაოსნობით, რუსეთის ხელისუფლების სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, 1879 წელს საქართველოში დაფუძნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, რუსეთის განათლების სისტემის პარალელურად, ფაქტობრივად, იტვირთა განათლების დარგში ქართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ქართული განათლების სისტემის როლი, და უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოების ყველა წევრის (რაც, ალბათ, მთელ ქართულ ინტელიგენციას მოიცავს – ავტ.) რაციონალური, მიზანმიმართული და უანგარო მოღვაწეობის შედეგად მან შთამომავლობას შეუნახა ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მთელი ქართული კულტურა. ამდენად, ამ ორგანიზაციას, რომელიც 47 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული განათლების საქმეს, თამამად შეიძლება ეწოდოს განათლების სისტემა.

ი. გოგებაშვილი, ცხადია, თავისი პედაგოგიკურ-დიდაქტიკური იდეებით, მიზანმიმართულობით, მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით ქართული სკოლის დაფუძნების მთავარი ინიციატორი და იდეური სულისჩამდგმელი იყო. სწორედ მის მიერ განსაზღვრულ განათლების მიზანს და შინაარსს, პედაგოგიკურ/დიდაქტიკურ საფუძვლებს დაეფუძნა ქართული სასკოლო სისტემა, რომელმაც სრულად იტვირთა განათლების სისტემის როლი და შეუნახა მომავალ თაობას ქართული ენა და ქართული სკოლა. ამის დასტურია ის გარემოება, რომ 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში იყო 300-მდე სკო-

ლა 4000 მოსწავლით, ხოლო 1914 წელს – 1700 სკოლა 130 000 მოსწავლით.

იაკობ გოგებაშვილს არ დაუწერია მეცნიერულ-პედაგოგიკური ნაშრომები, ისტორიაში კი იგი საქართველოში პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლად და ასევე, ქართული სკოლის ფუძემდებლად იხსენიება. და ეს სავსებით სამართლიანია, ვინაიდან მან შექმნა ქართული განათლების სისტემა და ქართული სკოლა დააფუძნა მეცნიერულ-პედაგოგიკურ საფუძვლებზე, მან და მისმა თანამოაზრეებმა გააცნობიერეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და ამ ვითარებიდან გამოსავლად სწავლება და განათლება მიიჩნიეს. მან განსაზღვრა განათლების მიზანი და შინაარსი, სწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, შექმნა პედაგოგიკის მეცნიერებაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და ქართული სკოლა. და რაც ყველაზე მთავარია, მისი მთელი საგანმანათლებლო საქმიანობა – სკოლა-სახელმძღვანელო – ქ.შ.წ.კ. საზოგადოება/განათლების სისტემა – ეფუძნება ერთ მთლიან პედაგოგიკურ-მეცნიერულ ხედვას, მეცნიერულ ლოგიკას და თანამიმდევრობას, რომელიც საფუძველთა საფუძველია წარმატებისა სწავლა-აღზრდის პროცესში.

მაშ, თუ გვაქვს ასეთი მაგალითი განათლების სისტემის მოწყობისა ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში, რომელმაც პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რატომ არ შეიძლება დღესაც ვიხელმძღვანელოთ გოგებაშვილისეული პრინციპებით, დავაფუძნოთ ქართული სკოლა და განათლების სისტემა პედაგოგიკურ-მეცნიერულ საფუძველზე და ნაცვლად გაუთავებელი გაუაზრებელი და ქართულ რეალობას აცდენილი რეფორმებისა, განვსაზღვროთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური საჭიროებები და, მასზე დაყრდნობით, შევიმუშაოთ მიზანი დღევანდელი ქართული განათლების სისტემისა, მოვანყოთ ქართული განათლების სისტემა მეცნიერულ/პედაგოგიკური პრინციპების და ლოგიკური ურთიერთკავშირების შესაბამისად. ამ უძირითადესი ნაბიჯების გარეშე ვერ მოვიპოვებთ განათლების სისტემის წარმატებულობას. განათლების გარეშე, ერი და ქვეყანა ხომ ვერ გადარჩება, როგორც გოგებაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა დაგვიბარეს.

### ლიტერატურა:

**გოგებაშვილი 1954:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1954:

**გოგებაშვილი 1955:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1954:

**გოგებაშვილი 1957:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1954;

**გოგებაშვილი 1958:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი ათ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1954;

**გოგებაშვილი 1977:** გოგებაშვილი ი., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1977;

**თავზიშვილი 1977:** თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1977;

**ლორთქიფანიძე 1976:** ლორთქიფანიძე დ., ქართული კულტურის მარგალიტი ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, თბილისი, 1976;

**ქინქლაძე 1980:** ქინქლაძე ო., ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება, თბილისი, 1980.

## **Ketevan Chkuaseli** **Didactics and modernity of Iakob Gogebashvili**

### S u m m a r y

Iakob Gogebashvili's multifaceted work can be presented in three main aspects. Iakob Gogebashvili, as the founder of the Georgian school, the founder of the science of pedagogy in Georgia and a public figure.

The cornerstone of Gogebashvili's public work is "The community serving literacy spread among Georgians", which, in fact, was promoted to the Georgian education system by Gogebashvili and his associates, thus preserved the Georgian school and script. Gogebashvili laid the scientific-pedagogical basis for the arrangement of the education system and school in Georgia.

Gogebashvili's textbooks: Mother Tongue, The gate of Nature, Ruskoe Slovo had an immeasurable importance for the school and the society of that time that was determined by defining the main questions of scientific didactics: Who should we raise? What should we teach? How should we teach? Who should teach? And for the solution, given the political-economic, social and cultural situation in Georgia at that time, Gogebashvili, in fact, set a precedent in Georgian pedagogical thinking for building school textbooks on scientific / didactic principles. Even today, it is possible to use Gogebashvili's legacy and pedagogical / didactic approaches in the development of the Georgian school.

# ს ა რ ჩ ე ვ ი C o n t e n t s

გია არგანაშვილი იაკობ გოგებაშვილის ერთი „შინაური მიმოხილვის“ გამო .....	3
Gia Arganashvili Regarding One Letter of Iakob Gogebashvili.....	12
ლევან ბებურიშვილი იაკობ გოგებაშვილი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი.....	13
Levan Beburishvili Iakob Gogebashvili as a literary critic.....	22
დიანა ბითვარდი ფ. მ. დოსტოევსკის მოთხრობის – „სასაცილო კაცის სიზმარი“ – მთავარი გმირის საკითხისთვის .....	22
Diana Bitvard A question of hero of “Funny Man's Dream”_By F. Dostoevsky .....	27
ია გრიგალაშვილი იაკობ გოგებაშვილი ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის შესახებ.....	28
Ia Grigalashvili Jacob Gogebashvili about Popularization of Georgian Folk Music .....	33
ეკა ვარდოშვილი იაკობ გოგებაშვილი არტურ ლაისტის წერილებსა და მოგონებებში .....	34
Eka Vardoshvili Iakob Gogebashvili in Leist’s letters and memoirs.....	38
ნინო ვახანია ალექსანდრე ორბელიანის „თელავი“ – მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში .....	39
Nino Vakhania Alexander Orbeliani’s “Telavi” – Model of Belles-Documetary Prose .....	44
ხათუნა კალანდარიშვილი საეკლესიო ენის მნიშვნელობის საკითხი აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ყვითელი სანთელი“ .....	45

Khatuna Kalandarishvili  
The Issue of the Importance of Clerical Language in Akaki Tsereteli's  
Short Story "Yellow Candle" .....51

მარიამ მირესაშვილი  
ხელოვნებისადმი უტილიტარული დამოკიდებულების იდეიდან  
პარტიულობის კატეგორიამდე ..... 52  
Mariam Miresashvili  
From the Idea of a Utilitarian Attitude towards Art to the category of  
Partisanship ..... 65

საბა მეტრეველი  
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 22-ე გამოცემის მთავარი  
სირთულე..... 65  
Saba Metreveli  
The main difficulty of the 22nd edition of "Deda Ena" by Jacob  
Gogebashvili..... 71

ლადო მინაშვილი  
იაკობ გოგებაშვილი როგორც საბავშვო მწერალი  
(„იავნანამ რა ჰქმნას“ მაგალითზე) .....72  
Lado Minashvili  
Iakob Gogebashvili as a children's writer (On the example of the story  
"What did Iavnana do") ..... 77

მაია მიქაბერიძე  
იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია .....77  
Maia Mikaberidze  
Iakob Gogebashvili's personal library collection..... 85

ივანე მჭედელაძე  
ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ  
კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური  
კვლევების შესახებ..... 86  
Ivane Mtchedeladze  
Georgian Literature in Contemporary Ukrainian Comparative Studies:  
On the Kartvelological Studies of Ludmila Grytsyk ..... 95

რუსუდან ნიშნიანიძე  
იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი  
(როსტომ ჩხეიძის ტექსტების - „ის სურნელი თოვლში“ და  
„ეკლიანი და პატარა გზა“ - მიხედვით) ..... 97



Rusudan Nishnianidze Iakob Gogebashvili – Literary Character (Rostom Chkheidze’s texts „The Scent of Violet in the Snow” and According to the „Thorny and Small Road”) .....	102
სალომე ომიადე „უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი.....	103
Salome Omiadze “Reduction of Ignorance” – The Cornerstone of Iakob Gogebashvili’s Creative Works .....	108
ინგა სანიკიძე XIX საუკუნის სასაუბრო ენის ერთი თავისებურება 1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით.....	109
Inga Sanikidze One Feature of the 19th-Century Spoken Language according to Materials of the Plot of 1832.....	115
თეა სუმბაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია სიმონ ჩიქოვანის რეცეფციით .....	116
Tea Sumbadze Nikoloz Baratashvili’s Poetry from Simon Chikovani’s reception .....	121
ნესტან ღამბაშიძე ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში (ზოგადი შენიშვნები) .....	122
Nestan Gambashidze The Origins of Liberal Ideology and the Issue of Women's Emancipation In the 19th Century Georgian public thinking (General remarks).....	128
თამარ შარაბიძე აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუშის ანალიზი.....	129
Tamar Sharabidze Analysis of some samples of Akaki Publicist satire .....	137
სოფიო ჩხატარაშვილი იაკობ გოგებაშვილი უკრაინულ კულტურულ კონტექსტში .....	138
Sophio Chkhatarashvili Iakob Gogebashvili in the Ukrainian cultural context.....	142

მაგდა ჭიქაბერიძე	
იაკობ გოგებაშვილი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში.....	143
Magda Chikaberidze	
Iakob Gogebashvili - in the Memory of Sophrom Mgaloblishvili.....	146
ქეთევან ჭკუასელი	
იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა.....	147
Ketevan Chkuaseli	
Didactics and modernity of Iakob Gogebashvili.....	156

გამოცემაზე მუშაობდა ნათია დვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2020

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,  
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

